

114 /

1963/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქეთობი



2

1

9

6

3

179
1963/3

მნათობი

საბჭოთა
კულტურის

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუროსი

წელიწადი 39-ე

№ 2

თებერვალი, 1963 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიბრების კავშირის ორგანო

5055

შინაქროსი

ოთარ ქელიძე — რისფერი ცეცხლის ბაღადა. ლექსი	3
ლადო მრეღაშვილი — ყაბახი, რომანი. ვაგრაძელება	5
კოლაუ ნაღირაძე — „შენ ხარ ვენახი“ ლექსი	24
ელისაბარ ზედგინიძე — ფანჯარა მესამე სართულზე. მოთხრობა	25
ვიქტორ გაბესკირია — ლექსები	38
ხერგო კლდიაშვილი — სამი მოთხრობა	40
კარლო კალაძე — მედინალი, აღზახური პოემა, დასასრული	52
ოთარ ჩხეიძე — აზამბარი, ეტიუდი	62
ივანე ვაზოვი — პაისი, ლექსი, თარგმანი არჩილ სულაკაურისა	68
ბელა ახმაღულიძე — პატარა თვითმფრინავები, ლექსი, თარგმანი თამაზ ჩხენკელისა	69
იური ნავიბინი — ჩვენ ოთხნი ვიუავით, მოთხრობა, თარგმანი მარიაშვილისა	70
ქონ სტიენიევი — ზამთარი ჩვენი მღელვარებისა, რომანი, ვაგრაძელება, თარგმანი ინგლისურ-რიდან ვახტანგ ქელიძისა	94

ნარკვევი

ილია დუბინსკი — ჩვენი სერგო, ჩვენი კომისარი!	106
რევაზ მიშველაძე — აყარმარაში	116

პრიტიკა და ლიტერატურისმოცოდნობა

შალვა აფხაიძე — ანა კალანდაძე	121
ატონ კეშელავა — დიადი დასაწყისი	133
რ ბაქანიძე — ალექსანდრე სერაფიმოვიჩი	138
ან წვერავა — ღვანე პაპასკირის შემოქმედება	145
კო ბინთიბიძე — ლექსის დამოუკიდებელი სახეობა	149

წარსულიდან

მელუქა შალვაძე — მეველე, დასასრული	154
ფ. ჭიჭიშვილი — უბის წიგნი ნინოშვილის მკითხველებთან	172

(იხ. მე-8 გვ.)



წიგნების მიმოხილვა



მ. კვათაშვილი — ფერებისა და სიცოცხლის მომღერალი	180
გიორგი წიბაბაშვილი — ა. პ. ჩუბოვის სამტომეული ქართულად	181
გრ. იმნაიშვილი — საინტერესო ნაშრომი ქართულ დიალექტოლოგიაში	183
გრ. ზარდალაშვილი — აღდგომის კუნძულის საიდუმლოება	185
შ. ჩხეტია, ა. ბენდიანიშვილი, გ. მარგვიანი — მონოგრაფია თერგდალულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან	188
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე
პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ა კ ო ლ ე გ ი ა ა

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. ვამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მაღრაძე, ბ. უდენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 21/II-63 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა 7 1/4×12 1/2.
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16, უფ 03150
ტირაჟინ500 შეკვეთა 375.

საჭ. კმ ცკ-ის გამომცემლობა, სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Издательство ЦК КП Грузии, типография № 1, Тбилиси, ул. Ленина № 14.

მთარ ჭაღიძე

იოსებრი ცეცხლის გალაღა

ვუძღვნი ვოლგოგრადის გმირებს

არდასაეიწყარს რას შევესწარი!..
ვოლგისპირეთის ველზე ჭიკჭიკით,
ექსპრესს კვალდაკვალ მოსდევს მერცხალი,
მკერდგაღებული სესებიჭივილი.

შორიდან მავთულხელებს მიწვიდან
უხარმაზარი ელსადგურები,
ცაში გამურულ ფრინველს მიწიდან,
როგორც ამხანაგს, ვესაუბრები:

მერცხალო, ჩემო მკვირცხლო მერცხალო,
წრფელი წადილი შენ მოვბარე,
გზაზე აღარსად ჩამომეცალო,
წამოდი, მხარე შემომატარე...

მაჩვენე ერთი ძველი სანგარი,
შიამზე ფრონტულ წმინდა ძმობაზე,
შენი მსუბუქი ფრთები გაჭარბი,
ვოლგის ნაპირთან მიწა მიხაზე

და მიმანიშნე—სად ასვენა
ის ჯარისკაცი, ნაცრად საშლილი,
ვისაც ამ ქვეყნად არ დაჩენია
არც მამა, არც და, არც ძმა, არც შვილი,

არც გზა ჰქონია სხვა საახელო,
რადგან მიენდო ხალხი, პარტია,
სისხლით იცოდა, რომ საქართველოს
გადამრჩენელი სტალინგრაღია.

მერცხალო, დედის უკანასკნელი
იმედ-ნუგეში რადგან ის იყო,
ცოტახნით მაინც თუ ხარ ქართველი,
შენ ჩემი თხოვნა არ დივიწყო.


მერცხალო, ზეცის თაღის ამწევო,
ვოლგისპირეთში მოვალ ხანდახან,

უნიშანსვეტო და უწარწერო
გმირის საფლავი, ო, არ გადახნან.

საქართველოს
ბიბლიოთეკა

— ნუ სწუხარ, მესმის მერცხლის ჭიკჭიკი,
ნახავ, შეხედები ამ საღამომდის,
კენჭებს მესროდა, მახსოვს, ის ბიჭი,
ახლა იისფერ ალად ამოდის.

იწვის და უჭრობ ცეცხლად ბრიალებს,
სახნავად როგორ გაიმეტებდნენ?
რა დაგვამარცხებს ადამიანებს,
როცა მერცხლებიც გვაიმედებენ!



ღამო მკვლევარი

ყ ა ბ ა ხ ი *

პირველ წელს დამუხლული ყანა სეტყვამ გადაარეგვა და ორი თუ სამი თვეთაველა გადაარჩინა, ხოლო მეორე წელს ღორმა ამოაგდო ძირიანად და შექამა. გაბრაზებულმა აგრონომმა თოფი დააზილა და თავის ნათხარშივე წააქცია გემრიელი თვეთავეით კმაყოფილი და ნებეირად მოღრუტუნე ღორი. კბილგაკრულა და გადარჩენილი ერთადერთი ღერი აღონდილა და ავეისტოს დასაწყისში ოცდათორმეტი მარცვალი გამოფშვნა მისი თვეთავეიდან.

შეშინებულმა აგრონომმა ღორი და ქათამი მთლად გაიწყვიტა და მომდევნო წელს მისმა ოცდათორმეტი მარცვალმა სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი ღერი ამოიტანა. თავს ველებოდა აგრონომი. ცივნიავს არ აკარებდა და, როცა კი ცა საწვიმრად მოიღრუბლებოდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, შინ გამორბოდა და ყანის ორივე კუთხეში ჩასმულ ბოძებზე ვეება ბრეუნეტს ჭიმავედა. სეტყვის შიშით დღისით მუხის ჩრდილში წიგნით ხელში მჭდარი რუსულადანი, გრძელ წყებლას წარამარა იქნევედა და იანაეარ ბედურებს აფრთხობდა.

დაიწყო სამამულო ომი და აგრონომიც აბუზღუნდა:

— რა დროს გვიყვლეს მაგ ძაღლის შეილებმა. ფუი, მაგათი სინსილა გაწყდა. მართალია, იმ ერთი ბრიყვი ქათამივით მოუვიდათ, რომელმაც იმდენი ქვეა, ბოლოს თავისი დასაკლავი დანა რომ გამოჩხრიკა, მაგრამ ჩვენც კარგა მაგრად დავისეტყვებით.

რუსეთიდან და უკრაინიდან აყრილმა ლტოლვილებმა საქართველოსაც უწიეს და ათიოდე წელს ქალ-ვაჟი აგრონომმაც შეიფარა. ბიჭი ყოჩალი ჩანდა, ხოლო ჯანმრთელობა შერყეულმა გოგომ გზაში გარდაცვლილი დედა, ომში დაღუპული მამა და დანგრეული სახლკარი იმდენი იტირა, სახამ ოსიც მათ არ გადაჰყვა.

ბიჭი ჯანმრთელი და ღონიერი იყო: ჩეხდა შეშას, ეზიდებოდა წყალს, ბოსტანს უვლიდა და თავზე ევლებოდა მამობილს ნალოლიავებ ყანას.

რუსუდანმა იმდენი იწვალა, იმდენი აწვალა ჯერ კიდევ ქართულად ენაგაუტეხავი ბიჭი, რომ ბოლოს წერა-კითხვასაც მიაჩვია და მამას მოსთხოვა, მაქსიმი სკოლაში მიეღებინებინა.

ბიჭი სკოლაში მიაბარეს.

და როდესაც დასავლეთიდან ცეცხლითა და ფოლადით დაძრული ურდოს მღვრიე ტალღები კავკასიისაც მოაწყდა, აგრონომმა თოფი აიღო და დარიალს იქით გავიდა.

მაშინ რუსულადანი უკვე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი იყო.

მაქსიმმა სწავლას თავი დაანება და, რაკი კოლმეურნეობას მუშა ხელი უჭირდა, თავმჯდომარეს მიადგა და საქმის ვაჩენა მოსთხოვა.

საქმე აუარებელი იყო და ბიჭიც დასდევდა ურმებს, კომბაინიდან ნამჯას ყრიდა, კრეფდა თვეთავს ტრაქტორების საწვავსა და წყალს ეზიდებოდა, და ბოლოს, როდესაც რუსულადანი ინსტიტუტი დაამთავრა, ქალის პირში აგრონომად გაამწყესეს და სახლსაც მომგულ-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1.

პატრონი გაუჩნდა, წვერ-უღვამ სასაცილოდ ავიგლული მაქსიმი ცხვარში მწყემსად წავიდა.

აგრონომმა მომხდურები თავისი ქვეყნის საზღვრებს იქით გადარეკა, წინ ზეითიოდ ფრიცი გაიმძღვარა და დუნაის პირას სამშო საფლავეში ჩაწვა.

შვილმა მამის დაწყებული საქმე გააგრძელა და ახლა მისი ეზო-საცდელი ნაკვეთი მთელი რაიონის სალაპარაკო გახადა...

რუსუდანმა ფანჯარა მიხურა, სარკ მღები გადო, ფარდები ჩამოუშვა, კარი ჩარახა, სინათლე აანთო და გახდას შეუდგა.

სადგომზე გაკეთებულმა ვეებერთელა სარკემ აირეკლა ნაქანდაკევი მკერდი და მხარ-მკლავები.

მცირე ხანს უცქირა რუსუდანმა სარკეში თავის ორეულს და მერე მწუხარეთვალის კედლის თავთან დაკიდებულ მამის გადიდებულ სურათს შეავლო.

ალერსით უცქეროდა სავსებით დაქლებულ შვილს მალაღმუბლიანი და ხშირთმიანი კაცი.

სურათს ქვევით ვეებერთელა ხალზე ორულლიანი სანადირო თოფი ეკიდა. ქართული მამაპაპური ხმალი და ხანჯალი გადაჯვარდინებულიყვენენ იქვე, ხოლო გვერდზე გატენილი ვაზნებით სავსე საეაზნე და ორი ვერცხლით შექედილი ყანწი განისვენებდა.

ძალიან უყვარდა ეს კუთხე რუსუდანს. განსაკუთრებით ხალი იზიდავდა ბაღლობისას, რომელიც მამამ მოსკოვში ყოფნისას იშოვა და ჩამოიტანა. ზედ თვალუწვდენელი ტაიგა იყო მოქსოვილი. თოვლზე სამცხენიანი მარხილი მიჰქროდა თავბრუდამხვევად. უკან მშვიერი მგლის ხროვა მისდევდა. ზოგი გათანაბრებოდა სირბილში მარხილს, ხოლო ერთი მარცხენა ცხენს მიხტომოდა და ცდილობდა ცხვირში სცემოდა. ფაფარაშლილი და თვალბეგადმოკარკულული ცხენი კბილთა ღრქენით თითონ აპირებდა პირის დაცემას. წინ გადახრილი, თბილქურქიანი მეეტლე გრძელი

შოლტით დაუღალავად ერეკებოდა უიმისოდაც გაფრენილ ცხენებს, ხოლო მარხილში მჯდომი მგზავრი თოფის სროლით ცდილობდა შიმშილისაგან გაყოფებული ხროვის შეჩერებას. იქვე ანლოს ეგდო, ალბათ, მისგან მოკლულ ნადირი და ზედ მიხვეული მისი თანამომქმენი ბასრი კბილებით გლეჯდნენ შეუბრალებლად.

სურათი ისე მეტყველად იყო ნაქსოვი ოსტატისაგან, რომ ახლაც შეერთა ქალი, როგორც ოდესღაც ბავშვობისას. შიშითა და იმედით ახედა მომღიმარე მამას, მერე ლოგინში ჩაწვა და სინათლე ჩააქრო. მაინც თვალწინ ედგა ხალის ზემოდან ალერსიანი მომხირალი კაცი. დედა არ ახსოვს რუსუდანს, ამიტომ უფრო უყვარდა მამა, რადგან დედაც ის იყო მისთვის და მამაც.

ყოველთვის, როცა კი ამ სურათს შეხედავდა, ქალს თვალნათლივ უდგებოდა წინ თავისი ბავშვობა.

— მამი, მამილო, სადა ხარ, ახლა? — ჩურჩულებდა ქალი და როდესაც წარმოიდგინა, სადაც იყო, გული ჩაფუფქა და ზშირი წამწამები ცრემლით დაენამა.

— როგორ გაჯავრებდი, მამილო, რამდენჯერ არ გაგიგონე და შენ მაინც საწყებლედ ვერ მიმეტებდი. გახსოვს, ერთხელ ჩუმიდ გაგეპარე და როგორ გაწვალე, როდესაც ტყეში დავიკარგე! — ქალს გაახსენდა ის დამე, შეერთა და საბანი უფრო მკიდროდ ამოიქუქუნა...

თორმეტი წლისა იქნებოდა მაშინ რუსუდანი. ჯერ ისევ თელავში ცხოვრობდნენ. უბნის გოგო-ბიჭებმა აიჩემეს მაყვალზე წასვლა. ამოდ უშლიდნენ რუსუდანს წაყოლას, ამოდ იმუქრებოდნენ და რა ვერას გახდნენ, თავი მიანებეს, ხოლო რუსუდანმა დაავლო ხელი თავის პატარა კალათას და ბატკანივით დაედევნა თავისზე უფროსებს.

გარდისუბანს აცდენილებმა შუამთა ხელმარცხნივ მოიტოვეს, თურდოს ხეობა გაიარეს და აყუდებულის აღმართს აუყენენ მაყვლის კამით.

საცხე იყო მაცვლის ბარდებით მისინ ის დალოცვილი მთა და როდესაც გოგო-ბიჭები ლაზთიანად გამოძღნენ, მერე-ღა გამოიღეს საკრეფად ხელი.

მაცვალი ნაკრეფი ჩანდა და კარგა ხანს შეჭყენენ აქ.

უნახავი სიღამაზით და იქაურობის მომხიბვლელობით გაანცებული რუსუდანი ვერ ძლებოდა მაცვლის ჰამით და ტუჩებშედებილი და ლოყებშმოთხუნული ბარდიდან ბარდზე გადადიოდა. ბოლოს, როგორც იყო, დაიწყო კრეფა, მაგრამ ის წყვეული ბოლოცეცხლა აუფრინდა ცხვირწინ და იქვე პატარა რცხილაზე დაჭდა. რუსუდანიმა კალათა დადო ძირს და თავდახრილმა მიპარვა დაუწყყო, მაგრამ როცა ახლოს მივიდა აიხედა, ჩიტი იქ აღარ დაუხვდა. ათვალიერა, ათვალიერა რუსუდანიმა და ახლა თელის გამხმარ ტოტზე დაინახა. ხელახლა აპირებდა მიპარვას, მაგრამ თავისი კალათა გაასხენდა. გამოზრუნდა უკან, აიღო მაცვლით ძლივს ძირმომალული და ისევ ჩიტისაკენ გასწია, — ახლა კი შამხისა და ბალახების მოსაფრებით.

იმ საშამფურემ არც ახლა მიუშვა ახლო. აფრინდა, ჭერ დგნალის ტოტზე დასკუბდა და მერე, რაკი მიხვდა, არც აქ დააყენებდნენ, ქვევით დაეშვა და ფერდობზე მღვარ პანტაზე შემოჭდა.

მანც არ მოეშვა რუსუდანი, დაედევნა და როდესაც ფერდობზე გადადგა, მიხვდა, რომ ჩიტს ვერაფრით ვერ მისწვდებოდა. მასინ ქვას დაუწყო ძებნა, მაგრამ ჩამოცვენილმა და შემწიფებულმა პანტამ სულ გადააეიწყა, რისთვის მოვიდა აქ.

ჭერ პანტის ჰამით იჭერა გული და მერე დაუწყო კრეფა და კალათაში ყრა. უცებ გაახსენდა, რომ კალათის ძირში მაცვალი იყო და დაიქულიტებოდა. უმალვე წამოაპირქვა, ძირში პანტა ჩაყარა, ზევიდან ის მაცვალი დააყარა და კმაყოფილი ჩამოჭდა იქვე. ცოტა ხანს უცქირა და არც ეს მოეწონა. ამოაჩინა მაცვლები, გადაყარა და კა-

ლათა პანტით ააესო. ახლა კი მოიხვეწა, მაგრამ ბოლოცეცხლა ხიდან ჩამოფრინდა და იქვე ნავდებ მწიფე პანტას დაუწყო ნისკარტის ცემა. ეს კი არ ეპიტნავა რუსუდანს და, რაკი მიხვდა, რომ სახაცილოდ იგდებდნენ, წამოხტა ფიცხლავ და აფრენილ ჩიტს გამოუდგა.

კარგა ხანს სდია, მაგრამ ვერ დაეწია და მწიფე მაცვლით დახუნძლოლ ბუნჭს კი გადააწყდა. რუსუდანიმა სიხარულით ხელი-ხელს შემოჰკრა, კალათა წამოაპირქვა, პანტა გადაყარა და ახლა მაცვალს დაუწყო შიგ ყრა.

ჭერ ნახევრამდე არ ჰქონდა მოყრილი კალათა, რომ საშინლად დაიჭექა და ნაწყვეტ-ნაწყვეტმა გრუხუნმა თავზე გადაუარა.

შეკრთა რუსუდანი და მადლა აიხედა: ცა მრუმე ღრუბლებით ჩამოხნელებულიყო, მწვერვალეზსა და მთათა კალთებზე ბინდი დაშვებულიყო, ხოლო ტყე გაუჭრებულიყო და ახლოვდებოდა რაღაც საშინელი და ამაზრუნნი.

ახლა გაახსენდა რუსუდანს ამხანაგები და გაიქცა მათკენ.

არსად სულეირი არ ჰაჰანებდა. ირგვლივ მხოლოდ მაცვლის ბუნჭები იყო, ტყე და გათიბული ფერდობები.

კიდევ ირბინა რუსუდანიმა, კიდევ ეძებდა, მაგრამ ვერც ადგილი ინიშნა და ვერც ვინმეს მოჰკრა თვალი.

ახლა კი შეშინდა რუსუდანი და დაიძახა:

— დარეჩანი
ყური წაუგდო, — არაიენ გამოხმაურებია.

— მიშიკო!
ისევ არაიენ გამოეპასუხა.

— მაცვალა!
კიდევ სიჩუმე.

ახლა კი იყისრა გაქცევა, მაგრამ სადაც კი შეყო თავი, სიხნელემ თვალეზი დასთხარა და გულგახეთილი ბალდი უკანვე მიაწყვიტა.

კიდევ დაიძახა „დარეჩანი“, და დააყურა, მაგრამ პასუხად ისეთი საშინელი

ქუხილი მოისმა, რომ მხრებაწურული შიშისაგან იქვე ჩაიკეცა.

რა იცოდა რუსულანმა, რომ მისმა ამხანაგებმა ცის მოპირქვეშებამდე თადარიგი დაიჭირეს, სახლისაკენ გასწიეს და მხოლოდ შუამთას ჩაცილებულუბმა-ღამოისაკლისეს მამის თვალისჩინი.

ვერაინ გაბედა უკან დაბრუნება, — შორიდანაც კი საშიში ჩანდა ფერდობებზე შავად აჯაგრული ტყე.

ითათბირეს, იბუზღუნეს და, ბოლოს, გადასწყვიტეს მალე ჩასულიყვნენ სახლში, რათა უფროსები გამოეგზავნათ მის სამებნელად, თორემ მერე, რაკო თურღო აღიღებოდა, ეშმაკიც ვერ გავიდოდა შიგ.

რუსულანმა წელი ძლიეს აიტანა, ისევე ადგა და დაიწყო ბარდებშუა ძრომა და სირბილი.

მაინც არ ჩანდა ბილიცი.

სიბნელემ თანდათან დაუშვა ძირს თავისი შავი ფრთები. გაიზარდა, გაიფოფრა და ქვეყანას კრუხივით გადაეფარა. ახლა კი აღრიალდა რუსულანი.

— ვაიმე, მამი, მამიკოო! შენი რუსულანი გიკვდება!

მაგრამ მამას რუსულანი შინ ეგულუბოდა და აგრე აღრე რა მოიყვანდა მინდვრებიდან.

უცებ მოიფიქრა, რომ ასე ხმამალდა ყვირილს მგელი გაიკვებდა და შეუქმელს არ გაუშვებდა. ხმას დაუდაბლა და ახლა მიკნავებულად დაიწყო:

— სადა ხარ, მამი! რატომ არა ხედავ შენი რუსიკოს გაპირებდას!.. ვაიმე, მამილოო!..

ირბინა, იარა, იძრომილა და ბარდებში ყოფნას, ისევე მინდორზე გასვლა ამჯობინა.

ყალთაღზე არაინ ჩანდა.

იარა, იარა ნათიბზე და ბოლოს წინ რაღაც ბუნდი მოხაზულობა გაარჩია.

ცამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიღვია და მერე ისეთი დაიქეჭა, რომ ბაღს ეგონა, ქვეყანა დაიქცაო.

შიშისაგან გათავებულმა რუსულანმა გლეხის შუქზე მინდორში ხეს შესაწრო

თვალი. გაიქცა და მის ქვეშ შევიდა. რადგან ცამ ნელ-ნელა ქინკვლანდაწყუო...

აქ კარგა ხანს იდგა სიცივისა და შიშისაგან აცახცახებული. ხელში სიმძიმე იგრძნო და თითონვე გაუკვირდა, კალთა როგორ არ დამეკარგა ამდენ სირბილში და ბლოტიალშიო.

ცამ ქეჭითა და გრგვინით შეერა პირი და წვიმას უმატა.

იქვე ხის ძირას ჩაკეცილი რუსულანი ტირილს ველარა ბედავდა და დაფეთებული ირგვლივ აცეცებდა გაფართოებულ თვალებს.

ახლა უფრო ხშირი წვაპუნით ეშვებოდნენ წვეთები ხის ფოთლებზე.

რუსულანმა დაასკვნა, ამ ყიამეთში უნდა მოვკვდეო. აი, საცაა მოვლენ შვიერი მგლები, შექამენ მას, ისე შექამენ, რომ ძვლებიც აღარ დარჩება და ევლარ ნახავს მამას, სკოლას, მასწავლებლებს, დარეჯანს, გულნარას, ვალიკოს და ყველას, ვისაც კი იცნობს. რომ მისი წიგნები და ქრელი კატა დარჩებიან ურუსულანოდ. მოვლენ მგლები, უსათუოდ მოვლენ და... და... დაიცათ, ეს... ეს... ეჩვენება, თუუ...

და რუსულანმა ელევის შუქზე დაინახა, როგორ გამოყო რაღაც ნანჯგვლიანმა ტყიდან თავი და შეჩერდა მის პირდაპირ.

ბაღლმა ორივე ხელი მოხვია ხეს და ზედ აეკრა.

დააყურა, მაგრამ ირგვლივ მხოლოდ წვიმა შრიალებდა.

ტყე მისგან ასიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული.

კიდევ დაიქუხა, კიდევ გაიღვია და ახლა კი ნათლად გაარჩია, რომ მგელი მისკენ მოდიოდა.

სისბლი ვაყეინა ძარღვებში საცოდავს და საშინელი ძავძავით ხეს მიეწება.

წვიმამ უფრო მოუსშირა, ქარმა დაიშხულია, ტყე ფერდობებზე მიაწვინა, გრუხუნით გაიღვია და ბაღლმა ახლოს

მოსულ რაღაც საშინელსა და ბანჯგე-
ლიანს შეასწრო თვალი.

მოკვდა, მამილო, რუსუდანიო, იკივ-
ლა და გულწაშული იქვე მიესვენა...

...რუსუდანიო თვალი გაახილა, თავი
წამოსწია, ირგვლივ მიმოიხედა და თა-
ვი სადღაც შევ მღვიმეში წარმოიდგინა.
წინ დიდი ცეცხლი ენთო, კედლების
აქეთ-იქიდან ქვეები და ხის ფესვები გა-
მოჩრილიყო, უკან არაფერი ჩანდა, ცე-
ცხლის შუქი ვერა სწვდებოდა და გა-
მოქვაბული კი, ალბათ, შორს სადღაც
მთის ბნელ წიაღში იკარგებოდა.

ვერაფერს მიხვდა მღვიმეში მყოფი
და კუნაპეტისაგან შესწებულმა ცეცხ-
ლთან მიიწია.

სად არი?

რა უნდა აქ?

ვინ მოიყვანა?

იქნებ სიზმარია?

სიზმარია, სიზმარი! ნამდვილად სიზ-
მარია! ჰოი, როგორ შეშინდა წედან,
როცა მგელს უნდა შეეჭამა. — რატომ
ვერ მიხვდა, რომ სიზმარში მგლები
ნამდვილად არა სკამენ?

ცეცხლთან ნაგდებ ქვას გახედა და
შეკრთა; — ზედ გადმობრუნებული და
დაკეცილი გრძელბეწვიანი ცხვრის
ტყავის ქუდი იდო.

უფრო განცვიფრდა რუსუდანი, რო-
დესაც იგრძნო, რომ ქვეშ რბილი ტყა-
ვისაგანვე შეკერილი ჩასაცმელი ეგო.
რუსუდანიმ ასადგომად იწია, მაგ-
რამ ქაშინვე უკან მიაწყდა: გამოქვაბუ-
ლის კარში თავით-ფეხამდე წვიმით გა-
ლუმბული თოთხმეტ-ხუთმეტოდე
წლის უქულო ბიჭი იდგა და იღრიჭებო-
და. ორივე ხელში რაღაც პატარა, მწვა-
ნე ბოლჩებივით ეჭირა, ქამარზე ხანჯა-
ლი ეკიდა, ხოლო შიგ ვეება დამბახა
ქქონდა გაჩრილი.

უცებ ბიჭს ორთავ ხელიდან ბოლჩე-
ბი დაუცვივდა, ძირხვენის დიდრონ
ფოთლებად გაიშალა და იქიდან წყალი
დაიღვარა.

გაოცებით დახედა დაღვრილ წყალს
გოგომ.

ახლადმოსულმა დიმილს იმდენად
უმატა, რომ პირის ნაყოფები კინალამ
ყურებთან მიიტანა და აღტაცებულმა
დაიბზა:

— რუსუდანი, როგორ ხარ, რუსუ-
დანი?

შეცბა რუსუდანი და უკან დაიწია.

ბიჭი ცეცხლთან ახლო მოდგა.

— ახლა ხომ კარგად ხარ, რუსუდანი?
ოი, როგორი გაყინული იყავ, მეგონა
არ გადაჩნებოდი და კინალამ ვიტირე.
— ბიჭს უცებ შერცხვა, რომ ვაუკაცმა
ტირილი ახსენა და გამოასწორა: — არა,
კი არ ვიტირე, კარგა მაგრა შეეფიქრია-
ნდი. ხომ კარგად ხარ ახლა, რუსუდანი?
იქნება გცივა? არა? თუ გცივა, მოიწი
ახლო და მეც უფრო დიდ ცეცხლს და-
ვანთებ.

ბიჭი გარტთ გაეარდა და ერთი იღლია
შეშა შემოიტანა.

სველი წიფელი ჭერ აწიელ-აწიშინდა,
მერე გაფიცდა და ცეცხლის ენები გა-
მოქვაბულის ნესტიან ჭერამდე აუშვა.

გოგოს დასცხა და უკან დაიწია.

ბიჭი კვლავ უმარჯვებდა ცეცხლს და
როდესაც მოიცალა, ისევ გოგოს მიუ-
ხედა გახარებულმა.

გაოცებულმა, სითბოთი ნასიამოვნებ-
მა და მაინც ლოყებგაბუშტულმა გო-
გომ მაცვლით შეღებილი ტუჩები წინ
წამოსწია, ქვეშ-ქვეშ გამოხედა და მძი-
მედ შეეკითხა:

— შენ ვინა ხარ?

ლოდზე დადებულ ქუდზე ჩამომჯ-
დარი ბიჭი აღტაცებული ათვალიერებ-
და თავის სტუმარს. მერე ახარხარდა და
კინალამ ქვის „საეარძლიდან“ გადაყი-
რავდა.

— ოი, ნეტავი ახლა შენი თავი სარკე-
ში დაგანახვა, რასა გავხარ, რუსუდანი,
აჰა, საეარცხელი, ეგ თმები მაინც დაი-
ვარცხნე.

რუსუდანიმ, როგორც იყო, ხელი
გაუწოდა და გამორთმევა ძლივს მოასწ-
რო, რომ ბიჭმა რაღაც მოიფიქრა, შემ-
ცხარი გოგო მიატოვა და ისევ გარტთ
გაეარდა.

— არ შეგეშინდეს, რუსუდან, მე ახლავე მოვალ.

რუსუდანმა თმის ვარცხნა ძლივს მოათავა, რომ ბიჭი ისევ მოვიდა ბუერის დიდრონი ფოთლებით წყალი შემოიტანა.

— ოჰ, ხედავ, რა ლამაზი თმები გქონია? ახლა გაწეწილი აღარა ხარ, მხოლოდ მწიფე მაცვლითა ხარ მოთხუნული. აბა, ერთი პირი დაიბანე და ნახავ, როგორი კარგი გოგო იქნები. ადექი, პო, მოდი აქეთ. ეგრე! არ გინდა, მე თითონ დავგისხამ.

დედამ მინც ჩამოხანა,
ველი, ყური, სახე,
უჰ, რა კარგი მიქუნაა,
მოდი, ქეთო ნახე.

თან ღიღინებდა გახარებული ბიჭი, თან წყალს უსხამდა და თან ცოცხალი თვალებით აქეთ-იქით რაღაცას ათვალიერებდა. და როდესაც წყალი გათავდა და გოგოც პირის ბანას მორჩა, ბიჭმა ბუერის ფოთლები იქით მიყარა და ახლა ხელის ცეცებით დაიწყო ძებნა.

სტუმარი გვერდზე მიბრუნდა და ათასფერ ვარდ-ყვავილებით მოხატული კაბით პირი შეიწმინდა.

მასპინძელმა, ბოლოს, როგორც იყო მიაგნო და ლოდს უკან მიგდებული პატარა გულა გამოათრია. იქიდან ახალი დაკრფილი ნორჩი სოკოები ამოიღო, შებერვითა და ხელს დაკვრით გაასუფთავა, გამოჩხრეკილ ნაკვერჩხლებზე დასვა და მერე კმაყოფილი ისევ ლოდზე ჩამოჯდა.

ბიჭმა ცოტა ხანს უჩხიკინა შეშას, მერე გოგოსკენ მიიხედა და როდესაც ცეცხლთან პირველი გაზაფხული, პირდაბანილი მზე და ხშირ წამწამებიდან გამომზირალი ორი ია დაინახა, ღიმილი გაუქრა და საჩხრეკი ხელიდან გაუვარდა.

— რუსუდან!

ცეცხლთან ხელახლა მორთხმული

სტუმარი მინც ვერ დამშვიდებულიყო და ისევ უნდობლად შეეკეთხა:

— შენ ვინა ხარ?

ბიჭი დაიბნა, — ამ ერთმა უცნაურმა წუთმა მოტეხა და კისერი მოადრეკინა.

— არავინ, რუსუდან... ზევით, კილობანში საქონლის ბინა აქვთ იყალთოვლებს და მე ბიძაჩემთან ამოვედი მთაში ამ ზაფხულს.

— ვინ არი ბიძაშენი?

— მწყემსია, სხვა ვინ უნდა იყოს?

— ჩვენ სადა ვართ?

— აყუდებულის დაბლა, ხევში.

გოგო დაფიქრდა.

— შენ ცუდი ბიჭი ჩანხარ, რად მომიყვანე აქ?

— აი, შარი თუ გინდა — ბიჭი უფრო დაიბნა.

— შენ გულწასული იწექ მაქალის ქვეშ, მე გიპოვე და აქ მოგაყვანე წვიმაში შესაფარებლად.

გოგომ არ დაუჯერა.

— მე მგელს უნდა შევეჭამე და შენ საიდან დამინახე?

ბიჭი მოცოცხლდა.

— ალბათ, მე გეგონე მგელი, რუსუდან, რადგან ეს ქუდი შეხურა და ტყაპუტი გადაბრუნებული მეცვა, წვიმაში ეგრე ვიცი ხოლმე.

გოგოს ეჭვი შეეპარა.

— მაქალოსთან რა გინდოდა?

— ხო დამეკარგა და იმას ვეძებდი.

— ჩემი სახელი საიდან-ღა იცი?

— შენ თითონ დაიძახე და მეც ხმაზე მოგაგენი.

პატარა მსაჯული თითქოს დაკმაყოფილდა პასუხებით, მაგრამ დაკითხვა მინც განაგრძო და წარბები პაწაწინა ცისარტყელებად აქცია.

— ვინა ხის ქვეშ ვერ ვიქნებოდი, მინცდამინც აქ რად მომიყვანე? აქედან გზა როგორ უნდა გავიგო? ხომ დავიკარგები...

გოგოს ტუჩები აუთრთოლდა და მასპინძელს გული საშინლად დასწყვიტა. შეწუხებულმა ბიჭმა აღარ იცოდა, როგორ ენუგეშებინა სტუმარი.

— ნუ იტირებ, რუსუდან, მე არ ვიცი, თუ შენ გეწყინებოდა აქ მოყვანა, მე უფრო გამოქვამული ვარჩიე, რადგან წვიმა არ ჩამოვა და შედარებით თბილიც არი. ხის ქვეშ საშოშია ყოფნა, ესლა, — შეიძლება მეზი დაეცეს... ნუ, რუსუდან, ნუ იტირებ. არი კიდევ ერუთი ანწლის ქოხი, ზედ გამოვიარეთ წელან, მაგრამ ამბობენ, რომ იქ გიყი ცხოვრობდა და ამიტომ მოვერიდე. იქნებ იქ გირჩენია რუსუდან? მე არ შეშინია, თუ გინდა წაგიყვან... ან იქნებ ჩემი ყოფნა არ გინდა შენთან ერთად? მე ეხლავე გავალ გარეთ, რუსუდან.

გულდამღულრულმა ბიჭმა წელი ძლივს აითრია ქვიდან და ის იყო გარეთ უნდა გასულიყო, რომ ტირილი შესწყვიტა, წამოვარდა ფეხზე და ხელი სტაცა.

— არა, არა, ნუ წახვალ, იყავი აქ... არც სხვაგან მინდა წასვლა... დიდი ხანია, რაც გიყი ცხოვრობდა იქ?

ბიჭს ბოლმა გულზე გადაეყარა და მობრუნდა.

— არ ვიცი, ამბობენ, ცხოვრობდაო, და...

გოგომ ისევ ტყავზე მოიკეცა. ახლაა გაახსენდა ბიჭს სოკოები, ნაღვერღლებიდან ვადმოყარა, სულის ბერვით და პატარა წყირით გაასუფთავა, ბუერის ერთი ფოთოლი სტუმარს წინ გაუშალა და იმაზე დააწყო. გახსნილი გულდიდან პურის ნატეხი ამოიღო და გვერდით მოუღო.

— ჭამე, რუსუდან, გეშვიება. გოგომ გემრიელად დაუწყო ღულნა სოკოებს.

ბიჭი ტყებოდა სტუმარს მშვენიერი მადით და წასაქვებლად კიდევ ამოაძვრინა გულდიდან მახალო და ნაკვერჩხლებზე დაყარა გულადმა.

გოგო დროდადრო შეჩერდებოდა და ყურს უგდებდა წვიმის შეუწყვეტელ ჩხრიალსა და მთიდან მთაზე წასულ გრუხუნს. ხანდახან უკან იყურებოდა, რადგან გამოქვამულის სიღრმიდან ღამე უსტეროდა.

ბიჭი მიუხვდა და გაამხნევა.
— ნუ გეშინია, რუსუდან, ხანჯალი კარგი მაქვს და დამბაჩა გეტყვითლია გოგო შეიმშუშნა.

— აქ მგელი არ მოვა?
— მგელს აქ რა უნდა? ნადირს ცეცხლისა ეშინია.

სტუმარმა „პურობა“ გაათავა, მასპინძელს მადლობა უთხრა და ცეცხლს მიანიჭრდა.

ბიჭი ადგა, აიღო დაკეცილი ქუდი, ცეცხლთან კარგა ხანს ატრიალა, გაშრო და გოგოს მიაწოდა.

— აჰა, თავით დაიდე და დაიძინე. გოგომ არ გამოართვა.
— არ მინდა, არ მეძინება.

ბიჭი მორჩილად დაეშვა ქვაზე და ქუდს ხელში უმიზნოდ დაუწყო წვალება...

დიდხანს ისბდნენ ასე. შუალამე ძალაში შევიდა...

უეცრად გოგო შეკრთა, ყელი ნუკრივით მოიღერა და ყურგამაბვილებული მიანიჭრდა ღამეს.

— რა იყო, რუსუდან? — შეშფოთდა ბიჭი.

— მამა, — თავისთვის წაიჩურჩულა გოგომ.

ბიჭი განცვიფრდა.
— რას ამბობ, რუსუდან? გოგო გამოერკვა.

— არაფერს, მომესმა, თითქოს ვიღაც იძაბოდა.

ბიჭი დამშვიდდა.
— ყურს ნუ დაუგდებ, რუსუდან, ეს ალბათ, ოლოლების ძახილი მოგესმა.

გოგო გოცდა.
— როგორ თუ ოლოლების? მასპინძელს გაუხარდა, რაკი ლაპარაკის საბაბი მიეცა.

— ოლოლები ფრინველებია, ჩიტები. ეგენიც წინათ ადამიანები ყოფილან. ჩემსავით ხბო დაკარგვით და დედინცვალს გამოუტრენია საძებნელად. ბევრი ეძებეს, ვერ იპოვეს და ღმერთს თხოვეს, რომ ფრინველებად ექცევნა. მას აქეთ დადიან და ეგრე ეძახიან ერთმა-

ნეთს: — იპოვე თუ არა ხბოვო...
მაგრამ ეს ზღაპარია, რუსუდან...

— ვიცი, გამიგია.

ისევე სიჩუმე ჩამოუფარდა სტუმარ-
მასპინძელს...

— არ გეძინება, რუსუდან?

— არა.

კვლავ სიჩუმე...

— წყალი ხომ არ გწყურიან, რუ-
სუდან?

— არა.

კიდევ სიჩუმე...

— იქნებ ფეხებზე დაბანა გინდა?
გოგომ დაიხედა დაკაწრულ, კობტა
ფეხებზე და მადლობა გადაუხადა.

— არ მინდა.

— სისხლს მოიბანდი, ზედ მიგახმება.
გოგო გაბრაზდა და მწყურალად ახედა,
მაგრამ, როდესაც ბიჭის შავად გახუხულ
სახეზე საოცრად მტყვევი თვალები
დაინახა, მოლბა.

— არ მინდა-მეთქი, ვერ გაიგე?

მასპინძელი შედრკა, დაიმორცხვა და
უხერხულად შეტოვდა ლოდზე.

უეცრად საიდანღაც ყრულ დაიგრუ-
ხუნა, წამოვიდა, წამოვიდა, მოახლოვდა
და ზედ გამოქვაბულთან საშინელი
ქვეით გასკდა.

გულგახეთქილი გოგო კინაღამ ერთ
მტკაველზე შეხტა.

— რა არის?

— არაფერია, ნუ გეშინიან, რუსუ-
დან, ალბათ მეზი ჩამოვარდა სადმე
ახლო.

— ჩვენ ხომ არ დაგვეცემა?

— არა, ჩვენთან მესხ რა უნდა...

ისევე განმეორდა ქვეა.

საღლაც ამაზრზენად აყმუღვლდა მგე-
ლი.

წყალმა ხმაურ-ხვივილს უმატა.

კიდევ დაიქვეა და საშინელი ზღარ-
თანით დაეცა რაღაც ხევში.

ბიჭმა ვარეთ გაიხედა და როდესაც
შემობრუნდა, ელდა ეცა: მთლად
აკახცახებულ გოგოს შეშინებული თვა-
ლები მისკენ მიეპყრო, თოვლივით თე-

თრი ყელი დაეძვინა და ძლივს გასაგო-
ნად ჩურჩულებდა:

— მოდი, ახლოს მოდი,
შეშინებული ბიჭი მიუახლოვდა.

გოგომ გაიწია ტყავიდან და ხელით
აჩვენა.

— აქ დაჯექ.

ბიჭი დაჯდა.

— უფრო ახლო.

ბიჭმა უფრო ახლო მიიწია და მხა-
რით მის მხარეს შეებო.

გოგომ ხელი მარჯვენა მკლავში
ჩასქიდა და უთხრა:

— ახლა ვარეთ ნუღარ გახვალ.

ბიჭს ასეთი რამ არასოდეს არ დამარ-
თნია, რაღაც ტყბილი, თბილი და სა-
ამური დაიძრა გულიდან და მთელ
სხეულს მოედო. უჩვეულო გრძნობისა-
ვან შემკრთალი ცდილობდა, არ გატო-
კებულიყო და ეს მდგომარეობა არ
დაერღვია.

აქანკალებული სტუმარი მკიდროდ
ეკვროდა თავის მასპინძელს და თან
თვალს არ ამორებდა გამოქვაბულის
პირს.

გოგოს კანკალით შეწუხებულმა ბიჭ-
მა უეცრად შეზღუდა ხელი მიირტყა,
გუნებაში თავის თავს უსაყვედურა:
რამ გამაყვედრა ეგრეთ, და ასადგომად
წამოიწია. წამოიწია, მაგრამ მკლავზე
ჩაფრენილმა გოგომ არ გაუშვა.

— სად მიხვალ?

— ამ წუთში მოვალ, რუსუდან, შე-
შას მოვიტან და ცეცხლს მივუკეთებ,
თორემ ეს ტყავი, რაზედაც ვსხედვართ,
სულ წვიმით არის სველი.

— არა, არა, ნუ წახვალ.

ბიჭი წამოდგა.

— ამ წუთას მოვალ, რუსუდან, შენ
იმიტომ კანკალებ, რომ ტყავის ბეწვიც
სველია და შენეი კაბაც.

გოგო გაეინიანდა.

— არ მინდა, არა, ნუ წახვალ.

აქ კი სიმაგრე გამოიჩინა ჩვენმა მას-
პინძელმა და მტკიცედ განაცხადა:

— ტყავს ვამრობა უნდა, რუსუდან,

უცეცხლოდ კი როგორ გაშრება? მე ამ წაშში მოვალ.

გოგო წამოხტა და შეემუდარა.

— ნუ გახვალ გარეთ, არაფერი არ მინდა. — არც ცეცხლი, არც წყალი, არც ძილი, არც ტყავი, გესმის, არაფერი არ მინდა, ოღონდ გარეთ ნუ გახვალ.

ბიჭი სულ დაშალა ამ ხმამ, მაგრამ მაინც არ შედრკა.

— ნუ გეშინიან, რუსუდან, შორს კი არ მივალ სადმე, — აქვე მთელი ყორეა შეშისა ზევიდან ჩამოყრილი და წყლო-საგან მოქუჩებულნი. ამ წუთში მოვალ, აი, ამ წუთში. არაფერია საშიში, მხოლოდ ცა გრგვინავს და მგელი ღმუქის.

და ბიჭს აზრად არ მოსვლია, რომ სწორედ ეს უხეტქავდა გულს საბრალო გოგოს.

მასპინძელმა შეშა შიგნით შემოაწყყო, ცეცხლს მიუკეთა და ტყავი მიუფიცხა. სველ ბალანს ოხშივარი ავარდა.

და როდესაც გოგომ კაბა გაიშრო და მატყლსაც სისველს ნასახი დაეკარგა, ისევ ძირს დაიგვეს ტყავი და ზედ დასხდნენ...

შუალამე გადადიოდა...

— მიაშე რამე, ოღონდ საშინელი არ იყოს. ზღაპარი არ მინდა. აქ დევებში და ალქაჯები დადიან.

— აბა სხვა რა გითხრა?

— არა, ზღაპარი არ მინდა.

— ერთი ძალიან კარგი ზღაპარი ვიცი.

— კარგი. ოღონდ საშინელი არ იყოს.

— არა.

და მასპინძელმა სტუმარი ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით გადაიყვანა.

მიჰქროდნენ ოქროსფაფარიანი და ქარისფეხებიანი ცხენები.

იარაღს მუქარით აჩხარუნებდნენ ჯაჭვსა და რკინაში ჩამსხდარი მხედრები. იღწებოდა ხმალი და შხუოდა ისარი.

ხევ-ხუეებში იჩიებოდნენ ორად ნაკაფი დევები.

მთის მიუვალ ქარაფებზე ღრუბლებამდე აწვდილი ციხე მოქუფრულიყო

და შიგ მკდომი მზეთუნახავი მსხნელს ელოდა.

მოფრინდა თეთრი მხედარი, ქალმა ციხის ბურჯიდან ნაწნავი ჩამოუშვა და...

— გეძინება, რუსუდან?

— არა, მინდა ცოტა ხანს წამოეწვე.

— კარგი, ასე უფრო კარგად მოისმენ, მხოლოდ აი, თავი დადე მუხლზე.

— ხომ კარგადა ხარ?

— მშვენიერად. მერე?

— ქალმა ციხის ბურჯიდან ჩამოუშვა ნაწნავი და რაინდი ციხეში აიყვანა. დიდხანს ცხოვრობდნენ ტყბილად. მხოლოდ ქონდრის კაცი საშინელი იყო თავისი განზრახვით.

ხელმწიფემ გადასწყვიტა ვაჟი უკვდავების წყლის მოსატანად გაეგზავნა.

მიუხვდა ცბიერებას მზეთუნახავი ქონდრის კაცსა და...

— გძინავს, რუსუდან?

— არა, არ მძინავს.

მიუხვდა ცბიერებას მზეთუნახავი ქონდრის კაცს და ვაჟს ოქროს ბეჭედი გაატანა.

გზაჯვარედინზე შედგა ვაჟი და სამი გზიდან ყველაზე საშიში აირჩია.

ბევრი იარა.

შავ ტყეში, შავი ხევიდან, შავი ტახი გამოვიდა და...

— გძინავს, რუსუდან?

— არა.

— შავ ტყეში, შავი ხევიდან შავი ტახი გამოვიდა და ვაჟს წრე მოუხაზა საბრძოლველად.

მოკლა შავი ტახი თეთრმა მხედარმა და ტახის თავიდან გამოსულ სამ ვეშაპს შეება:

— ერთი შავი იყო, როგორც კუნაბეტი;

— ერთი წითელი — როგორც სისხლი, ხოლო მესამე...

— გძინავს, რუსუდან?

— აჲ.. ჰა?

— ერთი შავი იყო, როგორც კუნაბეტი, მეორე წითელი, როგორც სისხლი,

ხოლო მესამე თეთრი იყო, როგორც ბამბის ქულა.

ვახეხა მაშინ ვაჟმა ჩოხის კალთაზე ოქროს ბეჭედი და მოკლა თეთრი.

მოკლა წითელიც.

შავსაც მოუხტა, მაგრამ...

მაგრამ სტუმარს უკვე ეძინა.

და მიჰქროდნენ ოქროსფაფარიანი და ქარისფეხებიანი ცხენები...

უცებ მღვიმე საშინელმა გრიალმა შეარყია და შიგ მყოფნი გულგახეთქილი წამოყარა ფეხზე.

ცეცხლი ჩამქრალიყო.

სიბნელეში ერთმანეთს მიკრულები და შიშისაგან თვალდაპყვიტილები გაურკვეველად იყურებოდნენ.

ისევ ბიჭი მოვიდა ადრე გონზე. იჭურობის გასანათებლად ცეცხლი გაჩხრიკა და შუბლზე სირცხვილის ოფლმა გამოეთქა: დამბაჩა საფისტონე ძუძუთი ნაღვერდალთან ახლო დაცემულიყო და დაკლილიყო.

სწრაფად აიღო, სინანულით დახედა და უხერხულად გაიღიმა.

— არაფერია, რუსუდან, აი, ეს ოხერი დამბაჩა ჩამვარდნია ცეცხლში და ის გაეარდნია.

გამოფხიზლებულ გოგოს გულზე მოეშვა, მაგრამ ისევ შეშინდა.

— რაზე ჩვენ მოგვხედებოდა ტყვიან! ბიჭსაც შეეშინდა. ჰერიდან ჩამოცვენილი და საყელოში ჩაყრილი მიწა წამოიბერტყა და გული გაუკეთა.

— არა უშავს, რუსუდან, მთა არი. შეიძლება ასეთი რამეც მოხდეს. შენ ნუ გეშინიან. ისევ წამოწე. მე შეშას მოვიტან და ცეცხლს ისევ დავანთებ.

— არა, არა, ნუ ვახვალ გარეთ.

მაგრამ ბიჭმა გაასწრო, მალევე მობრუნდა უკან და ნაკვერჩხლებს შეშა ბლომად დააყარა. კარგად გააფიცხა და მერე გამოქვავებულიც გააჩირადნა.

გოგო ისევ ტყავზე წამოწედა, ბიჭი კი ქვაზე ჩამოჯდა.

— არ მინდა, მანდ ნუ ზიხარ, — მიზეზიანად წამოიწია იდაყვზე ცეცხლთან მიწოლილმა.

— მა რა ვქნა, რუსუდან? — გაოცდა ბიჭი.

— ჩემთან მოდი... ^{უარყოფილი} დაწევი და ორივემ დავიძინოთ. ტყავი დიღია და ორივეს გვეყოფა.

და სანამ გომბორის მთიდან არ გადმოადგა დილა ხეობას, ასე ეძინათ ჩახუტებულებს.

ხოლო, როდესაც შუე ცივს კარგა მალა აშორდა, მთელი დამის ნახეტი-ალეზმა, ჩამოგლეჯ-ჩამოწეწილმა, დაკაწრულ-დაღარულმა და ჯავრისაგან გადარეულმა მამამ ჰილოზნის ტყეში, მეძროხეთა ბინაზე მიაგნო თავის ერთად-ერთ ნუგეშს, რომელიც სამფეხა სკამზე დაგებულ ნაბადზე წამომჯდარიყო და ნამტირალევი სლუკ-სლუკით ხვრებდა თბილსა და ნაღებიან რძეს.

კოცნით გადაუცვითა ხელ-ფეხი და ლოყები, სისარულით კინადამ ქუთაზე შემეცდარმა მამამ და თავის ამხანაგებთან ერთად, რომელთაც იმ დამეს აგრონომზე ნაკლები არ ეწვალათ, ნაპოვნი შვილით სახლისაკენ გასწია.

გოგოს გული დააწყდა, რომ ბიჭს ვერ გამოეთხოვა, რადგან ის სოკოს მოსატანად იყო წასული.

ტყესთან მიაბლოებულმა უკან მოიხედა და ქონის გვერდით სოკოებით ხელში მღგომი თავისი წუხანდელი მასპინძელი დაინახა. ველარ მოაშორა თვალს და შენიშნა, როგორ ნელ-ნელა ჩამოეშენენ ძირს ხელები. სოკოები მიწაზე გაიბნენ და უკანვე მიბრუნებული ბიჭი ისევ ტყეს შეერია.

გოგოს დაენანა და ატირდა...

ოი, მას შემდეგ რამდენი წელიწადი ვავიდა. მამა ფაშისტის ტყვიამ გააცივა, ხოლო შვილმა კერძა ღაღარი ცხლად შეინახა და ახლა უკვე გამოცდილი იგრონომია.

საბრალო მამა... მაგრამ ვინ იყო ის ბიჭი, ასე გუშინდელივით რომ შემოინახა ხსოვნამ ეს დამე და ალბათ, სიკვდილამდე არც წაიშლება? იქნება სხვასაც უნახავს ასეთი გულადი ვინმე იმ ასაკში, როდესაც უფარსკვლავეო და-

მეს ათასგვარი ზღაპარი ცოცხლებდა და ალქაჯ-ღევები დაალაჯუნებენ ღრანტეებსა და მთის ორწოხებში?

უცნაურია ადამიანი: ერთი რაღაც გულუბრყვილო ღღე, ან შემთხვევა ჩაგმედება თავში და იქიდან აღარც ამოვა... აი, არჩილიც... ჰო, მართლა, არჩილი, წელს მაინც მოეწყოს უმაღლესში და ცოტა ჰკუთისწავლოს. მომავლურებელია სულელური თავგანისცემა.

ზაქრო? საბრალო ზაქრო? არ არი ურიგო ბიჭი, მაგრამ მეტრისმეტი გულუბრყვილოა და უკუყო. მაინც რამ მოაფიქრებინა ჩემი სიმინდის გათონა? ან როგორ მოახერხა, რომ ვარლამის მეტმა ვერაინ შეასწრო თვალი? ღამით უმუშავნია საწყალს, რომ სოფლის ყბაში არც თითონ ჩავარდნილიყო და არც ჩემზე მიეცა ვინმესთვის საბაბი საპოროად... ინსტრუქტორი? — მას შემდეგ ისე მერიდება, როგორც მარქენალ ხარს. დედავ! — რა იქნებოდა, რომ ის... ის კაცი არ შემოგვხედროდა იქა? აი, თურმე ვინა ყოფილა წიგლუგო. ნინო კი მეხუმრებოდა ხოლმე თავის მაზლზე... მერე სიკეთე რითი გადავუხადე? რიგიანი საღამიც არ მიმიცია... ვაგლეჯილი მავთული უნდა შეეკეთებინა, რატომ დაავიწყდა?.. თითქოს აღრეც საღდაც მინახავსო. იქნებ თბილისში?..

ერთი ზვალ უნდა გავიხსენო და საბედა ძალოს შევუარო. ვერ იქნა და ერთი კნუტი ვერ მოვიყვანე სახლში... მაგრამ ის ბიჭი? — ის პატარა ბიჭი? როგორ მეტეორივით გაიელვა და გაქრა, ხოლო მესხიერებას კი ასე ნათლად შემორჩა. ღმერთო, ვინ იყო?.. ან იქნებ გულში იმიტომაც ვერაინ გაიღვა ფესვი რომ იქ, საღდაც კუნძულში იმ პატარა ბიჭის ხსოვნაა შემონახული ეგრე სათუთად?..

ღიღინას მკითხაობდა რუსუდანი და როდესაც თვლენა წამოეპარა, სუნთქვა თანაბარი გაუბდა და, როგორც ოდეს-

ღაც, — გაფრინდნენ ოქროსფაფარიანი და ქარის ფეხებიანი ცხენები.

საქართველო
საქართველო

5

საწყობში ოდნავ ბნელოდა. ღია კარიდან შემოსულ შუქზე ბუნდად ისახებოდა ფიცრის თაროები: ათასგვარი ხარახურა ეყარა ფიცრებზე. ვერცხლით კოტა-მოქედილი ქართული უნაგირი და ტახტამოტეხილი კეხი ირჩეოდნენ მათში. ერთი მეორის გვერდით გამწყრივებულიყვენენ ვახის შესაწამლი აპარატები და გოგირდის შესაფრქვევები.

ნესტიან კედელზე ეკიდა გადმობრუნებული და ჯოხგაყრილი ცხერის გამოუყვანელი ტყავები. ცხენის ცალული, სადავეები და თასმები.

კედლის ძირში მიწოლილი რუხი კასრები მიჰხუტებოდნენ ერთმანეთს. ცემენტის პატარა აუზში ყველის კვერებს ამოყვით თავები მღვრიე — მუგვანე სითხიდან.

დახუთულ ჰაერში ღვინის მოტკბო, წაქის მომლაშო და ნესტისა და შმორის უსიამო, მძიმე სუნი იდგა.

ერთადერთ, დარკინულ, სარკმელთან მიღგმული მაგიდიდან რახუნი ისმოდა. მაგიდას ხალბი მისეოდა და კედლად შეკრულიყო. შავლეგამ გზა მისცა საწყობიდან გამავალ გოგოსა და ზღურბლს გასცილდა. მივიდა და მაღალყელიანი სასწორის თავზე იდაყვი ჩამოიდო. მღუშარედ უშურდა, როგორ კუწავდა ნაჭახით ლეო ვარდისფერ-მოწითალო ხორცსა და მაგიდაზე მღვარ პატარა, თეფშებიან სასწორზე როგორ ჰყრიდა მოზომილად მოჭრილ ნაკუწებს. მაგიდას მისეულნი ყაყანი ირჩევდნენ ხორცსა და ზოგიერთი უკმაყოფილო გამწყრალი სახითაც კი უგდებდა უკანვე აწონილს.

— რატო აღრე არ მოხვედით, კოცო, — ბრაზობდა საწყობის გამგეც — კარგი მაშინ შეგხვდებოდით. ბარკალი, ბარკალი! ყველას ბარკლისა უნდა და

რომ აღარ არი! საიდან მოგიტანოთ, ჩემსაზე ხომ არ მოვიჭრი?

— რა ჭირად მინდა შენი ტურტლიანი ბარკალი? ჩემი ქმარი შენისთანებს ლაჭებში ამოსხამს. შენ მაგიდის ქვეშ დამალული გამოიღე! — იპაპებოდა ვიღაც თამაში დედაკაცი.

— რამ გააღორძოვებდა ეს ხალხი ევრე, — ქონიან ხელებს ერთიმეორეს სცემდა გაკვირვებისაგან ლეო, — მართო თქვენი თავი რათ ვახსოვთ, კაცო. ჩაზეინებს ჭამა აღარ უნდათ? იმათ პირი არა აქვთ?

— მაგათ კანტორაში ჯდომაც ეყოფათ. თუ ხორცი უნდათ, მოვიდნენ აქა და რაც შეხვდებით, ის წაიღონ.

— ეგენი კვირაში ერთ-ორჯერ გააკრავენ სადმე კბილსა და ჩვენ კი წელიწადში ერთხელ მაინც რივიანი ხორცი არ ვაჭამოთ ბალებს?

იღვა მღუმარედ შავლეგო და უცქეროდა მაგიდაზე ნაწილნაწილ დაყრილ კისრისა და ხერხემლის ნაჭრებს. დროდადრო შეაეღებდა თვალს საწყობში შემოსულ ხალხსა და მათ მობირდაბირედ მდგარ საწყობის გამგეს, რომელსაც პირით ძირს დაყუდებული ნაჯახის ტარზე ჯალათივით ჩამოედო ხელი და გულმოსული ბღვერით უგდებდა ყურს მისამართიან-უმისამართო სიტყვებს.

— ლეო, გესმის, ლეო! — გვერდზე ჭერიდან მოესმა წყნარი, ძლიერი ხმა საწყობის გამგეს და სახიდან გულმოსულობა ჩამოერეცხა.

ლეო მობრუნდა და ერთ წამს ახედა სასწორზე მიყრდნობილს. ნაჯახი დადო, მიუახლოვდა და ბოდიში მოიხადა.

— ვერ შეგამჩნიე. ამთ ყაყანში რას გაიგებ! — ანიშნა ხალხზე და მაგიდიდან ქალაღი აიღო შესაწმენდად. — ხელს ვერ გართმევ, დაუბანელი მაჭვს. სად დაიქარგე, იმ საღამოს შემდეგ, რაც კუბრაქასთან „ავწიეთ“, აღარც მინახავხარ. ხორცი გინდა? — და ხმას დაუწია, — კარგი ნაჭრები მაჭვს შენახული. მხოლოდ ცოტა ხანს დამიცადე, ეს ხალხი მოვიშორო თავიდან. ლამის

ხორცის მაგივრად მე შემიჭამონ

— ხორცი არ მინდა, ლეო, — როგორ არ გინდა? — გავცდა საწყობის გამგე, — გოდერძი არ არი, მაგრამ დედაშენი ხომ სახლშია. ნინო პუდაგოგი ქალია, როგორ არ გინდათ, შენც ჭერჭერობით ვერაფრით გეცი პატივი. აქ ზაფხულობით იშვიათია ახალი ხორცი. ამ დილას ჩამოიტანეს ბიჭებმა მთიდან. ბებერი კი არ არი, დეკეულია. ერთი დაწყევლილი ბულა ჰყავთ. კლდის პირას შეხტომია და გადაუჩხვნია. შრომადღებზე ვანაწილებთ. სულ ეხლაზან ჩამოიტანეს მთიდან.

— ხორცი არ მინდა, ლეო, ის ნაჭრები კი ამოიღე მაგიდის ქვეშიდან. ამოიღე, თორემ ხალხი ფიჭრებს, ბუზებს კი არ შორიდენ, არამედ გადაძალე.

ლეო შეცბა და დაიბნა. ცალი თვალთ სასწორთან მდგომს ახედა, ცალიც მაგიდისკენ გააბარა,

შავლეგომ აწრიალებულ საწყობის გამგეს აღარ დააცადა. მხარზე მეგობრულად მოუთათუნა ხელი და ანიშნა.

— გინდა, მოგესმარო? — და დაიშკლა. — მალევე გავისტუმროთ ეს ხალხი. საქმე მაჭვს...

რამდენიმე წუთს ისმოდა ნაჯახის ხმა და ჩახუნით, ხრიალით, ხრამუნით იუწყებოდა ბარძაყისა და მხრის ძვლები ღონივრად მოქნეული ფოლადის ქვეშ. ხტოდა და როკავდა ხორცსა და მაგიდის შუა მოქცეული ფიცარი. მაგიდა გაივსო უამრავი თანაბარი ნაჭრებით.

შავლეგომ ნიღრით ჩაარქო ფიცარში საჭერი, მობრუნდა და კისრისა და ხერხემლის ნაჭრები გაუნაწილა ბარკლისა და მხრის ჩამონაჭრებს. იქიდან ოთხი წილი აიღო და ცალკე გადადო.

— ეს კანტორაში მყოფთათვის იყოს. აქ რომ მოსულიყვენ, ამის ნახევარიც არ შეხვდებოდათ. ხომ სწორეა, ლეო? სწორი არ იყო, მაგრამ ლეომ თავი დაუქნია.

— ახლა დანარჩენი ავწონოთ და

ხალხს დაეუბნოთ. ესეც ხომ სწორეა, ლეო?

ლეოს არც ეს მოეჩვენა სწორად, მაგრამ ამხელდაც არაფერი უთქვამს.

შავლეგო მაგიდას გასცილდა.

— სანამ შენ მაგას მორჩები, ხელეების დაბანასაც მოვასწრებ.

ჩასაბერმა, რომელიც გარეთ იცდიდა და სარკმლიდან ყველაფერს ხედავდა, კანტორის კიბე ბრავაბრუგით აირბინა და, მიუხედავად მოანგარიშის ყვირილისა, „სად მივაქვს, შე დამთხვეულო!“ აიენიდან ბრავა-ბრუგითვე საპონი და სურით წყალი ჩამოიტანა.

შავლეგომ ცხვირსახოცი ამოიღო და გულმოდგინედ დაბანილი ხელეების წმენდით საწყობისაკენ მიტრიალდა.

კარების ზღურბლზე დედაბერი გადმოდიოდა. აკანკალებული ხელეებით ფრთხილად ახვევდა გახუნებულ, ბევრი რეცხვისაგან გაცვეთილ ტილოში თავის კუთვნილ ზორცის ნაჭერს.

ბებერი გაჩერდა და აჩიფიფდა:

— შენ გაიხარე, შვილო, და გაუმრავლდი შენს პატრონს. არ ვიცოდი, ენის იყავ და იქ მითხრეს. ღმერთმა აცხოვოს, მამაშენიც სამართლიანი კაცი იყო.

შავლეგომ ხელი მოხვია და ღიმილით მიაცილა ცაცხამდე.

— მე რა შუაში ვარ, ბებო. ლეოს უთხარი მაღლობა, რომ სხვა დროსაც აგეთი გულუხვი იყო.

საწყობში შებრუნებულს ლეო გამწყრალი დაუხვდა.

— აღარა მშორდებიან, რა ვქნა, კაცო, — მერე იქ მყოფებს მიუბრუნდა, — ანდე, ხომ ხედავთ, მოვიდა. ეგ ივრე დავარჩინო?

შავლეგომ სწრაფად გადაავლო თვალი მაგიდას და მისგან საკანტოროდ გადაღებულ ნაჭრებს წააწყდა.

— ეგ ორი ვილასი მიგიმატები?

— ეს ერთი შენთვის გადავდე და ვრთსაც მე წავიღებ.

— კაი ბიჭი ხარ, ლეო, დიდი მაღლო-

ბა, — გაეცინა შავლეგოს, — მაგრამ მოდი, ჩემი წილი ამ ორს გაუყავ და ეგენიც მოგეშვებიან.

დედაკაცები მაინცა და მაინც უარზე არ დამდგარან, მხოლოდ საწყობის გამგე შეიყვამანდა ცოტა ხანს. უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ უცნაურ ღიმილში გარეულ მომნახველ მზერას რომ წააწყდა, ფიცრიდან სწრაფად ამოაძრო ნაჯახი და ხორცის გროვას დასცა.

და როცა საწყობი დაეპირებოდა, შავლეგომ კუთხეში გაიყვანა საწყობის გამგე.

— ერთ საქმეზე მოვედი და, ვიცი, უარს არ მეტყვი.

— თქვე და თუ შემიძლია, ჩემი თავი შენ გენაცვალოს.

— ფეხბურთის ფორმა უნდა მომცე ერთი კვირით.

ლეო შეტბა და უკან დაიწია.

— სული რომ მთხოვო, არ დაგიჭერ, ამ ფორმაზე კი ძია ნიკო ფრჩხილებიდან დამიწყებს ტყავის გაძრობას.

— ძიან ნიკოსთან მე ვაგებ პასუხს. უთხარი, რომ ძალით წავიღე.

— რა ვქნა, ძმაო. არ შემიძლიან.

— უნდა მომცე.

საწყობის გამგე კარვა ხანს იდგა მღუ-მარედ. აიხედა და კიდევ შენიშნა მთხოვნელის სახეზე წელანდელი ღიმილი. მერე მზრიდან მის მკლავს ჩამოაყოლა თვალი, რომელიც რკინის თითებით ბოლოვდებოდა და ხელი უნებურად თაროზე დახვევებული ფორმისკენ წაიღო.

სალამოთი კი კაბინეტში ქუხდა ძია ნიკო და მაგიდის კიდეში ვაჩერებულ საწყობის გამგეს შეხის ნატეხები ეფრქვეოდა თავზე.

— თითონ აქ იყო, ქირი მომჭამა, სიიდან არ მომიარა, მაგრამ ვშრალი უარი ვტყვიე. ეს კი იღებს და ულაპარაკოდ ატანს. აი, დაგწყევლათ ჩემმა გამჩენმა, კაი ხალხი თქვენ იყოთ. გაგონილა, ქრისტიანო! — მიუბრუნდა რუკის ქვეშ მშვიდად მჯდარ ბულალტერს. — მოვდივარ სოფლის ბოლოზე, ილუაანთ ნაფეტვართან და რასა ვხედავ: ვადაუცვიათ ფორმა, გაუგდიათ ბურთი იმ ქარილტეებ-

5505

სა და კერინჩისა და ძეძვის ჯაგებზე მალაყებს გადადიან. ბალიანთ ჯიმშერას ვეკითხები: ვინ მოგვით, ბიჭო ეგ ფორმა-შეთქი და: „კოლექტივის საწყობიდან წამოვიღეთ“.

მერე ისევ საწყობის გამგეს მიუბრუნდა და რისხვით ჩაკითხა:

— რად მიეცი, ბიჭო!

— მოვიდა და მითხრა: ფორმა მომეციო, დიდი ხნით კი არა, ერთი კვირითაო, ძაან ვიცოდი, თუ ბიჭ-ბუჭებს ჩაუგდებდა ხელში?

— მაშ, რისთვისა გათხოვდა, თუ ჩასაკმელად არა, გუთნაში უნდა შეებო?

— აბა, რა ვიცი, მომეციო და... მივეცი. არ მიმეცა? შე რომელი ყარამან-ყათილი ვიყავი, — ალაზანზე ბიჭები მუშტით დაუხეთქავს. შექსპირმა თქო...

— მე შენ კარგ შექსპირს მოგცემ! წამოდგა ძია ნიკო და ცარიელი ქალაქის ფურცელი მოძებნა. — საწყობი ცხვირწინა აქვს, იმისათვის ვერ მოუვლია და საშრობის გამგეობა მომინდომა. ეგ იმედო მქონდა შენი? — ქალაქის ფურცელი ბრაზიანად გადაუგდო მაგიდაზე. — ვირს დიაკვნად არ აყენებდნენ და ის შეხტა და შემოტრიალდა; არქიმანდრიტობაზე ნაკლებს არ დავჭერდებო. დაჭეჭი ეხლავე და დაწერე განცხადება, რომ საშრობსა და საწყობს ერთად ვერ უძღვები და ვაგანთავისუფლონ საშრობის გამგეობიდან.

მერე სკამზე უმოძრაოდ მჯდარ ბულატერს გადახედა და თავი სინანულით გადაიქნია.

— არ უნდა ვიყო ეგეთი რბილი, არა. შენი განცხადების საფუძველზე კი არ უნდა გამენთავისუფლებინე, პირდაპირ უნდა მომეხსენი. რას გაშტერებულხარ, კალამი არა გაქვს? აჰა, ჩემი იხმარე. ფორმაზე კი ვადა მომიცია: თუ ზეგ უკლებლოვ ისევ საწყობში არ დამხვდა წინანდებურად, მაშინ, თუ სხვაგან ვერ იშოვო თოკი, ჩემთან ჩამოდი და მე გათხოვებ.

თავი მათთ

შაბათ საღამოს ნასყიდას დაურეკეს მიწვანიდან: ხვალ ერესტო ჩა-

მოვა სოფელში მიწების დასაზომად და არსად წახვიდე საბჭოთა ფურცელი დღეს კი ორივე თავმჯდომარე, მანათიან-შვილი, ბულატერი, რევაზი და იმ სიაში მყოფნი, რომელიც თითონ ერესტო ქარცივაძეს ეკირა ხელში, უკან დასდევდნენ ბალ-ვენახებსა და ბოსტან-ეზოებში რაიონის მიწათმომწყობს. თითოეული მათგანი ცალცალკე იწერდა ბლოკნოტსა თუ ქალაქის ნაგლეჯზე სხვადასხვა ნაკვეთის ზომებსა და მფლობელის გვარ-სახელს.

შუახანს იყო მიღწეული ტანდაბალი ერესტო. შეგვერემან სახეზე, ალერსიან თაფლისფერ თვალთა კილოებთან მუთაქის პირით მიპყროდა ნაოკი და თავიდა, გულუბრყვილო ბავშვს ჰგავდა. იგი უბრალოდ მიდიოდა ღობეებისა და მიწების გასწვრივ. ტუჩებზე საარვისო ღიმილი გადაეკრა და რულეტკის მეორე ბოლოს წინ მიმავალი ჩასაბერისაგან სანიშნოდ ფეხგანასვამ მიწას უმიზნებდა.

ჩასაბერს ისეთი გულმოდგინებითა და საქმიანად დაჰქონდა რულეტკის წინა წვერო, რომ უკვე ერთი საათის შემდეგ მიწის პატრონები უშუალო ბრაზით იტენებოდნენ.

შუალღე გადაიხარა.

— პური არ მოგშივდა მაინც? — ნახევრად ზუმრობით იკითხა ძია ნიკომ.

— კიდევ ბევრი შეუტანია სიაში სოფლის გულშემატკივარს?

ერესტომ რგეულის ფურცელში ჩაიხედა.

— ორი კაცისაღა დარჩა.

— კარგი, მაგათ რომ მოვრჩებით, მერე თითონ ამ ჭეილისა დავზომოთ. რევაზის ბალ-ვენახიდან გამოსულეში, კუპრაქას სასადილოს მიადგნენ. ერესტომ მხოლოდ ერთი კბიქა ღვინო მოწრუპა ლიმონათით.

ჩასაბერი ცხელ-ცხელ მწვადს ისეთივე გულისყურითა და მონდომებით უთლიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თეფშზე, როგორითაც გაქიმული რულეტკა ეკირა მის ბალჩაში.

მხოლოდ ნიკოს კაბინეტში მისცეს გულში ნადებს გასაქანი თანამესუფრეებმა უღიმღამო ტრაპეზის შემდეგ.

— შენ რაღა გინდა აქ? — გაიკვირვა თავმჯდომარემ, როცა ჩასაბერმა დაბეჯითებით მისურა კარი და ვრძელ მაგიდასთან ისეთი სახით დაიკავა აღვილი გეგონებოდათ უიმისოდ დღევანდელი საქმე არ გადაწყდებოდა.

ერესტომ უცვლელი დიმილით მოხედა მაგიდის ბოლოს მიმჯდარს და მერე ბლოკნოტი გაშალა.

— იყოს, ეგეც ხომ ესწრებოდა ზომებს.

ნიკო თვალმოუშორებლად და წარბეყარილი უცქეროდა უშფოთველად მქდარ ჩასაბერს.

— ერთი, გიყურებ, როდემდე გააბედნიერებ მაგ სკამს შენი უკანალით.

ჩასაბერმა ერესტოს ბლოკნოტიდან ფურცელი ამოაბევირა და ახლა ფანქარს დაუწყო ძებნა. იგი ისე დიდხანს და შეუჩერებლივ იჩხრეკდა ტანსაცმელზე ასხმულ ყველა ჯიბეს, რომ თავმჯდომარეს მოთმინება დაეღია.

— მაშასადამე, არ აპირებ წასვლას? ჩასაბერმა, რაკი ვერსად მიაგნო ფანქარს, ბუღალტერს იქით მქდარ ნასყიდას გაუწოდა ხელი, რომელსაც ვიშნასტურის ჯიბიდან მუდმივი კალმის თავი მოუჩანდა.

— შენ მაინც არა სწერ და რად გინდა.

— გახვალ თუ არა გარეთ? — ახლავი იქუხა ძია ნიკომ და წამოდგა.

ჩასაბერმა მიიხედ-მოიხედა და დაკშტულ სახეებს რომ წაწყდა, მხერა ერესტოსკენ გააპარა.

მიწითომწყობი რაღაცას ანგარიშობდა ქაღალდზე.

— თუ აუცილებელი არ არი ჩემი აქ ყოფნა, რა აუცილებელია ჩემი წასვლა?

— ხვალ მოგელაპარაკები საბჭოში, როგორ უნდა საწყობში შევარდნა და იქიდან ტანსაცმლის გატაცება.

— რად გავიწყდება, ძია ნიკო, რომ მე შექრიას მეძახიან და არა ჩარლტონს. ნასყიდა მოიღრუბლა და უფერულად უკმაყოფილოდ გადმობრუნებული ტუჩები კიდობნის პირივით გახსნა.

— ერთი ამ გაფუჭებულს უყურე?! — გაფუჭებული აღარა ვარ, ნასყიდა, „დავასვარაკებებინე“.

— კარგი, წადი შექრი. აქ უშენოდაც გავართმევთ თავს როგორმე, — უკვე მობეზრდა რევაზს უსაქმოდ ლაყბობა.

ჩასაბერმა ნაწყენი თვალი შეავლო ბრიგადირს და კარისკენ გაემართა.

— წავალ, თქვენ აქ მაინც არ გამახარებთ. მეც სულელი ვარ, რა. როდის იყო, წინათ ვერეოდი თქვენს მარაქაში, რომ ეხლა მოვიწოდებ?

უხერხულმა სიჩუმემ ერთ ხანს გასტანა. ნიკომ გახურულ კარს მხერა აარიდა და დაგრაგნილი თაბახის ფურცელი ეპისტოლესავით გაშალა.

— აბა, შევილო რევაზ, რა ბრალს მიგვიძღვის ხალხის და მთავრობის წინაშე?

თავმჯდომარის ხმაში ფარული მუქარა ისმოდა. წინწამოწყებული გაბარჯლული წარბები რაღაც უცნაურად დაკყურებდნენ ქვედა ტუჩზე დაშვებულ ხევსურულ წეკოსფერ უღვაშებს. ოდნავ მოკუტული თვალები ცივი მოლოდინით მიშტერებოდნენ ბრიგადირს.

რევაზმა მღუმარედ გადაფურცლა ბლოკნოტი, მცირე ხანს იყურა შიგ და მერე ერესტოს მიუბრუნდა.

— შეიძლება, მე რამდენიმე ან, ათეულ მეტრებში შევცდი, რადგან საშუალება არა მქონდა ზუსტად დამეზომა ნაკვეთები, მაგრამ ეს არა სცვლის საქმის ვითარებას. აი, საბადან დაეიწყეთ. მაგისი ორივე ნაკვეთი ძირისძირობამდის დაეზომეთ და...

— ეხლა რა ვახდა იგეთი ის ჩემი ნაკვეთი, რო თელავიდან კაცი აფრინეს დასაზომად. ის ერთი ეენახი მაქ და ის ცარიელა კიდევ ხარის ენასავით არი გაგრძელებული შამრელანთ გო-

დერძისა და ცალკურაანთ ვენახებშუა. იმას მე არც მახმარებენ, საურმესავეით არი ვამარავებული. — საბას აკანკალე-ბული მსხელი, თუჯისფერი თითები დაეწყო გრძელი მაგიდის კიდეზე და ჩაშავებულ ფრჩხილებს გაკვეთილის-თვის წამომდგარ მოსწავლესავეით უცა-ცუნებდა ლურჯ მელს. ბალღურად ნაწყენი თვალი მოამორა რევანს და ფანჯარაში გაიხედა შუბლშეკრულმა.

ბრიგადირს თითქოს არც გაეგოს ეს, დასაწყისისათვის საკმაოდ გრძელი რე-ბლიკა განაგრძო.

— ძირისძირობამდის სულ დავზო-მეთ და ორიათას ას სამოცი მეტრი გა-მოვიდა. მაშასადამე, ჰექტრის ოცდა-ერთ ნახევარი მეასედი.

— სწორია. შენ რამდენი გეწერა?

— სრული ოცდაორი.

— შერე ჰკლებია ამ კაცსა და რას ერჩი? — იღიმებოდა ერესტო.

— რჩლით მე არავის არ ვერჩი. რაკი ეფრემებზე წუხან, მინდა საბაე-ბიც დაინახონ.

ნიკო მიხედა, მეურმე სახრეს საითაც იქნედა. მაგიდაზე გადმოიხარა, თავი გვერდზე გააღირა და იქიდან ირიბად გამოხედა.

— მამ საბას სახლი არა ჰქონია და მტევანივით ყოფილა ვაზის რქაზე და-კიდებული იმ თავის ვენახში.

— მაგისი ეზო და ბოსტანი ხუთი მე-ასედიც არ გამოვა. ვენახი ცამეტა მე-ასედი აქვს. იმ საურმეზე ვერცა ხნავს და ვერცა თესავს. მამ რაღად ეთვლება ზომამში?

— ვინ დაუშალა, შეილო, ნუ მოხნავ და ნუ დათესავო?

— ვის უნდა დაეშალა? განა თითონ საბამ არ იცის, რომ ორი კომლი და-დის იმ მიწაზე? იქ რამ უნდა გაიხა-როს?

— შერე, ვისი ბრალია, შეილო, რად ატარებს იქით?

— გზა არა აქვთ სხვაგან იმ ვენახის პატრონებს და იმიტომ ატარებს. სხვა გზა მიეცი და აღარ გაივლიან.

— განა მე კი არ მინდა, რომ მიეცე, ამისთანა მუშაკაცი ბარემ ორიც არა მყავდა, კაცი კოლმეურნეობაში დაბერ-და და კოლმეურნეობაშივე ამოსძვრება სული, მაგრამ სადა აქვს ჰალისპირს ამდენი მიწები, რომ აბრამის ტაბლას-ვით არიგოს, შეილო?

— ბუღალტერს საიდანაც გამოუძე-ნე, იქიდანვე მიეცი საბას.

საბა დაბნეული ისმენდა და ჭერაც ვერ გაერკვია, გული რომელზე მოსვლოდა.

თედოს გვერდზე მჯდარი ბუღალტე-რი გაქვავებული სახით ჩაპყურებდა წინ დადებულ რეგულს და უბრალო შერხვევითაც არ გამოუხატავს თავისი დამოკიდებულება არც ამ „სასიამო-ნო“ თავშეყრისადმი და არც მისი მომ-წყობებისადმი. იქდა გაუნძრევლად და მხოლოდ მარჯვენა ხელის მოკლე და თანაბარი მოძრაობით ერთსა და იმავე სიგრძის, ერთსა და იმავე ხანს უსვამ-და ფანქრით რეგულის გაცრეცილ ყლა-ზე.

— წვერიკმაზანთ საბედას ოთხმოც-დათოთხმეტი მეტრი აქვს მეტი და, თუ აუცილებელია ჩამოჭრა, მაშინ სადაც თითონ საბედას უნდა, იქ ჩამოიჭრის ამ ზედმეტ მიწას. ეზოს გვერდზე მთუ-ლიანი ადგილი არ უნდა დაგვეზომა, მა-გრამ მე მაინც დავზომე, რომ ზოგიერთ დაინტერესებულ პირს არაფერი ეთქვა მიკერძებაზე. სამასთერამეტი მეტრი გო-მოვიდა. აქედან შეიძლება ოთხმოცდა-თოთხმეტი მეტრი მოცულობის ბარდი ჩამოვაჭრათ და დანარჩენი მასვე დაეუ-ტოვოთ თავსატეხად. ისე, რომ გამორი-ცხულია მისი ვენახის მწყრივების ვის-მესთვის მიცემა.

ერესტო ვებერთელა თავს თანხმო-ბის ნიშნად აცანცარებდა და არც ნი-კოს ამოუღია ამაზე ხმა.

— ეხლა მიყვეთ დანარჩენებს: საი-დან აღმოაჩნდათ ბალამწარაშვილ გიო-რგისა და ვასოს სამოცდახუთმეტ-სამო-ცდახუთმეტი მეასედი, როცა ორმოც-დაშვიდ წლამდე ზონარგაყრილ დაეთა-რში გიორგის ორმოცდასამი მეასედი

უწერია და ვასოს — ორმოცდათორმეტი?

ნიკოს მოშორებით მჯდარი გამტკანარებული ძმისწულუბისათვის არც შეუხელია, გადაიხარა უკან, სკამს ზურგით მიაწეა და ფანქრის ბოლოთი კეთა მოიქექა. მერე ნასყიდასკენ გაიწოდა მარჯვენა, წინადან საკომლო დაეთარი ააცალა.

— მე როგორც ვიცი, ესენი ცოტა გვიან შევიდნენ კოლმეურნეობაში. ვინც გვიან შევიდა, იმას სამოცდახუთმეტი მეასედის უფლება ჰქონდა, ეგრე მახსოვს.

— სხვებსაც ახსოვთ ეგა, მაგრამ ის არ ახსოვთ, რომ შესელისას მაგათ ამდენი მიწა ჰქონოდათ.

— უფლება არა აქვთ და ჩამოვაჭრათ, კაცო, აჰა ამას რა დიდი ტარქრული კოვზები უნდა... — დაეთარი დახურა და დამუშტული ხელები განგანზე დააწყო თავმჯდომარეობა.

— კარგი, მაგაზე ბოლოს ვილაპარაკებთ. თედო ნართიაშვილს, რაც სოფელმა იცის, იმის ვარდა ორი ნაკვეთი სხვა აღმოაჩნდა.

— რომელი ორი ნაკვეთი? — ყური ცქვიტა თედომ. სახეზე განურჩეველი გამომეტყველება გაუქრა და თვალეში უცნაურად მოკიაფე ნაბერწყლებიცი მივფერდლენ. — ის ერთი ნაკვეთი შემომჩენოდა და ისიც ჩემი ხელითვე ჩავაბარე კოლმეურნეობას.

რევაზი დაკვირვებით უცქეროდა მოპირდაპირე მხარეს ჩამომჯდარს. მერე თავი გაიქნია და გაახსენა.

— განა იმ ერთ ნაკვეთში ორპირი არ გადააბრუნე ნამყენის ჩასაყრელად? თედომ დამფრთხალი თვალი მოაულო იქ მყოფებს. ნიკოს უიმედოდ გადახედა და ერესტოს უთხრა.

— დამეიწყებია, გამომჩენია განცხადების დაწერისას.

რევაზმა ვერ გაიგო.

— გუშინწინ განცხადება მოიტანა: „შარავნის პირას, გამხმარ ალვის ხესთან რომ ნაკვეთი მაქვს, ის ზედმეტი

და უკანვე ვუბრუნებ კოლმეურნეობას.

— მერე გამახსენე, ნიკო, და მაგასაც ჩაუმატებ განცხადებაში. ორპირი გადაბრუნებულია, მიწა გაწმენდილია ქვებისა და ფესვებისაგან. ხელისგულივით არი მოსუფთავებული. ერთი კარგი კრუტინა დაიკიმება შიგა. შეიძლება ვინმე ახალმიღებულ წევრსაც გამოადგეს, აილოს და მოინმაროს.

რევაზი ისეთი თვალით უყურებდა ნართიაშვილს, რომ თედოს გულღვიძლში ყინული ჩაედგარა.

— რამდენი წელია, რაც შენ მაგ მიწებს ხნავ და თესავ. ზედ ისე იყავ გადაფარული, როგორც კრუზი საბუდარს. შარშანდღამდე ემდუროდი მარკოზას, როცა მისი ცხენი ღამე შიგ შევიდა და რაღაც ორიოდე კომბოსტოს წააცალა ფოთოლი. ეხლა რა ანგელოზი ჩაგიძერა მაგ სულში, რომელიც დღემდის ეშმაკებითა გქონდა საცხე?

— შენ გინებას თავი დაანებე და შენს საქმეს მიხედე. ჯერ არავის დაუყენებია მონამართლედა და მსაჯულად. შენი ტოლია, რომ მასხრად იგდებ?

ნიკომ იგრძნო, რომ მის ქედს, რაც უნდა მოხვედროდა, უკვე დაარტყეს და ახლა სცადა მომხდარი შთაბეჭდილება ამით შეერბილებინა.

თედო მოულოდნელ დამცველს მადლიერი თვალით უცქეროდა და ჩქარ ჩქარა ახამხამებდა მწითურ წამწამებს.

რევაზი მიუხვდა თავმჯდომარეს განწყობილებას, დამცინაფი ღიმილი გადაიკრა თხელ ტუჩებზე და ერთბაშად გაუტრუა იმედა.

— მოგვიწოდებენ, მივხედოთ საქმეს. ფრიალ სასიამოვნოა ჩემი მხრით და ვეცდები ამითი დაინტერესებულთაც ვასიამოვნო: ჭობელასა და მის რძალს ერთად ოთხმოცდათორმეტი მეასედი აქვთ თავისი სამართლიანი საზღვრებითა და მიწა-წყლითა. სამი წლის წინ კი სამოცდაერთი მეასედი ჰქონდათ. ეგ

რეა ჩაწერილი საკომლო დავთარში და ამას ნასყიდაც დამიდასტურებს.

ნასყიდამ რევანს თვალი აარიდა და ნიკოს გახედა შეფარვით.

ჭრუტა თვალეში მტკიცედ და ცივად უცქეროდნენ.

— სწორია თუ არა, ნასყიდ.

საბჭოს მესვეურმა გამლილი დავთარი გვერდზე გასწია და გაიფიქრა: „როდის მოასწრო გადაჩხრევა? რატომ ვერაფერი გავიგე? ეს სულ მდივნის ოინებია. უნდა მოვეშარო რამ და თავიდან მოვიშორო, თორემ კიდევ უარესს მიზამს“. მერე ბრივადირის დაძაბულ მხერას წააწყდა, გამოერკვა. უფრო მიხვდა, ვიდრე გაიგო, რასაც ეკითხებოდნენ და უგემურად ამოღეჭა.

— მართალია, სამი წლის წინ სამოცდაერთი უწერიათ.

— აბა, შვილო რევან, ერთი ისიც წაიკითხე, ეხლა რამდენ კომლად არი ჩაწერილი. ქვევრში ხომ არ იჯექ, სოფელში არ იყავ? გაიყარნენ, შვილო, და ეგ სამოცდაერთი ჰოპელას ეკუთვნის ეხლა. — და ნიკომ ერთხელ კიდევ შენიშნა გამჭირდავი ღიმილი ბრივადირის ტუჩებზე, რომელიც მის თავმოყვარობას ისევე სუსხავდა, როგორც ჰრილობას წაყრილი მარილი.

— ჯერ ერთი, საბჭოს არ უნდა დაეშვა გაყრა, რადგან მათი ჩხუბი და უკმაყოფილება სოფელში არავის გაუგია. რაც მიწა ჰქონდათ, ჰოპელა იმასაც ვერ უვლიდა. ისინი ეხლაც ერთად ცხოვრობენ, ერთ ჰერქვეშ და ფლობით კი იმდენ მიწას ფლობენ, რამდენსაც ერთად დაბალ დათია თავისი გაყრილი ბიჭით არა ფლობს. ხოლო თუ გაიყრებოდნენ, ის მიწა უნდა გაეყოთ, რა მიწაც ჰქონდათ გაყარამდე.

უხერხული ღუმელი დაეკიდა კაბინეტში.

თავმჯდომარე გულგრილად უცქეროდა ქალაღზე თავდახრილ მიწათმომწყობს და მხოლოდ მისი მარცხენა ხელი ამქვანებდა ოდნავ მღელვარებას, რომლითაც ძირს ჩამოფართხულ უღვა-

შებს იფოცხავდა, დარტყმა მოულოდნელი და გამიზნული იყო და სურდა თუ არ სურდა, უნდა აეტანა.

— შე კაი კაცო, ცოლ-ქმარი იყრებიან და, რა გასაკვირია, ცალყურაანთ მართასა და ჰოპელას გაყრა.

ეს იყო ყველაზე გრძელი ფრაზა, რომელიც თავის სიცოცხლეში ბულალტრისაგან მოისმინა რევანმა. გაკვირვებულმა ერთ ხანს უცქირა საღდაც, წარბ-წამწამს იქით გადაკარგულ უფერულ თვალეებს, რომელნიც ახლა კიდევ უფრო შეეცადნენ საღმე შორს გაქცევა-მიუყუვას და მერე ისევ ნიკოს გაუმართა მხერა. მიხვდა, რომ იმაზე ხმამალა ყვროდა, ვიდრე ეს ყურმახვილისთვის იყო გამიზნული და უცებ მოსკრა.

— კარგი, ამას ნულარ გამოვეკიდები. თუ რძალი გაყრილია მამამთილთან, მაშინ ყველამ იცის, რომ ახალ გაყრილს თუ წევრად მიღებულს, ოცდახუთი მესადედი ეკუთვნის. მართას ოცდათერთმეტი მესადედი აქვს, ზედმეტია ექვსი. ჩამოუჭრას ზედმეტი და ამითი გავათათ.

ის იყო ნიკომ თავისუფლად ამოსუნთქა და დანარჩენთაც გათავებული ეგონათ, რომ რევანმა ბლოკნოტი დახურა, ფანქარი მიადგო, თითები ერთმანეთში გაუყარა და ერთად შეკრული თავმჯდომარის მიბაძვით მაგიდაზე დადო.

— ეხლა თითონ თავმჯდომარემ აგვიხსნას: რად გამოვიდა მაგისი ნაკვეთი ორმოცდათექვსმეტ ნახევარი მესადედი?

— აი, ხათაბალა! მაგაზე მეტი მე არა მაქვს და მაშ რამდენი უნდა გამოსულიყო? — ნიკო დამცინავად იღიმებოდა, — შე დალოცვილო, შენ თითონვე წაიკითხე, აქა და ჰალისპირში უამრავი რიგითი კოლმეურნე იცი, რომ სამოცდახუთმეტს ფლობს. თავმჯდომარისა რად გიკვირს?

— ისიც ორმოცდათექვსმეტი.

რევანს ბულალტრის შენიშვნისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— გინდა ვითხრა, რად მიკვირს?

— აბა, თქვი, შვილო, წინათ არა მქონდა და ეხლა მივიზომე? აი, შენ ბრიგადირი ხარ და ორმოცდახუთმეტი გაქვს. მე, თავმჯდომარეს ერთი მეასედით მეტი მაინც არ უნდა მქონდეს?

უცბილო ხუმრობამ მხოლოდ ბალამწარაანთ ბიჭები გააღიმა უნდილად.

— გინდა ვითხრა, რად მიკვირს? — რევაზი თვალს არ აშორებდა თავმჯდომარის გადაპარსულ ვეება თავზე უკვე ამოსულ ქერის ნამკალივით მაგარ თმას.

— აბა, ამოშაქრე, შვილო.

ერესტო მოთმინებით აფრქვევდა ღიმილს გვერდზე მჯდომს და ვერ გაუგო, რას უჩიოდა წიწილა კრუხს.

— მე კარგად ვიცი, რომ რაც კოლმეურნეობა დაარსდა, მას აქვთ შენ გეკუთვნის ეგ მიწები.

— აბა, მაშ რა გინდა, შვილო, რას მედავები, რას მიჩხიკინებ, რა დაგარბინებს იმ თელავში, რა მიგაქვს, რა მოგაქვს. რატომ არ ისვენებ? თუ ავად ხარ, შვილო, თქვი და აგე, მანქანა მზად არი, თუ გინდა დღესვე თბილისში ჩაგიყვან, რომელ პროფესორთანაც შენ იტყვი. თუ არა და რას გადამეკიდე, შვილო. რა მმართებს შენი, რას მიჩივი? ჯარიდან ჩამოხვედი და მაშინვე შენს ხელობაზე დაგაყენე, მერე ბრიგადირადაც გაგიშვი, შვილივით გივლიდი და გიყურებდი. ეხლა რა ჩემი ღმერთი გაგიწყრა, რომ არ მასვენებ? ობოლო ვისა სცემო და — ვინც გამზარდაო. თავმჯდომარეობა გინდა? ცოტა ადრე ხო არ არი შენთვის? ეს ქვეყანა ეგრეა

მოწყობილი, რომ ძველები მიდიან და ახლები მოდიან. დაიცადე, ცოტა ხანს, იმუშავე პატიოსნად, დაიმსახურე და მერე აქ არა ვართ? ხალხი თითონ მოგიტოვებს ხელმძღვანელად.. ინტრიგანი და ქვეყნის ამრევდამრევი ვის უნდა?

— მე კარგად ვიცი, რომ რაც კოლმეურნეობა დაარსდა, შენ გეკუთვნის ეგ მიწები.

— თუ გეკუთვნის, რალა გინდა, შვილო, რას გადამკიდებხარ, რატომ არ დადგები? გინდა, მაინცაღამაინც იმ ერთი ბრიყვი ქათამივით შენი დასაკლავი დანა შენვე გამოსჩხრიკო? რევაზ, ფრთხილად მეთქი, შენ ჯერ მოზვერი ხარ, ხართან ვერ გასწევ!

— მე კარგად ვიცი, რომ, რაც კოლმეურნეობა დაარსდა, შენ გეკუთვნის ეგ მიწები.

— გივია, თუ ქვეიანია, ვერ გამიგია. თუ მე გეუკუთვნის, მაშ რალას გადამკიდებხარ, კაცო, რა გინდა, შვილო? ღმერთი არ გაწვალებს და შენ რათა წვალობ? გახსოვს, ვირმა რო პალო მოგლიჯა, ერთი სხვასა ჰკრა და რვა თითონ იკრა.

— აბა, დააცადე, ნიკო, რის თქმა უნდა. გაუშვი, დამთავროს, — თავმჯდომარის ხელში მოუსვენრად მოტრიალე მარმარილოს მძიმე საშრობს უღიმოდა ერესტო.

საშრობმა ტრიალს უკლო, მერე ერთ ადგილას გაჩერდა მინახე, მაღლიდან მსხვილი ხელი გადაიფარა და გაინახა.

— არავინ უშლის, თუ რამის თქმა უნდა, თქვას, ნუ იცოხნება ერთსა და იმავეს ბებერი ცხვარივით.

(გაგრძელება იქნება)

ქრისტე ნაღრიძე

„შენ ხარ ვენახი“


ვეძებდი მუდამ და ვერსად ვნახე,
ჩემი სიციცხლეც ტენაში კრება.
მაგრამ რის ვისმენ „შენ ხარ ვენახი“ —
ჩემს წინ ნანატრი ჩვენება ჩნდება.

ბუნდოვანია ნაკვთები მისი;
იგი ბურუსში ციმციმებს თითქოს,
მაგრამ სახება უზენაესი
იკრებს გალობის ხვერტებს და სიბნოს.

რა არის იგი? რამ შეაერთა
საგალობლის და ჩვენის არსი?
ნუთუ ის ჩვენში ყრმობიდან ღღერდა
და ჩემი სულის ის იყო გარსი?

მე არ მიხილავს ის ხორცშესხმული,
როგორც ტრფიალი მშვენიებისადმი...
„შენ ხარ ვენახი“ მტყუნებასხმული,
ლოცვად ასხმული მიწიდან ცამდე!

ასე მღეროდა ჩემი არსება,
ასე გალობდა ეს სიუცარული.
„შენ ხარ ვენახი“, შენი მსგავსება
ცაში და სულში ერთად დარგული!



პიონერული ზღაპრები

ფანტარა მესამე სართულზე

ამ მოთხრობას ვუძღვნი პრაქტიკულ ვარჯიშს დიდუფას.

ტანმორჩილი, გამხდარი, ფერმკრთალი კაცი ყოველ დღეს ნელი ნაბიჯით მიეშურებოდა ნევის პრესპექტივით. მისი ტანსაცმელი სიახლით არ მოგჭრიდათ თვალს. შავი პიჯაკი და შავი პალსტუხი ნაღვლიანი ადამიანის იერს აძლევდა. ყოველთვის დაბლა იქცირებოდა, თითქოს არავის დანახვა არა სურსო. თუ მიესალმებოდნენ, ისე გაიხედავდა, თითქოს გაეღვიძაო:

— აჰა, სალაში! — მიუგებდა გულთბილად, ღიმილით შეხედავდა, ხელსაც ჩამოართმევდა და სიყვარულით მოიკითხავდა.

მკრძნობიერი ადამიანი იყო. შუღამ მღელვარედ და განცდილ ლაპარაკობდა.

ორმოც წელს შიშველ კაცს ბევრი რამ გადაეტანა მწარე და მძიმე, ხანდახან მარცხი და, როგორც იმედგამტყუნებელი ადამიანი, არარად ჩასთვლიდა კაცთა ცხოვრებას, მეცნიერი რომ არ ყოფილიყო.

წინა წლის შემოდგომაზე თბილისიდან ლენინგრადში ჩავიდა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არქივებში ქვეყნის წარსულზე მასალებს ეძიებდა. კარგად იცოდა თავისი ერის ბედი. როდესაც გრილ სარდაფებში თავჩაღუნული იქნა და თვითონაც ისე ფიქრდებოდა, როგორც ეამგადასული ფურცლები იყო გაყვითლებული, მთლად ავიწყდებოდა ის დრო, რომელშიც ცხოვრობდა. ეგონა იმ ხანაში სურთქავდა, რა დროის ამბებსაც კითხულობდა. რას არ წააწყდა ძველთაგან შემონახულ ხელნაწერებში!.. თვალზე

ტრემლორეული კითხულობდა თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერებს. აკვირებდა სტრიქონები: „ეს ხალხი რომ მეფეთა ზედა სწერს, რატომ მეფეთ ერთი რამ არ დასწერეს ხალხზედ. ეს თუ ერთი შემოცოდე არის, მხოლოდ რისთვის მრავალნი მას ერთსა ზედა არ დაესხვიან?“. დიდხანს კითხულობდა ექვთიმე ათონელის ბერძნულით თარგმნილ სამართლის წიგნს, დაკარგული რომ ეგონათ, აფიქრებდა მინაწერი: „ნაწერი დაშთა, ხოლო მწერალი მიწა იქმნა!..“.

საღამოობით შინ ბრუნდებოდა გონებადამძიმებული, გზად უსათუოდ შევილიდა რუმინანცევის ბაღში. ჩამოვდებოდა მწვანედ შეღებილ გრძელ სკამზე, უსათუოდ იმ ადგილზე, სადაც ბავშვები თამაშობდნენ. დაჯდებოდა და ღიმილით შესცქეროდა პატარებს, რომელნიც მხიარული ხმებით ავსებდნენ ბაღს. მაგრამ მისი ღიმილი სინანულს ჰგავდა... არ ჰყავდა ცოლი, არ ჰყავდა შვილი და მტკივნეული იყო მისი ღიმილი...

ყოველდღე მოდიოდა აქ...

თუკი ფოლიანტებში თავჩარგული ხალხის წარსულს ხედავდა, აქ, ბავშვების ცქერით, მომავალში იხედებოდა. ფიქრს მიცემული ჯიბიდან სათუთუნეს ამოიღებდა, გადახსნიდა. სურნელებით მოხიბლული სამი მთრთოლვარე თიხით ოქროსფერ თამბაქოს ამოიღებდა და სიფრიფანა ქალღალში სდებდა. მარჯვენა ხელის სალოკი თითით დიდის მზრუნველობით ასწორებდა ამოწვერილ ბეწვებს, მერე ვრებდა და კარგა ხანს ახევედა, ვიდრე არ დაამზადებდა კონ-

ტად მოყვანილ სიგარეტს. როდესაც ასანთს მოუტილებდა და კვამლს ჩაისუნთქავდა, თავს ისე გრძნობდა, როგორც ღირსეულად დაჯილდოებული ასეთი დიდი გარჯისათვის. უყვარდა თამბაქო, დარდის გამჭარვებელიაო, ფიქრის ხელისშემწყობიო, ამბობდა ის.

ბალის ახლოს გახსნილ ფარდულიდან დაინახავდა თუ არა მას მოხუცი მეპაპიროსე, მაშინვე მიიპატიებდა:

— ვახტანგ დარისპანოვიჩი, თქვენებური თამბაქო მივიღე, მობრძანდით, იყიდეთ, სანამ არ გათავებულა!..

მეპაპიროსე ისეთი შთაგონებით ეუბნებოდა, თითქოს სიცოცხლის გახანგრძლივების ელექსირის შეძენას ურჩევდა.

ვახტანგს ისედაც ძალზე ბევრი თამბაქო ჰქონდა. საწერი მაგიდის ყოველ უკრაში, წიგნების თაროებზე, ფახჩრების რაფებზე, ყველგან ეყარა თამბაქოს პატარაპატარა შეყვრები, მოიტანდა და დაჰყრიდა, მოხუცს ხათრს ვერ უტეხდა და უანგარიშოდ ყიდულობდა.

და დიდხანს იჭდა ხოლმე იგი, მსუბუქ კვამლში გახვეული. თამაშობდნენ ბავშვები, სეირნობდნენ ახალგაზრდები, ფუსფუსებდნენ მოხუცები თავიანთ პატარა შვილიშვილებში, შორიახლოდან კი განუწყვეტლევ მოისმოდა მუსიკის მზიარული მელოდები.

* * *

ერთ კვირა საღამოს დიდხანს შერჩა ბაღს. ფიქრებს გაეტაცნა და ვერ ხვდებოდა, რომელი საათი იყო. თანაც ნათელ დღესავით თრთოდა თეთრი ღამე. ხეთა ფოთლებში მკრთალი ბურუსი ციმციმებდა, ცაზე კი უცნაური ქარავნები იხატებოდა. ბავშვები კარგა ხნის წასული იყვნენ. აღარავინ ჩანდა. დაცარიელებულიყო სკამები. აღარ ისმოდა ჩიტების ხმა. მხოლოდ ვახტანგი იჭდა განმარტოებით, თითქოს ობოლი ბავშვი ყოფილიყო, რომელსაც არც დედა ელის, არც მამა, არც ნათესავი და ზის მარტო ვეებერთელა ცის ქვეშ, უზარმაზარ დედამიწაზე სევდამორეული და ნაღვლიანი...

რაზე ნაღვლობდა? რა დარდი აწუხებდა?... იმ წუთში თვითონაც ვერ მიხვდაროყო. გაურკვეველად გრძნობდა და ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა... მშობლიური კუთხე?... სიყმაწვილიდან თან შეზრდილი სიყვარული? შორს დატოვებული ვინმე ასული, თუ სინანული გაფრენილ წლებზე?..

მოულოდნელად სასიამოვნო ბგერებმა შეარხიეს პაერი. ხმადაბლა ისმოდა ტკბილი სიმღერა. მოპირდაპირე შენობის მესამე სართულის ერთ ფანჯარაზე შავი ფარდა გადაიხსნა და გამოჩნდა ქალიშვილის ცქრიალა სახე... ის ფანჯრის რაფას იდაყვებით დაეყრდნო, ნიკაპი ხელებს დააბჯინა და სმენად გადაიქცა:

„О, взгляни в оконце,
Дай взглянуть мне на тебя“...

ვახტანგი ისედაც სდუმდა, სიმღერის გაგონებაზე მთლად გაინაბა. სუნთქვა შეეკრა. ისეთი ტკბილი იყო სიმღერა, როგორც მხოლოდ პირველ სიყვარულთან ერთად იბადება და პირველ სიყვარულთანვე იწვის და ქრება. თანდათან მინელდა ხალისიანად ამეტყველებული ბგერები, თანდათან მისწყდა და გაქრა, თითქოს ეს ხმები ბუნქებსა და ყვავილებში მარგალიტებივით მიმოიფანტნენო.

ფანჯარაც დაიხურა.

კარგა ხანს მოჯადოებული იჭდა ვახტანგი, იმავე ბგერებში გახვეული. ის ოცნებით თბილისში გაჩნდა. ერთი ქუჩა ვერაზე — ვარდისუბნის პატარა ქუჩა, აიარ-ჩაიარა, ისე როგორც წინათ აუვლია ხოლმე. აივლიდა და იხედებოდა მარჯვნივ, მეორე სართულის ფანჯრებისაკენ. იყო თუ არა ქეთევანი ფანჯარასთან მომდგარი? იცინოდნენ თუ არა მისი შავი თვალები?... შრიალებდა თუ არა ჩამოშლილი გიშრისფერი თმა?... არა?... მაშინ ზემოდან ჩამოვილიდა და ახლა მარცხნივ გაიხედავდა. იქნებ უკვე გადმოდგა ფანჯარაზე და ცქრიალებენ მისი თვალები, შრიალეებს მისი თმა?... არა, არ გადმომდგარა! მაშ ივლის ასე ზევით და ქვევით, ვიღრე ქე-

თევანი არ გადმოიხედავს და გულს საგულეში არ ჩაუგდებს.

ვახტანგმა ვარდისუბნის ქუჩა ოცნებით რამდენჯერმე აიარა-ჩაიარა. კიდევ დიდხანს ივლიდა ასე ოცნებითვე, რომ არ წარმოედგინა:

— გამოჩნდა... გამოიხედა... ვახტანგმა შესცინა... ქეთევანმა გაუღიმა... მშვიდობით... მშვიდობით!.. უკანასკნელი იყო ეს გადმოხედვა, ეს ღიმილიც... მას შემდეგ აღარ უნახავს... ქეთევანი სხვამ ითხოვა... ვიდრე ვახტანგი შორით შესტრფოდა, ვიღაც უდიერმა და უტიფარმა ქეთევანი გაიტაცა. მწარე ბედი ეწია მას... მსახვრალ ხელში დაიღუპა. სინანულის მწარე გრძნობა ჯერაც არ ჩაუკლავს. ათი წელი გავიდა მას შემდეგ და ისევ ერთგულია პირველი სიყვარულისა... მას შემდეგ აღარავინ არ მიჰკარებია მის გულს... სიმღერამ ძველი ჭრილობა გაუხსნა და ტკივილი იგრძნო... ნამდვილი ტკივილი... ისევ ჩავსმის:

„О, выгляни в оконце“...

წამოდგა და ნელი ნაბიჯით გაჰყვა ხეივანს. მიდიოდა და აქეთ-იქით იხედებოდა. ეძებდა. უნდოდა ენახა, თუ ვინ მღეროდა. შეეხედა და გაეღიმა. არაფერს ეტყოდა. გულს არ აუტრუებდა. დაე, ჰყვარებოდა. იმ წუთას ხომ ბედნიერი იყო?... ვანა ეს საკმარისი არ არის? აბა, მაშ მთელ საუკუნეს ხომ არ გასტანს ბედნიერება?!

აგერ შორს, ხეივნის ბოლოს, ნეკერჩხლისა და არყის ტოტების გატრეცილ ჩრდილში ვაჟი შეეგება ქალს. მათი ლანდები გაერთიანდა. ერთად გაიარეს. — დაე, წავიდნენ, იარონ ერთად სიყვარულის გზით! — გაიფიქრა ვახტანგმა და თვითონაც წავიდა. ყურებში კვლავ უწყრიალებდა საამური ხმა:

„О, выгляни в оконце“...

თეთრი ღამის სინათლე ცახცახებს ხეივნებში. ირგვლივ სინათლეა... განუწყვეტელი დღე... თითქოს გამქრალა ღამე, თითქოს არასოდეს არ არსებობდა იგი, არ არსებობდა სიბნელე, არც წყვდიადი და არის ქვეყნად მხოლოდ სი-

ნათლე და სიხარული. საიდანღაც მუსიკის მზიარული აკორდებიც მთვლამოდ... ესეც უნათებდა გზას... ~~სინათლე~~

გასცქერის ნევას... ნაცრისფერი ცა მოქარგულია მოოქვრილი გუმბათებით და ყვითლად მოციმციმე წვეტებით. პაეროვანი ღრუბლები ბუმბულივით მსუბუქად გაჰყვრიან ცას. თეთრკალთებგაშლილი მდინარე ნელა მიღვლავს. უღვევლ წრეებად ისახება მისი ზვირთები. ზვირთები ქრება, იშლება და ისევ ისახება. ყველაფერი გადათეთრებულია — ქუჩები, ხიდები, სასახლეები, ძეგლები.

მიაბიჯებს ვახტანგი თეთრ ღამეში მარტოდ მარტო და თავის თავს ესაუბრება:

„მიყვარხარ, პეტრეს დიდო ქმნილებავ“...

თვალგახელილად სძინავთ პროსპექტებს, სძინავთ მოედნებს.

ყოველთვის თავჩაღუნულს ახლა მაღლა აღუმართავს სახე და შესცქერის: — აგერ დიდების ეტლი!.. აბოლონის ეტლი!.. მოჰქრიათ ფაფარაყრილი ცხენები და სადაცაა შენობებიდან ქვაფენილებზე გადმოფრინდებიან!..

მარსის მოედანი... საფლაკები, საფლაკები და ძეგლები... ირგვლივ კი იები და ოქროლილები.

„დიდება ვმირებს, ვინც ხალხისთვის დაიღუპნენ!“.

„დიდება ადამიანებს, ვინც შექმნეს ეს სახსოვარი!“.. — ჩურჩულებს თავისთვის.

დიღამდე ვივლი, — ამბობს გულში, მაგრამ რა იცის სად გათავდება ღამე და სად დაიწყება დილა?!..

თეთრი ღამე თეთრად ქრება, სმოლნის გუმბათების უკან კი წითლად იბადება მზე.

• • •

შემოდგომა დაიწყო. ცვივოდა ბურბულშელასავით მსუბუქი და სიფრიფანა ფოთლები. პატარა ნიავეც ერეოდა გამხმარ ფოთლებს. ხან ქვაფენილებს მია-

ყრიდა, ხან მალა იტაცებდა, აფრენდა და აწიოკებდა, ვიდრე ნევაშდე არ მიხვეტავდა და წყალს არ გაატანდა.

ვახტანგმა რუმინანცევის ბაღს გვერდით ჩაუარა. ბაღში არავინ იყო. სადღა იყენენ ბავშვები? თამაშისათვის ვისლა ეცალა? ზარბაზნების გუგუნის ქექა-ქუხილივით ისმოდა და ზარავდა ხალხს. ალყაშემორტყმული ქალაქი მიმკვდარებულყოფი და უძრავად გაშოტილიყო. ადარც მოხუცი მეპაპიროსე იყო ფარდულში, თვალს რომ ჩაუკრავდა და შესთავაზებდა, თქვენებური თამბაქო მივიღე, იყიდეთო!..

ძლივს მიახვივებდა. უღონოდაა. დღეს ბევრი იმუშავა. თვალეები აუჭრელეს გადაქერკლილმა სტრიქონებმა. თანაც რამდენი ხანია ხეირიანად არ უჭამია პური და წყალში ნაღული ფქვილი. ფქვილი კი არა, ქაბო. არც ქაბო, ნახერხი, ხის ქერქის ნახერხი, თორემ რამე გემო ხომ უნდა ჰქონოდა?..

პატარა ხანს ბაღის ახლო გაჩერდა. სქენად გადაიქცა. გაიხსენა ბედნიერი დღეები. თეთრი ღამე, როდესაც შემოგნა: „О, выгяни в оконце“... ის, ვილაც შეყვარებული, ისევ შოვა და კვლავ იმღერებს. შესცქერის შენობებს და ამჩნევს, რომ ყველა ფანჯარა ჩამობნელებულია.

პაერში ზუზუნი გაისმა. ზუზუნი სტვენად გადაიქცა და ვახტანგს თავზე გადაუარა. კარგა შორს დაეცა რალაც შემზარავი და თავზარდამცემი... პაერში ქვაფენილის სველი მასა იტაცა და პაერშივე გაჰფანტა. მიწა შეანჯღრია, პაერი შეარყია...

გაქცევა უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს. უღონოდაა... „მოსახდენი მოხდეს!“ — გაიღიქრა და ხელი ჩაიქნია. კიდევ გაისმა ზუზუნი, სტვენა, აფეთქებისა და ნგრევის ხმა, ვახტანგი კი დგას გაუნძრავლად და შესცქერის მალა ატყორცნილ მიწისა და ქვების მასას, თითქოს ეს არაფერი იყო... მოსახდენი მოხდეს!.. მერე რა? დილასაც ისროდნენ, როდესაც არქივეში მიდიოდა. არც მამინ მოხვდა... „რატომ არ მხვდება?.. ისე ახ-

ლოს რატომ არ სკდება, შეც მომხვდეს მისი ნასხლეტი და ყველაფერი გათქვდეს — სიყვარულიც... მთავრებისეც, წარსულიც და აწყოც... ისროლეთ! ისროლეთ! თეთრი ღამე წყვედილით შეცვალეთ!“ — ჩურჩულებს და დგას. ადგილიდან არ იძვრის. ასე ეუბნება გული, არ გაინძრეთ. ხელი ჩაიქნია, მაგრამ გულს ხომ მაინც სიცოცხლე უნდა?!

„ახლა კი წავალ!“ — ჩაილაპარაკა და ძლივს აითრია ფეხი. მიდიოდა მერყევი ნაბიჯით, თითქოს ახლად ფეხადგმული ბავშვი ყოფილიყო და სიარულს სწავლობსო. მიდიოდა ნელა, ბარბაცით.

„აღარ მოვალ, აღარ... წავალ და დავწვივები!.. მივწვივები და მოვისვენებ!“

დიდი დრო მონადლობა შინ მისვლას. ძლივს ავიდა მეორე სართულზე. ვაი-ვაგლახით ვალო კარი. შეიღო და შევიდა. ზურგს უკან კარი მიიხურა. გასაღებით არ დაუკეტავს. რა საჭიროა დაკეტვა. ვის რად უნდა ეს სავარძლები, სერვანტები, ჭაღები, თუნდაც პიანინო და ხალიჩები. ეს ყველაფერი ერთ გირვანქა პურად, ერთ გაძლომადაც არა ღირს!..

საწოლთან მივიდა და პირაღმა წამოწვა.

თამბაქო... აი, ერთადერთი ბედნიერება, რომელიც შემთხვევით შემორჩა. წამოჯდა და საქმეს შეუდგა. სიგარეტებს ახვევდა. ბევრი სიგარეტი დააშხადა. ასი... ას ოცი... დიდხანს ეყოფა... იქნებ მეტიც აღარ დასჭირდეს. წამოწვება და მოსწვევს. კარგი მიგნებაა!.. რა დიდებული თვისება აქვს თამბაქოს. ვერ ერთი, გაგაბრუებს და ყველაფერს დაგავიწყებს, მეორეც, ჭამის მადას დავიკარგავს. ეს ხომ მთლად მისწრებაა?!.. მაინც არა აქვს საკმეელი და დღე, ნურც მადა ექნება! ისიც შეუწყვიტლოვ სწევს. როცა პაპიროსი ეღვევა, მაშინვე მეორე ღერს მიაშველებს, რომ მოწიული არ ჩაუქრეს, მოუკიდებს და განაგრძობს წევას. ასანთიც არ იშოვება. ვაი-თუ ნამწვი ჩაუქრეს და დარჩეს ხახამშრალი, მერე რალა ჰქნას?

ხვალ დილას წავა და მიიღებს თავის

ულუფას — ასოციაბუთ გრამ პურს. ეს პური ისე უნდა გაანაწილოს, რომ მთელ დღეს ეყოს. იცის, როგორც უნდა მოიქცეს. დღეს ხომ იმყოფინა. ხვალაც ასე მოიქცევა. მიუჭდება მაგიდას, წინ დაიდებს თავის ულუფა პურს და ჭერ ცქერით გაძლება, მერე ერთ ნაპირს მოაპირის. ცოტა ხნის შემდეგ მეორე ნაპირს. თუ ნამცეცხბი დასცივია, აპკრფეს და ჭერ იმას შეეჭყევა. მერე თუთუნს მოსწევს და რამდენიმე საათს ასე გაიყვანს. არქივში აღარ წავა... ძალღონე ეხარჯება, სწორედ იმდენი ძალა ეკარგება, მისი ულუფა რომ დასჭირდება აღსადგენად, შეიძლება მეტიც. ესეც ეკონომიაა. თითქოს ორმაგი ულუფა მიეღოს... ისედაც საშინელებაა ქუჩაში გაეღა. უსიამოვნო სურათებს ხედავს. ეცემიან და ველარ დგებიან. მერე მარხილებით მიაქვთ...

კარგია, თამბაქო!.. გაბრუებს და ძილსაც გვერის... და ისიც განუწყვეტლივ სწევს. თამბაქო ხომ ბევრი აქვს, დაენანება თუ?.. სწევს... კვამლის ნისლში იძირება. თანაც სთვლემს, ისე, მჭდომარე, მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი. დაწოლისა ეშინია... „ვაი-თუ ველარ ავდგეო!“

მაგრამ შუალამე გადიოდა და ჯანი წოლას მოითხოვდა. ისიც ბარბაკით მიდიოდა საწოლთან და წვეებოდა.

ასე ილეოდა დეკემბერი ცივი და თოვლიან-ყინულიანი.

* * *

უნივერსიტეტის რექტორი თავის კაბინეტში დაღერმილი იჯდა. მის გრძელ მაგიდას კოლეგები. შემოხდომოდნენ თითო-ოროლა სიტყვას თუ ეტყოდნენ ერთმანეთს, თორემ ჭაერისაგან ყველანი სდუმდნენ.

— რამდენი ხანია ვერ ვხედავ ვახატნგ ღონაძეს, როგორ არის ნეტა? კოლეგები დუმილით მიაცქერდნენ. ჩანდა არც მათ ენახათ.

— ერთი ქართველი კაცი გვყავს, ბლოკადამ ისიც ჩვენს დღეში ჩაავდო.

უთქმელი კაცია. ამ უბედურ დღეებში არ შემოგვავადეს!.. — გულჯაფრთხად წარმოთქვა რექტორმა. *მანუარა მასამი*

ხმას არავინ იღებდა, ჩუმად ისხდნენ, რადგან შევლა არ შეეძლოთ. თვითონაც იმავე განსაცდელში იყვნენ.

რექტორმა ყურმილი აიღო და საღღაც დარეკა. კარგა ხანს რაღაცას სთხოვდა. სახეზე ეტყობოდა, უარს ეუბნებოდნენ, მაგრამ ის მაინც არ სთმობდა:

— ჩვენ შეგვიძლია გადავარჩინოთ!..

— რომ დაიღუპოს ჩვენი სირცხვილი იქნება!..

— მართალია, სხვებიც იხოცებიან, მაგრამ ეს ერთია ასეთი და ეს ერთი უნდა გადავარჩინოთ!..

— ჩვენი ბრალი არ იქნება? საერთო მდგომარეობაა?.. ჩემის აზრით, სწორედ რომ ჩვენი ბრალი იქნება!..

— უნდა დამეთანხმოთ. უსათუოდ... დღეიდან თუ არა, ხვალიდან მაინც!..

— თქვენ ამოიოხრეთ. ვიცი. ყველაფერი მისხლობით არის გამოზომილი. მაგრამ მაინც... 'განა ვერ ვხედები?!' თქვენს ამოიხერას ადამიანური ჭული ამოაყვავა... უნივერსიტეტის სახელით ვთხოვთ... დიას, ვოზნესენსკი.

— გმადლობთ. აღარ შეგაწუხებთ. ჩაიწერეთ გვარი და სახელი. დიას, ჩვენ გავგზავნით.

რექტორმა ყურმილი დადო და თითქოს მძიმე ტვირთი მოიშორაო, ღრმად ამოისუნთქა, მერე ძალმიხდილი ორივე მკლავით ჩაგიდას დაეყარნო.

* * *

სადამო იყო. ქალაქს მძიმე ნისლი დასწოლოდა. ბნელოდა... არ ჩანდა ცა, არ ჩანდა მიწა. შავ, ვეებერთელა ჩრდილებად იდგნენ შენობები. მხოლოდ თოვლი ანათებდა გზას. მხოლოდ თოვლის

სითეთრეს შეეძლო კაცისათვის გზა გაეკვლია.

ვახტანგს ძილში ჩაესმა კარზე კაკუნის ხმა. დაძახილიც შემოესმა, ისე, თითქოს ათასი კილომეტრის სიშორიდან მოსძახიანო.

გაეღვიძა.

„ნეტავი ვინ არის?“ — გაიფიქრა და საწოლში წამოჭდა. გაუკვირდა, ვინ მოაკითხა? ვის გაახსენდა?.. წამოდგა და სიბნელეში ხელების ფათურით სიგარეტი მოძებნა. ასანთის კოლოფიც იპოვა. ფრთხილად გახსნა და ერთი ღერი ამოიღო, ეშინოდა, მეორე ღერი არ გადმოვარდნილიყო. სულ ორად ორი ღერი ჰქონდა. ერთს ახლა აანთებდა, მეორეს დილაზე.

სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა და სიამოვნებით ჩაისუნთქა ლურჯი კვამლი, ჩაისუნთქა და რამდენჯერმე ყრუდ ჩაახველა.

ისევ გაისმა კაკუნის.

„გააღოს თუ არა?..“ — ყოყმანობდა. ვის რა უნდა მისგან. არავის ელის. არაფერს ელის. არავინ ჰყავს აქ ახლობელი. მარტოდ მარტოა ყველასაგან მივიწყებული...

„აჰა! — მიხვდა ვახტანგი, — ალბათ მამოწმებენ, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი?!..“

„ცოცხალი ვარ, ცოცხალი!.. — სიცოცხლის ხმამ ამოსძახა გულიდან და მხნედ იგრძნო თავი. კარისკენ გაემართა. კარი გააღო თუ არა, მაშინვე შემოესმა სიტყვა, რომელიც ძლიერ უყვარდა.

— ცოცხალი ხართ?..

— ცოცხალი!..

ვახტანგმა სიბნელეში გაარჩია ქალის სილუეტი, რომელსაც მხარზე ჩანთა ეკიდა.

„ფოსტალიონი?.. ვისგან რა არის?..“ — გაიფიქრა ვახტანგმა და ქალს ხელი გაუშვირა.

ფოსტალიონმა ღია ბარათი მიაწოდა და უთხრა:

— წაიკითხეთ და ხვალე უნივერსიტეტში გამოცხადდით. თავს გაუფრთხილდით! — დაარიგა კიდეც.

მოკიდებული სიგარეტი ბარათისკენ მიმართა, მაგრამ მოქანა, როგორ ვუცნაურდებინა და წაეკითხა რა გწერთ? მხტვლად თავის გვარს შეავლო თვალი... სხვა ვერაფერი გაარჩია. დილაზე უნდა მოითმინოს. სხვა გზა არ არის. ასანთის იმ ერთადერთ ღერს ამისათვის ვერ გამოეტება, დილაზე რილათი აანთოს სიგარეტი?..

დაწვა. დიღხანს ეწვავა, ვიდრე ჩაეძინებოდა... უცნაური სანახაობები ეხატებოდა მილულულ თვალეში.

გათენდა. რამდენადაც შეეძლო ჩქარა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ფარდები გადასწია. უწყებას დაამტერდა: გამოცხადდით უნივერსიტეტში, თან იქონიეთ პურის ბარათი და პასპორტი.

რა საქმე ჰქონდათ?.. ნუ თუ ვინმეს ახსოვდა ის?!..

ერთი საათის შემდეგ მოკრძალებით შეალო რექტორის კაბინეტის კარი.

გრძელ მაგიდას შემოსხდომოდნენ დაღვრემილი ადამიანები, ცხვირჩამოშვებულნი, ყბებჩაკეცივულნი, გაუპარსაენი. ისე გამოიყურებიან, თითქოს მგლოვიარენი ყოფილიყვნენ და ეს-ეს არის სისაფლაოდან დაბრუნდნენო, სადაც ძვირფასი ადამიანი მიაბარეს ამიწას.

მაგიდის თავში რექტორი იჯდა. ის წამოდგა და თვალეებთან ხელეები მოიკალა.

— დონაძე? — შეეკითხა.

— დონაძე. — მიუჯო.

— თავს როგორა გრძნობთ, მეგობარო? — შეეკითხა გულთბილად.

ვახტანგმა არ იცოდა. რა ეთქვაროგორ გრძნობდა თავს? ცხადია ცუდად, მაგრამ ანის თქმა არ უნდოდა. პასუხი შეაყოვნა. ისევ რექტორმა განაგრძო:

— თქვენ სტაციონარში იგზავნებით. გამოკეთდებით და... — აზრი არ დაამთავრა. გასაგები იყო... ქალაქი გაუწოდა. ვახტანგმა გამოართვა ქალაქის ფურცელი და გამობრუნება დააპირა, მაგრამ თავბრუ დაეხვა. ადგილიდან არ დაძრულა.

იგრძნო, რომ იმ ქალაქით სიცოცხ-

ლე მისცეს, რომელიც იმ დღეებში უნდა შეწყვეტილიყო. მაგრამ ვახტანგს თავბრუ ამ ქალაქში არ დაახვია, არა. იმ თბილმა სიტყვამ დაახვია თავბრუ, რომელიც კარგა ხანია არავისგან აღარ გვეყო.

— ფეხით წასვლა შეგიძლიათ? — ღვლე შეეკითხა რექტორი ვახტანგს.

— შემიძლია! — ძლივს ამოიღო ხმა. ვახტანგი წელი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

• • •

ნაცრისფერი გადაკეროდა სივრცეს, მაგრამ ქუჩებში სქლად დაფენილი თოვლის სითეთრე ანათებდა გზას. თოვლი თვალებს უქრებდა და აბრუებდა ვახტანგს. ის კი ფრთხილად მიაბიჯებდა. მის ფეხქვეშ თოვლი გამაღიზიანებლად ქრიალებდა და ღრმა ნაფეხურები რჩებოდა ზედ.

სასახლის ხიდი გადაიარა. ალექსანდრეს ბაღს გვერდში ჩაუარა. ადამიანის ქაპანება არ იყო. არც ბელურები ჩანდნენ, ზამთრის ჩიტები. ყვავეზსაც კი მიეტოვებინათ ქალაქი. შორს კი არ იყვნენ, იქვე მახლობლად, ქალაქის ახლოს... სასახლაღი უღევი ჰქონდათ.

აგერ ისაკის ტაძარი. სქელ ნისლში ჩაძირული მუქნაცრისფრად შენიღბული მისი გუმბათი და მაღალი წვეტი ბუნდოვნად მოჩანდა, თითქოს ჰაერში ძაფზე დაკიდებული ვეებერთელა ბურთი იყო და ასაფრენად მიიწევდა მაღლა.

აი, ის სახლიც, სადაც ვახტანგი უნდა შევიდეს. დიდი, ხუთსართულიანი შენობა, მშვიდობის დროს სასტუმრო „ასტორია“, სადაც დღე და ღამ გაისმოდა მუსიკის მზიარული ხმები.

კარი შეაღო, შევიდა და თითქოს აღთქმულ ქვეყანას მიაღწიაო, სასოებით შეხედა მაღლა მიმავალ მარმარილოს კიბეებს.

ოთახი მიუჩინეს.

მისი საწოლი ფანჯარასთან იდგა. რაფაზე ჩანთა დადო. ჩანთა საესეა თამბაქოს შეკვრებით. ერთადერთი განძი,

რომელიც სახლიდან წამოიღო. მის შეგნებაში სიცოცხლის წყურველმა გველევა. შიშნის გრძნობამ გაღვიძლა გამაღიზიანებლად დასვეს.

თავი სიზმარში ეგონა. თავისი უღუფა ედო წინ. დიდი, ძვირფასი უღუფა. ზღაპრად ჩათვალა ის, რაც მის თვალწინ ეწყო. დასცქეროდა თეთრსა და შავ პურს, კარაქს, კვერცხს, ყველს. მისი თვალი მოიტაცა ჩაიდანმა, რომლიდანაც ცხელი ორთქლი ამოდიოდა.

პურის ნატეხს ხელი მოჰკიდა. დანა აიღო და კარაქი წაუსვა. თრთოლვით მიიტანა პირთან და დიდი ხნის მონატრულებული საკმელი ჩაეპინა. არა, ეს არ იყო სიზმარი. მან ნამდვილად შეიგრძნო პურისა და კარაქის თითქმის მიწისფერი გემო. არც ზღაპარი იყო. თვითონ იჭდა სუფრასთან, საკუთარი ხელით ისხამდა ცხელ ჩაის, თანაც სვეროდა, რომ სინამდვილეში ზდებოდა ეს.

„ერთ ნაქერსაც ავიღებ და ამჯერად საკმარისი იქნება!“ — წარმოთქვა თავისთვის და ხელმეორედ დასწვდა პურის ნაქერს. ისე ფრთხილად წააცხო კარაქი, თითქოს ეკრძალებოდა და ეხატებოდა ყველა იმათი, ვისაც იმ წუთას, იმ დიდ ქალაქში, არა თუ კარაქი, პურიც არ ჰქონდა, ისე როგორც თვითონ მას ამ დღიამდე.

„აი, თამბაქო ახლაა კარგი. რა გემრიელი იქნება მისი ლურჯი კვამლი. ღრმა და მწველი ნაფაზი, როდესაც შიშნის საგან კუჭი არა გწიწკნის!“.

საჩქაროდ სივარეტი შეახვია, დაგრიხა და ასანთი მოუყიდა. განცხრომას მიეცა, ნეტარება იგრძნო. თვლებში სიცოცხლის სხივი აენთო, თვითონ სიცოცხლე აუციმციმდა. მაგრამ ეს განცხრომა ძვირად დაუჯდა. უცებ გონება ჩაეხშო, გაბრუვდა და ცარიელ ტომარასივით ჩაიკეცა სავარძელში.

მკედრული ძილის შემდეგ გაეღვიძა. თვალი გაახილა თუ არა, მაშინვე ირგვლივ მიმოიხედა. მის წინ აღარ იყო გამაღიზიანებელი სუფრა და გულში სინანულის გრძნობამ გაჰკრა — სიზმარში ხომ არ ვიყავიო...

მეზობელმა უთხრა:

— აი, ძილი ასეთი უნდა!..

ვახტანგმა შეხედა და პკითხა:

— სადა ვარ?..

— სადაც მომაკვდავებს სიცოცხლეს უბრუნებენ!.. მეც ისე მომიყვანეს, როგორც თქვენ. წასული ვიყავი; იქ, იმქვეყნად... ამ სოფლისა აღარაფერი მეცხო. მაგრამ ახლა, აი... არა მიჭირს რა!..

• • •

სალამობით, ვისართობ დარბაზში, თავს იყრიდნენ სიკვდილიდან გამობრუნებულები. ერთი ხაწი შესული, წვერ-მოშვებული და წარბებებურძვენილი კაცი, რომელიც ხშირ-ხშირად სათვალეს სწმენდა, თავის ამბავს ჰყვებოდა:

— თუ ინსტიტუტში რამე სანოვავე გაჩნდებოდა, გვინაწილებდნენ, მე ის შინ მიმქონდა ია ცოლსა და რძალს ვაჰმევი. შენც ჰამეო, მეუბნებოდნენ, მე კი ვუბასუხებდი, ჩემი წილი იქვე ვა-მე-მეთქი, ვცრუობდი. რომ როგორმე მათი სიცოცხლე შემენარჩუნებინა. პურის ნაჭერსა და ცივ წყალზე გადავდიოდი! — შოიოხრა და დააყოლა, — ეჰ, რა დღეში ვართ!.. ბოლო მაინც უჩანდეს!..

— ბოლო ყველაფერს აქვს! — ნაღელია დ მიუგო მეორემ, მასზე უფრო მოხოცმა.

— დიხ, ბოლო ყველაფერს აქვს. — გამოეპასუხა პირველი, — მე არ მიტევაშ, ბოლო არ ექნება-მეთქი. იმას ვამბ ბდი... ყველაფერი შინ მიმქონდა, მე-კი არაფერს პირს არ ვაკარებდი. გავხედი, ჩამოვხში. აღამიანს აღარ ვგავდი. ჯალ-ლონე გამომელია. ერთხელ, ლექციის დროს ჩავეცივე, პირდაპირ კათედრასთან. მაშინ კი გაიგვს კოლეგებმა ჩემი ეშმაკობა და აქ გამომამწესეს. ქვეყანას სჭირდებო. ნეტავი ვის რად უნდა ჩემი სიცოცხლე, როდესაც ჩემი ვაჟი, ისე ახალგაზრდა, დაიღუპა. მე კი, ბებერი, ცოცხალი ვარ! — სულისშემუსუთველი ჭავრი მოაწვა, თავი უკან გადაიგ-

დო, ნერწყვი ჩაყლაპა და რომ თავისი თავის სისუსტე არ გაეცა, მუშაობდა ხმით მინართა ვახტანგის...

— თქვენ საიდან ხართ?

— მე? — მოულოდნელმა შეკითხვამ დააბნია, ჩაფქრა კიდეც, თითქოს სწელი ყოფილიყოს პასუხის გაცემა. — თბილისიდანო, — ძლივს მიუგო.

— ქართველი?..

— ქართველი.

— აქ როგორ მოხვდით?..

— უნივერსიტეტმა გამომგზავნა. მასალებს ვეძებდი. ჩაგრჩი. ერთი ჩვენი წინაპარი შეედეთში დაიღუპა. ძველად, დიდი ხნის წინათ. პეტრე დიდის მეგობარი იყო, ალექსანდრე ბატონიშვილი. რუსეთის პირველი მეზარბაზნე, გენერალ-ფელდცეისმაისტერი. ათი წელიწადი ტყვედ ჰყავდათ, სტოკჰოლმის ციხეში ჩაწყვედულნი. რას არა ჰპირდებოდა პეტრე დიდი იმის გამოსახსნელად, რა არ შეძლია, მაგრამ არა, არ უშვებდნენ. ჯერ ათი ტონა ოქრო მოსთხოვეს. განცვიფრდა პეტრე. მთელი ხაზინა დამეკეცვაო. მერე სამოცი ოფიცერი მოსთხოვეს სანაცვლოდ. მაშინვე დათანხმდა პეტრე. წაიყვანეთ თქვენი საცოდავი ოფიცრებიო. მაგრამ გადათქვეს შედეგმა. ვიდრე არ დაასრულეს, არ გამოაუშვეს. საწყალმა პეტრებურგამდე ვერ მოაღწია, გზაში გარდაიცვალა.

— ეჰ! — გაისმა ელიცის ხმა, — დღევანდელიც გვეყოფა!

— ძალიან მიყვარს ეს ქალაქი. მარტო მე კი არა, ჩვენ ყველას, ქართველებს. აქ მარხია ბევრი ჩვენი წინაპრის ძვლები.

წინ წამოვიდა წაბლისფერთმიანი ახალგაზრდა. თმა წამოზრდოდა, თხელი წვერიც უსწორმასწოროდ მოშვებოდა. უღვაშიც ასევე მოეშვა. სახეზე ნაღელი დამჩნეოდა, მწარე ღიმილი ეხატა ტუჩებზე.

— საკმარისია ჩვენი ტანჯვა. რას გეარგებს წარსულის მოგონება... ისედაც მკვდარია გული. სჯობია გავმხიარულდეთ! — თქვა და კედელთან მიდგმულ როიალთან მივიდა. ნელი მოძრაო-

ბით სახურავი ახადა. ფიქრებში წასული მიუჯდა ინსტრუმენტს. მას პალტო ეცვა, ხელთათმანებიც. შენობა არა თბებოდა და ციოდა. მან კლავიშებს ერთი ორჯერ დაკრა თითები, მერე თავი მალა ასწია და დაუკრა. ორიოდ მუხლის შემდეგ თვითონვე დაამღერა:

— „О, взгляни в оконце,
Дай взглянуть мне на тебя...“

ვახტანგმა წამოიწია და ახალგაზრდას მიაჩერდა. მას ხელთათმანები ეცვა, მაგრამ მიინც შესანიშნავად უკრავდა.

ვაახსენდა რუმინანცევის ბალი. ივნისის თეთრი ღამე და უცნობის ტკბილი სიმღერა. ეს ის ხმა იყო, სწორედ ის ხმა, იმ ღამეს რომ შეესმა ბაღში და მოგონებები რომ წამოეშალა.

მღეროდა ყმაწვილი კაცი. ყველა სმენად იყო გადაქცეული. გამოეთიშნენ ცხოვრების იმ სინამდვილეს, რომელშიც იმყოფებოდნენ. იგონებდნენ ბედნიერ დღეებს...

ახალგაზრდამ სიმღერა დაამთავრა.

წამოდგა და ყველას თხოვნით მიმართა:

— ერთი პაპიროსი მომეცით! —

ყველამ დუმილით უპასუხა. ალბათ, არავის არ ჰქონდა, არც კი შეინძრნენ. შეიძლება უკანასკნელს ინახავდნენ ძილის წინ მოსაწევად!

— ახლავ მოგართმევთ, მეგობარო. — მიმართა ვახტანგმა და წამოდგა, — პატარა ხანს მომიტოვინეთ!

ვახტანგი თავის საწოლისაკენ გაეშურა. პატარა კარადიდან ორი შეკვრა თამბაქო ამოიღო და დაბრუნდა.

— ინებეთ, მეგობარო! — უთხრა ვახტანგმა მომღერალს და ერთი შეკვრა თამბაქო ხელში ჩაუღო.

— რას შერებთ, ეს ხომ წარმოუდგენელი რამეა! ამდენი თამბაქო მე?.. ეს ხომ მთელი სიმდიდრეა!..

ახალგაზრდამ თამბაქოს შეკვრა მაშინვე გახსნა. ჯიბიდან ქალაღის ნახევი ამოიღო, „ბალიშს“ რომ უწოდებენ, ისეთი სქელი სიგარეტი შეახვია. ასანთი მოუკლდა, საეარძელში ჩაქდა და განცხრომით დაიწყო წევა.

ვახტანგმა ერთი შეკვრა თამბაქო გახსნა, გადაშალა, მაგიდაზე დადო და ყველა იქ მყოფთ შესთავაზა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ყველანი თამბაქოს სწევდნენ. ისე სდუმდნენ, თითქოს არ უნდოდათ დაერღვიათ ის ნეტარება, რომელსაც განიცდიდნენ, მოლურჯო კვამლში ჩაძირულები.

ვახტანგი მომღერალს გვერდზე მოუჯდა.

— არ ვიცი, ეს თქვენთვის საკვირველია თუ არა, მაგრამ, უნდა ვითხრათ, ერთხელ მოვისმინე თქვენი სიმღერა!..

— მართლა?.. როდის?.. ალბათ, ომამდე, რომელიმე კონცერტზე!

— არა, რუმინანცევის ბაღში. თქვენ ხმადანა მღეროდით. მერე ისიც დავინახე, როგორ მიდიოდით ერთად თქვენ და ის... გულში ჩამჩნია!..

ყმაწვილი წამოწითლდა, ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— ოჰ, ნუ გამახსენებთ!..

— რა გქვიათ?

— იური ალექსანდროვიჩი, თქვენ?

— ვახტანგი.

— მამის სახელი?..

— უბრალოდ ვახტანგი, ასეა ჩვენში.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი ერთად ჩადიოდნენ მარმარილოს ფართო კიბეებზე. იური მოაჯირს ეყრდნობოდა, რადგან მუხლები სტკიოდა, ვახტანგი კი მისთვის ჩვეული სიდინჯით გვერდით მიჰყვებოდა.

• • •

ყოველ საღამოს, სადილობის შემდეგ, იური თითო საათით საღდაც ქრებოდა. ის არ წვებოდა, როგორც ყველა იქ მყოფი. ამას ვერავინ ვერ ამჩნევდა. ეგონათ, ძილის საათს გაურბისო და რომელიმე დარბაზში ერთობაო. ეს მხოლოდ ვახტანგმა შეამჩნია.

ერთ დღეს ვახტანგი ფანჯრიდან იცქირებოდა. ნაღვლიანად გასცქეროდა თოვლიან-ყინულიან მოედანს. დარდითა და ჯავრით აღსავსე ფიქრებმა საქა-

რთველოში წაიყვანეს. ვარდისუბნის ქუჩას მიჰყვებოდა.

„ვარდისუბანი! რა ლამაზი უბანი იქნებოდა თბილისის ეს კუთხე ძველად, როდესაც იქ ბალნარი იყო და ვარდები ჰყვავოდა!“ — ფიქრობდა ვახტანგი.

უცემ თვალში ჩაუფარდა მოქანავე ჩრდილი, რომელიც დათოვლილ მოედანზე ბარბაცით მიდიოდა. გაქრა ვარდისუბანი, ვარდების ქუჩა!..

„რატომღაც მეცნობა, — გაიფიქრა ვახტანგმა. — თავზე ყურებიანი ქული. ყელზე ჰრელი შარფი, თექურები და სურთუკივით მოკლე შავი პალტო. ეს ხომ იურია?.. სად მიდის ნეტავი?“..

ვახტანგმა ისიც შეამჩნია, რომ იურიმ იმ საღამოს ლოგინში მწოლარემ დალია ჩაი.

„სად იყო იური? — მოსვენებას არ აძლევდა ამაზე ფიქრი. რა დაემართა ახლად დამეგობრებულ ყმაწვილს, რომელსაც ასეთი მშვენიერი ხმა აქვს და ასე მშვენივრად უკრავს?!“..

ვერ შოთმინა და პირდაპირ ჰკითხა: — სადლის შემდეგ სად იყავი? — არსად! — გაივიწყრა იურიმ. — ჩემის თვალთ დაგინახე, სადღაც მიდიოდი.

იურიმ პატარა ხანს დამნაშავესავით უყურა ვახტანგს, მაგრამ იგრძნო, ვერას ვახდებოდა, და მიუგო:

— თუ არ გამცემ, გაგანდობი!..

— გაგცემ?.. — ეწყინა ვახტანგს, — მაგ სიტყვით განა მარტო მე მაყენებ შეურაცხყოფას, ჩემს სამშობლოსაც!..

— არა, ღმერთმა დამიფაროს. მე ეს ისე, უბრალოდ ვთქვი. იცოდე, რომ მე ჭეყვანას არაფერს ვბარავ!

— არაფერი მესმის! — მხრები აიჩეხა ვახტანგმა.

— იქ, რუმინანცივის ბაღთან, სადაც ერთხელ ჩემი სიმღერა გასმენიათ, ყოველ დღე ვხვდები იმას, ვისაც მაშინ ვუმღეროდი და ერთი ნაჭერი კარაქწასმული პური მიმაქვს მისთვის... მე მინდა, რომ იცოცხლოს იმან. სხვანაირად

ვერ წარმომიდგენია, მე ვიყო და ის/კი არა!..

ვახტანგმა თავი ჩალუნჯი კაფურემ სხე მოუქცია. ტუჩები აუთრთოლდა. არ უნდოდა თავის განცდა იურისათვის დაენახებინა და ვიდრე მოწოლილმა სისხლმა არ გადაუარა, თავჩალუნული იქ და მის წინ.

ორივენი ჩუმად ისხდნენ. იურის უნდოდა ეკითხნა: გამიგეო? მაგრამ თავი შეიკავა და არ ჰკითხა.

ვახტანგს უნდოდა ეთქვა, მივხვდიო, მაგრამ არც იმან ამოიღო ხმა.

ამას ვახტანგი ვერ დაუშლიდა... სიყვარული, ადამიანის ეს ძველთაძველი, მაგრამ მუდამ ახალგაზრდა, ყოველთვის ახლადდაბადებული ბავშვივით წმინდა და უმანკო, ისეთი ხელშეუვალი გრძნობაა, რომ მის საწინააღმდეგოდ ენა ვერ მოუტრიალდებოდა.

მღუმარედ დაშორდნენ ერთმანეთს. მეორე დღეს საერთო სუფრაზე იური არ იყო.

ვახტანგმა მაშინვე ინახულა საწოლში მყოფი მეგობარი.

— მუხლები გამისივდა, ფეხზე ვერ ვდგები! — შესჩივლა იურიმ.

— ჩემს თავს გჭურდავო, ასე არა თქვი?

იურიმ საწოლიდან წამოწია. ჩამოჯდა. ფეხზე ადგომა უნდოდა, მაგრამ მუხლებში სიმწვავე იგრძნო და ისევ დაჯდა.

— რა ექნა?.. — ნაღვლიანად წარმოთქვა იურიმ.

— არაფერია, გაივლის! — დაამშვიდა ვახტანგმა.

იურიმ ისე შეხედა, თითქოს ვერ სცნობსო.

— გაივლის... გაივლის! — სამღურავივით წარმოთქვა.

— რა მოხდა, იური, ასე რამ შეგაწყუჩა?...

— ის დღესაც მოვა!..

— ვიცი. როგორც ყოველთვის, არა?..

— დიახ!..

— კარგია.

— ის დღესაც მოვა, ვახტანგ... ნუ თუ არ გესმის?

იური სახეში მიაჩერდა. შესცქეროდა უმწეოდ და გულჭაერაინად...

— რა გინდა, იური?..

— თუ მეგობარი ხარ, შენ წადი.

ვახტანგი აქამდე ვერ ხედებოდა, რას სთხოვდა იური. მიხედა მისი წუხილის მიზეზს და უარს როგორ ეტყოდა?

— რომ არ ვიცი, სად უნდა წავიდე.

— რუმინანცევის ბაღის შესავალთან. სანაპიროს მხრიდან. იქ წინათ ფარდულიც იყო. პაპიროსებს ჰყიდდნენ. იქნებ როდისმე შეგინიშნავს!..

— როგორ არა, ერთი მოხუცი მეპაპიროსე იყო, უღვაშა.

— პო, სწორედ იქ. მოხუცი, უღვაშა...
შა...

იმ საღამოს რუმინანცევის ბაღისაკენ ვახტანგი გაეშურა. ჭიბეში ქალღმერთი შეხვეული კარაქწასმული პური ედო.

როდესაც ქალიშვილმა მისკენ მიმავალი უცხო კაცი დაინახა, შეერთა. დიდრონ თვალეში, რომლებიც ძალზე ჩასცივივოდნენ, შიშის გარდა ნაღველიც უერთოდა.

— მე თქვენთან ვარ, ქალიშვილი!

— ჩემთან? — გაკვირვებით იკითხა.

— დიახ, თქვენთან.

— შე რომ ვერ გიცნობთ?!

— ჩამთვალეთ ნაცნობად. მე იურიმ გამოგზავნა, — უთხრა და ქალღმერთი გახვეული პატარა ნობათი გაუწოდა. — აი, ეს თქვენთან გამომატანა.

— თვითონ სად არის?.. რა დაემართა? — ჰკითხა, გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

ვახტანგს ხელი ჰაერში გაწვდილი დარჩა. ქალიშვილი მიწოდებულს არ იღებდა. „თვითონ, თვითონ რატომ არ მოვიდა?“ — ეკითხებოდა...

— ნუ გეშინიათ, ის კარგად არის. ცოტათი მუხლები სტკივა, — დაამშვიდა ვახტანგმა.

სივამზდრის გამო ძალზე ნახად მოჩანდა ქალიშვილის სახის ყოველი ნაკვთი. თხელი, სიფრიფანა, მოვარდისფრო

ტუჩები, მალა აგრეხილი გრძელი წამწამები. თუმცა ყვრილის ქალები კარგა მკვეთრად გამოსჩენოდა.

— არ ინაღვლოთ. ხელაც მე მოვალ. ვიდრე ტყვილები გაუვლიდეს, მე მოვალ ხოლმე... ახლა კი წადით, ნულარ გაჩერდებით. ძალიან ცივა. ვაიყინებით... მშვიდობით!..

— ნახვამდის!..

„საწყალი გოგო, რა მშვენიერია!.. საწყალი გოგო, საწყალი... საწყალი... რა მშვიერია, რა მშვიერია!“ — ფიქრობდა გზაში ვახტანგი და გონებიდან არ შორდებოდა ქალიშვილის მიმქრალ-მინაზებული სახე და ხმა.

იური მღელვარედ ელოდა ვახტანგის დაბრუნებას. შემოალო თუ არა ოთახის კარი, მაშინვე მიანათა აღმოღებული თვალეები. ეტყობოდა, სიცხეც მიეცა. თვალეებით ეკითხებოდა, რა ჰქენიო?..

— ვნახე... გადავეცი... დამშვიდდი! — გულთბილად ეუბნებოდა ვახტანგი.

იურიმ ბალიშზე თავი მისდო და თვალეები მიღულა. დაწყნარდა. ორიოდ წამის შემდეგ წამოიწია და იკითხა:

— ცუდი ხომ არაფერი შეამჩნიე?..

— მხოლოდ კარგი.

— რა?..

— ის, რომ ძალიან უყვარხარ!

იურის სახე გაუბრწყინდა.

მთელი კვირის განმავლობაში ყოველდღე მიდიოდა ვახტანგი უცნობ ქალიშვილთან. უმძიმდა იმ სიშორეზე სიარული. ყინვა, მოლიბული გზა, ხან ქარი, მაგრამ იურისათვის ეს არ უგრძნობინებია, ერთხელაც არ უთქვამს მიმძიმსო.

ერთხელ, როდესაც ვახტანგი ერთ ასეთ მოგზაურობიდან დაბრუნდა, იურიმ თავისი პატარა კარადიდან ლიმონათის ბოთლი გამოიღო და მაგიდაზე დადო.

— ვახტანგ, მეგობარო, აი რა საჩუქარი დაგიშვადე! — სიხარულით უთხრა იურიმ.

ვახტანგი ბოთლს დააკვირდა და ელ-

ექტრონის შუქზე შენიშნა, რომ შიგ ღვინო ესხა.

— ბეერს წვალობ ჩემთვის! — წამოიწყო იურიმ, — არ ვიცი, ღმერთმანი, რით უნდა გადავიხადო ეს პატივისცემა? უარს ნუ მეტყვი, პატივი მეცი და ეს ღვინო დალიე. მე ამას შენ გინახავდი. ყოველდღე ვაგროვებდი, რომ გამეხარებინე. ქართველი კაცი ხარ, ვიცი, ღვინო გეყვარება. ერთი თქვენებურად, გემრიელად დალიე. სადღეგრძელოც თქვი, თქვენ რომ იცით, ისეთი!..

იური გატაცებით ლაპარაკობდა. როდესაც სიტყვა მოათავა, ბოთლს ფრთხილად ჩასჭიდა ხელი და ისევ ფრთხილად აავსო ჭიქა.

ვახტანგი ღიმილით შესცქეროდა პირამდე ავსებულ სასმისს და შიგ მდგარ სანუკვარ სასმელს...

— გამიგონია, თქვენებურ სუფრაზე თამადა ნამდვილი ბრძენიაო, ნეტავი თუ მართალია? — ღიმილით იკითხა იურიმ.

— ღვინის დაღვეამდე ბრძენია, როცა დაღვეს, მერე ვინ იცის, რას ემსგავსება! — ღიმილით მიუგო ვახტანგმა. მერე ჩაის ჭიქას ფაქიზად ხელი მოჰკიდა და ხმადაბლა წამოიწყო:

— რადგან ადამიანი გაჩნდა, უნდა იცოცხლოს, ბედნიერად და ლამაზად უნდა იცოცხლოს. მე მგონია, რომ ყველაზე დიდი სიკეთე სიყვარულია, ყველაზე დიდი სილამაზეც სიყვარულია! ბედნიერება რაღაა?.. ყველაზე დიდი ბედნიერება ის არის, როცა ვინმე გიყვარს. შენ, სიკეთით აღსავსე ხარ. რადგან სიყვარულს განიცდი. შენ ლამაზად ცოცხლობ, რადგან სიყვარული შეგიძლია. შენ ბედნიერი ხარ, რადგან გიყვარს... მე ვისურვებდი, ყოველ ადამიანს ნამდვილი სიყვარული შეეძლოს, სიკეთით, სილამაზით და ბედნიერებით იყოს გამსჭვალული, რომ კაცობრიობის ცხოვრება ნათელი იყოს!

ვახტანგს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ მოულოდნელად საშინელი ზუზუნი გაისმა. ზუზუნს რამდენიმე აფეთქე-

ბა მოჰყვა. კარ-ფანჯრები შეინჯღრა, დერეფნებში შუშები ჩაიღეწა, შემკრთაღნი და გამეშვებულნი კურსს უგდებდნენ, როგორ ბომბავდნენ ალყაშემორტყმულ ქალაქს.

ორიოდე წამის შემდეგ გამოერკნენ, ვახტანგმა ჭიქა მაგიდაზე დადო, იურიმ წაიჩურჩულა:

— ეს ვასილის კუნძულზე ეცემა ბომბები!

— ჩემის აზრით, მოსკოვის ვაგზალზე! — გამოეპასუხა ვახტანგი, ცოტახანს იუჟია და დააყოლა, — რაც არ უნდა ანგრიონ, რაც არ უნდა ხოცონ, ადამიანი მაინც იცოცხლებს!

იურიმ იმედიანად შეხედა ვახტანგს. მერე სავსე ჭიქას თვალი შეავლო და განცვიფრებით შეეკითხა:

— რატომ არა სვამ?..

ვახტანგს გაეღიმა.

— რას ამბობ, იური, მე ამ ღვინოს როგორ დავლევე! ეს ახლა ღვინო კი არ არის, წამალია. ეს ლხინშია ღვინო, ჩვენ კი გასაჭირში ვართ, უფრო მეტიც, პირში ვიმყოფებით. შენს წილს როგორ წაგართმევ. შენ ეს წამალივით სუფრის კოვზით უნდა სვა, რომ გამოკეთდე. აღარ გინდა ნახო, ის, ვიზეც ზრუნავ?... მარია სულ იმას მეკითხება, თვითონ როდის მოვაო? — ვახტანგმა სიტყვა მოფერებით დაიწყო, მაგრამ ისე შეშფოთებული იყო, რომ გულთბილი ხმა შეეცვალა და გაფიცხდა, — თუ არ მოიშალე ეს შენი გულკეთილობა, იცოდე, გაგცემ, უსათუოდ გაგცემ და მაშინ იმ ნაჭერ პურსაც ვერ გაუზიარებ შენს მეგობარ ქალიშვილს!..

იურიმ ვახტანგის სახეზე ნამდვილი სიბრაზე ამოიკითხა და გაჩუმდა, ადამიანური თქვა, მოუფიქრებელი სიტყვით უფრო არ ვაწყენინო.

მეორე დღეს ისევ მიაბიჯებდა ვახტანგი რუმინელების ბალისაყენ. კვლავ მიჰქონდა ქალაქის ნახევში გახვეული ყოველდღიური ძღვენი. ვაი-ვაგლახით მივიდა ბალთან. მძიმე იყო გზა... არა მარტო თოვლი. არა მარტო მიმონგ-

რეული ქვაფენილები. არც ყინვა. მართო ეს არ უძნელებდა სიარულს. გული სწყდებოდა. გული უკვდებოდა. ქუჩებში ხალხი ეცემოდა და ველარ დგებოდა. არაქთავამოცლილები უმწეოდ იშვერდნენ ხელებს და ბურანში გახვეულნი სიკვდილის ნისლში მიცურავდნენ. დანახვა უძმიოდა... უცნობები იყვნენ, მაგრამ საერთო ბედით ძალზე ახლობლები.

ბალის კართან არაეინ იყო. ველარ ნაზა მარია... გაჩერდა და დაელოდა. ჩვენებ უბრალოდ აგვიანდება? იქნებ დროზე ვერ მოახერხა სახლიდან გამოსვლა?.. იქნებ თავს სუსტად გრძნობს და უძიამს გამთოშავ ყინვაში სუნთქვა?!

მოპირდაპირე სახლს გახედა...
განცვიფრდა... შეწუხდა...
აღარ იყო მესამე სართული... აღარც ის ფანჯარა ჩანდა, ერთხელ რომ გაიღო და სინთლე ვაღმთიფრქვეა... აღარ იყო ფანჯარა მესამე სართულზე!.. სურდა დაეძახნა, დაეყვირნა: ხალხო, სად არის ფანჯარა მესამე სართულზე?!.. ან თვითონ მესამე სართული სად არის?!.. უნდა შეჰყვიროს, ვინმეს შესჩივლოს, მაგრამ ვის? ვინ გაუგონებს?!.

მაინც დგას... მაინც ელის. იქნებ მოვიდეს?!..
მოდის ბინდი, მოდის სიბნელე. ერთმანეთში აითქვიფა შენობების, ხეების, ბოძების, შავი ჩრდილები... ის კი არა ჩანს!..

„О, выгляни в оконце...“ ჩურჩულებს... მაგრამ ვიღაც ყურში ჩასძახის: არ მოვა, არ მოვა! აღარასოდეს... აღარასოდეს... მორჩა... მოისვენა... აღარც შიმშილი შეაწუხებს... აღარც ყუმბარების შემზარავი ხმები... გათავდა. წავიდა და დატოვა უთქმელი სამღურავი ადამიანთა უღმობლობაზე... შეუბრალებელ სისასტიკეზე!“

გაოგნებული, გამწარებული ბრუნდებოდა ვახტანგი უკან... ხელში ქალადში შეხვეული კარაქქასმული პური ეპირა. დღეს ხორცის თხელი ნაჭერიც იდო ზედ... რა უყოს ახლა ამას?.. რო-

გორ მიიტანოს უკან?.. როგორ გაუმხროს, რომ მარია არ მოვიდა?.. ხომ შეეკითხება, რატომ არ მოვიდა?.. რად ემართათ?.. ხომ არ ეტყვის, რომ იმ შენობის მესამე სართული აღარ არსებობს. რომ აღარც ის ფანჯარაა, ერთსაღამოს რომ გაიღო და სინათლესთან ერთად მოლიმარი სახე გამოჩნდა!.. ვერ ეტყვის ამას. უსათუოდ ჯავრს გადაჰყვება. უსათუოდ. უსათუოდ!.. ვერა, ვერ გაუმხელს!..

მაგრამ ამ პურს რა უყოს?.. ხომ არ გადაადგდეს?.. თვითონ ხომ არ შექვამს? მამ როგორ დამალოს?!

— მეგობარო! — მიადახა პირველ შემხვედრს.

— რა გენბავთ! — გაისმა მოხუცის სუსტი ხმა.

მოხუცს თავი მხრებში ჰქონდა ჩავარდნილი, თვალები ფოსოებში, ლოყები ყბებში.

— აჰა, მეგობარო!

— რა არის?..

— პური!

— მე?.. — და მოხუცმა ორივე ხელი სწრაფად წააბანა.. თან განცვიფრებით შეავლო თვალი, გაიფიქრა, წამართმევსო. არა, არ წაართმევდა, რადგან ვახტანგი უკვე შეტრიალდა და რამდენადაც შეეძლო, ჩქარი ნაბიჯით წავიდა. დაღვრემილი შევიდა ოთხაში. შუბლშეკრული, პირქუში, უბარი...

იური უტკერის და ხმის გაცემას ვერ ბედავს, შევაწუხეო მეგობარი. ვახტანგსაც ეს უნდა. ნუ გაცემს ხმას! არაფერი ჰკითხოს! დაე, ერთი დღით მაინც გვიან გაიგოს უდანაშაულოდ დაღუპული სიცოცხლის ამბავი...

ვახტანგი საწოლთან მივიდა და პირქვე დაემხო...

იური გამოლაპარაკებას ვერ ბედავდა, გულში კი ფიქრობდა:

„ხვალ მე თვითონ წავალ... მაგას აღარ შევაწუხებ. ეს რა წესია, მე მიყვარდეს და სხვამ იწვალოს ჩემი სიყვარულისთვის!.. სწორედ ასე მოვიქცევი... ხვალ მე თვითონ წავალ, მე თვითონ“!..

პიქორ გაბუსკირია

კ მ შ ი ს ხ ე

თუ შედგებოდა ქარი — მხოლოდ ხანგამოშვებით,
არ შერჩა ეზოს არც ჭისკარი, არც ღობე მთელი...
საკვირველ იყო: ხეზე მაინც ჩანდნენ კომშები,
მთვარიან ღამით აკმეულნი. ყვითელ-ყვითელნი.

ხე ქარს შესთხოვდა ეს ნაყოფი შეარჩინეო,
მაგრამ ქართან მან შეკობრობა ვერ დაამყარა;
რასაც ეტრფოდა, შეშხაროდა თვალის ჩინივით,
ღონემიხდილმა, ხელი უშვა, ძირს ჩამოყარა.

დიდხანს იწუხა და იშფოთა, ველარ დაწყნარდა,
სხვა რა შეეძლო ხეს ჯერ ნორჩსა და მორჩილს ტანად?
მხოლოდ ეს შესძლო: რომელიც მას მეტად უყვარდა,
იმ კომშს ფოთლებიც თან გაატანა.

შ ა ნ დ ა ლ ი

მიყვარდა იგი მე თავიდანვე,
ახლაც ხშირად მსურს ხელში ვიღებდე.
მამა-პაპეულ ნივთებიდან მე
მხოლოდ შანღალი შემომრჩა დღემდე.

წინათ და ახლაც თუ რამ მეზადა
ყველა ნივთს მიჯობს, თვით ძვირფას
სარკეს,
რატომ? ის ზოგჯერ აენტება და
ღამით, მიმიძღვის ჩემს სოფლისაკენ.

ხელში მიპყრია, სად მივიჩქარი?
ჩემი სოფლისკენ (მე ასე ვფიქრობ)!
მას ველარც შავი ზღვისპირის ქარი,
ველარც ძლიერი წვიმა ვერ მიჭრობს.

ამდროს მე მისი კაშკაში მიყვარს,
ო, სად არ ვწნდებით, ბორანზე, ნავთან,
ბოლოს კი მე იმ სახლში მიმიყვანს,
სადაც ესვენა, სადაც ბრწყინავდა.

ძველს, დახშულ ოდას გაანათებს და,
საკვირველება!.. რა მიხარია?
იქ დამანახვებს ჩემთა ნათესავთ,
რომლებიც ჰვეყნად აღარ არიან.



გ ზ ა ზ ე

როს გორს გაესცდები, მზის შუქიც რომ იყოს ჩამქრალი,
მინც მგონია, წარმტაც მხარის კარი მეღება,
რადგან გზაზე დგას ქანდაკება ქართველი ქალის,
დოქი უპირავს ხელთ იმ ლამაზს, წყალი ეღვრება.

მანქანით მგზავრსა მთაზე იგი დამხვდა ამ დღით,
მხიბლავს მე მისი მოკრძალება, ქალური კდემა...
ბეგრს არ ვინატრებ: ოღონდ წყალი, შენგან მოწვდილი,
დაო, შენს მოძმეთ ნურასოდეს ნუ მოაკლდება!

მ ა მ ვ ლ ი ს გ უ ჩ ე ბ ი

თუნდაც ინატრონ, წალკოტში მათ არვინ არ ჩარგავს.
დგანან გზის პირას, თუ ტყის პირას, შეუხედავნი,
არ ერიდება არასოდეს იმათ დაჩაგვრას
კაცი ჰვეითად მიმავალი, გინდა მხედარი.

კაცი არასდროს არ შველის მათ, არ ეხმარება,
და ასე მიდის ამასოფლად მათი დღე ლაშე,
მაგრამ ისინი, მინც, კაცთა გასახარებლად,
საოცრად ლამაზ და საკვირველ ნაყოფს იხამენ.

საგომ ქლიაპვილი
სამი მოთხრობა
ზაფთიფული ღრო

— ალო! გეძინა თუ?
— სანდრო ხარ? არა, ისე, წამოწო-
ლილი ვიყავი.
— ჩემთან უნდა მოხვიდე.
— დადლილი ვარ, მეზარება.
— სიურპრიზი გელოდება!
— წარსულ კვირასავით?
— არა, ახლა ნამდვილად გაგეზარდე-
ბა. ჰო, კაი, ნუ ჭიუტობ. ჩაიცვი და ახ-
ლავე აქ გაჩდი.
— იცი რა, ხვალისათვის გადავდოთ.
ამინდცი ისეთია, რომ...
— ტაქსი დაიქირავე, რა გაგიჭირდა,
შე კაი კაცო!
პასუხს არ ვაძლევ. ვუცდი, როდის
ჩამოკიდებს მილს.
მიმიხვდა განზრახვას და უეცრად,
თითქმის ბრძანების კილოთი, მომძახის:
— დაიცა, არ დაკიდო!
ტელეფონის მილი ახრიალდა. მგონი,
ხელისგული დააფარა. ძლივს ისმის რა-
ღაც ხმები. ისე მენიშნა, ვიღაც იღვა
მის გვერდით და გამოელაპარაკა. ისიც
მეჩვენა, თითქმის დავა გაიმართა მით
შორის — ერთი აქეზებდა მეორე ჭოჭ-
მანობდა.
რალაც წუთი გრძელდება ეს ამბავი,
მე კი მოთმინება აღარ მყოფნის... სან-
დროს ცუდი ჩვეულება აქვს, ანგარიშს
არ უწევს ხოლმე, რა გუნებაზეა ადამი-
ანი, არ შეგიცოდებს, ოღონდ კი თავი-
სი კაპრიზი შეისრულოს და საღამო
მზიარულად გაატაროს.
— გამარჯობათ, არჩილ! — მესმის
ბოლოს ქალის გაუბედავი ხმა.
ვერ მივხვდი, ვინ იყო. გულგრილად
მივესალმე.

— რა თქმა უნდა, ხმით ვერ მიცანით.
არც გასაკვირალია, დიდმა ღრომ გაიარა
მას შემდეგ, რაც...
იშვითად მოხდება, მაშინვე ვერ
გავარჩიო, ვინ მელაპარაკება, თუ მისი
ხმა ერთხელ მაინც გავგონილი მაქვს,
მაგრამ ასეთი... არა, არ მახსოვს... მასუ-
ლელებს ვიღაც...
— ბოდიშს ვითხოვ, ვინ ბრძანდებით?
— მაშ ვერ მოხვალთ? რას იზამ, თუ
კი დადლილი ხართ... — და წამიერი პა-
უზის შემდეგ თავისთავზე ძალდატანე-
ბით: — ეკა გელაპარაკებით...
— ვინ ეკა?
რალაცას ამბობს გაურკვეველად, ხმა
ეზზარება და მერე უფრო ყრულ:
— სახელიც გეუცხოვათ? დაგვიწყ-
ნით ძველი ნაცნობები...
არა, ნამდვილად არ ვიცი, ვინ არის.
რა თქმა უნდა, მასულელებს ვიღაც, მა-
გრამ... ინტრიგა კიდევ დისაშვები იყო,
ვთქვათ, ახალგაზრდობაში, ახლა კი
ჩემი ასაკის კაცთან...
მოსაუბრე, რაც უნდა იყოს, მანდი-
ლოსანია, და ვცდილობ თავაზიანი ვი-
ყო.
— არ მახსოვს იმიტომ, რომ... ეკას
არავის ვიცნობ.
ქალი ოდნავ გასაგონად იცინის:
— მე კი, წარმოიდგინეთ, თქვენი ხმა
მაშინვე შევიცანი... ისეთივე კაპრიზიანი
ინტონაცია და, მაპატიეთ, ხანდახან ბრა-
ზიანიც... თქვენ ეს ყოველთვის განსხვა-
ვებდათ და კიდევაც გშენოდათ...
— დაიცათ, დაიცათ! — ვაწყვეტილებ.
— არა, თქვით კიდევ რაიმე! — რალაც
მოგონება გაცოცხლდა ჩემში. იმასაც

ვგრძნობ, მღელვარება მიპყრობს. — მე ვიცი, რომელი ერთ ეკას, მაგრამ...

— აი სწორედ ის ეკა ვარ... — ძალიან ჩემად ჩაიციანა. — ჰო, ეკა, მ... ძე. ახლაც ვერ გაიხსენეთ?

თითქოს შორეულ სამყაროდან გადმომძახეს ეს სახელი. ღმერთო ჩემო, ნუ თუ?.. როგორ? საიდან?

ქუდი, პალტო, გასასვლელი კარების ჭახანი... ბედად ტაქსის მწვანე შექურა შემეფეთა, გზაზე გადავუღდექი და, თითქოს მომდევნა ვინმე, შევევარდი მანქანაში.

— საბა-სულხანის ქუჩა!

შოფერმა რამდენჯერმე შეავლო თვალი და, ბოლოს, მკითხა:

— ცუდი ამბავი ხომ არაფერია?

— არა, რატომ? — ისე ხალისიანად წამოვიძახე, რომ ეჭვი მაშინვე გავუფანტე.

ნაწივიმარზე ასფალტი შავია და გადარეცხილ ზედაპირზე ქუჩის ლამპიონების ანარეკლი ციმციმებს.

ოცდაათმა წელიწადმა გაიარა, რაც ერთმანეთი არ გვენახა. ისიც აღარ ვიცოდი, ცოცხალი იყო, თუ არა. სამოქალაქო ომმა დაგვაშორა მაშინ, პეტროგრადში. მხოლოდ ერთბედად, ისიც შემთხვევით ყურადღებამ, რომ უცხოეთში ცხოვრობდა. ეს იყო და ეს. იმის შემდეგ სივრცემ და დრომ დაეიწყებას მისცეს ყოველივე. საოცრებად მიმაჩნია ახლა, რომ წარსულმა მომაკითხა. საკვირველია, მაგრამ ასე მგონია, რომ ჩამოტოვებული ჩემი ახალგაზრდობა დამეწია, ჭაღარა ისევ წაბლისფრად შემიკვალა და არ დამხარჯვია ბუნების მიერ ჭაბუკისათვის განკუთვნილი ძალა და ხალისი. განვლილი ოცდაათი წელიწადი წარმომიდგება ახლა როგორც უცაბედად გამოთიშული დრო, შემთხვევით განზე მიმდგარი და მიჩრდილული... ჰო, ჭაბუკი ისევ ცოცხლობს ჩემში, რალაც შეუღწევი გარსი ჰქონია შემოკრული და დროთა ქროლვისაგან თავი დაუცავს.

— აქ არის! — დაამუხრუტა შოფერმა.

დერეფანში შესასვლელი კარი სანდრომ გამიღო. როგორც ყოველთვის, ქოთქოთით და შეძახილით შეემეგება და გამიძღვა.

— შენ კი, ვაჟკაცო მოსვლას არ აბირებდი! შემოდი, შემოდი!

ოთახში მაგიდასთან ქალი იჯდა. თავდახრილი იყო, სახეზე ვერ შევხედე, მაგრამ უმაღლე მივხედი, ვინც იქნებოდა.

მძიმედ წამოღვა და შემოტრიალდა ისე, თითქოს თავს ძალა დაატანა ან ჩემი მოსვლა არც თუ ესაიამოვნა.

რა თქმა უნდა, სიხარულით შევხვდით ერთმანეთს. მაგრამ ეს სიხარული, რატომღაც თავდაპირველია გარეგნულად. თითქოს ორივე ვერიდებით უცაბედად გამოვანიჩოთ.

— პირდაპირ სასწაულს გავს თქვენნი ჩამოსვლა, — მხოლოდ ამის თქმას ვახერხებ, თუმც ბევრი რამ მინდა ვუთხრა.

— მართლაც ასეა, — გაუბედავად მიდასტურებს და წამიერი სიჩუმის შემდეგ უმატებს: — კიდევ კარგი, რომ არ დაგავიწყდით...

— რაო, თქვენობით მიმართავეთ ერთმანეთს? — ხმაშლილი იცინის სანდრო.

ჩემს წინ არის ეკა, ოდესღაც ყველაზე საყვარელი და მახლობელი, და მაინც ვერ ვხედავ მას, მაინც სხვად მეჩვენება. შეეყურებ, ვეძებ მესხიერებაში ჩარჩენილ სახეს, მინდა ის ეკა დაეინახო, მაგრამ ამის ნაცვლად, არ ვიცი რატომ, წინანდელიც თვალს ეფარება. ჭრება და ახლა ისევ ჭაღარად ვგრძნობ ჩემს თავს, ისევ თავისი ადგილი დაიკავა დრომ, ისევ გაცოცხლდა ის ოცდაათი, რომელმაც ნახევარი საათით დამტოვა მაშინ, როცა მანქანა აქეთ მომაქროლებდა.

— სასწაული მგონია, შენ რომ გიყურებ, — ვიმეორებ და ამით მინდა ბოლო მოვუღო წუთიერ სიჩუმეს და იმ აუხსნელ, საკვირველ უხერხულობას, რომელსაც ორივე განვიცდით.

როგორც ოდესღაც, ახლაც დაღანით ლაპარაკობს. მაშინ თავისებურ იერს აძლევდა და თითქოს შვენოდა კიდევაც, ახლა კი ეს ხმა მხოლოდ დაღლილი მეჩვენება. ახლა მისი გაღიმებაც დაღლილი ჩანს და წაბლისფრად შეღებილ თმასაც უფრო სააშკარაოზე გამოაქვს წლებისგან მოთენთილი სახე და ტუჩების ორივე მხარეზე ჩაყოლებული ღარები.

...შემდეგ კი უტხოვთში, ჯერ ერთ სამხატვრო გალერეაში ვმსახურობდი, — მოკლედ მიამბობს თავის ცხოვრებაზე, — მომსვლელებს სურათებს ვუჩვენებდი და ვუხსნიდი...

— მაგრამ მნახველები სურათებს კი არა, უფრო ეკას უყურებდნენ, უფრო მის სამხერად მიდიოდნენ! — იცინის სანდრო.

ეკა დამორცხვებულად შეჰყურებს და იღიმება. თითქოს ეუბნება: ჰო, ეგ იყო, მაგრამ წინათ... ახლა მართლაც ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ეკას დანახვა ხიბლავდათ.

სანდრო გამასპინძლებას აპირებს. ის ხშირ-ხშირად გადის ოთახიდან და ამბობს, რომ მეუღლეს უნდა მიეხმაროს... მაგრამ იქნებ იმას ცდილობს, რომ მე და ეკა პირისპირ დავრჩეთ. ალბათ, გონია, რომ ჩვენ გვაქვს რაღაც ერთმანეთისათვის გასაზიარებელი, რაც მხოლოდ ორთა შორის ითქმის ხოლმე...

— იქვე გავთხოვდი კიდევაც, — თავის ამბავს განაგრძობს ეკა. — ჰო, ჭარბული ემიგრანტი... შეილები? არა, არ გვეყოლია...

— ქმარიც უნდა ჩამოგეყვანა ტურისტად... აქაურობას თვალს გადაავლებდა მაინც...

— ის უკვე ათი წელიწადია, რაც გარდაიცვალა...

— ათი წელიწადი... — ანგარიშში უცემლად ვიმეორებ, თითქოს თანაგრძნობით, მაგრამ ეს მხოლოდ ზრდილობისათვის, ისე კი სრულიად გულგრილი ვარ იმ უცნობის ბედისადმი.

ეკას ვატყობ, რაღაც უნდა მკითხოს,

მაგრამ ვერ გაუბედნია. მე რე ერთბაშად ისერის სიტყვებს, თითქოს ვმხინჯობ, რომ მე რე ველარ იტყვიან: *მზღლირთქან*

— შენ კი რაო, რა მოგივიდა, რომ ოჯახს არ მოეკიდე? არ შეგონა, თუ მართობელი დარჩებოდი...

— აბა რა ვიცი, ასე მოხდა...

— არა, შენგან ამას არ მოველოდი, — თითქოს ნაღვლიანად იმეორებს ეკა. სანდრო სუფრის გაწყობაში ეხმარება თავის ცოლს.

— ეგ მე მომანდე, — დგება ეკა დაღიასახლისობას იწყებს.

ხალისი მიეცა, რომ საქმეში ჩაება. მკვირცხლად მოძრაობს... საკვირველია, ტანი ისევე ახალგაზრდული აქვს, მკვრივი და მოქნილი.

— ცივა აქ, — ვეუბნები სანდროს და ხელებს ვისრეს.

— ო, შენ ისეთივე მცივანა დარჩენილხარ! — პირველად მესმის ეკას ხმა-მაღალი და თამამი სიტყვა.

უფრო გამოცოცხლდა და სანდროს მიმართა:

— ასეთივე იყო წინათ... სიტბო უყვარდა... სიტბო კი არა, ცეცხლი ღუმელში. ეფიცებოდა ბუხარს. ასე მეგონა ხოლმე, შიგ შეძვრებო...

ეს კი ჩვენი სტუდენტობის წლებიდან გაიხსენა. მართლაც ასე იყო. თავის პატარა ნაქირავებ ოთახში კედლის ღუმელში ცეცხლს ადვივებდა ყოველთვის საღამოთი, როცა მასთან მივიდოდი.

ეკა რომ ღუმელს და იმ საღამოებს იხსენებდა, ცხადია, ისიც აგონდებოდა, თუ რა ჰბუჟური ვნებით გკოცნიდით ერთმანეთს... და, აი, ახლა, რატომღაც არ მესიამოვნა, რომ ჩრდილოეთის ის ღამეები არ დავიწყნოდა ამ ხანშესულ ქალს.

— ჰო, როგორ არა, ყოველთვის მცივანა ვიყავი, — ვცდილობ სიცილით ვთქვა და ამით გავაქარწყლო ის მოგონებაც.

სუფრას დიდხანს შევრჩით. რამდენიმე ჭიქა ღვინის შემდეგ საუბარი გაიოლდა. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს

ვინმე ახლად გაცნობილს ველაპარაკებოდი. ეს სითამამეს მაძლევდა. მაგრამ დროდადრო წარსული მაინც მებლაუქებოდა... შეჩვეული ვიყავი, რომ სანდრო ჰალარა იყო. ჩვენ ერთად გავიარეთ რამდენიმე ათეული წელიწადი, — მერე რა წლები! — და ჩვენთვის ერთნაირად იცრიცებოდა, იშლებოდა დრო დღიდან დღემდე, წუთიდან წუთამდე... ხოლო ეკა სხვა იყო. როცა აქ მოვიჩქაროდი, ეკა იყო იმის მიზეზი, რომ დროის წარმოდგენა დაგვარგე უცრად, ისევე ვცოცხლობდი იმ წლებში, როცა მიყვარდა ახალგაზრდული გატაცებით. ტაქსით მომავალს, ჰაბუჯობა წამომეწია. ეკასთან შეხვედრის მოლოდინმა არია, აწეწ-დაწეწა დრო, ამოავსო უფსკრული... ახლა კი ეკა ვიღაც სხვა იყო... მხოლოდ ცოცხალი გამოსახულება ჩემი ახალგაზრდობისა... ახლა ისევე ჩაბნელებული უფსკრული, ამოუვსებელი სიცარიელე...

ვახშამზე სანდროს მეუღლემ, — ის დიდი თეატრალი იყო, — ახალ სპექტაკლზე ჩამოავდო სიტყვა. გვიამბო ერთ ახალგაზრდა მსახიობზე, რომელსაც გარდასახვის საოცარი ტალანტი გამოუჩენია.

— პროლოგში, — თქვა სანდროს მეუღლემ, — ის სრულიად უგრიმოდ იყო და ყველას ხიბლავდა მისი მშვენიერი სახე. პირველ მოქმედებიდან კი ცხოვრებისაგან მოტეხილ მოხუც წარმოგვიდგენდა, და ისე ბუნებრივად, რომ აღარც ვვახსოვდა. თუ ამ როლს ძალიან ახალგაზრდა კაცი ასრულებდა. როცა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ტაშისცემა გაისმა, ის სცენაზე გამოვიდა თავის დასაყრავად, მაგრამ უკვე უგრიმოდ და უპარკოდ, და უნდა გენახათ, რა ოვაცია გაუმართა ხალხმა... ყველას უკვირდა, რომ ეს მომზიბლავი სახის

ახალგაზრდა ისე ბუნებრივად ასახიერებდა მოხუცს...

— მაგრამ პირუტყვს ხდებდა მგამბობ უცრად, ჩემთვისაც მოულოდნელად.

ეკამ უმაღვე გადმოხედა და თითქოს შემკრთალი მეკითხება:

— რა თქვით?

— არა, ისე... ჩვენი ამასწინანდელი იუბილარი გამახსენდა. იმ საზეიმო საღამოს ერთ თავის საუკეთესო ძველ როლში გამოვიდა... ახალგაზრდა გმირს ასახიერებდა... მაგრამ, რომ ვუყურებდი, შემეცოდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა სპექტაკლის შემდეგ უგრიმოდ და უპარკოდ გამოვიდა სცენაზე და ხალხს თავს უკრავდა...

შუალამე გადასული იყო, როცა წამოვედი. ეკა სანდროს მეუღლის ძველი მეგობარი იყო და მასთან დარჩა. შევთანხმდით, რომ დილით შეხვედებოდით ერთმანეთს და ქალაქში გავივლიდით.

— ძალიან მადლობელი ვიქნები, — მემშვიდობება ეკა, — მენატრება დავიარო თბილისი. ოღონდ გაფრთხილებ, თუ ხანდახან ცრემლიც მომერიოს, არ გავიკვირდეს, ეს სინარულის ცრემლები იქნება...

მანქანას შინ მივყავარ. სახლების გარეკედლებზე მიკრულ თუნუქის ღარიდან წვიმის წყალი მოთქრიალებს. ასფალტი შავი ფერისაა და გადარეცილზედაპირზე ქუჩის ლამპიონები ციმციმებს. ანარეკლი სველია და მკრთალი. თითქოს ათრთოლებს კიდევაც. კაბინის სარკმელს დაუსრულებლად აწვიმს და წვეთები ღარებად ჩამორბიან.

— დალლილი ხართ, გეტყობათ, — მეუბნება შოფერი. მის მანქანაში, ალბათ, დიდი ხანია არავინ ჩამსხდარა და აღამიანთან დალაპარაკება მოენატრა.

— ჰო, ისე... არა უშავს, მივალ და დავიძინებ... — ვეზმიანები გულგრილად.

სანისი

ჩემს ტოლ ბიჭებში ყველაზე უფრო მე ვიყავი თეატრით გატაცებული. ოთახის კუთხე, ჩამონგრეული გარაჟი,

სხვენზე ასახელები ხრახნული კიბე — ყველა ეს ადგილი ვარვისი იყო სცენის მოსაწყობად. დეკორაციის და ბუტაფო-

რის მადეგრობას მიწევდა ძველი ფარდაგი, საღებავებით აკრელებული მუყაო, ხის ხანჯალი და თოფი, ხოლო სამეფო მანტიად და რაინდის სამოსელად სავსებით გამოსადეგი იყო დახეული საბნის პირი ან სხვა რაიმე ძველმანი, რომელიც დედის კარადაში მოიძებნებოდა. რაც უფრო უცნაური იყო ჩაცმულობა, თეატრალურად უფრო გამართლებული მიიჩნდა.

ჩვენი იმპროვიზაციების მთავარი პერსონაჟი არაჩვეულებრივი ძალღონით დაჯილდოებული და ყოველთვის სამართლიანობის თავგამოდებული დამცველი, ბოროტის დამთურგველი და ქვეყნად სიხარულის მომტანი გმირი იყო.

ამ როლის შესრულებას მუდამ მე ვკისრულობდი, არავის ვუთმობდი, თუმც ჩემი ამხანაგები ნატრობდნენ მათაც ეთამაშათ. ამაზე ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და ხანდახან ჩხუბიც მოგვედიოდა.

თეატრის მოტრფიალე, ვოცნებობდი აქტიორი ვყოფილიყავი და მეთამაშნა ნამდვილ სცენაზე. ეს იყო ჩემი ერთადერთი სურვილი, ამაზე ფიქრი მალეღვებდა, ამის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომედგინა.

როგორც შერთ შევყურებდი ყველას, ვინც სცენაზე გამოდიოდა! ისინი წარმოდგენილი მყავდნენ განსაკუთრებულ, თითქმის ღვთის თანასწორ არსებებად... როდესაც ქუჩაში მიმავალ რომელიმე მსახიობს დავინახავდი, მონუსხულივით დავდგებოდი და თითქმის თრთოლვით მივჩერებოდი. ჩემთვის ძნელი იყო იმის წარმოდგენაც, რომ ის მოქალაქესავით ქუჩაში დადიოდა. ის ხომ ღმერთის თანატოლი იყო!.. დაუვიწყარო ბავშვობავ, ბავშვის უმანკო სულო, ბავშვის წმინდა თვალეზო, რომლებიც ყველაფერს ალტაცებით უძეებენ!

გადაწყვეტილი მქონდა, სიცოცხლის ფასად რომ დამჯდომოდა, თეატრში უნდა მოვხვედრილიყავ. მხოლოდ თეატრში, არსად სხვაგან!

მე აღარ მყავდა მამა, დედარემს კი, რომლის მთელი დრო ფეხბრუნეზი-სათვის ზრუნვაში გადმოხდა; მუსტიკარ ჩნებოდა ჩემს მომავალზე ეფიქრნა. ეს გარემოება კი სრულ თავისუფლებას მანიჭებდა და ადრევე ვიგრძენი, რომ სავსებით საკუთარ თავს ვეყუდნოდით.

როდესაც ჰაბუტოზაში შესულმა განვაცხადე, რომ ჩემი ერთადერთი მისწრაფება თეატრი იყო, დედა ოდნავდაიც არ ცდილა გადამეთქვა განზრახვა, როგორც ამას თავდაპირველად ვმიშობდი. — ის ხომ უბრალო დედაყავი იყო და თეატრზე არც თუ კარგი შეხედულება ჰქონდა.

— როგორც გერჩიოს და გიჯობდეს, შვილო. ოღონდ შენ თავს მიხედე! — ეს მითხრა მხოლოდ.

ტანადი ვიყავი, ძლიერი ხმა მქონდა და ამიტომ იმედინად ვიყავი, რომ თეატრში სიხარულითაც მიმიღებდნენ.

და, აი, ერთხელ, მოვიკრიფე გამბედაობა, მივედი თეატრის დირექტორთან და ჩემი სურვილი მოვახსენე.

ბედმა გამიღიმა და მიმიღო. მაგრამ სტატისტად.

იციტ, ალბათ, რომ სტატისტები უსიტყვოდ გამოდიან, მათ საკუთარი სახელიც არა აქვთ პიესაში. პროგრამაში ისინი არ აღინიშნებიან. სტატისტები მასას წარმოადგენენ...

წინათ ხომ მიყვარდა თეატრი, მაგრამ ამიერიდან ყველა ჩემი ფიქრი მხოლოდ ის იყო. ვეთაყვანებოდი მის კედლებს, დარწმუნებული ვიყავი, რომ კულისებს, დეკორაციებს, ბუტაფორიას განსაკუთრებული სურნელიც კი ჰქონდათ, არაფერთან შესადარები.

მოწიწებით შევეკეროდი სცენას იმ საათებშიც, როცა ის ცარიელი იყო. აი, დამთავრდა სპექტაკლი, მაყურებლები გაიკრიფნენ დარბაზიდან, აქტიორებმა ჩამოიწმინდეს გრიმი და წავიდნენ თვინათ სახლებში, მუშებმა აკრიფეს დეკორაციები, ჩაქრა რამბა და მხოლოდ სამორიგეო ლამპიონები მკრთალად ანთებდნენ იქაურობას. სცენაზე, სადაც

რამდენიმე წუთის წინ ბობოქრობდა ათასგვარი ენება, ახლა სიჩუმე სუფევდა. გარდახდილ ტიტანურ ბრძოლების შემდეგ, ის ახლა თითქოს ისვენებდა დალილი, მოქანცული.

უბედნიერესთა შორის ვთვლიდი ჩემს თავს, როცა კულისებში მოარულ არტისტებს ვხედავდი. ისინი, ხომ, ღმერთებია, რომელნიც სხვადასხვა სახით და ტანსაცმელით ევლინებიან ხოლმე ხალხს!

ჩვენს პრემიერ მსახიობ-ქალს — ამაზე ხომ სიტყვის თქმაც ზედმეტია! — სილამაზით არავინ შეედრებოდა. დედოფლის გვირგვინი ედგა თავზე, თუ უბრალო მეზღვაურის სატრფოს განასახიერებდა, ის თანაბრად ანგლოსი იყო, ის ტყუილად კი არ უყვარდა-დარბაზს, რომელიც ზშირად უგზავნიდა მას ყვავილებს და ყოველთვის ალტაცებით შესძახობდა. ანკი როგორ შეიძლებოდა არ ყვარებოდა ეს უმშვენიერესი, უწმინდესი, უსათნოესი არსება, რომლის ბაგენი მუდამ ამაღლდებულ, სულის ამფორიაქებულ სიტყვებს წარმოთქვამდნენ.

ასეთივე მოწინააღმდეგეებით შევეყურებდი პრემიერ მსახიობ-მამაკაცს, მოხიბლული მისი ვაჟკაცური სილამაზით, გულში ღრმად ჩამწვდომი და გრძნობათა ამშლელი ხმით. განსაკუთრებით მაშინ, როცა სატრფოს სიყვარულს ეფიცებოდა ან და ლომივით ბლღენიანდა და თავზარს ცემდა ბოროტ მოწინააღმდეგეს. რა ცეცხლოვან მონოლოგებს წარმოთქვამდა ხოლმე ამდროს სამართლიანობისათვის თავდადებული და დაზარალებულია შემწე! არც დაფიქრდებოდი, ისე გავყვებოდი ცეცხლში, ადიდებულ მორევში, თვალუწვდენ უფსკრულში. ისე მივიღებდი მისთვის სიკვდილს, რომ უკანასკნელად სულის ამოხდენისას მხოლოდ მადლობას ვეტყვოდი ბედს. ცრემლებს ვღვრიდი ხოლმე, როცა მას როლის მიხედვით განსაცდელი ელოდა, ჩემს უბედურებად მიმჩნედა ყოველი მისი მწუხარება და ტანჯვა. დიახ, ის

მოგვევლინა იმისათვის, რომ ყველა აგვამალლოს, სულიერად ეგვიფიქსიროს, გაგვკეთილშობილოს და აღმერთობს ჩვენი შუამავალი იყოს...

ჩემი დიდი ნათლობის წუთიც დადგა. ის დღე დაუეწიყარი იყო ჩემთვის.

ფარდის აწევამდის აღარც თუ ბევრი დრო დარჩენილიყო. ეს წუთები ყველაზე ნერვიულია სცენაზე. არტისტები უკანასკნელ შემოწმებას ახდენენ თავის ჩაცმულობისას, ვრიმისას, ისინჯავენ ხმას. სცენარიუსი დაფსუფსებს კულისებში. დარბაზში, სადაც ხალხი თავს იყრის, თანდათან მატულობს გუგუნი.

კულისების ერთ კუთხეში უკვე გადაცმული სტატისტები იდგნენ. მეც მათ შორის ვიყავი. გვერდი ჩაგვიარა სცენარიუსმა, გადათვალა სტატისტები, უცერად მანიშნა გავყოლოდი და მალე რეჟისორის თანაშემწესთან შემიყვანა. აქამდე არასოდეს გამებედნა მასთან კაბინეტში შესვლა. ის მკაცრი იყო, განსაკუთრებით სტატისტებისადმი და ვუფრთხილდებოდი.

— აი ეს! — ჩემზე უთხრა სცენარიუსმა.

რეჟისორის თანაშემწემ ამხედ-დამხედა და თქვა:

— თანახმა ვარ! საჩქაროდ!

სცენარიუსი მაშინვე საგარდერობოში გამიძღვა.

— შენ იქნები საკუთრველმტიერთველი. გაიგე? ჩაიცვამ, მერე გრიმს გაგიკეთებენ და უმალვე ჩემთან გამოცხადდები. ავიხსნი, რა გააკეთო სცენაზე!

სტატისტიც რაღაცას ნიშნავს მოქმედების მსვლელობაში. რა თქმა უნდა, ის გავლენას ვერ მოახდენს სპექტაკლის წარმატებაზე, მაგრამ შთაბეჭდილებების წახდენა და კომიკურ მგდომარეობაში გმირის ჩაყენება კი შეუძლია, თუ, ვთქვათ, რაიმე უხერხული მოძრაობა გააკეთა, უდროოდ დროს შემოვიდა ან გავიდა. მგონი, ამიტომ იყო დაითხოვეს ის სტატისტი, რომელიც ჩემამდი ს-

პურველ-მტვირთველად ახლდა მთავარი როლის შემსრულებელს.

ჩემი სიხარული გაორკეცდა იმის გამო, რომ ახლა მე უნდა ვხლებოდი ჩემს სათაყვანო არტიტს და მონაწილეობა მიმეღო გრანდიოზულ ამბავში, რომელიც სცენაზე უნდა გათამაშებულიყო. ასე მეგონა, თეატრში კი არა, სინამდვილეში ხდებოდა ყოველივე. სიხმარს გავდა მიღწეული დიდი ხნის ოცნება!

და, იი, მე გავყევი ჩემს დიდ რაინდს, რაღაც ძველებურ აბჯარ-აბჯარით მორთული.

იმ დღეს პრემიერი განასახიერებდა ხალხისთვის თავდადებულ კეთილშობილ გმირს, რომლის მიზანი იყო მოამბეთათვის ბედნიერება მიენიჭებია... მან უნდა დაიხსნას ბოროტი ტირანის მიერ მოუვალ ციხე-კოშკში ჩამწყვდეული ქალწული... გაათავისუფლებს მას და იქაურობა გახალისდება, მწვანედ აბიზინდება მინდორ-ველი, სიკეთე მოეფინება ქვეყანას... რა ცეცხლოვან ტორადებს წარმოთქვამდა ჩემი რაინდი, რა ამაღელვებელი სიტყვები ესმოდა დარბაზს!

მზად ვიყავი თუნდაც იმავე წუთში შეებრძოლებოდი ჩემი რაინდის მოწინააღმდეგეთ. გარდა ამისა, ტირანის კოშკში იტანჯებოდა ჩვენი პრემიერი მსახიობი-ქალი. მოთმინება არ მყოფნიდა, სანამ ჩემს ღვათებას არ დავიხსნიდით ავი სულის კლანჭებიდან.

დადგა მისი განთავისუფლების წუთიც. ჩემმა რაინდმა მოიმარჯვა მახვილი, ეჭვგარე ციხე-კოშკს, შეამტვრია გალავანი. აჰა, გამოჩნდა მშვენიერი ქალწულიც, ის ხელებგაშლილი ისწრაფის მხსნელისაკენ, მაგრამ, — ოი საშინელო, უბედურო წუთო! — ჩემი რაინდი უეცრად დაეცა მტრის ისრით განგმირული... შეძრწუნებული ქალწული ძლივს ასწრებს შემოეხვიოს თავის მხსნელს, რომ მისი უკანასკნელი ამოკნესა მანც გაიგონოს. რა მაღალი გრძნობების აშლელი სიტყვები წარ-

მოთქვა ჩემმა დიდმა რაინდმა თავისი სიკოცხლის უკანასკნელ წუთებში: „მე გულსაკლავად დაემშვიდობა სტრატეგს, შემდეგ მოგემართა ჩვენი და მოგვიწოდა შური ვიძიოთ, მიწასთან გავასწოროთ ურჩხულის ციხე-კოშკი, საბოლოოდ მოვსპოთ ბოროტება და ქვეყანად სამარადისო სიკეთე დავამყაროთ...“

დარბაზი თვალტრემლიანი უსმენდა და მაშინ, როცა მან უკანასკნელად ამოიოხრა და დალია სული, თითქოს ზვავი მოსკდაო მთას, იხუვლა ერთბაშად მთელმა დარბაზმა და დაუსრულებელ ტაშის გრიალში ფარდაც დაეშვა.

სპეკტაკლი დამთავრდა. სცენაზე მუშები დეკორაციებს შლიდნენ. არტიტები თავიანთ საპირფაროებში გრიმს იწმენდნენ სახიდან.

კიდევ დიდხანს ვიყავი განცდილის შთაბეჭდილების ქვეშ. თავს ბედნიერად ვგრძნობდი. იმ ოთახში, სადაც სტატისტები სცენის ტანსაცმელს იხდიდნენ, ჩვეულებრივი ხმაურია იყო. ახალგაზრდები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, იცინოდნენ. მე ჯერ ისევ არ გამეხება, შენანებოდა საპურველ-მტვირთველის ტანსაცმელის მოცილება, მინდოდა ერთხანს კიდევ იმ საოცნებო სამყაროში ვყოფილიყავ.

უეცრად შორიდან ხმაშალალი ლაპარაკი გავიგონე და ანგარიშიუცემლად დერეფნის იმ ადგილისკენ წავივედი.

ოთახში, საიდანაც მამაკაცის გულმოსული ხმა ისმოდა, ჩვენი პრემიერი მსახიობი ქალი აღმოჩნდა. შიგნით იყვნენ რეჟისორი და რამდენიმე აქტიორი. ისინი ვილაყას ამშვიდებდნენ, მაგრამ ის ისევ გაბრაზებით გასძახოდა და ვილაყას ლანძღავდა.

თვალეზს ვერ დავუჯერე, რაც ბოლოს დავინახე. გაბოროტებული, საოცრად გულმოსული, ოთახში მიმოდინდა ჩვენი პრემიერი მამაკაცი. სარკის წინ კი პრემიერი ქალი იჯდა და გრიმს იკლიდა. ქალი სანახევროდ ტიტველი

იყო, კაბაც არ ეცვა, ტრუსებში იყო. პარიკი არ ეხურა და აწეწილი თმა შებლზე ჩამოშლოდა. ტუჩის კუთხეში სივარეტი ჰქონდა შეჩრილი და აბოლებდა მშვიდად, თუმცა მამაკაცის მთელი რისხვა მისდამი იყო მიმართული...

— უთხარით გავიდეს, ჩაცმა მაცალოს, — მხოლოდ ერთხელ თქვა გულგრილად. — თავი მომაბეზრა მისმა ყაყანმა! გააგებინეთ, რომ აქ მისი ადგილი არაა!

— ჩემი კი არა, შენი ადგილი არაა აქ! — იყვირა პრემიერმა. — შენ სადმე კაფეშანტანში უნდა იყო და არა თეატრში!

არტიტები ცდილობდნენ მის დამშვიდებას, მაგრამ ის არ ცხრებოდა.

— ამ როკაპმა მთელი ფინალური სცენა გაიფუტა. ძროხასავით ბლაოდა რაღაცას, ბლუკუნებდა ისე, რომ დარბაზს ალბათ ერთი სიტყვაც არ გაუგონა. იმ დროს მომცა ბოლო რეპლიკა, როცა მე კიდევ მრავალი სათქმელი მქონდა...

— კმაროდა შენთვის, რასაც ღრიალებდი, — ცალი ყბით თქვა ქალმა, ცალით კი თამბაქოს ბოლი გამოტოვა.

— ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ის მიზანსცენას მიფუტებს. მისი მიზეზით ტაშიც იმდენი არ იყო, რამდენსაც მოველოდი... — ისევ ყვიროდა პრემიერი.

ამხანაგები არწმუნებდნენ, რომ ხალხმა აღტაცებით მიიღო ბოლო სცენა, მაგრამ ის არავის უგონებდა, მიმოდიოდა საპირფარეოში და ისევ ბობოქრობდა:

— ეგ თეატრში კი არა, ყავახანაში უნდა გაგზავნო კურკლის მრეცხავად... რა მისი საქმეა სცენა!

ქალმა ამაზე მხოლოდ აცმაცუნა ტუჩები და მერე ერთ მსახიობს უთხრა:

— გააქირა საქმე, მომაცილეთ რა, ეგ ვირისთავი, ხალხი არა ხართ?!

ღმერთო, ეს რა მესმოდა მათგან?!

ისე შეჩვენა, თითქოს ეს კედლები და მეშხო თავზე, თითქოს ქვეყნისკენ და იქცა და გაცამტვერდა. *ვინ და ვინ ვის სე ტყეა?* ნუ თუ იმ ბაგეთაგან წარმოითქვა, რომელნიც ყვავილებს ფანტავდნენ ჩემს წარმოდგენაში? როგორ მიმართავდნენ ერთმანეთს ისინი, ვინც ღმერთების ტოლად მიმანდნენ?!

არა ნაკლებ მეოცა ისიც, რომ ერთმა მსახიობმა, როცა საპირფარეოსთან ჩაიარა, გულგრილად ხელი ჩააქნია და ჩაილაპარაკა:

— რაო, დღესაც ჩხუბი აქვთ მაგ ობრიშვილებს?

ძალა არ მყოფნიდა ჩემს გასახდელ ოთახში დაებრუნებულისთვის, მაგრამ გარდერობის მსახური ქალი მეძახდა და წავედი. არ მახსოვს, როგორ გადავიცვი... მგონი, დიდხანს ვზოზინობდი, რადგან გარდერობის მსახური მაჩქარებდა და ბუზღუნობდა.

მძიმე ნაბიჯით გამოვედი კულისებში, არც მიმიხედავს სცენისაკენ, თავდახრილმა გავიარე და ქუჩაში გავედი. შინ უნდა წავსულიყავი, მაგრამ საამისო ძალა აღარ შემწვედა. იქვე ვიდექე თეატრის წინ და გაოგნებული ვაეცეცებდი თვალებს.

ალბათ, დიდხანს ვიქნებოდი ასეთ ყოფაში, რომ უეცრად ჩემი ყურადღება თეატრიდან გამოსასვლელ კარებს არ მიექცია. ჩემს თავს არ ვუჭეროდი, რაც დავინახე... ჩვენი ორივე პრემიერი ერთად გამოვიდა. მამაკაცი ხელი ჰქონდა ქალის მკლავში გაყრილი, ქალი კი მიჯროდა და მინაზებული მიყვებოდა.

გვერდი ჩამიარეს, არც მოუხედავთ ჩემსკენ. დიდხანს კიდევ, იმის შემდეგ, როცა თვალს მიეფარნენ, ვიდექე და დაცარიელებულ ქუჩას გავყურებდი.

ამხანაგებმა მომაცილეს და შემომთავაზეს:

— დღეს შენი ნათლობის დღეა. წავიდეთ, დავლიოთ!

არა, ახლა ამის გუნებაზე არ ვიყავი.

ჯორჯანო ბაგნო

ამას წინათ ხელთ ჩამივარდა ერთი ბიოგრაფიული რომანი, რომელშიაც აღწერილია დიდი ვენეციელის — ჯორჯანო ბრუნოს — ცხოვრება. ავტორს მდიდარი მასალა გამოუყენებია თავის წიგნში, მისი შემეცნებითი მნიშვნელობა ექვს გარეშეა და ამასთანავე აღსანიშნავია ის მხატვრული ღირსებანი, რომელიც ნაწარმოებს ახლავს.

ყურადღებით ვკითხულობდი და სულ მოველოდი, რომ ავტორი, რომელიც დეტალებში სახარბიელო ტალანტს იჩენდა, მისთვის ჩვეული ძლიერებით გადმოსცემდა იმ მომენტსაც, როცა მთავარი ინკვიზიტორი უკანასკნელად ელაპარაკება ჯორჯანო ბრუნოს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი მოლოდინი ამოვ გამოდგა. ის სცენა წიგნში არ აღმოჩნდა. ვერ ვიფიქრე, იქნებ, გამოპარჩა მეტეი, ხელმეორედ გადავფურცლე, გულდასმით თვალი ჩავაელე ყველგან და მაინც ვერსად ვიპოვე.

თვალწინ მედგა, კარგად მახსოვდა ის საბედისწერო ბოლო შეხვედრა და ინკვიზიტორის სიტყვები. ოღონდ საიდან? სად მქონდა ამოკითხული?

ბოლოს, როგორც იქნა, მომაგონდა: ერთხელ, რაღაც ძველი ჟურნალების დასტას ექექავდი, ნარევეში წავაწყდი იმ ამბავს. არ ვიცი, თვითონ ჟურნალს რა ისტორიულ წყაროთი ესარგებლნა, მაგრამ მასალა იმდენად საყურადღებო იყო, რომ, ჩემი აზრით, რომანის ავტორს ის არ უნდა გამოარჩენოდა.

ვერ დაგვირდებით, რომ მოვახერხებ ნარევეში ამოკითხული ზუსტად გავემორო, მაგრამ რამდენადაც მესხიერება ამის საშუალებას მაძლევს, შევეცდები, რაც შეიძლება, ვრცლად გადმოგეთ.

ინკვიზიციის დარბაზში, სადაც სასამართლოს პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა, სიტყე იყო. გულით სნეული მთავარი ინკვიზიტორი ცუდად გრძნობდა თავს უპაერო, სულის შემხუთველ სარდაფში დიდხანს ყოფნის გა-

მო, რაღაც გადაულაპარაკებულად, თავის ოთახში შესასვლელ კიბეს აპყვავა, ორივე ფანჯარა გააღო და მძიმედ დაეშვა სავარძელში.

ოთახი ტიბროსის კალაპოტს გადაყურებდა და გარედან მდინარის შევებისმომგვრელი სიგრილე აღწევდა.

მთავარი ინკვიზიტორი უგუნებოდ იყო... არასოდეს არ უნახავს ასეთი ჭიუტი და მოუდრეკელი კაცი. რამდენს არ ეცადა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მიადწია საწადელს. შვიდი წლის მანძილზე ვერავითარი წამებით ვერ აიტულა ჯორჯანო ბრუნო უარი ეთქვა ერესზე და ახლაც, როცა მან იცის, რომ წამებით სიკვდილს ვერ აცდება, ერთხელაც არ ცდილა, როგორმე სიცოცხლე მაინც შეენარჩუნებინა... ეშმაკსაც წაუღია მისი თავი, სრულიადაც არ ედარდება, რა ბედი ეწევა, ხვალ იქნება, თუ ზეგ. კონკონზე დაწვავენ, მაგრამ რა გამოვა: რას მიადწევს ამით ინკვიზიცია? აუცილებელი იყო იმ ზომამდე მიეყვანათ გაწამებული ბრალდებული, რომ თვითონვე უარეყო თავისი შრომები და ეთხოვა პატიება. ამის შემდეგ ყველა მისი მეცნიერული შრომა და ქადაგებანი ექვის ქვეშ დადგებოდა ხალხის თვალში, ხოლო წმინდა ინკვიზიცია თავის მოვალეობას მოიხდიდა. თორემ, აბა, რა აზრი ჰქონდა იმ ადამიანის მოსპობას, რომლის სახელი შარავანდელით იყო მოსილი... ცხადია, თუ ჯორჯანო თავის მოძღვრებას არ უარყოფს, წამებით სიკვდილი მხოლოდ კიდევ უფრო აამაღლებს მრავალთა თვალში და მისი აზრები უფრო ფართოდ გაიკვლევენ გზას...

მთავარი ინკვიზიტორი იჭდა ფანჯარასთან და ფართოდ გაღებული პირით სუნთქავდა. სული რომ მოითქვა, გადაწყვიტა, ისევ ქვევით ჩასულიყო. და აი ამ დროს ერთმა აზრმა გაუელევა. ამაზე ფიქრმა კიდევაც გამოაფხიზლა და გაამხნევა. რაღაც იმედის ნაპერწკალმა გაპყვესა თითქოს... მართლაც და, ვინ იცის, იქნებ ახლა მაინც მიადწიოს საწადელს...

ის იყო ადგომა დააპირა, კარი გაიღო და ზღურბლზე კანონიკი გამოჩნდა.

— წმინდა მამაო. — მორიდებით მიმართა კანონიკმა, — თუ ინებებთ, დაესწარიტ განაჩენის კითხვას ან მოაწერეთ ამას ხელი... — გაუწოდა გრავილი ფურცელი, რომელზედაც სასამართლოს განაჩენი ეწერა.

მთავარმა ინკვიზიტორმა არც მიხედა, ისე უთხრა:

— ამოიყვანეთ ჩემთან ჯორდანო... მარტო.

კანონიკმა გაკვირვებით მიაპყრო თვალი... რამდენი წელიწადია ინკვიზიციაში მსახურობს და მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს...

— მარტო — მკაფიოდ გაუშეორა მთავარმა ინკვიზიტორმა და ხელი აუქნია. — წადით!

რამდენიმე წუთის შემდეგ ბრალდებული მასთან იყო ოთახში.

— არაეინ "შემოვიდეს! — ბრძანა მთავარმა ინკვიზიტორმა და ბრუნოს მსლებლებს ანიშნა გასულიყვენ.

ბნელს სარდაფში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ სინათლემ თვალი მოსჭრა ჯორდანოს და სუფთა ჰაერმა გააბრუა. ფანჯარასთან ჩამოჭდარმა, რაფაზე დაასვენა თავი, წუთოდ ჩათვლიმა, მაგრამ მაშინვე ხმა მოესმა:

— შეილო ჩემო, — თითქოს ალერსიანად მიმართა მთავარმა ინკვიზიტორმა, — იმის წინ, სანამ განაჩენს გამოგიცხადებდნენ, — განაჩენი კი ძალიან მკაცრი იქნება, კოცონზე დაწვა მოგელოს, — მინდა უკანასკნელად მოგესაუბრო და თუ შეგატყვევ, რომ ოდნავ მაინც ინანიებ შენ შეცდომებს, ვაძიებლებ სასამართლოს გააბტიონ ყოველივე. ალბათ, იცი, რომ მაქვს ამის უფლება... ნუ ჭიუტობ, შეილო ჩემო, თქვი, რომ შენი აზრები მცდარია. ამ გულახდილი აღიარებით შენს თავსაც გადაარჩენ და მეც მძიმე უღელს შემომსუბუქებ.

ინკვიზიტორს რბილი, დადლილი ხმა ჰქონდა.

— შენ ბოროტად სარგებლობ ჩვენი მოთმინებით, შეილო ჩემო, მაგრამ ამის გამო არ გისაყვედურებ. ჩვენი საღვთო მოვალეობაა სწორ გზაზე დავაყენოთ ადამიანი და მისი სული საუკუნო ტანჯვისაგან ვიხსნათ...

ჯორდანომ ისევ რაფაზე დახარა თავი.

— შენ იძულებულს ხდი წმინდა სასამართლოს მკაცრად მოგვეყრას, — იმავე ხმით განავრძობდა ინკვიზიტორი. — აიძულებ შენივე მიზეზით, შენი გაუტეხლობით და ჭიუტობით... არ გინდა გამოტყვევ, რომ კავშირი გქონდა სატანასთან და მისი ჩაგონებით მოქმედებდი. მაგრამ წმინდა ინკვიზიციისთვის, ზომნათელია ეს... ისმინე ჩემი, არ მინდა სამარადისოდ დაიღუპოს ადამიანის სული, რომელსაც ეშმაკეული დაეუფლა, მომეცი საშუალება ღვთის სასიამოვნო საქმე შევასრულო, უჭარბავე შენი ბოროტი აზრები!

ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი ალერსი გამოეხატა თავის ხმაში და როგორმე დაერწმუნებია ჯორდანო, რომ გულისხმიერებას იჩენდა.

— შეცდომა კი მრავალი გაქვს, უბედურო, ძალიან ბევრი. და, რაც მთავარია, ზეციერის შეურაცხყოფელი... შენ უარყოფ ნამდვილ ღმერთს იმიტომ, რომ არ შეგწევს ძალა მისწვდე მის სიდიადეს და გინდა ის შესცვალო ბუნების შეცნობით, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ნივთებად ქცეულ ღმერთს. შენ აიგივებ ღმერთსა და ბუნებას, მაგრამ ის ზომ ცხადია, რომ ერთი მათგანი უფრო დიდია და ერთმა მათგანმა შექმნა მეორე? სამყაროში შენ აღარ დაუტოვე ღმერთს სამყოფელი ადგილი... ამბობ, ყველა ვარსკვლავზე ადამიანები ცხოვრობენო... მაშ ისე გამოდის, რომ ადამიანი ევასა და ადამისაგან არ წარმოშობილა, როგორც ამას ბიბლია გვაუწყებს... შენი წინამორბედი ვინმე კობერნიკი შეეცადა შეერყია სარწმუნოების საფუძველი, შენ კი ამასაც აღარ ჯერდები და გინდა მთელი შენობა ნანგრევებად აქციო... და, აი, მთელ ამ ერესს აერცელებდი ხალხში, გადაცმუ-

ლი დადიორი ქალაქიდან ქალქში, ხელოსნები, ნაოსნები და ყველა ის ვინც ისედაც უკმაყოფილებას გამოთქვამს ცხოვრებით, გისმენდნენ შენ და შენც სარგებლობდი ამით, უფორიაქებდი მათ სულსა და გულს...

უეცრად ისე ვჩვენა, რომ ჯორდანომ დააპირა რალაც ეპასუხნა, მაშინვე შეწყვიტა სიტყვა, რომ მისთვის ლაპარაკის საშუალება მიეცა: ჯორდანომ მართლაც ასწია თავი, წამიერად შეავლო თვალი, მაგრამ არაფერი. არ უთქვამს და მხოლოდ გადაიხედა ფანჯრიდან... დაინახა დიდი ნაპერი ნათელი ცისა, რაც დიდი ხანია აღარ ენახა. აფრიანი კატარა ნელა მიცურავდა ტიბროსის შუაგულში, მეწამული მზე დაფენოდა ქალაქს. მტრედების გუნდი აიჭრა ჰაერში, გადაუარა მდინარეს და სადღაც შორს, მწვანედ გაშლილ წარაფებში გაუჩინარდა.

ინკვიზიტორმა თვალი მიაშტერა ბრუნოს, დაინახა როგორ გაუღიმა მან სიერცეს, მოთმინებით უცადა ერთხანს და როცა მიხვდა, რომ ის არ აპირებდა ლაპარაკს, გულცივად, მაგრამ თავშეკავებულად უთხრა:

— მგონი, სულ უქმად ვიქაჩანე ამდენი. იქნებ, შენ ისიც არ გაგიგონია, რას გუბუნებოდი. ასე არის, არა?

ბრუნო ახლაც დუმდა. ინკვიზიტორი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისგან ვერაფერს ვაიგონებდა იმასაც მიხვდა, რომ მართლაც ზედმეტი იყო ამ კაცთან იმ გულუბრყვილო საუბრის გამართვაც. ინკვიზიტორი ახლა თავისი თავითაც უკმაყოფილო იყო. შეავლო თვალი ამ გაუტეხელ კაცსა და თან გაიფიქრა, რომ სჯობდა მასთან პირდაპირ და გულახდილად ელაპარკნა. დათაფლული სიტყვა ასეთ კაცთან? რა თქმა უნდა, წყლის ნაყვია და სხვა არაფერი... პო პირდაპირ, სხვა გზა არაა!

— შენ, ალბათ, გგონია, შე ვილაც მიამიტი ვარ, რომ ასეთი წილადობილა გავაბი შენთან. — მთავარ ინკვიზიტორს ახლა ცივი, ეკლიანი ხმა ჰქონდა. — არ იფიქრო, რომ ვინმე ტურტუცი ვი-

ყო. მეც ვიცი, რომ დედამიწა ბრუნავს და ვარსკვლავები ბავშვებზე ცხადმეტყველებს.

ინკვიზიტორი გაღიზიანებული იყო უფრო იმით, რომ აქამდე ერთი სიტყვაც ვერ დააცდენინა ჯორდანოს, არ უნდოდა თავისი თავი გაემქლავნებია და ეთქვა ყველაფერი, რასაც ამ წუთში ფიქრობდა, მაგრამ იძულებული ხდებოდა და ამის გრძნობა კიდევ უფრო ახლებდა.

— მე თითონ კარგად ვიცი, რომ ყოველივე ისეა როგორც შენ ქადაგებ. ნუ გგონია, რომ მეც ერთი იმ გამოთავანებული ბერთაგანი ვარ, რომელიც გუშინ საწამებელ ძელზე ხელებს გიკრავდა, ხოლო დღეს გასამართლებდა, დაწვა მოგისაჯა და დარწმუნებულია, რომ ამით ღმერთის სასიამოვნო საქმე გააკეთა. ისინი ისეთივე უენო პირუტყვები არიან, როგორც სხვა მრავალი, ვისაც ღმერთის სახელი მეწველ ფურად წარმოუდგენია და მისგან სამაგიერო წყალობას მოელას. ისინი მე იმგვარადვე მენიზლებიან, როგორც შენ. ისინი მხოლოდ ბრმა იარაღია, რომელმაც ჩემი და ჩემისთანათა ნებასურვილი უნდა შეასრულოს. შენ ვესმის თუ არა ჩემი? რაფაზე დამზობილი ბრუნო ისევ მკვლმარედ იყო.

— შენზე უკეთ ვიცი, რომ სამოთხე, აღამი და ევა ზღაპარია და მხოლოდ ბრყვი ვინმე თუ დაიჯერებს ამას. მე შენზე უკეთესად ვიცი, რომ არავითარი ანგელოსები არ დაფრინავენ ცაში და ყველა ის მიქელ-გაბრიელუბი ხნედიანი წინასწარმეტყველების ბოდვია და სხვა არაფერი. მაგრამ რატომ გინდა შენ წართვა ხალხს ამის რწმენა? რატომ გინდა მოუსპო რწმენა, რომელიც თოკავს მათ? აღამიანი ნადირზე უფრო საშიში ხდება, როცა ის არ გრძნობს, რომ ლაყუნებში ლაგამი აქვს ამოდებული. მათ აოკებს ღვთის წინაშე შიში, თორემ ისინი თუ თავის ნებაზე მიუშვი, მზად არიან ერთმანეთს ყელი გამოლადრონ. ღვთის სახელის საფარველით ისინი სა-

ომრად მიდიან ერთმანეთზე, არ ეზოგებთ ყრმა, მოხუცი, ქალი და გმირებად თვლიან მათ ვინც ადამიანთა მეტ რიცხვს გამოასალმებს სიცოცხლეს. სწვავენ ქალაქებს, დათესილ ყანებს, ფერფლად აქცევენ ყოველივეს, რაც წინ გადაეღობებათ. და თუ ამას სჩადიან ღვთის სახელით, რაღა იქნება იმის შემდეგ, როცა იმ ღვთის წინაშე შიშსაც დაკარგავენ და მეორე ცხოვრებაში სამარადისო წამებაზე ფიქრი აღარ შეზღუდავს მათ? ვიფიქრია ამაზე, მითხარი, გიფიქრია ამაზე?

იგრძნო, რომ გული ძლიერ უცემდა და წუთით შეისვენა.

— შენ ამბობ, სამყარო უსასრულო არისო, — ნელა განაგრძო, მაგრამ თანდათან, მისდა უნებურად, ხმას უმატა.

— დიახ, უსასრულოა და სწორედ ამიტომ ჩვენ განზრახ გავამარტივეთ მასზე წარმოდგენა, ვინაიდან ადამიანის გონება, ვერაეითარი მეცნიერება ვერასოდეს ვერ მიწვდება სამყაროს საიდუმლოებას. რაც მეტს გაიგებს, მით უფრო დარწმუნდება, რომ უფრო რთულია მისი გამოცნობა. ჩვენ გამოვიგონეთ ღმერთი, რომ ადამიანის გონება ამით მოსვენებას მისცემოდა, შენ კი ვინდა ადამიანს ეს უკანასკნელი თავშესაფარი და იმედი წაართვა. შენ არ გებრალებია ადამიანი და შენი მეცნიერებით მხოლოდ უფრო ღრმად შეგყავს იგი იმ დაბურულ ტევრში და აუბედურებ. რას მისცემს მათ შენი მეცნიერება, რას?

ის უკვე ვეღარ იკავებდა თავს. დაბორცავდა ოთახში, გაჩერდებოდა ხოლმე ჯორჯანოს წინ და როცა ხედავდა, რომ ის ისევ თვლემდა ფანჯრის რაფაზე თავდახრილი, ძლივს იკავებდა თავს, რომ არ სცემოდა მხრებში და არ შეენჯღრია.

— რას მისცემს ადამიანს სამაგიეროდ შენი მეცნიერება? სულთერ სიმშვიდეს, თუ უიმედობას და სასოწარკვეთილებას? იმის წარმოდგენას, რომ წამიერა

ქია-ლუა არის და სხვა არაფერა, რომ მისი სხეული გამანოყაერებელი მქონია და სხვა არაფერი? რომ უკვდიელი სული არა აქვს? შენ ღირსება დაუქარგე ჩვენს დედამიწასაც და ჩამოაცილე შარავანდელი. შენი აზრები ხანძარს გაღვივებენ მთელ ქვეყანაზე, ფერფლად აქცევენ სოფლებსა და ქალაქებს. უბრალოდ სიკვდილსაც კი სანატრელად გაუხდით მათ, ვინც სიცოცხლეს შეხალისებდა. შენ ადამიანის სიყვარული კი არა სიძულვილი გამოქმედებდა. შენ ბოროტი ხარ, რადგან ყველა ილუზიას ართმევს საწუთროში. რას აძლევ ხალხს სამაგიეროდ? რას პირდები ჰო, რას? რას გაჩუქებულხარ? მიპასუხე ამაზე! მითხარი!

მთავარი ინკვიზიტორი აღარც ცდილობდა დაემაღა თავისი ბრახი.

— მითხარი! მითხარი! — ყვიროდა მთელი ხმით, ძარღვები დასჭიმოდა კისერზე, ხორციანი სახე წითლად წამოწითებული ჰქონდა, აი, აგერაც სისხლი აუქარდებოდა თავში და მაინც ვერ შეემაგრებინა თავი.

მისი ყვირილი გარეთ გაიგონეს და რამდენიმე ბევრი შეშინებული შემოიჭრა ოთახში.

— წაიყვანეთ, გაათრიეთ აქედან! — ხელი მიაშვირა რაფას მისვენებულ ჯორჯანოზე. — გაათრიეთ ეგ სატანა! — ყვიროდა და ბობოქრობდა მანამდე, სანამ მარტო არ დარჩა.

აი ის ეპიზოდი, რომელიც ძველი ქურნალის ნარევი ამოვიკითხე და რომლის შესახებ არაფერი არ ეწერა რომანში. ნარევი ეს ამბავი, ცხადია, უფრო ვრცლად და საინტერესოდ იყო მოთხრობილი, ვერ შევძელი ზუსტად მისი გადმოცემა. მაგრამ იმით ვნუგეშობ, რომ რამდენადაც შესიერებამ საშუალება მომცა, თქვენც ვაგაცანით ის მივიწყებული მასალა, რომელიც ჯორჯანო ბრუნოს შარავანდელს თუ არ შემატებს, თორემ არაფერს დააკლებს.

პარო პარაძე

მედინადი⁸

ახეზური პოემა

• • •

დარჩა ხალხის ჩეულები
და ჩარდახის
გადაფოფრილ ფრთებქვეშა გრძელი სეფა.
უბედური არა ჰქვია, ვისაც ხალხის
კრემლის ერთი წვეთი მაინც ეღიბსება,
ხმელ პურს
ისეუ გააცოცხლებს სისხლით ღვინო,
მიიბარა მიწამ ნეტარ-ხსენებული,
მაგრამ სტუმარს როგორ გინდა ვაუღიშო—
მხოლოდ გლოვა თუ აჩვენე ჩვენებური?!
და მე ვდარდობ,
მედი მაშინ რო? ვერ მოვა,
როცა ღვინო აამღე-ებს თვით ამ სოფელს...
მას კი უნდა დამარწმუნოს, რომ, ეს გლოვა
სწორედ უფრო ჰგავს სიცოცხლის საგალობელს.
მართლაც რაა, რა გვაღელვებს,
დიდი დიდი—
სახელის და ხსოვნის ერთი ნატამალი!..
ვთქვი და მივხვდი, რომ აქ ვეღარ დავიციდიდი,
ავირჩიე ის-ვე ლაღი მთად-ბარბი.
მზის ჩ სელ-მდე შარა-გზაზე გავოფედი.
ვღუშვარ.
განგებ არ ვაჩაღებ ჩამქრალ ხალხის.
ჩემად ვმართავთ საქს მე და მისის მედი,
ჩემად ფიქრის გასართველად. ხან მე, ხან ის.
და გზადაგზა თარჯიმანიც აღარ გვაწვდის
აქეთ-იქით
სიტყვის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბწყარებს,
ღღის ბინდ ბუნდში გადაწოლილ კოდორს გავცდით,
გზა წინ თვითონ მიისწრაფის. გზა გვაწუნარებს!
კელასურის
ხიდთან უკვე ღამე იდგა,
როცა სოხუმს მივანათეთ შორი მზერა.
ფიქრმა თითქმის ყველაფერი მიგვაფიწყა.
და მანქანაც კიბებთან შეგვიჩერა.

ვარ სასტუმროს აივანზე,
მარცხნივ.

სადაც ორ ანთებულ სარკმელს ხედავთ.
სახლი სტუმარ-მასპინძელით არი საესე,
მაგრამ ყველგან კარი უკვე ჩაუკეტავთ.
უკვე ძილის და სიმშვიდის საათია,

ქუჩა-ქუჩა

ხმას არ იღებს ქვა და ჩრდილი.

სადაც ღამე ვერც ვარსკვლავმა გაათია—
გამოსულა ცად ჩემავით გადაღლილი.
ქვაფენილსაც უფრო მკრთალი ფერი აძევს,
აქამდე კი ალაგ-ალაგ ედგა სუფრა,
საათობით

რომ სოხუმელ ბერიკაცებს
ესვა ყავა, ესაუბრა.

ბალის პირად

ალარც ლუდის მშემლნი დგანან
და არც ლუდით მოვაჭრენი.

შოსეირნე ჭრელი კაბის განდაგანაც
გაპქრა!—სკამზე გადაჰკიდეს ქობა-ჭრელი...

შუქი მხოლოდ შერჩა „ამრა“-ს

და ტივტივით.

იმ სარკეში იხედება წარა-მარა,
სადაც შუქი ხელით ნასროლ ნამცეცივით
ზღვამ თევზების სათამაშოდ გადაშალა.

სძინავთ. სძინავთ .. და ამ მძინარ

ქალაქს ადგას ღამე თავის ღრუბლის დროშით.
აივანსაც ვტოვებ.

ჩუმად ჩამოვდივარ,

სიჩუმეა მრავალსართულ სასტუმროში.

სძინავს, ვიცი, მესამოცე ოთახს, ბნელა.

მე კი ბნელსაც აღარ უნდა დამაძინოს—

თან დამყვება ნელა-ნელა

თავისთავთან მოკამათეს, სასაცილოს!

უნდა გითხრათ,

საკვირველი რამ ყოფილა

მართლაც ეშხი. თურმე, შენზე უფროს ქალის!

იცი, სადაც ჯინი რომ არ ჩაჭრობილა

და ამ ჯინის აღმოჩენა გმატებს ხალისს.

შეც დაგხარჯე ამ ცხოვრების მესამედი,

მაგრამ აგრე გულს არაეინ მორევია,

ისე როგორც

შისის მედი, მისის მედი,

სხვა სახელი მე არ მიმეორებია!

რა სიმართლეც გააჩნია და რაც ამკობს—

თეატრს როგორ მივაწერო,



ან და პარიზს?!

არა, მედი გულახდილად ლაპარაკობს
 მოყვარული ჩენი ლამაზ მთადაბარის!
 სძინავს ახლა, უკანასკნელ ლამეს ათევს,
 გაფრენამდე დარჩა ერთადერთი დილა!
 ვერ მიგწვდები
 ნუთუ იმის გულისნადებს,
 ჩემი გული ნუთუ განგებ აიცილინა?!
 ხეთა მაღალ მწკრივში ერთი მაინც ვიყო,
 მეღის მაღალ სარკმელს ვუდგე დარაჯივით!—
 თორემ

ქუჩის ქვათა შორის რა გავიგო—
 თუ რამ გეტკივია—არასოდეს არა ვჩივით...
 რა ლამაზი ბაღნარია
 და რა მყუდრო —
 რა ზღაპრულად განაბული,
 ო, ეს ღამე საოცარი არი უფრო
 ვინემ ათას ერთი ღამე არაბული.
 ქუჩა ქუჩა, ნაპირ-ნაპირ,
 შავი-ზღვისკენ
 მივდივარ და მეც არ ვიცი სად მივდივარ.
 ვერც სახე და ვერც სახელი დავიფიწყე —
 ზღვამ ვარსკვლავის ნათელივით ატივტივია...
 და შორიდან,

უცებ: როგორც გულის ფეთქვა,
 ახშიანდა, ვხედავ, წვრილი ქუსლით ქუჩა.
 ჩაბი-ჩუმით არაფერი რომ არ მეთქვა—
 მორიდებამ იქვე ჩრდილში მიმაყუჩა.
 მოდის, მაგრამ არა ვინმე დარდიმანდი,
 მოდის, მაგრამ უცხო ფეხის ხმა კი არა—
 მოდის მედი!
 მარტოდ-მარტო როგორც დარდი,
 ჩემი ლანდიც კი ვერ იცნო—ჩაშიარა...
 ჩამიარა.

და რას ვიყვი, როგორია
 უცნაური საქციელი და ბუნება,—
 ქალი, ახლა მუა ძილში რომ მგონია—
 ვნახე მისი სასტუმროში დაბრუნება!..

* * *

დღიდანვე

წვიმს, და ჩუმად ჩემთვის ვწევარ.

მზე დანისლულ მთების იქით დარჩა უცებ.

წვიმს, და ღია ფანჯარაში რტო ირწევია

ისე, თითქოს მაჯა უცემს.

მეც იმ წვეთებს დავადევნო მინდა ბწკარი—

მავთულიდან

მავთულზე რომ გადადიან...



მაგრამ რეკავს

ტელეფონის მკვირცხლი ზარი,

აღზად უკვე მეთერთმეტე საათია.

აღზად ფიქრობს თარჯიმანი ქალი:

„გაწყრა,

რომ უდროოდ გავაღვიძე...“

არა, ზარმა მხოლოდ ფიქრი გამოიკაწრა,

ავდემქ წალა დაუხდელი როგორც ვიწვექ...

ჩემი უცხო სტუმარი და ჩემი დარდი,

ჩემი შმაგი მოხალისე თმა-ჭალარა,—

ვიდრე თვითონ შეგნიშნავდი,

ამბობს:

— არა, ალტაცებამ არ დამლალა!—

რა იქნება, საიდუმლო მე გამანდოს,

მითხრას, რამ არ დააძინა იგი წუხელ,

საკამათო თუ აჭვს,

მზად ვარ შეკამათოს,—

და თუ არა—არ ვაწუხებ!

დღეს შილიფი ტანსაცმელი უფრო შეგნის,

ტანს ხან ელვა გაუნათებს,

ხან ბინდდება,

თორმეტსა და ოცზე უკვე ბილეთს ელის,

ურჩევნია: დღეს თუ სულ არ გაფრინდება!

და ვით წვიმა,

ისე დარი ნაწვიმარი,

დღეს მეტადრე გ-ლმინდობით გვასაუბრებს,

ტელეფონის ზარს ყურს უგდებს თარჯიმანი,

ჩვენ კი ცას და

ზენა-ქარით შეყ-ილ ღრუბლებს.

თორმეტსა და ოცზე სწორედ

სული უფრო ამოვითქვით თავისუფლად:

ზარის ნაცვლად ცის ქუხილი გავგონეთ,

ყვავილივით გაიშალა მრგვალი სუფრა.

ვალეზთ კარს და ვხედვით სტუმრებს, ალტაცება

რა თქმა უნდა,

მედის ვერც აქ დავასწარი, —

თან ჩერქეზი ნოიყანეს აფხაზებმა

და ჩერქეზი ახალგაზრდაც გავაცანი.

— აქ საწუთრო არის ჩვენი თუ სასტუმრო,

რადგან წვიმა გვაიძულებს—უნდა ვიდგეთ!

ამბობს ფრანგი მსახიობი და მას უფრო

მოსწონს, ვატყობ, რომ წვიმაშიც მოვაკითხეთ.

წვიმს და კაცი არასოდეს არ ინალელებ

ასე ხმა-ტკბილ-სასაუბროდ

სულ რომ წვიმდეს, —

დახრილ წამწამს წყრომით როგორ აიმაღლებ,

გული როგორ დაგიმომიდეს!

მისის მედიმ მისახივით იცის ვინ ვართ,



არც დამალვ გვიფიქრია,
 არც გახელა,
 მაგრამ ჩვენმა „ერაიდამ“ გააკვირვა
 და ცხ-ე-ების სიყვარულმა აამღერა.
 თქვა, რომ არცერთ მქადაგებლის არა მჯერა,
 არც რადიო ლალადისის!
 აქ კი მართლაც
 ბრძოლაა და ვადაჩენა,
 ერთი მუჭა ხალხის სიტყვა ლალად ისმის!
 აფხაზს
 პირველ სიტყვით ვიცნობ უეჭველად,
 ტუჩის ქიმი უაღ ისე ებერება,
 თითქოს შედეგად სალამურის დასაკრებლად
 და სულის თქმით
 მხოლოდ შენ ერთს გეფერება!
 არ მეგონა, თუ ვნახავდი ამგვარ სურათს,
 წუთმა თითქოს სიზმარს იქით გამაღვიძა:
 გვეწერს, გვიმღერის
 და გვეძახის აფხაზურად
 წიგნი, სცენა. ცა და მიწა!
 დამსხვრევია შუბი წუბილს,
 რომანოვთა ბორკილები დაღეწილა!
 ... და გვიცინის მისის მედი,
 ელვა ქუბილს
 ბნელ ღრუბლებში ჩვენთან ერთად გაეცინა.
 ჩვენს ამბავში ჩაერია ზეცა თითქოს,
 ხან საფრენი დარი არის, ხან აედარი —
 ტელეფონიც არ დარეკავს, რომ შეიტყოს
 როგორ ვუმზერ გულ-დაიწყდარი.
 და აქ უცებ,
 რომ არ იცი ისე რისთვის,
 დარს დასჭირდა ბედ უკუღმა ეტრიალა, —
 რეკავს ხარი და აერო-პორტი გვიცდის.
 სულ ხუთმეტი წუთის გზაა, მეტი არა...

• • •

ერთხელ კიდევ.

უნებლიეთ. ერთხელ კიდევ:

შემაჩერებს თვითმფრინავის ფრთებზე ქალი,

ყვავილებით სავსე მკლავში ხელს ჩაკვიდებ,

ერთხელ კიდევ დაიწვავს ჩუმი ნაპერწკალი.

— დამჩა, — ვამბობ, საიდუმლო საუკუნოდ! —

ის კი ღიმილს ოსტატურად მოიშველვის:

— თქვენ რა?

უფრო მედის გინდათ გაუგონოთ,

თუ ამ ბარათს?! —



და ბარათის ყურს მიჩვენებს...

მოლოდინი გულშიც რომ ვერ გაივლებდა
ხედა ისეთი სიხარული ჩემს ბრმა თითებს:

„— ვერ დავტოვებ

ბარათს მე ამ ყვ. ვილებთან—

ყვ. ვილების ცეცხლი ცეცხლს ვერ წამიკიდებს!“

თუ აქამდე სულ არაფერს არ მიიხედა,

ახლა რაა, წასაკითხად რა დამითმო?..

მეფერება საფეთქელის ქვემოთ, ყელთან,

სუნთქვა მისი,

მისი ტუჩის ჩუმი სითბო!

ვახელ თვალს და გვიანდაა,

დავჩი სახტად.

თვითმფრინავის ფრთებქვეშ უკაე მარტო ვღგეგარ.

კარებს კიბეც მოაცილეს. შორი გახდა

მისის მედი, თარჯიმანი, ხელის რხევა...

მარტო ვღგეგარ. ცას გავეტყერი,

თვითმფრინავის ნიაგ-ქაოთ გაწეწილი.

მაიმედებს

ახლა მხოლოდ ხელთნაწერი

სასოებით ხელის-გულში ჩაკეცილი.

თითქოს ღრუბლებდაფლეთილი ცა გაიღო

და ძირს მხოლოდ ამოსუნთქვა დარჩა მისი,

მისის მედი

თითქოს იყო, და არ იყო,—

როგორც მუდამ ქართულ ზღაპრის დააწყისი...

• • •

.... არა, ფრაზის ჭალი არ ვარ, თუმცა ფრანგულად

ვწერ ამ ბარათს, ერთი ვინმე უანბანო,—

ვწერ ამ ბარათს,

რადგან ბედმა რაც მარჯუნა—

ალარ მინდა ისიც მიწას მიიბარონ...

მყავდა ერთ ღროს ინგლისელი ქმარი, მაგრამ,

ინგლისელი როდი ვიყავ მისის მედი!

ვერ მიშველა სიძულველმა,

და ვერც გაყრამ.

თორემ თვითონ სულ სხვა სახელს დავირქევედი.

მე თუ სიზმრად მაინც მახსოვს დედის ნანა,

ამდენი ხნის შედეგ

სასახელოც არი!

პაპა მზრდიდა. თათრის ომში მოჰკლეს მამა—

იყო ველურ დიეზის ცხენოსანი ..

სიდუხჭირით იმედს როდი გადავიწყვეტ,

ააგანებოდ გავიხსენე ბედი მათი,

დაივიწყეთ მისის მედი, დაივიწყეთ!—



ახლა თქვენს წინ გაიღვებს მედინადი!
 ჯერ შეიდი წლის გოგონაა, თვალს რომ ახელს—
 ყოველ მნახველს

წაბლის ბუბი ეგონება!
 (სწორედ ჩემდა სავალალოდ დაინახეს,
 სიკვდილამდე დასაწყევლად მეყოლება...)

მედინადი დაოაის წითელ კაბით,
 ფეხშიშველი,

ბიჯის კლდეებ-შუა იგნებს,
 შოლტის ქნევით, შეძახილით და სისწრაფით
 მთიდან მთაზე კურკიყვით დასდევს თიქნებს!
 დაბლა უღრავს ო-წოხების ღრენა ისმის,
 სადაც კოდორს ხევი თავქვე გ-დულახავს.
 მედინადმა

ჯერ ანბანიც კი არ იცის,
 ზღვაა აქვე და ზღვისპირი არ უნახავს!
 ნან არ იცის,

მაღალ ხეებს რატომ ჭრინ,
 ხეს რა დარდი მიაქვს ხევ-ხევ, თითო-თითოს!
 რომელ ფ-ანგს და იტალიელს უვაჭ-ია,
 რომ ეს ხე ტყე ზღვამდე ასე გაიზიდოს.

არა. მათ არ გაქცევია დაფეთებით,
 და არც ნდობით მოუხიბლავთ მისი თვალი-
 ხელთათმანით,

ფოჩიანი კამფეტებით
 შეეჩვია მხოლოდ ერთი თეთრი ქალი.

ახლა ხედავს,

უდარდელად სერზე მდგომმა
 თუ ვის ანდო მოწონება თვალ წამწამის...
 მხოლოდ ო-მა ნაბდინმა, მხოლოდ ორმა
 იცის მთელი საიდუმლო იმ ერთ წამსა...

მწყემსი გოგო რა ღირს, რაა საფასუ-ი,
 შეისყიდოს ვის მოუფა აბა აზრად?!

და ბილიკზე კი საღანოს

აგაკურს

ხელი დახვდა, რომ ცხენდაცხენ გაეტაცნათ!

შეუდევს ალბათ კვალს ექებდა მოხუცი და
 შეილიშვილი ტკივილივით ჩარჩა გულში,
 ვერც გაიგო,

სადღაც გემი რომ უცდიდა.

გოგოს კანდელ-ჩაბნელებულ ნავთსადგურში.

დაიკარგა ფეხნამტეკა კვალი მწყემსას,

მაშინ აბა, რა ესმოდა მას იმდენა,

მხოლოდ ახლა,

ამდენი ხნის შეუდევს ესმის

მისის მედის, ვითარება მაშინდელი.

ომი იყო. ბორკილს ღრღნიდა უკვე ეანგი

და უცხოელთ მოელოდა აქაც აყრა,



ცხრაასჩვიდმე — შეუშინდა ალბათ ფრანგი,
 რომ აქ მისი ლანდიც გაქრა
 და ვით ხარი შეიდგერ მვიდი წელიწადის
 ჩემს გამყიდველს ჩემი კრულვა არ აკლია...
 ანაკლია დარდი იყო მედინადის.
 ანიტომაც ავირჩიე ანაკლია..."
 დახე, დახე, რა ადვილად მოგისყიდეს
 ქრელი კაბით
 და ქრელ ქრელი კაკილებით!
 ცრულის კურცხალს მიემატა ბრწყინვა კიდევ
 შენი პირველ გაღიმებით...
 შენი რაა, რომ განცხრომით გაახარო,
 გოგოვ, შენი დალუპველი დედობილი!
 არა, ჩემო სიყმაწვილეც,
 არა, ქლო,
 ის არასდროს არ იქნება შენდობილი!
 წლიდან წლამდე,
 განუწყვეტლივ. ზღვიდან ზღვამდე
 სეირნობამ მიგაფიწყა შენი ენა,
 და გააღღღმაც მოინდოდა, არ განსხვავდე,
 შეგაყვარა მწარე ვისკის სმა და სცენა!
 თუ შენს ლამაზ დაქალებას იგონებდე,
 მოიგონე ანეოიკის ქალაქებიც,
 სადაც დრტვინვით
 გულს დღეები გილონებდნენ,
 თუმცა დღეებს ესწრაფოდი გალაღებით...
 რომელ კიდან რომელ ცამდე, რომელ დილის
 დარი იყო თუ აგდარი—
 რომ არ ნახეთ,—
 თქვენს ცხოვრებას ვიდრე ვილაც გულკეთილის
 სიყვარული ჰყავდა ერთგულ მოკარნახეთ.
 აკი ერთხელ გაპქრა ოქრო — მეგობარიც,
 და მდიდრული ნეტარება იქაც გლოვად,—
 აღჭირიდან
 ბრუნ ებოდით მგონი პარიზს.
 მამობილმა ლისაბონში მიკატოვათ!
 მაშინ უკვე მსახიობი ქალი გერქვა,
 შეითვისე სხვისი ხმა და სხვისად ჩანდი,
 არ შეგეძლო ოლონდ შენი ენით გეთქვა,
 ვინ გიყვარდა, სულ უბრალოდ:
 ვის უყვარდი!
 ო, რამდენი წელიწადი, ბედის ცდაში
 ბნელ ლამეებს
 წაეწერა ვით შავ დაფას,
 მაგრამ რაა ყვავილები, სცენა, ტაში—
 გინდ უცხოეთს დარჩენია, გინდ ჯანდაბას!
 არა, ხალხის მკვიდრი შევლი რაკი არ ხარ,
 მოგონებაც დაიფაროს დაე სევდით!



შენ ხომ

ღელვით გაქალარდი როგორც ტალღა—

მიტოვებულ ნაპირს როცა დაეძებდი!

და თუმცა-ღა

ბოლოს შენი თვალით ნახე

შენი ერთი მუჟა ხალხის ცა ნათელი—

უფრო იგრძენ საკუთარი სივავლაზე,

სიყმაწვილე უცხო ქუსლით განათელი!

უფრო იგრძენ, გაორებით რამ დაგტანჯა,

და რა? დასძრა

ნაპირისკენ წენი დარდი,—

მისის მედი კვლავ შავი-ზღვის გაღმა დარჩა

და გამოღმა — მედინადი...

არა, ჩემო სიყმაწვილე, ჩემო ყველავე,

უკვე თვალს ვერ გაუსწორებ თვალთა ციმციმს!

და რაც უფრო მეტად მოგწონს,

მეტად ღელავ,

ვინ ხარ, ვინმეს გაუმხილო უფრო გიჟიძის...

გსურდა ღვინის ყოფილიყავ მონაწილე,

გსურდა, მაგრამ

შათან ერთად ვერ ამღერდი.

მედინადო, მისის მედი რომ გასწირე—

ეგ სიცოცხლის იმედია ერთადერთი!

შენ მედეაც გერქვა, იცი მისი ზრახვა,

გასჭერ ისევ უბედობა და ბინდ-ბუნდი!

თუ დასტოვებ ისევ კოლხეთს

და თუ წახვალ—

მწუხარებაე, სიხარულად დამიბრუნდი!

შენ იცოდე,

შენ აფხაზი ქალი თუ ხარ,

თუ ხარ სისხლის დაქარგული ერთი წვეთი,

უთვისტომო თუ ხარ ისევ და არ სწუხარ—

ეგ სიცოცხლე არის ძარღვებ დასაწყვეტი!

უცხოელთა სულს როგორ-ღა უაღერსებ,

შენი თვალის აფხაზური შენათებით,

შენიანთა ვაშას ქალი თუ არ ეძებ,

სათვალავში

შენს ხალხს თუ არ ემატები!

შენ ხარ თვითონ ხომ შენივე მოსისხარი,

ეგ ამაო ცეცხლი რად ვერ ჩაგიქვრია!

როცა იღებ ხელში ხანჯალს კოლხის ქალი

და მედეა

წენს აღვზნებულ გრძნობას ჰქვია—

განა მხოლოდ კამათია სწორთან სწორის,

განა მხოლოდ სიყვარული გტანჯავს დიდად,—

გახსოვს, გახსოვს?

ნეტარება იაზონის—

პატარები წაგართვა და მტრებად ზრდიდა!



შხამად იქცა ეშხი კოლხურ ყვავილებს?—
 დე, შავი-ზღვაც
 გააგებნით ჰგავდეს შავეთს!
 განა შვილებს გასწირავდი შმაგი ვნებით—
 რომ გაჩენის დღეს არ თვლიდე დამნაშავედ!
 განა მტრობა იაზონის გვარში არ ჩანს?
 იცი, სანტროდ სისხლი შვილთაც აემღვრევა...
 სხვა რა გზაა,
 მედინადო, ენდე ხანჯალს
 და შედეგა გამპარჯებულს დაერქმევა!..“

• • •

... აქ შთაგრდება დავა.
 შემდეგ მისის მედი
 ტახილი სიტყვით მეთხოვება როგორც მეგზურს.
 ვიმეორო— არა არის რა, ისეთი,
 შეგაწუხოთ აღარც მე მსურს.
 სიზმარივით გაჰქრა ქალი!.. და შით უფრო
 თავის ქებად, ვფიქრობ, არეინ ჩამომართმევს,—
 მწერს, რომ ნდობით
 მისი გულის საიდუმლო
 დამიტოვა როგორც ძმას და როგორც ქართველს.
 ახლო იყო და სიშორეს ვერ ვიტანდი,
 დაშორებით ცეცხლი უფრო გამიმწვავა.
 ბარათს ბოლოს აწერია—მედინადი,
 და განდაგან: ასთამურის გვარისა ვარ!

1962 წ.
 აგუძერა

მოსია ჩხიშიძე

ა ზ ა მ ბ ა რ ი

ჩემი სოფლის ეტოულებიდან

ნათელი ღამის ცას ეწია სიხარულითა, ამხანაგები ესტუმრნენ, გაფხორილკაბიანი, ცეცხლისფერად თმაშედენილი ქალიშვილები და ჩაშავებული, ჭრელჭრულხალათიანი, კანტებჩაყოლებულშარვლიანი ვაჟები. რაც შეეხება შევსათვალეს, — ყველას ეკეთა, სხვადასხვა მოყვანილობისა, სხვადასხვაწიანი ჩარჩოიანი. ეს არც თუ ისე უმნიშვნელო რამ გახლდათ, უცხო თვალისათვის ყველა ერთმანეთსა ჰგავდა, ყველა ერთნაირი იყო და მხოლოდ სათვალთ თუ განასხვავებდა ერთიმეორისაგან, ნათელას მამა, მავალითად, სწორედ სათვალის მიხედვით მიეჩნია, დედაც აგრეთვე, სახელებიც სათვალეთა მიხედვით დაისწავლეს, გვარებიცა, ისიც, თუ ვისი შვილები იყვნენ. მართალია, მალე ყველა და ყველაფერი ერთმანეთში აერიათ, მაგრამ ესეც ბევრი არაფერი, მთავარი სუფრა გახლდათ, მთავარი და მთავარზე მთავარი, იქ დაფასდებოდა მასპინძელიცა, სტუმარიცა, იქ ყველას მიეცემოდა თავისი ეშხი, თავისი მადლი, იმ დალოცვილ სუფრაზე, იმ გაუტეხელ მამაბაბურ ადართზე. ჰოდა სათვალეებისა თუ ნიღბების გარჩევას თავი მიანებეს მასპინძლებმა, დაპროწიადნენ, დაკოწიადნენ, სახლისკაცებიც ქოჩორზე დაატრიალეს და ისეთი სუფრა გაშალეს, ავის თვალთ არ ინახვოდა... სუფრა ახალ სახლში გაშალეს, ძველიც ჰქონდათ, დასაგრევეს მისულიყო, მაინც ვერ ელეოდნენ, სტუმარი იმიტომაც უხაროდათ, ახალ სახლში შესვლა ეღირსებოდათ ხოლმე. თუმცა ეს ისე, სხვათა შორის თქვა,

ნურც დიდად გაიკვირებთ, ნურც რაიმე კუდს გამოაბამთ; ერთი სიტყვით ამოქმედდა გერმანული დგამებით მრწყობილი სასტუმრო ოთახი. ესეც იცოდეთ, იქვე ფრანგული სარკვე იდგა, შიგა ბზინავდა გერმანული ვიტრინა ათასგვარი ბროლეულითა. ესეც სხვათა შორის იყოს, თორემ ისე აბა რა სახსენებელია, რა იდგა, თუ სად იდგა, მთავარი სუფრა გახლდათ და აქი მოგახსენეთ, ავის თვალთ არ ინახვოდა-მეთქი...

ჰო, ეს მოგახსენეთ, ახლა აი რა უნდა იცოდეთ:

მასპინძელს წინდახედულ კაცად იცნობდნენ და ამ შემთხვევაშიც, ბარემ ხარჯი ხარჯიანო, ერთი ვეკილი, ერთი ვეკიმი და ერთი დაზღვევის ინსპექციის თანამშრომელიც მოიწვია. ისანი სააგარაკოდ ჩამოსულიყვნენ, ორღობეებში ხედნოდნენ ხოლმე დილის ხალათებითა, — ჰო, დილის ხალათებითა, რა დროც უნდა ყოფილაყო. თუმცა მტრის კარსაც შესჩვევიან ცალ-ცალკეცა და ერთადაცაო, მაგრამ ეშმაკი წყლისფერია, ვინ იცის, როდის რა დაგვირდება, როდის რა გამოგიტყვრება, ჰოდა, იმთაც იცოდნენ ჩემი ჰურმარლის გემო. იტყვიან, მართლაც წინდახედული ყოფილაო. თუმცა ამბავს უფრო ელოდებით და ამბავიც ასე გამოინასკვა, — თავისი ფეხით ეახლა, თვითონვე მოუძღვა, ბიძაშვილიც იხმო, თავში დასვა თამადადა, ახლა შენ იცი და შენმა ბავშვებმა, შენი ხმალი და ჩემი კისერი, ბიძანე, რაც ვინდაიდეს, აღსრულება ჩემზე იყოს, ოღონდ ერთი საინტორიო ბური აქამე ამ პატიოსან ხალხსაო. მამ

ეს წვრილფეხა ბროლები ალაგეთ, ნათალი ჭიქები ჩამოარიგეთო, ბრძანა თამადამა. ვეჭიღმა თქვა, სულ ერთიაო, ექიმმა თქვა, ეს უფრო ესთეტიკურიაო. ვაყებმაც აიტაცეს, ეს უფრო ესთეტიკურიაო. დაზღვევის თანამშრომელს არაფერი უთქვამს. მასპინძელმა ახალგაზრდები შეიცოდა, როგორცა სურდეთ თავიანთ ნებაზე იყოსო. თავიანთ ნებაზე, რაო, აქ ინსტიტუტი ზომ არ არის?! აქ ჩემს ნებაზეა, თამადა ვარ თუ რა ვარო. თამადაცა ხარო, ბატონიცა ხარო. და ჩამოარიგეს ნათალი ჭიქები, ე. წ. ღვიწხის ჩაის ჭიქები, ჭინჭილები, ფიალები, ყანწებიც მოუწყვეს თამადასა. გოგონები აეისკისდნენ, ეგეც თქვენაო. ვაყებმა ჩაახველეს, მოკლას ხარი თივამაო.

თამადამაც ჩაახველა და აიღო პირველი ჭიქა ხელში.

თამადამაც ჩაახველა და აიღოც მე-მოეყულა კარებში, — ვინც მოვიდეს გაუმარჯოსო, დიძახა ალალომა. ეს სულ გაუთვალისწინებელი რამ იყო, მაგრამ მასპინძელი რის მასპინძელია, დაბნევა შეეცყოს, გაუმარჯოს და გაუმარჯოსო. აჭამდის სადა ხარო. თამადა გაწყრა, — მართლაც და აჭამდის დაგვიანება სად გაგონილაო. ჩემი თავი თქვენ გენაცვალათო. რაც მაკლია, შემისრულეთო, აზამბარი აიღოსო. თამადამ შეატყო, გადაკრულში იყო აიღო. ახლავე თუ ბოლო არ მოეულე, სუფრას ჩაგვამწარებსო. ბრძანა და ცხრა ჭიქა ჩამოუწყვიტეს, ჩამოუწყვიტეს და გაუღიპლიბეს. თვლიც არ დაუხამხამებია ალალოსა, მხოლოდ ყურადღება მოითხოვა. რვა სადღეგრძელო წარმოთქვა, შეანდობარიც შიგ გამოურია, არც შინაურები გამოსტოვა, არც გარეულები, მერე მიპყვა, გამოსცალა რიგრიგობითა, პირველი ჭიქები თამადა, შემდეგ და შემდეგ — გაჭირვებითა, ძალიანაც გაუჭირდა, ნიკაპზე, გულსპირზე მძივებოდ დაეკიდა ლალისფერი წვეთები; მაინც ივაკაცა, მიატანა მეცხრემდისა, ეს განგებ შემოვიანახე, თქვენც საგანგებოდ დალევედით დედა საქართველოს სადღე-

გრძელოსაო, ისე დაეცალოს მტერი, როგორც ეს ჭიქა გამოვცალოო, მაგრამ ვაგლახ, ვერ გამოსცალა. სლოკინი გულყდა. ვერ უკან გადაუვარდა თავი, მერე წინა, მაგიაზე წაემხო და ცხრავე ჭიქა სულ კინწისკერით მიპყრომპყარა, თუღმებიც თან მიაცოლა, ჩინური თეფშები, ის წეროსფეხა ბროლის ჭიქებიც ხიმ იქვე ედგათ მშვენებისთვისა, ისინიც მირეგვ-მორეგვა, ერთი წელშიც გადაამტვრია. თამადამ ნიშნი მოუგო მასპინძელსა, აკი ვითხარით, მომამორეთო... სადაც არაფერია, არცა ფუჭდებო, თავი ინუგემეს მასპინძლებმა, მაინც მოამორეს. ჭიქების გარდა ალალოს მოშორებაც უნდოდათ, ასწიეს ისევე სკამინადა, მაგრამ გაჭირვებულდა ალალო, როგორაო, ვის უბედავო... თამადამა ბრძანა, დაე იყოსო, ვიცი მაგისი ხასიათი, ახლა ეგრე ემზობა, ხელს აღარ შეგვიშლის, ღრმა ძილში რომ წავა, მერე გაიყვანეთო. სტუმრებთან ბოდიში მოიხადა, ასეო, ისეო, ხომ იცითო, ღვიწხო ზოგს როგორ ერევა, ზოგს როგორაო, იმეღია, მოგვიტევებთ, ჩვენი სოფლისთანა სოფელი ზეერი არ არის ქვეყანაზე, მაგრამ ისეთი სოფელიც არ არის, მახინჯი რომ არ გამოურისო; ჰო, მოიბოდიშმა, დრო იხელთა და ნანატრი სადღეგრძელო ბრძანა, ოჯახი დალოცა, მადლი და ჭვარი ოჯახისა, — დიასახლისი. ვაყები ჯარისკაცებივით წამოიჭრნენ, ერთად შესძახეს, ერთად გადაქრეს, ექილი ღიმილად დადნა, ღიმილში დალია, ექიმმა ჯანმრთელობა უსურვა, დაზღვევის წარმომადგენელმა თავი გამოიღო, ვეჭიღს ერთი სიტყვაც არ უთქვამს, იმან კი განაცხადა, ეს ისეთი სადღეგრძელოა, ორი სიტყვა რომ არ მოგახსენოთ, არ შემოიძლიანო. მოგვახსენე და მოგვახსენეო, დასძახეს ვაყებმა.

იმანაც მოახსენა:

— მე პირველად ვხვდები ჩვენს თამადას და უნდა გამოგიტყდეთ, მოხიბლული ვარ... მოხიბლა მის მიერ წარმოთქმულმა სადღეგრძელომ. — აქ თავი დაუქნია თამადასა. თამადამაც შეაფრქვია

ღირსეული ღამილი. თუმცაღა ბიჭებმა მზრები აიჩეჩეს, ვითომ ისეთი რა თქვაო. ვეჭილი მიხვდა, თვალი ჩაუკრა ყველას სათითაოდა. ეჭიმი ამირიზა, ჩემზე ხომ არაფერი ანიშნეს ერთმანეთსაო. დამზღვევს ყურადღება არავისთვის მიუქცევია,— მე ვუერთდები ამ დიდებულ სადღეგრძელოს მთელი ჩემი არსებით. მე სიამაყით მავსებს დიასახლისის დღეგრძელობა, რადგან მე გახლავარ საუცხოო ოჯახის პატრონი, ეს ყველამ იცის და თქვენც გეცოდინებათ, როცა ბედნიერება გვექნება შევხედეთ ჩემს ოჯახში... — ბიჭებმა ჩაიჭრიტინეს, აგვიხდესო... — რა თქმა უნდა, მე არა ვარ გამოჩაყლისი, ეს რომ ასე იყოს, მე ვიქნებოდი უბედური ადამიანი, რადგან არ მექნებოდა საშუალება, ჩემი სიხარული გამეზიარებინა ვინმესთვის. მე ბედნიერი ვარ, რომ გამოვთქვამ ჩემს აღტაცებას... თუ შეიძლება, სთხოვეთ დიასახლისს!...— დიასახლისის სთხოვეს. ხელების წმენდით შემოვიდა, სახეზე აღმური ეკიდა, ცხადია, სამზარეულოდან იხმეს, ეტყობოდა, არ ეცალა. ეტყობოდა, გულსყური იქ დაჩენოდა. თამადასაც მაინცდამაინც არ ეკმარებოდა ეს გამოწვევა, რა წინ გადამიხტა, თუ ხმომა იყო, მე უნდა მეხმოო, მაგრამ იმას არავისთვის მიუქცევია ყურადღება, — ჰხედავთ, თქვენს წინაშეა დიასახლისი, ბურჯი ამ შესანიშნავი ოჯახისა, დედა სახლისა, დიას, დედა სახლისა, სწორედ აქედან არის წარმომდგარი დიასახლისი, და რახან დიასახლისი დედაა სახლისა, ის ყველაფერია, რადგან დედა ყველაფერია ამ ქვეყნად. — ბიჭებმა ჩაიჭრიტინეს, ამას ჯერ თავი არ დაუღწევია მატრიარქატისგანათ. ვეჭილმა ვერ გაიგო, რა თქვეს, მაინც თანაუგრძნო, რაც უნდა იყოს, ალბათ, ამ ჩვენს ორატორსა ჰქილავენო. ეჭიმაც თანაუგრძნო, ალბათ, მე არაფერ შუაში ვარო. — დედა ამ საუცხოო ქალიშვილისა!... — ნათელამ უცებ მოიწმინდა ღამილი, წამოდგა, თავი დაუკრა, ჩაქდა ისევ ჩაიციან თავისიანებში. — რომლის

სადღეგრძელოს, ალბათ, განსაკუთრებულად დაგვალევიანებს ჩვენე ქვეყნის თამადა. — თამადამ გვერდზე გაიხედა, ფრთხილად გაიხედა, არავის თვალებს წავაწყდეთ. — მანამდის მოვიხსენიებ, როგორც სამკაულს ჩვენი სასიქადულო დიასახლისისა, რადგან მშობლის სამკაული სწორედაც რომ შეილი არის...

— ჰა?! — იკითხა ალალომა, ისე მაგიდაზე დამზობილმა იკითხა.

— მშობლის სამკაული შეილიაო... — გაუმეორეს ყმაწვილებმა.

— ჰა?! — ისევ ალალომ იკითხა, უფრო გაკვირვებით იკითხა, ვიდრე გაუგებრობითა, თავიც აიღო, ეწვალა თვალუბი ვერ გაახილა, შაშინ თითებით აიწია ქუთუთოები, — ვინ ლაპარაკობს? — ჰოოო... იცი თუ რა კაცია!.. ჰა!.. — მეტი აღარ დასცალდა, ან ყველაფერი გამოსთქვა, ისევ წაემხო, ოღონდ აღარაფერს წახლია, გარშემო ყველაფერი შემოეწმინდათ, თამადასაკენ მიხვეტილიყვნენ.

ამ მოწონების შემდეგ, ცხადია, სადღეგრძელო მეტის ეშხით გაგრძელდებოდა, ამას თქმაც არ უნდა, ისედაც ნათელია, მაგრამ რახან ითქვა, ბარემ ისიც იცოდეთ, რომ თანდათან სიტყვის ეშხში შევიდა ორატორი. თვით სიტყვები ბევრი არაფერი, გამოთქმა გახლდათ ღირსშესანიშნავი. სამწუხაროდ ძნელია გამოთქმის გადმოცემა. ბიჭებმაც იხმეს, ნეტავი მაგნიტოფონი წამოგველოო, დემოსთენესა და ციკერონის გამოთქმა, რომ დაიკარგა, კაცობრიობას ისიც ეყოფა სანაწურად, ამის დაკარგვა უკვე უდიდესი დანაშაული იქნება, შთამომავლობა არ გვაპატიებსო. გოგონებმა ჩაიკისკისეს, ყველაზე უფრო ნათელამა, ოღონდ ყველაზე უმაღლიანი იმან მოსკრა კისკისი, უცებ მოსწყვიტა, სხვებსაც ანიშნა, გეყოფათო. ამასობაში სიტყვა მისდევდა თავის საღინარსა:

— და რამდენი ღირსეული შეილია ჰყავს მშობელს, იმდენი სამკაულით გაშუქებულია იმისი გვირგვინი, დიას, პატრივცემულნი.. თქვენა გყავთ ნათელა...

— დიასახლისისაკენ მიიხედა, მაგრამ დიასახლისი გაქცეულიყო სამზარეულოში. იქ ფაციფუცი ატყდა, არიქა, არიქაო, დიასახლისიც შემოვარდა ბოდიშითა, ჩამოშლილი თმების სწორებითა. — თქვენა გყავთ ნათელა, მოსახელე სახელოვანი ქალიშვილისა. მაგრამ სხვანიც არიან სახელოვანნი, რომელთა მოსახელე უსათუოდ უნდა იყოს ყველა ოჯახში, მით უმეტეს ასეთ ოჯახში... ასეთ ოჯახში არა კმარა მხოლოდ ნათელა, აქ უნდა იყოს ნინოც, თამარიც, ქეთევანიც, ტარიელიც ავთანდილიც!.. ვინ უნდა შვას, ვინ უნდა ამრავლოს საუკეთესო შთამომავლობა, თუ არა ასეთმა დედამ? და მე თქვენ გისურვებთ, შემატებოდეს თქვენს ოჯახს მრავალი სახელი; მე თქვენ გისურვებთ. დამშვენებულთყვეს თქვენი გვირგვინი უკეთესი და უკეთესი სამკაულებითა. თქვენ მოვალე ხართ, თქვენ ჯანსაღი ხართ და ლამაზი, ამიტომ მოვალე ხართ შობოთ, შობოთ...

ბიჭებმა ტაში შემოპკრეს ან ვეღარ მოითმინეს ან ეგონათ, დაამთავრაო, მაგრამ თამადამ თვალის მოჭუტვით წაპკრა გატაცებულ მადლეგრძელებელსა:

— ეგეც ნაშვილებია...

სტუმარს ნირი არ შეუშლია, მხოლოდ ხელი ასწია თავმდაბლურადა, ტაში კმარაო, ჭიქა წინ გასტყორცნა და განაგრძო:

— დაახ, მოვალენი ხართ თქვენ, ყველანი, ახალგაზრდებო... თქვენ ჯერ შვილები ხართ და თავი მოგაქვთ კარგი შვილობით, მალე მშობლები გახდებით და ასევე უნდა იმეყოთ კარგი მშობლობით. თქვენ ღირსეული მშობლები იქნებით, ქალიშვილებო; და ყველა მშობელი, ვინც შვილს აღზრდის, ასრულებს თავის ბუნებრივ მოვალეობას, ასრულებს იმას, რაც ბუნებას დაუქისრებია, ასრულებს და ამით არის ღირსეული. მაგრამ, ვინცა ზრდის ისე, რომ ბუნებას ეს არ დაუქისრებია, ის კიდევ სხვაა, ის გამოჩრჩეულია, ის დედა... დედა კვადრატში!..

ოპო, ესეც პირველი გავგონებო, შეპყვირეს ყმაწვილებმა, გოგონებიც აყვენენ, მართლა პირველი გავგონებო, ალალომაც წამოპყო თავი, კინწმონწყვეტილი თავი:

— ვინა ლაპარაკობს?! — იციოთა ალალომა, თვალი გაახილა, დაინახა და სიამე მოეფინა, — ეგ სხვა კაციია!.. — დაიძახა, — იცოდეთ, სხვა კაცი! — თქვა და ისევე სუფრაში წაპყო ცხვირი. და სხვა კაცი რომ იყო, ამიტომ სიტყვაც არ შეშლია:

— მე ვსვამ სადლეგრძელოს დედისა კვადრატში!.. დედა კვადრატში — აი ვისი სადლეგრძელოა!.. ეს დიდი ტრადიციაა ქართველი ქალისა. ვაზრდიდა შვილებს და გაისტუმრებდა ომში. ზოგჯერ ერთიც აღარ დაბრუნდებოდა. გაიხსენეთ ცხრა ძმა ზერხეულოძე, სხვაც ბეგარი ცხრა, თორმეტი შვილი ჩვეულებრივი სათვალავი იყო... ზოგს მამა აღარ დაუბრუნდებოდა, იმათ იშვილებდა, აღზრდიდა და შეაგებებდა ახალ ომსა. ვინ იცის, ისინიც არ დაბრუნდებოდნენ და მერე სხვებსა ზრდიდა, ზრდიდა და ზრდიდა. ჩვენმა თამადამ შემოგვთავაზა მართლა დიდებული სადლეგრელო. მე მას პირველად ვხვდები, მაგრამ უკვე ვიცი, თუ რაოდენად ღირსეული თამადა ბრძანდება. მან გავახსენა ქართველი ქალის დიდი ტრადიციები, მან დაგვიხატა ქართველი ქალი, ანუ წარმოგვიდგინა ჩვენი დროის საუკეთესო დედა, გამგრძელებელი საუკეთესო ქართველებისა.

აქ თამადამ ის ქათინურებიც იქით გადასდო და კიდევ გადაპკრა:

— ჩვენი დიასახლისი ქართველი რომ არ ვახლავთ?!

ბიჭებმა ჩაიფხუკუნეს, გოგონებმაც აშვილდეს წარბები, მოიღერეს ყელი, მომართეს ტუჩები, უცდიდნენ, თუ როგორ დაიბნეოდა ის გატაცებული მადლეგრძელებელი... მაგრამ, ნურას უკცრავად, იმედი არავის გაუმართლდებოდა.

— დაახ, — რიხიანად დაიძახა სტუ-

მარმა, — გამგრძელბელი ქალის საუკეთესო თვისებებისა. ის ქართულ ოჯახში შევიდა და მოიტანა თავისი ერის სურნელება, თავისი ერის საუკეთესო ჩვევები. ის, რაც ერთი ერისათვის კარგია, კარგია მეორე ერისთვისაც. ასე შეერთდნენ ორი ერის ღირსეული შვილები, ასე გაგრძელდა ორი ერის საუკეთესო თვისებები, როგორც ერთი, ძლიერი, განუყოფელი, მარადიული...

— ჰა?! — თითქოს ხელი წაჭრესო ისე აიხედა ალალომა, — ისევე ეგა ლაპარაკობს?! ჰა?! ეგ რაღა კაცობაა?! ჰა?! მიაჩერდა ერთ ვაჟსა; იმან არაფერი მიუთხო, ალალომაც ისევე ჩაჰკიდა თავი; ჰო, იმან არაფერი მიუთხო, ოღონდ მეორემ, ეტყობოდა, აქამდისაც ენაზე ადგა სათქმელი, დრო იხელთა, ხელები მილივით დაახვია და ყურში ჩასმება ალალოსა; — ვეჭილი ესაა და ეგა ლაპარაკობსო. ალალოს თავი არ აუღია, ისე გაეპასუხა, — ვეჭილი მუქთად ხომ არ ილაპარაკებსო. სსსუუუოო, დასძახა ვაჟმა. ალალო აღარც აპირებდა რამის თქმას, ისევე ბრუალში წავიდა, თავდას არ იშლიდა, არც მადღეგრძელებელი იშლიდა თავისასა:

— ჩვენ ეცხოვრობთ ერთა მეგობრობის ერაში, — განავრძობდა მეტის რიხითა, მეტის სითამამითა, დარჩენოდა ბურთი და მოედანია, თამადას მხრები აეწია, რაღა ვიღონო, აღარ ვიცოო. — დიახ, დიდ ერაში მეგობრობისა... — ბრძანებდა სტუმარი, — და ეს სწორედ ის ოჯახია, რომელიც იძლევა ნამუშს ერთა მეგობრობისა; ეს სწორედ ის სადღეგრძელოა, ჩვენი ძვირფასი თამაღის მიერ წარმოთქმული, რომელიც გავგახსენებს ამ დიად იდეას, ამ ჩვენს შთამაგონებელს და, მე ვფიქრობ, როდესაც ჩვენი ძვირფასი თამადა...


მოთმინების ძაფი გადასაწყვეტს მისვლოდა ძვირფას თამაღასა, ამდენს აქებდა, მაინც გადასაწყვეტს მისვლოდა, მაგრამ არ გადაწყდა, — კარგი რამის ბრმა შემთხვევამ იხსნა, თორემ მერე ხომ სოფელში თავი აღარ გამოეყოფო-

და, სტუმარი გაგვიღანძღა; ბრმა შემთხვევამ იხსნა და შემთხვევაც ეს გახლდათ, რომ ბიჭებს სპორტული ფეხბურთე წამოეღოთ, შევეთვრებით, შევიხალისებთ, მოულოდნელად ვისვრით, დიდებულ შთაბეჭდილებას მოვახდენთო. მაგრამ სუფრა ისე აეწყო, შეთრობა-შეხალისების პირი არ უჩანდა, მაშინ სხვარამ აზრი ჩაუთქვეს დამბაჩასა, — ერთორი მაინც წაგვიბორძიკეო, და უცებ დასცალეს მაგიდის ქვეშა. ჩათქმულმაც გაუმართლათ, მეტსაც მიღწიეს, ორატორიც წააბორძიკეს, გოგოებმაც აიტაცეს გაწლიკვული ფეხები, აიტაცეს და აასავსავეს გაფხორილ კაბებში. ვაჟაკებიც შეკრთნენ, ოღონდ მალე გადაიყარეს ფერი. მხოლოდ თამადა ურხეველიყო, ვითომდა რაო, მაგისტანები მინახავსო. რაც შეეხება ალალოსა, ჰო, ეს ცალკე გახლავთ გამოსაყოფი: თავი ბურთივით აუფარდა, ბურთს ტანიც აპყვა, ფეხები სკამზე აცივოდა, იქიდან მთელი ის მოწყობილობა ფანჯარაში აპირებდა გადაფრენასა, მაგრამ ხარხარი მიჰყვა, ხარხარმა თითქოს გამოაფხიზლა თუ სოფხიზლის რომელიღაც ძარღვი გაეხსნა, პატარა, სულ პატარა ძარღვი, გაეხსნა თუ უარესად გაეკვანძა, ვერაფერს გეტყვით, მხოლოდ ეს მაინც ადვილი სათქმელია, ფანჯრის მაგივრად კარში გაფრინდა, მართლაც, გაფრინდა ხარხარი-თა, შხუილითა, დგაფუნითა, ზრიალითა. როგორც უნდა გაფრენილიყო სულ ერთია, სუფრამ ერთი წუთით ამოიხუნთქა. თუ ვინმეს ეწყინა, — ეს რა ითავებდეს ბიჭებმაო, იმანაც ამოიხუნთქა, ერთი ჭირი მაინც მოვიშორეთო. და მადღეგრძელებელს მიაჩერდნენ, ნეტავი ეს რაღას გვიპირებს, მოგვასვენებს თუ არაო. შენც არ მომიცვდე, იმან ახლა ეს შემთხვევა დაიხვია ხელზე, რეხიც მეტი მოიგვარა, მხოლოდ გამოთქმა როდიღა დასცალდა... როგორც გაფრინდა, ისევე შემოფრინდა ალალოი, ხარხარი-თა, შხუილითა, დგაფუნითა, ზრიალითა, გრიალითა. ამას ვარდა ხელში მაუზერიც ეჭირა, ის მაუზერი შემართა და შეს-

ძახა, — პატ, თქვე გლახაებო, ეგ რა სროლაა, აი, ნახეთ სროლა როგორი უნდაო, შესძახა და გერმანულ ვიტრინას რომ ლეწა, იქ რომ ბროლმა დაიწყო ლიწინლიწინი ფრანგული სარკე აბრიალდა ათასფერადა, თვალის მომჭრელადა...

ამის შემდეგ თუ რა ამბავი დატრიალდა, ნულარ იკითხავთ, მხოლოდ წარმოიდგინეთ, თვალის დახამხამებაში დაცარიელებული სუფრა და აქეთ-იქით გადაყირავებული სკამები; ესეც წარმოიდგინეთ, რომ ალალოლა დაბორიალებდა იმ ოთახში, კედელ-კუთხეს აწყდებოდა, აყირავებულ სკამებს ეხლებოდა, ვიდაცას დაეძებდა, მრისხანედ მოედრებოდა მაუზერი. რახან დაეძებდა, კიდევაც იპოვნა, — ეძიებდუ და პპოვებდუო, ასეც ასწავლიდნენ ძველად, — პო, იპოვნა — მეთქი, აჯაგრული, თვალბგად მოცენილი, სახემოდრეცილი იმისკენ მიიწევდა, იმასაც მაუზერი მოემართა. პირდაპირ მეჭეპებიან შუბლში უმიზნებდა. მესროლეო, შეჰყვირა ალალომა, იმანაც შეპლრინა, მესროლე, თორემ მე დაგასწრებო, — გააფრთხილა და წინ წაიწია, თითი დააჭირა სასხლეტსა, დაა-

ჭირა და აუშვა, მესროლეო, დაუღრიალა. იმანაც დაალო პირდა ზეწა დადგნენ ერთმიერესა, მაუზერმა სტუჩებტ ერთმანეთს მიაბჯინეს და ისროლეს... და ალალო დაეცა, ისე დაეცა, ისე დაიბრაგუნა იატაკმა, ძირს სართულში შემალულებს ეგონათ, ჰერი იქცევია და იქიდანაც გამოცვივდნენ გულგახეთქილნი. მალლა ისევ ზრიალი იდგა, ფრანგული სარკის ნამსხვრევები ცვივოდა. გვამსაც ვყრებოდა, მოტბორილ სისხლსაცა. პირველად შესვლა ვინც გაბედა, სწორედ ასე ეგონა, — სისხლის ტაში სცურავს, ე წერა აუტანელიო. მხოლოდ მერეღა მიხვდა, მთელი დღის ნახეთქი და ნაჰყები რომ ამოენთხია, თავის ნანთხევში შეცურებულიყო, მიხვდა და მოიხმო მასპინძლები. ის პირველად შესული თამადა გახლდათ, მთავარსარდალი სუფრისა, პირველი გადავიდა იერიშზე დროებით მიტოვებული ციხე-სიმაგრის ასაღებადა. კიდევაც აიღეს, ალალო გაათრიეს, ნანთხევიც მიახვეტეს... მაგრამ აღარაფერი გამოვიდა, სუფრას სათაფზე აღარავინ ეკარებოდა, მით უმეტეს, იმ თავგამოდებულ სტუმარს ისევ ჰქია ეჭირა ზელში.



ივანე პავლივი

კ ა ნ ი ს ი *

ას ოცი წელი... ბნელი წარსული...
ათონის მაღალ და უღრან ტევრში
არის სენაკი—ამაქვეყნიურ
ამაოებებს განრიდებული—
ლოცვისთვის მღვარი ვანი სულისა.
იქ ზღვის ხმაური მოისმის მხოლოდ,
ანდა მოისმის ფოთოლთ შრიალი,
ან ღვთისმოსიში ზარების რეკვა.
იმ სიზმრად წარსულ მცირე სენაკში
იჯდა უცნობი, ფერმკრთალი ბერი
და სანთლის ალზე წახრილი წერდა.

დაფიქრებული რას სწერდა იგი?
რას? მოწამეთა ცხოვრებას იქნებ,
რაიც ეამთა სელამ გადაივიწყა
და სანთლის ალზე აწ ცოცხლდებოდა?
იწერდა ღვთიურ საკვირველებას,
თუ სიტყვებს, რითაც ქებათა-ქებას
ეტყოდა ვინმე სასწაულომოქმედს,
ეგვიბტელს, ელინს ან წმინდანს ვისმე?
ამ მძიმე შრომით რად ღლიდა თვალებს?
ბრძენი იყო თუ ჭკუით გლაზაკი,
თუ ილუმენის ძლიერმა ნება
იძულებულაყო დაჯდომად ესე?

ბოლოს თქვა შვებით: „აჰა, გასრულდა!
ცხოვრება იგი მოვაგუშვებთე“.
მერმე მიაპყრო ალერსით მზერა
ღვაწლს წიგნად შეკრულს, რომელსაც
უხმოდ

და უღრტინველად შეუწირია
ბერად შემდგარი კაცის სიცოცხლე,
აჰა, ეს წიგნი! მან დაავიწყა
ქვეყნად ყოველი, ზეცაც და ღმერთიც.

...ჯერ არცერთ დედას თავის
პირმშოსთვის

არ მიუპყრია ასეთი მზერა,
არცა ბრძენ მგოსანს გონიდან ახლად

გამობრწყინებულ ნათელ აზრისთვის,
არცა ბიბლიურ წინასწარმეტყველს
ანთუ პატროსელ მეუღაბნოეს,
როდესაც იგი ნათელმზილველი
ქვრეტდა ზეციურ იღუმალებას,
როგორც მან მკრთალი, მთრთოლვარე
მზერით

გახედა ღამის უსასრულობას,
მღუმარე ზღვასა ღრმად მიძინებულს
და თქვა ღაღადით: „ბულგარელთ
მოდგმას

ექნება თვისი ცხოვრების წიგნი,
ერქმევა ერი—აწ და მარადის!
სირცხვილი იმას, ვინაც უარყო
თავისი ხალხი და უცხოთ ენდო,
ვინაც მიაგდო სახელი თვისი,
სახელი, რაიც ღმერთმა უბოძა.
ვაი თქვენ, ვაი, ძე შეცთომილნო,
უცხოთა შხამით გაბრუებულნო,
უარყოფელნო საკუთარ ძმათა,
ბერძნულ სილოდას შეფარებულნო.
მამა-პაპათა იხსენებთ წყევლით,
თითქოს არ იყოთ მათგან შობილნი.
და მოდგმა თქვენი თქვენ კი არ
გარცხვენთ,
არამედ თქვენ ხართ ჩირქი მოდგმისა.

ჰა, წაიკითხეთ, იცოდეთ, წინათ
თუ ამ მიწაზე როგორ ცხოვრობდნენ,
სხვა სამეფოებს როგორ ებრძოდა
და უძლეველებს ვით ამარცხებდა
ბულგარელებს დიდი სამეფო.
ჰა, წაიკითხეთ! ეს მე დავეწერე
და მოვაგროვე, როგორც ფოთლები,
სხვადასხვა წიგნში და ლეგენდებში
მიმოფანტული ჩვენი ამბავი!“...

თარგმანი ა. ხულაპაშვილი

გადა ახმადუნია

პატარა თვითმფრინავები

ომ, ჩემთვის თითქოს იყოს მისწრება
ახალი ზრუნვა, რითაც დავები,
არ ვიცი რატომ, სულ მესიზმრება
ახლა პატარა თვითმფრინავები.
მათ არ აწუხებთ სახე თავისი:
სიზმრად მოდიან, როგორც ბარტყები
და ხელის გულზე როცა დავისვამ,
კენკავენ ხორბალს წვრილ

ნისკარტებით.
ან და ჩემს გვერდით ცხოვრობენ.
ფხიზელ

ჭრიჭინებივით — არ მასვენებენ,
ან მეზღებთან როგორც მწერები
და მერე სადღაც ჰქრებიან ისევ.
ხანაც ანთებულ ჩემს ნათურასთან
შემოფრენილებს შუქი აბრმავებთ,
და მე გულსა მტკენს ღამის სურათი
მათი უმწეო ფრთების ფარფარით.

ან თვალს ვახეღ და სწორებსწორებით,
თითქოს ყველაფრის მცოდნე თავებით,
როგორც პატარა სოლომონები,
მწკრივში დგებიან თვითმფრინავები.

და მოიგონეს — კიდევ ბავშვები
არიან ვითომ — მშობლებს მიმგვარეს,
არ უნდათ ჩემი სახლში გაშვება,
მეხვეწებიან: „თან წაგვიყვანე!“
მოიშორებ და ისევ ჩნდებიან,
მომღევენ, როგორც თითბრის ნაგები,

და მე მრცხენია, — არ მშორდებიან
ეს უცნაური თვითმფრინავები.

იქნება მერგო მე საუკუნოდ
ასეთი ძილი, სიზმარი მძიმე
და მის სიღრმეში ძლივს მოციმციმე
ის თვითმფრინავი ყრუ და უკუდო?
და მაინც, როცა ვდგები ძილისგან
მათ სანახავად გული მიმიწევს,
რომ ვნახო ახალ დროთა თილისმას
ვით ახმოვანებს მათი სიფიცხე.

და ვიდრე ცათა გულში საფრენად
ყოვლად ძლიერი ჯერ არ აწვდილობარ,
მე ფიქრობ: რიგზე გაქვს ყველაფერი,
ჩემო პატარავ? შენ არ ვაზრდილობარ.
შენ აქ ვეგება ვერცხლის ნახადით
ყველას აბრმავებ. ისე კი, რომ

ვთქვათ,
შენ ხარ პატარა ბავშვი, შენ ოდნავ
თუ დააჩნდები ცისფერ კაბადონს.
და პა, ვკრთით ახლა მე და შენ

ერთად
უსაზღვრო სივრცის სხვადასხვა კიდეს,
შენ გინდა, ალბათ, ხელი ჩამკიდო
ასეთი დიდი რომა ვარ შენთან.

მაგრამ იქ, სადაც უკუნით სუნთქავ
მძლე და მოქნილი ტანით მბრწყინავი,
შენი მფარველი ვიქნები მუდამ
კეთილი სიზმრით, ო თვითმფრინავო!

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა



იპაი ნაპიბინი

ჩვენ ოთხნი ვიყავით

ჩემი ადრინაი ბავშვობა ოციან წლებს დაემთხვა. შვიდი-რვა წლის ბიჭუნა ვატაცებული ვიყავი დიუმას „სამი მუშაკეტერით“. სქელტანიანი ტომი მუშკეტერის მოსახამის ამაღლეგებელი ემბლემით, გადაჯვარედინებული დაშნებით და ფართო ფარფლიანი ქუდით — იყო პირველი წიგნი, რომელიც დამოუკიდებლად წავიკითხე. იმ დროისათვის უკვე ვიცნობდი დიკენსს, სკოტს, კუპერს. იმათ დედაჩემი მიკითხავდა. მიყვარდა ხამაღლა რომ მიკითხავდნენ, მაგრამ წიგნების ღრმა შშვენეირება, როდესაც წაკითხული ისე გადაეხლართება თვით ცხოვრებას, როდესაც უკვე აღარ იცი, სადაა ცხოვრება და სადაა შეთხზული, პირველად მაშინ ვიგრძენი როდესაც თავად წავიკითხე „სამი მუშაკეტერი“. მომეჩვენა, რომ დედაჩემი წასაკითხად არჩევდა რაღაც უღიმღამო და უბადრუკ წიგნებს. მაგრამ შემდგომში, როცა ხელახლა გადავიკითხე ისინი, ვაოცებულმა ძველ ნაცნობებში უფრო მეტი სიმდიდრე აღმოვაჩინე, ვიდრე მოველოდი. მაგრამ ეს იმიტომ არ ზდებოდა, რომ თითქოს დედა კითხულობდა რაიმე ცენზურული შემოკლებებით. არა, მაგრამ ხამაღალი კითხვა თავს მოხვეული უნებლიე ინტონაციით ერთი დეტალის ხაზგასმა და მეორეს მიჩქმალვა, ფანტაზიას მიწმობდა.

მე მყავდა სამი გულითადი მეგობარი. დედამ შთამავონა შესანიშნავი აზრი, მეგობრები მექცია მუშკეტერებად და მათთან ერთად ისევ განმეცადა საყვარელი გმირების ისტორია. მე ვამაოცა ამ აზრმა, რასაც ჩვეულებრივ ბავშვები

აღწევენ თავიანთი გონებით. ვავაკეთებოთხი დაშნა და დავიწყე ფიქრი, თუ როგორ გამენაწილებია როლები.

ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ჩემთვის ავირჩიე დარტანიანი, არა იმიტომ, რომ იგი მთავარი გმირი იყო, — მე უფრო ათოსი მზიბლავდა, — არამედ ჩემს თავში ვერ ვგრძნობდი იმ კეთილშობილებას, რომელიც ათოსის ძირითად თვისებას შეადგენდა, და რითაც სავესებით იყო დაჯილდოებული ჩემი მეგობარი პავლიკი. მე არ გამაჩნდა პორტოსისდაგვარი გულკეთილობა, არც არამისის მოხდენილობა და გულჩათხრობილება. ჩემში ვერ ვგრძნობდი ვერც ერთ მკაფიოდ გამოხატულ თვისებას, თავს ვგრძნობდი რთულად და მოპირდაპირედ, — სხვაგვარად რომ ვთქვა, მე შევიცანი საკუთარ თავში ხასიათი და, ბუნებრივია, უნდა ამერჩია დარტანიანი, ერთადერთი გმირი, რომელიც არ იყო აღჭურვილი სულიერი ნიშნებით, არამედ სულიერი თვისებების ცოცხალი ნაირფეროვნებით.

ჩემი მეზობელი, ვაგონის მძღოლის ლაბუტინის ვაჟიშვილი — ბორისი, ვახდა პორტოსი. თუმცა მასაც არ გააჩნდა პორტოსისებური სწრაფვა კონტაობისაკენ, არც მისი პატივმოყვარეობის გაქანება, არც ანგარება, მაგრამ იგი იყო ჩვენში ყველაზე დიდი და ყველაზე გულკეთილი. პავლიკი, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ, თავისი კეთილშობილებით არ ჩამოუვარდებოდა ნამდვილათოსს. ჩვენში ყველაზე ახალგაზრდა კოლკა, ლამაზი ბიჭი იყო, მაგრამ ამით მაინც არ განისაზღვრებოდა მისი მსგავ-

ლებს ჩამოუშვებდა, მუხლებში მოიკეცებოდა, სასიკვდილოდ მოდუნებულნი რამდენიმე წამს მოჭრილ ხესავით ირხეოდა, შემდეგ უცაბედად გადაქანდებოდა უკან და მთელი სიგრძით გაიჭიმებოდა. თუ კი განსაკუთრებით საძაგელი იყო როლი, რომელსაც ბორისი ასრულებდა, იყო, ეს კარდინალის გვარდიელი თუ ყოფილი ანდა ლაროშელი, — მაშინ იგი სიკვდილამდე დაკრუნჩხული ცურაობდა იატაკზე და გაშეშდებოდა განსაკუთრებით უხერხულ პოზაში.

ამ შესანიშნავი სიკვდილისათვის მოწინააღმდეგედ ძალიან მსურდა მყოლოდა პორტოსი, თუმცა განუზომელად საინტერესო იყო ჩემთვის ორთაბრძოლა არამისთან. ჩვენი არამისი მშვენივრად იბრძოდა, რაც აღსატურებდა ჩემს მტანჯველ ექვებს, რომ ნამდვილი არამისი დაშნის ხმარებაში დარტანიანს სჯობდა. არამისის გამარჯვებები დღეულში უფრო მრავალრიცხოვანი და ლაკონური იყო ვიდრე დარტანიანისა. მე ვერ მიპატიებია დიუმასათვის ეს, რომ მან არამისის გამარჯვებებს შიანიჭა უფრო მეტი სინატიფე და ბრწყინვალეობა. არამისის დაშნის მოქნივა ყოველთვის მომაკვდინებელი იყო და მას არა სჩვეოდა ისეთი წარუმატებლობა, როგორც დარტანიანს ჰქონდა ამენის გზაზე შეხვედრისას.

მე, როგორც შემეძლო, ვცდილობდი დარტანიანის რებუტაციის აღდგენას, მაგრამ ყოველთვის ვერ ვაღწევდი ამას. ჩვენი არამისი იბრძოდა შეუბოვრად და ეშმაკურად. ხანდახან მეც ვახერხებდი მის სასიკვდილოდ დაქრას, მაგრამ უფრო ხშირად შეტაკება ფრედ თავდებოდა. არამისის წინააღმდეგობით სასოწარკვეთილი, ვყვიროდი:

— დამნებდი, დამნებდი, შენ ხომ უნდა დამნებდე!

ჩვენი თამაშის წესით ზოგიერთ ჩვენთაგანს ზოგჯერ უხდებოდა მუშაქეტერის საწინააღმდეგო როლის შესრულება. მაგრამ კოლკა მხოლოდ დამცინავად იღიმებოდა და დაშნის მოქმედებას

განაგრძობდა ჰეუთი, ანგარიშით და სხარტად.

უკონტროლო

ათონი სუსტად იბრძოდა ჩემს მყოლოდ მაღალი, გამბდარი, წვივმაღალი და მოუხეშავი, როგორც მწვეარის ლევი, მაგრამ მისი ორთაბრძოლის შეჩერება შეიძლებოდა მხოლოდ — არა ჩვენი ხის, არამედ ნამდვილი, ბასრი ფოლადის დაშნით გულში დარტყმით. მისი სიჩიუტე, როგორც ჩვენ ვუწოდებდით, — ნამდვილად კი შეუდრეკელობა — გახსაცვიფრებელი იყო. ჩვენ არამისთან ერთად საოცარ ამბებს ვუწყობდით მას. როდესაც იგი წესებს არ ემორჩილებოდა და დაშნის გულში მოხვედრისას იაკრალს არ ჰყრიდა, ჩვენ გააფთრებით ვჩეხდით მას, რითაც თამაშის საზღვრებს ვცილდებოდით. ჩვენ დაშნით ვუხევედით ხალათს, ვჩხვლელდით მკერდში, მაგრამ თვალტრემლიანი ათონი განაგრძობდა უთანასწორო ორთაბრძოლას. ამასთანავე საბასუხო დარტყმებში არასოდეს ზედმეტ ძალას არ ხმარობდა, — მას არ უნდოდა ჩვენთვის ეტკინა რამე. იგი ჩვენ გვჯობნიდა გულით და მოკლებული იყო შურისძიების გრძნობას.

როდესაც თამაშს შევწყვეტდით, ის ამოიღებდა ძალიან დიდ მწვანე არშიან ცხვირსახოცს — რატომღაც სულ მწვანე არშიანი ცხვირსახოცი ჰქონდა — და ცხვირს იწმენდდა. არასოდეს არ შეგვიმჩნევია მის ღაწვებზე ცრემლი. რაღაც საოცარი ნებისყოფის ძალით ახერხებდა მის შეკავებას. არავის არ შეეძლო ეთქვა, ათონი მტრული ვნახეო.

თანდათანობით ჩვენი თამაში დახვეწილ ფორმას იღებდა, თუმცა არასოდეს არ ვთამაშობდით დიუმას რომანიდან სცენებს — არც ბრილიანტის ყელსაკიდის გამო გამოდევნებას; არც სენ-ჟერვეს ბასტიონში საუზმეს, არც მილედისათვის სამაგიეროს გადახდას. არც თავად ვიგონებდით საკუთარი ინტრიგებით დაგვირგვინებულ სცენებს. ჩვენი თამაში მოკლებული იყო ყოველგვარ თეატრალობას. შესაძლოა, ეს იმიტაც იხსენებოდა, რომ ამ თამაშში გვიტაცებდა

არა სიუჟეტი, არამედ მტკიცე მეგობრობის ის ატმოსფერო, რომელიც ყოველწუთს შეიძლება გამტკიცებულყო დაშნის მოქნევით, თავგანწირვითა და უნგარო მეგობრობით, იმ მეგობრობით რომლითაც ოთხი ადამიანი ერთ ადამიანად გრძნობდა თავს და ოთხი გული კი ერთ გულად.

მუსეკტერები იკრიბებოდნენ. მხოლოდ მე მქონდა სრული სამოსი შეღებილი ცისფერი ნაჭრისაგან: მოსასხამი, ოქრომკედლით ამოქარგული მუსეკტერის ჯვრით, სირაქლემას რუხი ფრთიანი ფართო ფარფლიანი ფეტრის ქუდი, ხავერდის აშურმა. დანარჩენები კმაყოფილდებოდნენ სამოსის რომელიმე ნაწილით. ათოსი ჩვეულებრივ იმოსებოდა საკმაოდ კარგი ვარდისფერი მოსასხამით, არამისი ქუდს იხურავდა, პორტოსი კი აშურმითა და შარვლისათვის ველოსაბედის მოსაჭერი წყვილი ღეზით. სამაგიეროდ ყოველ ჩვენთაგანს გვერდზე შესანიშნავი დაშნა ეკიდა. თასი კონსერვის ქილის ძროსაგან იყო გაკეთებული, ვადა წერილი ფოლადის მავთულისაგან, ხის პირი ვერცხლისფერი საღებავით იყო შეღებილი. ერთმანეთს ვხედდებოდით ქუჩის კუთხეში „ძველ სამტრედესთან“ და გავემართებოდით სამიკიტრო „ფიჭვის გირჩასკენ“. იქ, მაგრად ვაბრაზუნებდით მუსეტებით და ვემუქრებოდით მიკიტანს, რომ ყურებს ჩამოვათლიდით, თუკი არ მოგვართმევდა ძველი ბურგონულისა და შამპანურის ახალ ბოთლებს. ანკუიურს კი არ ვსვამდით, შურისმძაძიებელი მილედის სამახსოვროდ.

— არაშხადა მიკიტანი — ენამოჩლექით გაყვიროდა არამისი, — ბურგონულის ნაცვლად ისევ თოკაური შემოგვაპარა.

„ბურგონული“ და „თოკაური“! — ამ სიტყვების სურნელებით თვრებოდა არამისი.

მაგიდაზე კი, რასაკვირველია მოქონდათ მურაბიანი ბატი, ეს უცნაური კერძი „სამი მუსეკტერიდან“ იყო

გადმოღებული, რაც გვაოცებდა არაჩვეულებრივი შეხამებით. შემდეგ ალტაცებული არამისი ენამოჩლექით მოითხოვდა „ფრიკასეს“.

შემდგომ პორტოსმა დაიწყო ჩვენი წარმოდგენილი ჭეიფის გაცოცხლება ნამდვილი ნამცხვრის ნაჭრებით, რომელიც უბით მოქონდა სახლიდან. პორტოსისეული ნამცხვარი უფრო სწორად საგოთი იყო გატენილი. წინათ არაფრით არ შემეძლო ერთი ლუკმა ნამცხვარის გადაყლაპვა, რომელიც თითქოს გატენილი იყო სლიბინა მჭრქალი თევზის თვლებით, მაგრამ „ფიჭვის გირჩების“ სამიკიტროში სიამოვნებით შევექცეოდი პორტოსის უბემ ვი გამთბარ დაუშუშებელ ნამცხვარს.

სუფრაზე ერთმანეთს ვუყვებოდით ჩვენჩვენი ღუელის ამბებს. ჩვენ შორის ყველაზე უყურადღებო პორტოსი წამდაუწუმ ცდილობდა ეამბნა თუ როგორ თამაშობდა ფულობანას, ანდა, როგორ გადაირჩინა თავი საშინელი „კუკურუზისაგან“, რომელიც ჩვენი ეზოს რისხვა იყო. მას წესრიგისაკენ მოვეწოდებდით. პატარა გალიზიანება, რომელსაც იგი იწვევდა ჩვენში თავისი უტაქტობით, იქამდე მიდიოდა, რომ დაშნებს ქარქაშოდან ვიძრობდით. მე სასწრაფოდ ვანაწილებდი როლებს. ორი რჩებოდა მუსეკტერად, დანარჩენი ორი დროებით მტრები ხდებოდა: ინგლისელები ანდა კარდინალ რიშელიეს გვარდიელები. დაშნები გადაჯვარედინდებოდა ხის ყრუ ხმაურით, რომელიც ჩვენს ყურში ლითონის მაღალი ტონის წკრიალად ეღერდა. მაგრამ, როდესაც ბრძოლა დაცხრებოდა და დაშნები ქარქაშში ჩაეგებოდა, ყოველი ჩვენგანი საკუთარი გამარჯვებით ტრამახობდა, რადგან ყველანი ისევ მუსეკტერებად იქცეოდნენ, ესე იგი დაუმარცხებლად.

თუკი რომელიმე ჩვენთაგანი ავად განდებოდა, ასე ვთვლიდით: პორტოსი დაშნის კრილობებს მკურნალობდა, არამისი გატაცებულია ქალბატონ დე შევრუზის ინტრიგებით, ათოსი ღვინოს

გადასყვა, დარტანიანი ბრილიანტის ყელსაკიდს დაედევნა, მაგრამ ასეთ დღეებში თამაში არ გამოდიოდა. მხოლოდ ოთხნი როცა ვიყავით, მაშინ განვიციდით მეგობრობის სრულ არჩევულზე ბრვი სიბოძს.

დისკობლინის პირველი საფუძველი — ესაა ფორმა, თუნდაც იგი ყოფილიყო მარტოოდენ ერთი ქული ანდა შარვლის წყვილი მოსაქერი. ოთხივენი თითქოს ჯარის პატარა ნაწილს წარმოვადგენდით. დღემდე ჩვენ ვერ ვგრძნობდით ამას მაგრამ ჩისტი პრუდთან მნიშვნელოვანმა შეხვედრამ თვალი აგვიხილა. ჩვენი ბავშვობის დროს ჩისტი პრუდის მიღამოები დასახლებული იყო შფოთიანი და მძვინვარე თაობით. ვისაც ახსოვს ატამან კეკელინის ბრბო ა. გაიდარის შესანიშნავი მოთხრობიდან — „თემური და მისი რაზმი“, ადვილად წარმოიდგენს ჩისტობრუდელი ვოლნიცას ხასიათს.

კეკელინი და მისი თანამოზიარენი საგარეო განაჯაფისა და ხეხილის ბაღთა რისხვა იყვნენ, ჩისტობრუდელი ბიჭები ბატონობდნენ დიდ წყალსატევზე; რომელიც თავის მღვრიე ტალღებს მიავლობდა პოკროვის კარიბჭესთან მდებარე ბულგარის ბოლოს. ეს გუბე მთელი რაიონის ბიჭების აღტაცებული შურის საგანი იყო, და ყველადათვის აკრძალული რჩებოდა, გარდა ჩისტობრუდელისა. მხოლოდ მათ შეეძლოთ დაევირათ იქ კარჩხანა და წურბელა, ეცურავნათ ძველი გამომშრალი ნავით, ზამთრობით აცოცებულაყვნენ ყინულზე და აეგოთ თოვლის ციხე-სიმაგრეები. შეუბრალებლად ისჯებოდნენ იშვიათი გულადები, რომლებიც გაბედავდნენ აკრძალული სიკეთის გახიარებას. ჩისტობრუდელმა ვიკინგებმა თავისი სამფლობელოების გარშემო შექმნეს მკვდარი ზონისმაგვარი რამ. ის ბიჭი, რომელიც დაუდევრობით ანდა ქარაფშუტული მამაცობით გაბედავდა აკრძალული ხაზის გადალახვას, თან წაიღებდა ამაო სინანულს, გატეხილ ცხვირსა და შურისძიების უძლურ ოცნებას.

სკოლაში მიმავალი ჩემი გზა სწორედ ჩისტიე პრუდზე გადიოდა, მაგრამ შევამჩნობინებდი გარშემოვლას შარსნიცვლიდან, რათა სახიფათო შეხვედრებს აცილებოდი. მთელ პოკროვასზე და მერე — სპასო-გლინიშჩევსკის, კოსმოდემიანოვსკის, ზლატოუსტინკისა და ჩვენი რაიონის სხვა შესახვევებში გაზაფხულის ქექა-ქუხილის მსგავსად გაისმოდა ჩისტობრუდელი მეთაურების სიტყვები. ჩისტობრუდელები წარმოდგენით ცირკის მოქიდაეებს აკარბებდნენ, რომლებიც ირქმევდნენ მკლერად და მრისხანე მეტსახელებს: „გრომობოი“, „ციკლონი“, „ზმეი-გორინიჩი“; მათ კარგად იცოდნენ კონტრასტების მომაცდინებელი ძალა და საშინელოვანი ყველაზე საშინელი მონათლეს ნახად — „ლილიკი“. მის თანამოსაგრესა და ფარულ კონკურენტს მოხდენილად ერქვა „გულკა“. დანარჩენებს ჰქონდათ ასეთივე ლალი მეტსახელები: „ფუნტიკი“, „სკობა“, „ტაპოჩკა“.

ჩვენს მშობლიურ „კუკურუხას“ მიუხედავად თავისი პატარა და მაგარი მუშტების მთელი ძაღლონისა, არასოდეს არ შეეძლო მოეპოვებინა ამ ზღვაოსანთა ავტორიტეტის მეთაფი ნაწილიც კი. მისი ერთფეროვანი დარტყმები უფრო მოსაბეზრებელი იყო, ვიდრე შემამინებელი. „კუკურუხა“ მოკლებული იყო ყოველგვარ გამომგონებლობას. იგი თავადაც გრძნობდა, რომ მისი სანაქებო, ოფლით მოხვეჭილი სახელი და დიდება ქრებოდა ჩრდილოეთის ცილიციით ჯადოსნური შარაგანდედის წინაშე, რაც მოსავდა ლილიკის კორფლიან შუბლს, გულკას ყვავივით შავსა და წვეტიან სახეს და ფუნტიკის ბლინის მსგავს სიფათს.

ერთხელ ოთხივენი სასკოლო საღამოდან ვბრუნდებოდით. ვიყავით ძალზე მხიარულნი და აღტაცებულნი, განვიციდით იმ გმირულ აღტყინებას, რომელიც ყოველთვის იჩენს თავს ბიჭებს შორის დიდ ხმაურთან წრეში მუსიკისაგან და თამაშობაში მეტოქეობის

დროს. ვიცინოდით და ხმამალა ვლაპარაკობდით გვინდოდა გვეტრაბახნა, გავეყვირებოდა რაიმეთი ერთმანეთი. არც კი შეგვიჩინებია, როგორ მივადექით ბულვარს. იქვე ახლოს პირქუშად ჩამავებთულიყო გუბის წყალი, ხეები გამხმარ ტოტებს აშრიალებდნენ, ბულვარი მესერიდან მესერამდე ფართო და ვრცელი იყო სამყაროსავით. აღზნება უცერად დაგვიცხრა, ყველამ ერთად გავიხედეთ მიასნიცკიას მხარეს, მაგრამ, შევხარა სიტყვების ტვირთი გზიდან გადახვევის სურვილს არ გვიღვივებდა. ხმა გავეკმინდეთ, უცერად დავესერი-ოზულდით და განვაგრძეთ გზა ბულვარზე. ახლა თითოეული ჩვენთაგანი მხოლოდ ერთს ვესწრაფოდით: უსიამოვნო შეხედარის შემთხვევაში მოგვეხდინა უაღრესად უწყინარი შთაბეჭდილება.

ერთი ბილიკი, მეორე, აი უკვე თვალს გვიპაუუნებს ტრამვაის ლიანდაგის წითელი სასიგნალო ფანარი. აი, უკვე წავიფორხილე გათოშილ ლიანდაგზე, მივყვები დანარჩენებს და გადავდივარ გზაზე. როგორი აღურსით კიაფობს ფანრებით არხანგელსკის შესახვევის წყნარი შესართავი! მოულოდნელად პორტოსის ზურგს მივეჯახე.

— რად შეჩერდი, თეთრო ბიჭო? — მოახლოებული ხიფათის შეგნებით შევყვირე.

მაგრამ პორტოსმა არაფერი მიბასუხა, მან განზე გადადგა ნაბიჯი და გულმა ბაგა-ბუღი დაიწყო, თითქოს გამაცივია. პირდაპირ მომიჩერებია ნარინჯოვან ფორთოხალში. ჩასმული ორი მწვენიე პატარა თვალი. მაგრამ ეს ფორთოხალი როდი იყო, არამედ ლიალიკის ჭორფლიანი, თავხედი და ბორცვი ცხვირპირი. გვერდით ედგა, შავი ბახალა გულკა, მათ უკან ბლინსიფათა ფუნტიკი იღრიქებოდა. დანარჩენი ორის შეთვალეირება ვეღარ მოვასწარი — ზურგიდან მოგვიარეს, გარშემორტყმულნი აღმოვჩნდით.

— რად შეჩერდი, თეთრო ბიჭო? —

გამომაჯავრა ლიალიკმა და საძაგელი სიცილი აუტყდა.

არქონულე

მაშინ თითოეული ჩვენგანი შეუხმებლად შევიდა თავის როლში. არამისმა დაიწყო ბიჭების მასხარად აგდება, ათოსი ხმაამოუღებლად დადგა ყველას წინაშე, მოთავის საპირისპიროდ. პორტოსი გამოიჩვიდა, მე კი ასეთი საუცხოო შეგობრობით გრძნობამორეულმა, გავუქნიე და მაგარი მუშტი ვთბლიშე ლიალიკს პაქუა ცხვირში. ვიგრძენი, თუ როგორ ჩაექყლიტა ცხვირი ლიალიკს, ელექტრონის ზარის კნობივით.

არ ვიცი, შესაძლოა უკვე დილიდანვე ფარულად და მრისხანედ დაიწყო ყინულის ქვეშ ბობოქრობა ჩისტი პრუდის წყლებმა, ანდა ამწვანდა შექიჩბლული ცაცხვი, რომელიც სათბურის შენობის ნანგრევებში იყო აღმოცენებული ან რაიმე სხვა არაჩვეულებრივი მომასწავებელი ნიშანი აუწყებდა ჩისტობრუდელებს საშინელ უბედურებათა მოახლოებას; შესაძლოა, ყველაფერი წინასწარ იყო აღნიშნული ბედილბოს წიგნში, — მაგრამ, როდესაც ვიკინგის ცხვირიდან მომდინარე წითელი ნაკადი დაეინახე, იმდენად გავოცდი, რომ უცბად ვერც კი მივხვდი, ეს სისხლი რომ იყო.

ამასობაში გარშემო გაჩაღდა ბრძოლა. ათოსმა ჩისტობრუდელთა საყვარელი — გულკა ამოიღო ნიშანში, პორტოსმა — ფუნტიკი, არამისი კი ორს უმკლავდებოდა.

ხოლო ჩემი მოწინააღმდეგე, საშინელი და უძლვეელი ლიალიკი, იდგა ჩემს წინაშე, ორი თითით იწმენდდა ცხვირს და თოვლზე წვეთწვეთად ღვრიდა წითელ სისხლს. იგი უმწყო იყო ამ წუთს, მაგრამ საყუთარი უტიფრობით შეძრწუნებული არც კი ვფიქრობდი მომხდარი უპირატესობით მესარგებლა. ჩემი სიფიცხე დაცხრა, სამარცხვინოდ შემოვბრუნდი, მაგრამ ნაბიჯის გადადგმაც კი ვერ მოვასწარი, როცა ვილიცის ფეხს წამოვედე და თოვლში გავიშოტე. ჩემი მოწინააღმდეგე წუთით გამოერკვა პირ-

ველი დარტყმისაგან და ერთი ნახტომით ჩემს ზურგზე აღმოჩნდა. საოცარი ამბავი მოხდა, მისი დარტყმა სიამოვნებას მეგრძობდა! ლიალიკი ჩემთვის საშინელების განსახიერება იყო, ამიტომ მეგონა, მისი დარტყმა სასიკვდილო იქნება მეთქი. მაგრამ ამგვარი არაფერი მომხდარა, თითქმის ვერც კი ვგრძნობდი ტკივილს. ამ დროს შიში სულ გამიქრა. ახლა უკვე ვიცოდი, რომ მის ძარღვებშიც ისეთივე სისხლი სჩქეფდა, როგორც ჩემსაში. და რომ მისი ძალა არაფრით არ აღემატებოდა ჩვეულებრივი ადამიანის ძალას; იგი თავის მსხვერპლს შიშით აუქლურებდა.

სიამოვნება, რომელიც ამ აღმოჩენით მერგო, იმდენად ტკბილი იყო, რომ ლიალიკს რამდენიმე ზედმეტი დარტყმის უფლებაც კი მივეცი. შემდეგ წამოვხტი. პირველმა ჩემმა დარტყმამ ისევ გახსნა რაბები მის პაჭუა ცხვირში. კიდევ ერთი დარტყმა და, ლიალიკი ქვეშე ხელების საფასვით ბზრიალადავით გაგორდა ქვაფენილზე. თან ბრძოლის ველს სწრაფად მოვავლე თვალი, მუშკეტერები მტკიცედ იდგნენ. არამისი ხტოდა, ძლოკვივით იკლავებოდა მოწინააღმდეგეთა შორის, და ახლოს არ იკარებდა მათ. თავად კი დრო და დრო, მართალია არა ძლიერ, მაგრამ ზუსტად სცემდა სახის ყველაზე მტკივნეულ ნაწილზე, პორტოსი და ფუნტიკი, ორივენი სქელსქელნი, ზორ-ზოხა და ტლანქები ერთიმეორეს უმასპინძლებოდნენ ძლიერი დარტყმებით და სრულებით არ ფიქრობდნენ თავდაცვაზე. ათოსი თითქმის სხვაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო...

და უცბად პატარა სცენის მოწმე გავხდი, რამაც მტკიცედ დამარწმუნა გამარჯვებაში.

არამისის ერთ-ერთმა მოწინააღმდეგეთაგანმა მოახერხა ზურგიდან მოევლო მისთვის, რაც განსაკუთრებით საშიში მომენტი იყო. ერთი მოხერხებული სარმა და — არამისი დაიღუპებოდა. მინდოდა დამეყვირა: „ფრთხილად-მეთქი!“

მაგრამ პორტოსი, რომელმაც ფუნტიკს ძლიერი სილა უთავაზა, მუხუღუნული სიციქვით შემობრუნდა, მისი თქმულებას სქელი ლანჩა არამისის მოწინააღმდეგეს უკანაღმდეგე მოხვდა და თვალის დაბამხამებაში ღრიალრიალით ნამჭერში გადაეშვა.

ღიახ, მუშკეტერები მარტოდენ კი არ იბრძოდნენ, ერთმანეთსაც ადევნებდნენ თვალყურს, რათა საჭიროების დროს მიშველებოდნენ ურთიერთს. ჩისტობრუდელი ბიჭები ძლიერნი იყვნენ თავიანთი ორგანიზირებულობით, მაგრამ ახლა ისინი შეეჯახნენ უფრო მტკიცე ორგანიზაციას. ჩვენ ერთსულონობით ვჯობდით მათ. ჩვენში არ იგრძნობოდა არც შური, არც ქიშპობა, ჩვენ თითქმის ერთ სხეულს წარმოვადგენით. ამითაც ვჯობნიდით ჩისტობრუდელებს. ხომ არავინ არ მიშველებოდა ლიალიკს, როდესაც პირველი დარტყმითვე გავუხეთქე ცხვირი. ალბათ, გულკას გულში კიდევ უხაროდა, მისი მეთაურის დამცირება. როდესაც ლიალიკისაკენ შემოვბრუნდი, მას შეეძლო ჩემს თვალებში თავისი სასიკვდილო განაჩენის ამოკითხვა.

კიდევ ერთხელ დაეარტყი მას და ლიალიკმა ხელის შემობრუნება ვეღარ გამიბედა. იგი თავის მოკლე პალტოთი დახტოდა, სულს უბერავდა სისხლით მოთხერილ ხელებს. ხელი მოვუღერე.

— გეყოფა, — მოღუშული არაბავშვური წყენით მითხრა ლიალიკმა და განზე გავიდა.

მაგრამ მარტო ფიზიკურად მისი გატეხვა როდი მაკმაყოფილებდა.

— მოუსვი! — ვუყვირე და ბულვარისკენ გავიშვირე ხელი.

იგი შებრუნდა და ნელ-ნელა წალას-ლასდა.

— სირბილით! — დავუყვირე მე. მან თავი მხრებში ჩამალა და წაძუნძულდა.

— აბა, ჩქარა!... უფრო ჩქარა!...

ყოფილი ვიკინგის მოკუნტული გამოსახულება როგორცაც საცოდავად აც-

კვდა ქუჩის ფანრების სინათლეზე და ბულვარის მესერს მოეფარა.

მე შემოგებრუნდი მოჩხუბრებისაკენ. არამისის ერთ-ერთ მოწინააღმდეგეს. ალბათ, იმას, რომელსაც პორტოსმა თექურა აგვმა, დაეტოვებინა ბრძოლის ველი და არამისი თავს ცუდად აღარ გრძნობდა. პორტოსი უხალისოდ, მაგრამ მტკიცედ განაგრძობდა ფუნტიკთან ორთაბრძოლას; სამაგიეროდ ათოსი იყო გაჭირვებაში. პატარა გამბდარი გულკა ეშმაკივით მკვირცხლი და ავი იყო. ლურსმნებიანი ჩექმის პეინტით სცემდა ათოსს მუცელსა და წვივებზე, შეხტებოდა და თავს ურტყამდა ნიკაპქეშ. ათოსის გრძელგრძელი ხელები უშწოდებდა პრედა ჰაერს. ვერაფრით ვერ ახვედრებდა გულკას. ნამდვილი ათოსი უმალ მოკვდებოდა, ვიდრე ვინმეს შეეღას სთხოვდა, მაგრამ მისი შემოხედვა ყოველგვარ სიტყვაზე უფრო მკერმეტყველი იყო. ჩვენი ათოსი არაფრის გულსათვის არ დამცირობებოდა იქამდე, რათა შემოხედვითაც კი ეთხოვნა დახმარება. იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელიც მოკვდება, მაგრამ დათმობაზე კი არაფრით არ წაევა.

მე საყვლოში ვსტაცე ხელი გულკას.

— გაუშვი! — ხრინწიანი ხმით დამიყვირა ათოსმა.

მიუხედავად და ხელი გავუშვი. მაგრამ გულკა უფრო გამძლე ლითონისაგან იყო შემზადებული, ვიდრე ლიალიკი, — ის კვლავ ყალყზე დადგა, როგორც იქნა ათოსის ერთ-ერთი მოქნევა ნიშანში მოხვდა. როდესაც გულკა მოსახვევში მიბრუნდა, მომეჩვენა, თითქოს იგი განაგრძობდა ვაფრენას, რასაც ბიძგი მისცა ათოსის დარტყმამ.

არ ვიცი, ოთხივე ერთად გაუშკლავდებოდით თუ არა ფუნტიკს. იგი თითქოს სპილღს ტყავისაგან იყო გარშემორტყმული — დარტყმები ზიანს არ აყენებდა. მაგრამ, როდესაც შეატყო მარტო დაერჩიო, სქელუა სულ დაიბნა, მოეშვა, ხელები ჩამოყარა და იმით

დაამთავრა, რომ ხბოსავით მორთო-ღრიალი.

ერკენული

ჩვენ თითო-თითო კიდევ გამოეყოლებო სახსოვრად, ზეიმით გავემართეთ სახლებისაკენ და მთელი სივრცე-სივრცით დავიკავეთ ქუჩა, რომელიც ისე, როგორც მთელი ქვეყანა, ახლა ჩვენ გვეკუთვნოდა. ასე მივიღეთ ჩვენი პირველი ნამდვილი საბრძოლო ნათლობა.

ახლა საჭირო იყო მთელი მიდამოსათვის გვეუწყებინა ჩვენი გამარჯვების ამბავი. მეორე დილით მწყობრი ნაბიჯით გამოვედით ეზოში. ეს მწყობრი ნაბიჯები უნებლიეთ წარმოგვექმნა, როგორც კი ვივარძენით თავი სამხედრო ნაწილად. წინ მე და ათოსი — შემტვევი ჯგუფი, უკან პორტოსი და არამისი — დაცვა.

პირველი, რომელსაც შეეხვდით, „კუკურუხა“ იყო. ჩვენ სულაც არ გვინდოდა მასთან ჩხუბი, ეს ჩვენ გვგებებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ კუკურუხა იყო მძიმე, გონება-ჩლუნგი ბიჭი და სულ თავის პრესტიჟზე ზრუნავდა, მიუხედავად არაჩვეულებრივი ძალღონისა, იგი იმდენად სულელი იყო, რომ ყოველ ვიგინდარას შეეძლო მისი აბუჩად აგდება.

მაგრამ არც კი ვფიქრობდით მის ხელის ხლებას. კუკურუხამ ერთი კუშტად შემოგვხვდა და ჩამს, ჩვენმა ზუსტმა წყობამ მას აღუძრა ბუნდოვანი უკმაყოფილება, თითქოს ამაში თავისი თავის უფლებების შელახვა დაინახაო. კუკურუხა თავდაღუნული წამოვიდა წინ და გვერდი გაპკრა ათოსს. არ თქმულა არც ერთი სიტყვა, არ დაძრულა კრინტი ხმა, მაგრამ თვალის დახამხამებაში კუკურუხას ყურებიანი ქული ღვინის სარდაფის სახურავზე ეგლო, თექურები სანარცხე ორმოში ჩაიმაჩხა, ნივთების მფლობელი კი იჭდა ქუჭყიან ნამქერში და ყურებიდან იბერტყავდა თოვლს, თევას და ყოველგვარ ნაგავს. ჩვენ კი ისევ განვავარძეთ ეზოში მწყობრი ნაბიჯით მსკლელობა და თავიც არ

შეგვიწუხებია დამარცხებული ბუმბერაზის შესახებდავად.

მაღე მთელი ეზოსა და ახლო-მახლო მცხოვრებმა ბავშვებმა იგრძნეს ჩვენი ახალი ძალა. ერთნი გატაცებით, მეორენი უნდობლობით ადევნებდნენ თვალს ჩვენი ძლიერების ზრდას; მანამდე კი, ჩვენ გვჭონდა სახელი თავმდაბალი ბიჭებისა, რომელთა განაწყენებაც ძალზე იოლი იყო.

მხოლოდ მარტო კუკურუზა ვერ მიმხედარიყო მომხდარ ცვლილებას. საცოდავ ბიჭს ვერაფრით ვერ დაეკავშირებინა წარსული აწმყოსთან. ერთხელ როცა სკოლიდან ებრუნდებოდი, მოახერხა ჩემი მარტო „დაჭერა“, და რამდენიმე ლაზათიანი სილა მაჭამა.

— კუკურუზა, დაიხსოვ! — დავემუქრე გამოთხოვებისას და მაშინვე ვინანე თავმუდკაველობა: ამიერიდან იგი ჩვენი ოთხეულის შეხვედრას მოერიდებოდა და აღარ მოგვიხდებოდა მასთან ანგარიშის გასწორება.

ცუდად ვიცნობდი კუკურუზას: მან უკან კი არ დაიხია, არამედ თავად შევარდა ცეცხლში.

ექზეატუციის შემდეგ კუკურუზამ მორჩილად აიკრა გულა-ნაბადი, მაგრამ საჭირო ვაკვეთილი ვერ გამოიტანა, და მეორე დღესვე სცემა არამისი. ამჯერად მას უფრო შკაცრი სასკელი მიაყენეს. პორტოსმა ჩვენი ერთსულოვნური მხარდაჭერით არა მარტო დაუზილა კუკურუზას გვერდები, არამედ მისი ბარგი-ბარხანა შეშის საწყობის სახურავზე ატყორცნა, რის ჩამოდებასაც კარგახანს მოუხდა.

— ნუღარ ახლებ ხელს იმათ, კუკურუზა, — ურჩევდნენ სხვა ბავშვები, — მთლად დაგლუპავენ, ხედავ, როგორი ფერმკრთალი გახდი.

არადერმა არ უშველა. კუკურუზა ვერაფრით ვერ შერიგებოდა იმ აზრს, თუ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ის ბიჭები, რომელთაც იგი საითითაოდ ცემდა და წინათ ადვილად ბერტყავდა ამ ოთხ საძაგელ ბიჭს, ახლა ასე

სასტიკად უსწორდებოდნენ. ყოველთვის დაგვეჭვებოდა და, თავის უღუფის მიღების შემდეგ, დიდხანს იჯდა თოვლში და საშინლად გატანჯული ფიქრობდა მომხდარ ამბავზე.

ეს იყო ჩვენი მუშავეტერობის გაფურჩქნისას. მაგრამ სწორედ ამ წუთებიდან დაიწყო თამაშის მინელება. ამის მიზეზი იყო ბევრი რამ: ჩვენი წამოზრდა, სკოლა, ახალი წიგნები და სურათები, რომლებიც მოგვიტზობდნენ ჩვენს თანატოლებზე საბჭოთა ბავშვებზე, რომელთა საქმეები ჩვენთვის უფრო ახლობელი და საინტერესო იყო ვიდრე დღემას შორეული გმირების თავგადასავალი.

მე და ბავლიკი ერთ კლასში ვსწავლობდით. და აი საზამთრო არდადეგების შემდეგ ჩვენთან მოვიდა ერთი უფროსი ამხანაგი, მეხუთეკლასელი და გამოგვიცხადა, თქვენ პატარები აღარა ხართ და დროა წითელ ყელსახვევზე იფიქროთო. წითელი ყელსახვევი დიდი ხანია ჩვენი ოცნება იყო, ჩვენ შესანიშნავად ვიცოდით მისი გამონასკვა და ვიცოდით ისიც, რომ იგი სიმბოლო იყო სამი თაობის ურღვევი მეგობრობის: კომუნისტების, კომკავშირელებისა და პიონერებისა. მაგრამ იმ უფროსმა ამხანაგმა მითხრა, პიონერად ვახდომისათვის მარტოდუნ სურვილი როდი კმარა, ყელსახვევი უნდა დაიმსახუროთო. მოგვეცეს სამი დავალება: ჩვენი ეზოს მომხინდრეთა შორის ჩაგვეტარებინა სულ ცოტა ათი მანეთის რაოდენობით ხელმოწერა ტორპედიან კატარაღზე, შეგვეგროვებინა ერთი ტომარა ქაღალდის უტილი მთავარ ფოსტაში, რომელიც ჩვენი სკოლის შეფი იყო და დაგვეწერა ლექსები კედლის გაზეთ „პიონერის ხმისათვის“.

პირველი და ბოლო დავალება ბრწყინვალედ შევასრულეთ. ამაში დაგვეხმარნენ ჩვენი მეგობრები. ღერბიანი და ბექედლასმული ხელისმოსაწერი ფურცელი მხოლოდ ორი გვჭონდა, მაგრამ დავხაზეთ რვეულის ფურცლები და ბორისს და კოლკას ჩავაბარეთ. რადგან

მათ სახლში კარგად იცნობდნენ, სიყალბეში ექვი არავის შებარვია. შემდეგ მათი ფურცლები ჩვენს ფურცლებში ჩავაწებეთ. ასეთნაირად მოგროვილი თანხა ჩვენი დანაზოგითაც შევაესეთ, რისთვისაც გავტეხეთ თიხის ყულაბები: მე კატა, ხოლო პავლიკმა ძაღლი. საერთო თანხა ოცდა ჩვიდმეტ მანეთამდე ავიდა.

ლექსი მივუძღვენით სახელოვან საბჭოთა პოლარულ ექსპედიციას, რომელიც ეძებდა იტალიელი აერონავტის უმბერტო ნობილეს ბედარულ თანამგზავრთა ჯგუფს. ამ ლექსის სამი დღის განმავლობაში ვწერდით, სამაგიეროდ შესანიშნავი გამოვიდა:

და ჩუხნოვსკი ზხის გულდა,
გადსერა სივრცე ფრენით:
ხალხთ საშველად იმქაროდა
ჩრდილოელი ვიირი ჩვენი.

კედლის გაზეთში დაბეჭდილმა ამ ლექსმა ფურორი მოახდინა, მთელმა სკოლამ ზეპირად ისწავლა. პოეტური სიღამაზის უქონლობა და რამდენიმედ საწყინარი სიმოკლე წარმატებით დაფარათემის აქტუალობამ. იმ დროს ჩუხნოვსკი ბიჭებისათვის კერბი იყო, ჩვენს თანატოლებს შორის ჩუხნოვსკები არა ნაკლები იყვნენ, ვიდრე პოკრიშკინები და კოჩედუბები დიდი სამამულო ომისდროინდელი ბავშვებისათვის.

დაგვჩა მესამე დავალბა: ქალაღლის უტილის შეგროვება ფოსტაში. ამან ჩვენში დიდი დაქვეება გამოიწვია.

მიასნიცკიაზე მდებარე მთავარი ფოსტა ჩვენთვის წარმოადგენდა ერთ იშვიათ საოცრებათაგანს ამქვეყნად. იქ ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო. მშრუნავი ვეებერთელა კარი, რომელიც ისწრაფის დაგეწიოს და მიგუყლიტოს თავისი მუხის სიმძიმით, გვიანტური დაარბაზის შუა შავად მოჩანდა მიწისქვეშეთის ხახა, რომელიც შენობის საიდუმლო წიაღში მიდიოდა; ხის მოაჯირის იქეთ მშრუნავი გორგოლაქებზე სტვენით გარბოდნენ უსასრულო რეზინის ლენტები, რომლებზედაც, რყევით მიცურავდნენ დალუქული კონვერტები, უზარ-

მაზარ ცისფერ, ვარდისფერ, ლურჯადა წითელ კონვერტებში ჩაწყობილი სქელი წერილები, იქ კი, გუმბათის წარმოუდგენელი სიმაღლის ზენიტში, სადაც აღწევდა მთელი ეს ხმები და ხმაური, გუგუნებდა განუწყვეტელი ექო, თითქოს საიდუმლო მუსიკა უკრავსო.

მაგრამ, კიდევ უფრო მიმზიდველი იყო ის, რაც ხდებოდა შიგნით კედლებს იქით. და აი, ახლა გვეძლეოდა საშუალება ამ აკრძალულ ქვეყანაში შეღწევისა, დაგვენახა ის, რაც სამუდამოდ დაფარული რჩება ფოსტამტში მრავალი ათასი მიმსვლელთათვის. მაგრამ როგორ შეგვეთავსებია უტილი და მუშეკეტრობა, ცისფერი მოსასხამი, დაშნის მოქნევა; „ძველი სამტრედე“, ძველი გაზეთების ნაფლეთებთან, ქალაღლის ნაგავთან და კარტოფილის სუნით გაქდენთილ ტომრებთან?

სხვა საქმეა — ტორპედიანი კატარო, ანდა ლექსები, რომელთაც სახელოვანი სირანო დე ბერკერაკიც კი არ დაიწუნებდა.

ვცადეთ თავის არიდება, ვთხოვეთ ამ დავალების შეცვლა სხვა რაიმეთი, მაგალითად, მოგვეგროვებინა ფული კიდევ ერთი კატარლისათვის ანდა დირიჯაბლისათვის. მაგრამ უფროსმა ამხანაგმა მკაცრი პასუხი გავცვა.

— უტილის მოგროვება — ერთ-ერთი მთავარი ამოცანათაგანია ამ ეტაპზე. უტილისაგან ამზადებენ მანქანებს, დაზგებს ველოსიპედებსაც კი. ქალაღლი ნაგავი ისევ ქალაღლად გადამუშავდება. ქალაღლს კი, როგორც თქვენთვის ცნობილია, იყენებენ რვეულისათვის, რომლებიც არ ყოფნით არც პატარებს და მეხუთეკლასელებსაც კი. ასე რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გამოგვადოთ ამ მთავარ უბანზე.

რალა უნდა გვექნა? ერთი მხრივ, წითელი ყელსახვევი, მოვერცხლილი ბუკის საყვირზე დიღის შეკრება, სკოლის საუკეთესო რაზმზე მიკუთვნება, მომხიბვლელი სამუშაო, მეორე მხრივ კი — გაქიანურებული თამაში, რაც უკვე მე-

ტისმეტად ვიწრო ტანსაცმელივით მოგვეჩვენა. მარტის ერთ აღრიან დღით, როდესაც პაერი ცივი და უფერულად მოღუშული იყო, მე და პავლიკმა მოვიმარაგეთ ორი ტომარა და გავემართეთ ფოსტამტისაკენ. ქუჩაში მოტირალწვეთებიანი კედლების გასწვრივ საყელო აწეული ადამიანები სამუშაოსკენ მიისწრაფოდნენ. უნებლიედ ფეხს ვუწყობდით მათ ნაბიჯებს და ჩვენს სიცოცხლეში პირველად ვგრძნობდით თავს მშრომელებად.

კრივკოლენის შესახვევის კუთხეში გვიცდიდა სიცივისაგან გაცრეცილი ნიკოლაი. მას მუცელზე მიეჭირებინა რაღაც ქალღღებების უზარმაზარი დასტა. კოლკას შეშინებოდა, იქნებ ტომარა უტოლი ვერ მოგვეგროვებინა და მამის ბიბლიოთეკიდან ჟურნალ „ნივას“ კომპლექტი გამოეტაცნა, თან მიუმატებია თავისი ნახატების გროვა. ჩვენ მადლიერებით მივიღეთ ნახატები, „ნივა“ კი გადავდევით, რათა შემდეგ დაგვეთვალაიერებინა ილუსტრაციები. კოლკამ ფოსტამდე მიგვაცილა და მოწამე გახდა იმისა, თუ როგორ მიიტანა ცხვირამდე ჩვენი საშვი სქელმაზარიანმა ძია მეხანამემ „წესრიგშიაო“ ჩაიბურტყუნა და გზა გავინთავისუფლა პატარა კარისაკენ, რომელზედაც კიაფობდა წითელი ელემტროსინათლე წარწერით „სასამსახურო შესასვლელი“.

ორი კვირის შემდეგ კი ფიზკულტურის დარბაზის სცენაზე ვიდევით ჩვენი თანაკლასელების გვერდით, მღელვარებისაგან გაწითლებულნი იმ ყელსახვევისფრად, რომელიც ხელში ეპირა უფროს ამხანაგს. ვცდილობდით ერთი მეორეზე უფრო ხმაშაღლა გვეყვირა და მონდომებით გამოვთქვამდით:

— მე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის ნორჩი პიონერი, ვიძლევი საზეიმო დაპირებას...

ამის შემდეგ მაინც და მაინც გულგრილი არ ვიყავი თამაშისადმი, მაგრამ არც წინანდელი აღტაცებით ვიმოსებოდი მუშკეტერის მოსასხამით. მუშკეტე-

რობამ საბოლოო დარტყმა მიიღო სულ სხვა, სრულიად მოულოდნელი მხრიდან.

ბოლო დროს პორტოს რაღაც ცვლილება შევამჩნიე. იგი წინანდებურად საკმაოდ გულმოდგინედ ასრულებდა მუშკეტერულ სამსახურს, მაგრამ ამას თითქოს მოვალეობისათვის ჩადიოდა და მთელი გულით აღარ თამაშობდა. რამდენჯერმე დავინახე, ბორისი და კოლკა რაღაცაზე რომ საუბრობდნენ. უფრო სწორად, ბორისი უყვებოდა, მისთვის უჩვეულო ექსტიკულაციით, კოლკა კი პირდაღებული უსმენდა, ჩემი გამოჩენისთანავე ბორისი გაჩუმდებოდა და გაიღიმებდა, ისე როგორც ამას ჩადის რაღაც თავისი სასიამოვნო ფიქრებით გატაცებული ადამიანი. ამის დაფარვა ჩემგან შეუძლებელი იყო, მაგრამ მე ისე ვიქცეოდი, თითქოს ვერაფერს ვამჩნევდი. ჩვენი მეგობრობა ნებას არ მაძლევდა ძალა დამეტანებია ბორისისათვის გულახდილობაში. ჩემს გუნებაში იმედს მაინც არ ვკარგავდი, რომ იგი თვითონ გამიმხელდა საიდუმლოებას. ასეც მოხდა.

ერთ საღამოს თავი შევიყარეთ და ვუცდიდით ბორისს, რომელმაც ჩვეულებრივზე მეტად დააგვიანა. ჩვენ თამაშს ვერ ვიწყებდით და ვბრაზდებოდით ჩვენს მეტისმეტად აუჩქარებელ მეგობარზე. უეცრად კარი გაიღო და გამოჩნდა ბორისი. მაგრამ იგი არ იყო ჩვენი ჩვეულებრივი პორტოსი. მისი ხორბლისფერწარბებიანი კეთილი სახე ჩამძვრალი იყო წითელარმიელის ძველ, ჩრჩილისაგან გამოქმულ მაღალ წვეტიან მუზარადში. მუზარადის შუაში, პატარა საჩხებზე ანათებდა შავი ძაფით მიკერებული ხუთქიმიანი ყუმაჩის ვარსკვლავი. ჩვენს თეთრ ბიქს გვერდზე ეკიდა დახეთქილი მუქი ტყავის რევოლვერის ბუდე.

— კოტოვსკის მეორე საკავალერიო ბრიგადის მებრძოლი ლაბუტინი, ყოფილი პორტოსი,—თავი გაგვაცნო მან და მარჯვედ აგვიღო ხელი.

გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა.

ზორკას განზრახვის თანაზიარი არამისი — კოლკაც კი, განცვიფრებული იყო ამ საუცხოო სანახაობით. მან დაყნოსა რევოლვერის ბუდე და აღნიშნა რომ „ტყუია წამლის სუნი უდისო“, შემდეგ, თითისწვერებზე დადგა და მუზარადის წვეტს შეეხო.

— ნამდვილია, — დაასკვნა მან.

— ეის მოპარე ეს მორთულობა თეთრო ბიჭო? — ჩემდაუნებურად შური გაისმა ჩემს შეკითხვაში.

— რატომ უნდა მომეპარა! — მამაჩემმა მომცა. იგი წითელ გვარდიაში მსახურობდა.

წინათაც ვერ წარმომედგინა, რომ შესაძლო იყო ადამიანის პატივისცემა იმაზე მეტად, როგორც ჩვენ ვცემდით პატივს მოხუც ლაბუტინს, როდესაც იგი წითელი ტრამვით, გააფთრებული ზარის წკრიალითა და ცისფერი ნაერწყლების ჩინჩხლებით მოიჭრებოდა არმიანკის შესახვევის გაჩერებასთან თან სწრაფად დაამუსრულებდა ზედ კუთხესთან. ჩვენი უზოს თითოეული ბიჭი ბედნიერად თვლიდა თავს, როდესაც ყოყინა — „გამარჯობა ძიას“ პასუხად მოხუცი ტრამვას მძლოლი ჩაუყარავდა მათ წითურ წამწამებთან მწუნან თვალს. მაგრამ ახლა ჩვენი პატივისცემა თავყანისცემაში გადავიდა. როგორც გამოირკვა, იგი უბრალო მებრძოლი როდი ყოფილა, არამედ თვით „კაპტენარმუსი“.

— აბა რას რომავ, თეთრო ბიჭო! — წამოიძახა კოლკამ, რომელზეც არაჩვეულებრივად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სიტყვა „კაპტენარმუსმა“.

თეთრმა ბიჭმა დაიფიცა, ნამდვილ სიმართლეს ეამბობო.

ეს და მომდევნო დღეები ისე აღვიქვი, თითქოს ჩემი ოთახის კედლები აღგილიდან დაიძრნენ საკვირველმოქმედი ძალით, იწყეს გაფართოება, რაღაც შემუსრეს თავიანთ ზნაზე და თვალწინ გადამიშალეს ახალი, ჯერ განუცდელი სამყაროები და სივრცეები, რომელთაგანაც სუნთქვა მეკვროდა.

გარდა იმისა, რომ ჩვენს საბლში აღ-

მოჩნდა ნამდვილი ცოცხალი გმირი, გარდა იმისა, რომ თეთრმა ბიჭმა, განუდულად მოიშორა მუშკეტერის სროსასწამი, ჩვენს წინ წარმოდგა შერქმალეული, მაგრამ წითელი მებრძოლის ბრწყინვალე გარეგნობით, ჩვენ თავიდაც, ახალი გმირობით მოხიბლულები, ვცდილობდით, წავეყვანეთ მას ამ, ჯერ მხოლოდ მისთვის განკუთვნილ სამყაროში.

მაღე ჩვენთვის ნათელი ვახდა პორტოსის გარდაქმნის მთელი სურათი. დილის საბავშვო სეანსზე კინოთეატრ „მუქურაში“ — „მოსკოვის ყველაზე ცუდ კინოში“, როგორც ვგამცნო საკმაოდ ამაყად ბორისმა, მან ნახა ფილმი „წითელი ეშმაკუნები“ — სამი ბავშვის შიშკას, დუნიაშას და ზანგ ტომის არაჩვეულებრივი თავგადასავალის შესახებ, რომლებიც წითელ არმიასთან ერთად იბრძოდნენ საშინელი ატამანის მახნოს წინააღმდეგ.

რა ოინებს არ უწყობდნენ ისინი მახნოველებს! ხან გადაცმული დუნიაშა შეიპარებოდა მახნოველების შთავარ შტაბში და მოიტაცებდა მნიშვნელოვან საბუთებიან პორტფელს. ხან მიშკა — მეძებარი თავს მიუწეწკავდა ვაგონის კარებით მოთვალთვალე მახნოველს. ხან ზანგი ტომი თავს მოიმკვდარუნებდა და ამით შეიტყუებდა საღარში თეთრ ბანდიტების მთელ ილალს. ხან სკიბიდარს ამოუსვამდნენ უკნიდან თვით მახნობ... ეს სურათი იმდენად მოეწონა ბორისს, რომ გადაწყვიტა თავად შესულიყო წითელი გვარდიის რიგებში.

— რანი არიან ეს მუშკეტერები, — გატაცებით ამბობდა იგი, — მხოლოდ ის იცოდნენ, რომ დაშნით ჩხვლეტდნენ გაბერილ ზურგონებს. აქ კი, ნახეთ, როგორ ატყვევებენ ბანდიტები დუნიაშას! ეს, რასაკვირველია, მკრეხელობა იყო, რომლისთვისაც წინა დღეებში პორტოსი ღირსი იყო დაშნის ერთი კარგი დარტყმისა გულში, მაგრამ ახლა მხოლოდ შეეკითხე:

— შერე და ის რალას შევბოდა?

— დუნიაშა? დუმდა მიცვალებუ-

ლივით. მახნომ ბრძანა მისთვის ცეცხლი შეენთოთ ქუსლებში. ის კი დუმდა. გავარვარებულ ნაკვერჩხლებს უყრიდნენ თითებში, ის კი დუმდა.

— მერე რაღა მოხდა?

— შემდეგ ზანგმა ტომმა გადაარჩინა. მერე თითქოს ცოლადაც თხოულობს მას.

ეს უკვე აღარ მოგვეწონა: გათხოვება სირცხვილად ითვლებოდა და ჩვენ არ გვიყვარდა, როდესაც გმირები ქორწინდებოდნენ. ამიტომ ბორისმა აჩქარებით დაუმატა.

— ეს უკვე სულ ბოლოს ხდება. ისე კი ზორბა რამეა!

— რა იქნებოდა, ეს სურათი რომ გვაჩვენა! — ოცნებით წარმოთქვა კოლკამ.

— თავისუფლად შეიძლება ამ სურათის ნახვა! მხოლოდ ახლა იქ მიდის „ცხოვრება ცხოვრებისათვის“. საშინელი სასლავარგარეთული აურზაურია, სადაც სულ ერთმანეთს კოცნიან. ხელჩავირბენ და გავიგებ, როდისაა საბავშვო დღია.

— გასაგებია, ესე იგი გადაწყვეტილია, — ვთქვი მე. — მანამდე კი... — და დაშნისაკენ წავიღე ხელი.

— წავიდნენ ერთი მუშკეტერები! — გაბრაზებითა და დაუდევრად ჩაიქნია ხელი ბორისმა.

— აბა ფრთხილად, თეთრო ბიჭო! — ვიგოძენი, როგორ შემეყინა ლოყები.

— მერე, იცი, ვინ არიან მუშკეტერები? — განმაცვიფრა მან მოულოდნელი შეკითხვით.

— როგორ თუ ვინ არიან? გმირები, ჯარისკაცები.

— მიჭარავ! ისინი ჟანდარმები არიან! ჟანდარმებიო? ჩვენ ბევრ რამეს მოგვითხრობდნენ მეფის ჟანდარმთა შესახებ და მე არ ვიცოდი „ჟანდარმზე“ უფრო სალანძღავი სიტყვა. როგორ შეიძლება ჟანდარმები ყოფილიყვნენ ეს მხიარული გულადები, კარგი მეხმლენი, გმირები? და მაინც რატომღაც უცბად დავიჯერე, რომ იგი მართალს ამბობდა.

მომეჩვენა, რომ გაუფერულდა ჩემი მოსასხამის ოქროს ნაქარგი.

— ტყუი ყველაფერს, თეთრო ბიჭო.

— არ ვტყუი. მამაჩემმა მითხრა.

ამ ავტორიტეტთან დავა არ შეიძლებოდა. ნელა დაეუწყე ბღღვნა ქუდზე დამაგრებულ სირაქლემას ფრთას.

— ისინი თითქმის ომშიც კი არ ყოფილან! — ზეიმით განაგრძობდა თეთრი ბიჭი, — მეფის მცველები იყვნენ. მის სხეულს იცავდნენ.

— ეს მართალია, — წყნარად დამოწმა პავლიკი, რომელიც ბევრს კითხულობდა და არ იტყოდა ისეთ რამეს, რაც ზუსტად არ იცოდა.

სამუდამოდ გაფერმკრთალდა ჩემს თვალში საყვარელ გმირთა შარავანდელი. მოტყუებულად ვგრძნობდი თავს. „არა, — ვეუბნებოდი ჩემს თავს, — შესაძლოა, მუშკეტერები ჟანდარმებიც იყვნენ, მხოლოდ არა ათოსი, პორტოსი, არამისი და დარტანიანი“. და მაინც ჩემი პიონერული გული არ მაძლევდა უფლებას მოვრთულიყავი თუნდაც არა ნამდვილ, მაგრამ მაინც ჟანდარმთა სამოსელით.

იმ საღამოს აღარ გვითამაშნია...

ღამით კი შეუბრალებლად გადავაკეთე მუშკეტერის ქუდი წითელარმიელის წვეტიან მუზარად. მაგრამ მეგობრებისათვის ამაზე არაფერი მითქვამს იმ დღემდე, სანამ „წითელი ეშმაკუნების“ სანახავად არ წავედით.

კვირა დღეს ვიყიდეთ ათშაურიანი ბილეთები და ვადავაბიჯეთ ჩისტო პრუდის ახლოს შესახვევში მდებარე კინოთეატრ „შუქურას“ ზღურბლზე.

ფოიეს პაწაწინა დარბაზი ბავშვებით იყო სავსე. აქ იყვნენ დევიატინსკელები, ზლატოუსტინსკელები, რამდენიმე ჩისტოპრუდელიც, რომლებმაც ჩვენს დანახვაზე ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს, მაგრამ არავითარი მტრული მოქმედება არ დაუწყიათ. ბორისი, რომელიც თავს ძველ მკვიდრად გრძნობდა, გვირჩევდა გვენახა პაპიემაშესავან გაკეთებული თოფის მაკეტი. მაკეტში იყო

ელექტრონის ნათურა, რომლისგანაც ორი მავთული გამოდიოდა. ერთი მავთული უნდა შეგვეერთებინა თოფის რომელიმე ნაწილის ლითონის დილაკზე, მეორე, კი — ასეთსავე დილაკზე — ნაწილის სიაში. თუ ნაწილის დასახელებას გამოიცნობდი — ნათურა აინთებოდა. მართალია, ნათურა დიდხანია მოეპრო რომელიღაც ჩისტოპრუდელს, მაგრამ ბორისის სიტყვას დავუჯერეთ. ამ დროს კონტროლიორმა ქალმა გამოაცხადა, ფოიეში ლექცია შესდგებოდა.

— აბა ჩქარა იმ მაგიდას შემოუსხედით. ნუ იხმარებთ, თორემ სურათს არ გაჩვენებთ.

— არ ღირს მოსმენა, არცაა საგაღმებლო, — რატომღაც გაწითლდა და ისე გეარწმუნებდა ბორისი.

მაგრამ ჩვენ გვინდოდა განგვეცადა დილის წარმოდგენის მთელი სიაშოვნება.

შევერით ხალხს, რომელიც შემოხვეოდა შილაგადაფარებულ მაგიდას და მასთან მჯდომ ხანდაზმულ ქალბატონს ლექტორ ქალს, რომელსაც თმა ბიჭურად ჰქონდა შეკრებილი, მოწითალო ფორებიან ცხვირზე რქის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. ლექტორმა საყვირის ხმაურით მოიხოცა ღრუბლის მსგავსი ცხვირი, დაიხარა და მაგიდის ქვემოდან გამოიღო დიდი მუყაოს ფურცელი. მუყაოზე დაბატული იყო უზარმაზარი ხორთუმიანი ქიები და მუცელგაფატრული შიშველი ადამიანები. ლექტორმა გადაარჩია ქიებიანი მუყაო და მიაწოდა ერთ-ერთ ჩისტოპრუდელს.

— დაათვალიერეთ და გადაეცით ამხანაგებს, — წარმოთქვა მან, — ესაა გადამღები ავადმყოფობის ბაცილები, გადიღებული რამდენიმე მილიონჯერ.

ჩისტოპრუდელმა მოღუშულად და უნდობლად ჩაიცინა და თავს ზემოდან გადასცა მუყაო უკან მდგომთ.

— აბა, ბავშვებო, — მხნედ, დაიწყო ლექტორმა, — დღეს საუბარი გვექნება ტუბერკულოზის შესახებ.

რასაკვირველია, მალე მივხვდით, თუ

რატომ არ უნდოდა თეთრ ბიჭს, ლექცია რომ მოგვესმინა. მაგრამ ამ მოსაწყენ წამებაშიც იყო თავისებური სინამოვნო მხარეც. მით უმეტეს მომხიბვლელად გვეჩვენებოდა მომავალი სიაშოვნება.

დანარჩენი აუდიტორიაც ჩვენზე ნაკლებად როდი იტანჯებოდა, მაგრამ რატომღაც არავინ არ იძვროდა. ადგილიდან ჩისტოპრუდელი ბავშვები საქმიანად საუბრობდნენ, ერთმანეთს უცვლიდნენ დანებსა და დიდრონ გალეულ შაურიანებს დანასობიის სათამაშოდ. როდესაც ლექტორმა ლაპარაკი დაიწყო ფილტვებით დაავადებულ ავადმყოფთათვის პაპიროსის მოწვევის მავნებლობაზე, ჩისტოპრუდელებმა ერთობლივად ამოაქურეს ვიბეებიდან „ბასმის“ დაქმუქნული შეკრულები. თუცა სიფრთხილის გამო სახელოში უშვებდნენ ბოლს, მაგრამ მალე ლექტორიცა და აუდიტორიაც შთაინთქა ცისფერი მყარული კვამლის ბოლქვებში. გაზარულმა ზარის ხმამ მოულოდნელი სიხარული შეიტანა ფოიეს უხალისო ატმოსფეროში. ყველანი კარებს მიაწყდნენ და კვამლის ფარდის იქით საწყალობლად ისმოდა უჩინარი ლექტორის ხმა, რომელიც ბაცილების დაბრუნებას იხვეწებოდა.

ბორისის წინამძღოლობით, პირველთაგანი შევედით დარბაზში და დავიკავეთ შესანიშნავი ადგილები ეკრანთან ახლოს... ჩვენს დროში წინა ადგილები ყველაზე საპატიოდ ითვლებოდა. ამ კინოში ეკრანს ცვლიდა ცუდად შეთეთრებული კედელი, რომელზედაც ლენტის მორიგი გაწყვეტისას სინათლის კვადრატი წარმოიქმნებოდა. მაგრამ ასეთ წერილმან არავინ აქცევდა ყურადღებას, ისევე როგორც კადრების ირიბად გადაქრილ ხშირხშირ შტრიხოვკას, როცა ფილმის მთელი მოქმედება თითქოს წვიმის ქვეშ მიმდინარეობდა, და გადაბრუნებულ წარწერებსა და კედლის უსწორმასწორობის გამო წარმოქმნილ ნაირფერად ათინათებს. ყვე-

ლაფერი ეს კინოს ეკუთვნოდა. ჩვენ კი არც კი გვახსოვდა, რომ კინოში ვიმყოფებოდით, ჩვენ ჩართული ვიყავით იმაში, რაც ეკრანზე ზღებოდა და სრულყოფილებიანი მონაწილენი ვიყავით პატარა კომპანიის მთელი თავგადასავალი. მხოლოდ მეორე დღეს შეგვეძლო საუბარი და დავაიმაზე, თუ ვის რა მოეწონა: დუნიაშან ისტორია თუ, სკიპი-დარამოსმული მახნა, ანდა სულელი ბანდიტი, რომელიც ოყნის მილით ყლაპავდა შინაბად არაყს.

ყველაფერი ეს მთლიანი ნაკადით შემოვიდა ჩვენს სულში, უტყუარი და ახლობელი, როგორც თავად ცხოვრება.

ალბათ, ეს იყო ძალიან კარგი ფილმი, რადგან მან შესძლო ჩემი თანატოლების თაობის ასე გატაცება. მასში იყო მეგობრობის სიმართლე; დიდი და კეთილი ადამიანური ურთიერთობის სიმართლე და ამ მთავარ სიმართლეში ქარწყლდებოდა ცალკეული სიტუაციების დაუჭრებლობა, მრავალი სცენის გულუბრყვილობა და პრიმიტიულობა.

როდესაც სინათლე აინთო და ხალხმა გასასვლელს მიაშურა, ბორისმა გვითხრა, ადგილიდან არ დაეჭრულიყავით.

— ახლავე მეორე სეანსი იქნება. დაუბრუნდით.

ჩვენ სიტყვაშეუბრუნებლად დავემორჩილეთ მის ავტორიტეტს. მე შევამჩნიე დარბაზში რამდენიმე ჩისტოპრუდელი და ზღაპროუსტინისკელიც დარჩა. ბორისმა აგვიხსნა, რა უნდა გვექნა. როდესაც დარბაზის ჰაერის გაწმენდას დაიწყებენ, რიგებს შორის უნდა დავმალუროყავით, შემდეგ კი დინჯად დავიკავებდით ჩვენ-ჩვენს ადგილებს. ათე წუთის შემდეგ ჩვენ წინ ისევ ვაივდვარა ცანობმა სახეებმა, სულელი მიხნოველი ხარხარით ისევ წარუპავდა შინაბად არაყს ოყნის მილით.

„შუქურიდან“ დაახლოებით ექვს საათზე გამოვიდით, როდესაც დამთავრდა უკანასკნელი, თვლით მეხუთე საბავშვო სეანსი და იწყებოდა კოცნით სავსე სა-

ზღვარგართული აურზაურის დემონსტრაცია.

შემდეგ თავი მოვიყარეთ საწოლებით გავსებულ, ბორისის დიდოთახში. მუშაშმა გადაფარებულ მაგიდასთან იჯდა თვითონ ვაგონის მძღოლი, რომელსაც სათვალე შუბლზე ჰქონდა აწეული და გვიყვებოდა თავის საბრძოლო წარსულის ამბებს.

თუმცა მალე გამოირკვა, რომ ქვრადი ტიტული კაპტენარმუსი ანდა კაპტერი, როგორც ლაბუტინი ამბობდა, ნიშნავდა მხოლოდ და მხოლოდ მეკუშნავეს, მაგრამ დიდების შარავანდელი, რომელიც მას ემოსა ჩვენს თვალში, ოდნავადაც არ ჩამქრალა. მან ყველაფერი იცოდა მახნოსა და პეტლურას შესახებ, თავისი თვალთ ენახა თვითონ ბუდიონი, ერთხელ ბრიგადის მეთაური კოტოვსკი საწყობში უწყსრიგობისათვის „დასჯასაც კი“ დაპირდა. როდესაც მან გვიამბო, რომ გულიაი-პოლესთან ბრძოლების დროს ასეულში დარჩა არა უმეტეს ათი ხიშტისა, ვიდრე შაშხანა და შაროლელთა წინა რიგებში ადგილი დავიკავეო, იტაცებისა და თეთრი ბიჭისადმი მწვევე შურისაგან სულ ერთიანად გავფითარდით.

— მერე და შევრი თეთრი მოკვალით? — შეეკითხა კოლკა.

ვიგრძენი, რომ სიტყვები „დასჯა“ და „თეთრები“ აბრუებდნენ კოლკას იმაზე მეტად, ვიდრე წინათ „ბურგონული“ და „ანჟუიური“.

— არ დამითვლია, — ულვაშებში ჩაიციანებით უბასუხა ვაგონის მძღოლმა.

მეორე დღეს ჩამოვაცალინეთ ლაბუტინ-მამის სახელობის წითელი პარტიზანების რაზმი. წარსული დამსახურების პატივსაცემად მეთაურად მე ამირჩიეს, კომისრად — საქმის სული და გული თეთრი ბიჭი. კოლკა დაზვერვის მეთაური ვაბდა, პავლიკმა სამტაბო მუშაობა იკისრა, ჩვენს უკან ჩამწყრივდა უშიშრების, ყოჩაღების, ცხარე მებრძოლების კოლონა.

სხვათა შორის, ჩვენი არმია დიდხანს

არ ყოფილა აბსტრაქტული. ჩვენმა თამაშმა შეიცვალა ოთახური ხასიათი, ის გამოვიდა ქუჩაში, ეზოში და მალე რაზმში აღიჭურვა ორი ათეული ბრძოლისუნარიანი ზიშტით.

ერთხელ ბორისი ძალზე შეწუხებული მოვიდა.

— იცით, ამას წინათ მაშამ რა თქვა? ასე თქვა, წითელი პარტიზანები ანადგურებდნენ მემამულეთა კარმიდამოს და კერძო მესაკუთრეებს სპობდნენო.

— რომელ კერძო მესაკუთრეებს? — შეეკითხა ნორჩი კოლეკა.

— რომელთაც თავად აქვთ ქონება და სხვებს კი არ აძლევენ. ერთი სიტყვით კაპიტალისტები...

— ახლა ხომ აღარ არიან კაპიტალისტები, თეთრო ბიჭო, — უთხრა პაველიკამა.

— როგორ თუ აღარ არიან? ჩისტოპრუდელები? დგანან ვუბესთან და არავეის არ აძლევენ. იქით სარგებლობის უფლებას? ნამდვილი კაპიტალისტები არიან.

— ნუთუ შენ გინდა... — დაიწყო პაველიკმა, მაგრამ შეჩერდა, ბორისის დიდებული იდეით გაოცებული.

— ფაქტია! ხომ მაგრად მიეცხვით მათ არხანგელსკის შესახვევში, მხოლოდ საპირობა უფრო მეტი ბავშვების შეკრება...

ასე წარმოიშვა გაბედული გეგმა, რომელსაც უნდა აღეკვეთა ჩისტოპრუდელებლთა ძლიერება. მაგრამ ბავშვების დარაზმვა არც ისე დიდილი აღმოჩნდა. ჩისტოპრუდელთაგან შთაგონებული შიშში ძალზე დიდი იყო თავად იდეას აღტაცებით ლებულობდნენ: რა სათქმელია—ჩისტოპრუდელების კისრის მოვრება, გუბის ხელში ჩაგდება! მთელი რაიონის ბიჭებისათვის ამაზე უმჯობესი აბა რა იქნებოდა! მაგრამ როდესაც შესრულებაზე ჩამოვარდებოდა სიტყვაცეცხლი მაშინვე ქრებოდა: ჩვენ მოწინებით მაგრამ ცივად გვისმენდნენ.

გარბოდა დღეები, ჩვენ კი ძველებზე რად ვატარებდით დროს, ცხარე, მაგრამ

უნაყოფო მანევრებში: იერიში მიგვეკონდა ლენინის სარდაფზე, ვაშინებდით ღებზანაგვლიან უხარმაზარ ცხენებს, შეტევით ვიღებდით — სანარცხე ორმოს. ვაიფიანტებოდით, შევვგუფდებოდით ვუტრედიტ და თავს ვიცავდით, — ერთი სიტყვით, ვითვისებდით პარტიზანული ომის სტრატეგიასა და ტაქტიკას. მაგრამ ჩვენი მთავარი. სანუკვარი მიზანი ისევე მიუღწეველი გვრჩებოდა. და სრულიად მოულოდნელად სერიოზული მხარდაჭერა მივიღეთ... კუკურუზას სახით.

ეს ასე მოხდა. კუკურუზასთან მორიგი შეჯახების შემდეგ, როდესაც ვეშაბდებოდით ჩვეული პროცედურის ჩასატარებლად, ბორისმა შეგვაჩერა.

— შენ ვის უბედავ ამას? — მიმართა მან კუკურუზას, რომელიც იღვაკისერგაძარღვული და მუშტებმოკუშმული: — წითელ პარტიზანებს ემუქრები? შენ ხომ ბურჟუა ხარ, და მეტი არაფერი! — და ბორისმა ზურგი შეაქცია მას.

კუკურუზას თითის სახსრები დაუთეთრდა, ისე მაგრად მოუჭირა თითები ერთმანეთს.

— აბა... აბა... ბურჟუის დაძახებისათვის ცხვირიპირს ჩავილეწავ...

ბორისმა წყნარად შეხედა კუკურუზას.

— აბა მეტი რა უნდა გიწოდო? მხოლოდ ბურჟუები იქცვიან ასე. აქ წითელი პარტიზანებია, ეს მეთურია, აი კომისარი, შტაბის უფროსი, შენ კი რას ეჩრები!

— მერე და მე რა ვიცოდი, — ბღვერით, მაგრამ შესამჩნევი შეცბუნებით ჩაიბურტყუნა კუკურუზამ. — მე ასე ვავიგონე, რაღაც მუშკადერები არიანო.

— უმეცარო! — დანანებით გაიჭნია თავი ბორისმა. — მერე რა, ბევრ რამეს ვაიგონებ! ახლა ჩვენ ბურჟუებს ვანადგურებთ მთელს ქვეყანაზე. ვამიგონე, — უთხრა მან, თითქოს რაღაც მოიფიქრო. — შენთან საქმე მაქვს...

ჩვეულებრივ ეზოს ყვილა მნიშვნე-

ლოვანი საქმე წყდებოდა სანარცხე ორმოს იქით, მყუდრო ადგილას. იქ, სი-
ცხისაგან გახურებული შეშის ფარდუ-
ლის სახურავის ქვეშ დავსხედით და გა-
ვაცანით კუკურუზას ჩისტოპრუდელე-
ზის დამზობის გეგმა. როცა კუკურუზამ
შეიტყო, რომ საქმე ჩისტოპრუდელებს
ეხებოდა გამოცოცხლდა:

— ჩისტოპრუდელებს მე ყოველთვის
ვეცემ.

— მოიცა, — შევაჩერე მე. — ცემით
კი სცემ, მაგრამ გუბესთან წასვლა შე-
გიძლია?

კუკურუზამ ცბიერად გაიღიმა.

— რას ამბობ, წითურო? მცემენ!..

— თევზის მოქაჩვა ხომ გეხალისება?

— ფაქტია, მეხალისება!

— თუკი გეხალისება, მოაგროვე რაზ-
მი. პარტიზანული ომი უნდა გამოვეუც-
ხადოთ იმათ. შენ ბრიგადის მეთაურად
დავინიშნავთ.

— შეთაურად! — პირი დაადო და
ჩაიციხა კუკურუზამ. — მეთაურად —
შეიძლება...

ქარის უსწრაფესად მოედო მთელს
ეზოს ის ამბავი, რომ ძლიერი კუკურუ-
ზა ჩვენს მოძრაობას მიემხრო და თავად
მიუძღვება პოლკოს. ჩვენი სჯერო-
დით, როგორც ორგანიზატორებისა, მა-
გრამ გამარჯვების საუკეთესო გარანტი-
ას ყველასათვის. ჩვენი დეგემირის ძლი-
ერი მუშტები წარმოადგენდა, სასწრა-
ფოდ შევადგინეთ დამკერელი ჯგუფი
თხუთმეტი კაცის შემადგენლობით. სა-
პატიო მეთაურად კუკურუზა დავნიშ-
ნეთ, მაგრამ თუ კი ჯგუფს მოუხდებო-
და აშკარა ბრძოლაში ჩაბმა, მაშინ ნამ-
დვილი ხელმძღვანელი გახდებოდა კო-
მისრად დანიშნული პორტოსი. საქმე
იმავია, რომ ჩვენ მაინცდამაინც არ
ვიყავით დარწმუნებული ჩისტოპრუდე-
ლთა დაძლევაში. თუნდაც მათი ორ-
ჯერ გალახვით, არაფრით ვიყავით გა-
რანტირებულნი, რომ ისინი არ დაუბ-
რუნდებოდნენ წინანდელ ჩვეულებას.
და მებრძოლთა ჯგუფის გამოყენებას
მხოლოდ გაჭირვების უკანასკნელ წუ-

თებში ვფიქრობდით. უკვე ზაფხულს
იყო. დანიშნულ დღისათვის მოვემარა-
გეთ ანკესები და გავემარჯვებო-
ბით ჩისტოპრუდელებს.

პოკოვსკის კარიბუქს რომ მივეუბ-
ლოვდით, შევამჩნიეთ, რომ თხუთმეტი
მებრძოლის ვარდა კიდევ მოგვეყვებო-
და ორი ათეული თანამგვრძობი; ისინი
ვერ ბედავდნენ უშუალო მონაწილეო-
ბის მიღებას საბრძოლო მოქმედებაში,
მაგრამ წინააღმდეგნი როდი იყვნენ და-
მტკბარიყვნენ გამარჯვების ნაყოფით,
თუკი ზეცა ასეთ მოწყალეებას მოიღებ-
და.

ჩისტოპრუდთან მისვლამდე, ჩვენმა
რაზმმა განიზრახა, რათა ფარულად და-
ეკავებოდა დაცვა კინოთეატრ „კოლიზე-
ის“ რაიონში. ჩვენ ოთხნი, მხარზე ან-
კესგადაკიდებულნი, მივიმართებოდით
გუბისაკენ. წყალსატევის ნაპირებზე —
მწვანე ბალახია. წყალი ცისფერია და
სუფთა: შუაში, სადაც ჭავლები ლივლი-
ვებენ, ხანგამოშვებით ამორბის მოკლე-
მოკლე შხეფები. — ეს კარჩხანები ხტე-
ბოდნენ წყლიდან მუშლის დასაქერად.
არსად არ იგრძნობა ზაფხულის მოსვლა
ისე ნათლად და ხალისით, როგორც
წყლის სიახლოეს.

მწვანე ფერდობზე, ანკესით ხელში
აპრილის ნელთბილი მზის სხივებქვეშ
ნებიერობდნენ ჩისტოპრუდელი მეთევ-
ზეები. — თევზის დასაქერად ყველაზე
საუკეთესო ადგილი იყო დანგრეულ
წანწალასთან. იქ, ცაცხვის გადმოშვე-
რილი ტოტების ქვეშ, ვიწრო ყურეში
თევზი განსაკუთრებით კარგად ეკიდე-
ბოდა ანკესს.

ჩვენ გადავძვერით გალავანზე და მი-
ვუახლოვდით სათბურს. ექვსი თუ შვი-
დი ჩისტოპრუდელი ყურადღებით აღევ-
ნებდა თვალს ტივტივებს, თან „ბასმას“
ამოლებდნენ და ჩუმად ივინებოდნენ.
მათ შორის იყო ჩვენი ნაცნობი გულ-
კაც. მას გვერდით ედგა ვედრო, სადაც
წურბელების შავ ლაქებს შორის ხტო-
და ნამდვილი ცოცხალი კარჩხანა.

— აბა, ცოტა ჩაიწიე, ძმობილო! —

უთხრა კოლკამ და თან ნემსკავი გაშალა.

გულკამ თავი ასწია. ისე გაფითრდა, როგორც შეიძლება გაფითრდეს მხოლოდ ჭუკის ბახალა. ტკივილისა და ტანჯვისაგან სახე დაემანჭა.

— გაუშვი, ითევზაოს, ღმერთმა ხელი მოუშარათოს, — წყნარად წარმოთქვა ბორისმა.

მე ბავლიცს შევხედე, მან თავი ჩაქინდა. როგორც ყოველთვის, ყველაფერი ექსტმა გადაწყვიტა. გულკამ რალაც სუსტად, დედაკაცურად მოიქნია ხელი და გულში ჩაართვა კოლიას. ეს მოძრაობა იმდენად გაბოროტებისა არ იყო, რამდენადაც სასოწარკვეთილი. კოლიამ გულგრილად შეხედა გულკას, ეს ექსტი მან მიიღო როგორც უბრალო დაბრკოლება, თითქოს ტანსაცმელი ტოტს გამოედო. მან ასწია ფეხი და ძვირფასი ქილა წურბელებით და ნამდვილი, ჯერ კიდევ ცოცხალი კარჩხანით წყალში გადაფრინდა.

ჩისტობრუდლებმა გულანაბადი აიკრეს.

ჩვენ მათი ადგილები დავიკავეთ. თანამგრძნობები მოაჩირზე გადმოძვრნენ, მაგრამ გუბესთან მოახლოება მაინც ვერ გაბედეს. ჩვენმა ნემსკავებმა მოხაზეს ბრწყინავი რკალი და წყალში ჩაშენენ. ტივტივები ათამაშდნენ ჭაელებში. და მაინც არც ჩვენი მეგობრები, არც მტრები არ თვლიდნენ საკითხს ამოწურულად. მოვიხედე და დავინახე, როგორ იკრიბებოდნენ ჩისტობრუდლები უახლოესი სახლის ჰისკრისქვეშ და რალაცას უცდიდნენ.

მაშინვე მივხვდი: აუცილებელია დავიპიროთ რაიმე, უდღეური კარჩხანა ანდა წურბელა მაინც მეთქი. ნელი ჭავლი არ ასვენებდა ტივტივებს, არ ხევედა ნემსკავებს, მაგრამ ჩვენ როდი ვტყუებდებოდით. ვუცდიდით იმ ანკისის წვრილი ბოლოს იმ მოკლე შერხევას, რომელიც გამაჩრვების ერთადერთი უტყუარი ნიშანია. მაგრამ იგი იგვიანებდა.

— წამოვგო! — დაიყვირა კოლკამ.

მექანიკურად ამოეწიე ანკესი, ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულყავით ესაღრა წამოვგო. ანკესზე ეკიდა დიდი მკვამლეობა. ნელ-ნელა იკლაცებოდა, ბუნდოვნად ანათებდა მომწვანოდ.

— რა ზორბაა!.. მერე და რა მსუქანია!... — აწკრილდნენ ჩვენს გარშემო ხმები.

ის, რასაც ერთნი მოუთმენლად და იმედით მოელოდნენ, მეორენი კი შიშითა და ღვარძლით, აღსრულდა. გარშემორტყმულნი ვიყავით ჩვენი ბავშვებით. წურბელამ გადაწყვიტა ყველაფერი. ერთ წუთში მთელი ნაპირი მეთევზეებით აივსო, გაიელვეს ანკესებმა, საჭერმა ბადეებმა, რომელიღაც ყოჩაღმა ბიჭებმა შორს გაეცურეს ძველი დანხარული ნავეებით.

აღსრულდა!.. ჩვენ განგებ გავიარეთ ჰისკრის ახლოს, სადაც ჩისტობრუდლები იყვნენ შეჯგოფული. დროშასავით მიმქონდა ჩემი ნემსკავი, ანკესზე ცახცახებდა შავი მსუქანი წურბელა. მას შესცქეროდნენ დევიატინსკელი და ზლატოუსტინსკელი ბავშვები, სპასოვლინიშჩევსკის და კოსმოდემიანოვსკის დღეღატები, მას უყურებდნენ ჩვენი რაიონის მთელი ბავშვები, როგორც განთავისუფლების უტყუარ და მტკიცე საწინდარს. უმწეობის ცრემლები სცვივოდით თვალთაგან ბნელი ჰისკრისქვეშ შეჯგოფულ ჩისტობრუდლებს. მე ზომ მარტო წურბელა არ მიმქონდა — მე მოვტაცე მათ დიდება, ძალა და სახელი!..

დიდი მიზანი მიღწეული იქნა ყოველგვარ სისხლისღვრის გარეშე, რითაც ფრიად კმაყოფილი იყო ყველა, კუკურუზას გარდა.

მალე რამდენიმე წლით დავშორდი ჩემს მეგობრებს. დაწესებულება, სადაც დედაჩემი მუშაობდა, სვერდლოვსკში გადაიტანეს და ჩვენც წავედით მოსკოვიდან.

ოცდათექვსმეტ წელში დავბრუნდი ჩვიდმეტი წლის ჰაბუკი. დავბრუნდი და ჩემი ბავშვობის პეიზაჟი ძალზე გამოც-

გლილი დამხვდა. აღარსად იყო არხან-გელსკისა და უსპენსკის შესახვევები, სახლებზე ეკიდა ახალი ლურჯი დაფები: „ტელეგრაფის შეს...“, „სვერჩკოვის შეს...“, „პოტაპოვის შეს.“ იმ ტრიალ ადგილზე, სადაც აქაიქ მტყნარი და შემორღნილი მუხები იდგა და რომელსაც გარგარის ბალი ერქვა, ახლა ამშვენებდა სკოლის დიდი აგურის შენობა. ასეთივე შენობა იყო აღმართული ძველი გელსკის ადგილზე, რომელიც საკმევლისა და ბებიას სკივრის სუნს აფრქვევდა მთელ არმიანსკის შესახვევში. თვითონ ჩვენი სახლიც კი გამოცვლილი იყო, ორი სართულით გამიღლებულიყო და უბადრუკი რუხი ფერიც ღია—ცისფრად შეცვლიდა. ეზოში უცნობი ბავშვები „ჩაბაეობანას“ თამაშობდნენ და, როცა კარგად დაეკვირდი ვასილი ივანოვიჩს, მივხვდი, რომ მისი სახე ნაცნობი იყო ჩემთვის. ეს იყო ჩისტობრუდელთა ლაშქრობის მონაწილეთაგანის ერთ-ერთი. მია, რომელიც იმ დროს ეტლით დასეირნობდა. მწვევედ ვივრძენი ჩემი აქ არ ყოფნის მთელი ხანგრძლივობა და შემეშინდა, ვაი თუ ჩემმა მგვობრებმა ველარ მიცნონ, ანდა მე ველარ ვიცნო ისინიმეთქი.

გულის ძვრით ვაეშაროფე კოლკასკენ, კოლკა იმიტომ ავირჩიე, რომ იგი იყო ყველაზე გულისხმიერი, მეგობრული ურთიერთობის ნამდვილი ბარომეტრი. კიბეზე კატების ნაცნობი სუნი მეცა და ცოტათი ვავმხნევედი.

— ნო პასსარან? — ასეთი შეძახილით შემხვდა კოლკა. მივხვდი, თუ რითი ცხოვრობდნენ ახლა ჩემი მეგობრები. თავისი შეძახილით კოლკამ თითქოს გამიღო თავისი ახალი სამყაროს კარი და ამასთანავე, მეც შევდიოდა, ძველებურად მართან ვიყავი თუ არა.

— რასაკვირველია, ვერ გაიმარჯვებენ, ვუბასუხე მე, — ჩვენებმა დაიკავეს უფრო, ისტურიაშიც ცუდად როდია საქმე. შემადართლებდი თვითღოს ცენტრში შედიან...

კოლკამ გრძობით ჩამომართვა ხელი. — იმ მამაძალეებმა ირუნი დაიკავეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენებზე არ მისცემენ გამაგრების საშუალებას.

იგი მივიდა კედელზე ჩამოკიდებულ ესპანეთის რუკასთან, რომელზედაც ბატარა დროშები იყო მიბნეული.

— მე კარგად მოვიფიქრე, თუ რა უნდა ვაკეთდეს. თუ ჩვენები დაიწყებენ შეტევას გვადალახარიდან.

— საქმე გვადალახარში როდია! — გაისმა ნაცნობი, მაგრამ უჩვეულოდ დაბობხებული ხმა და ოთახში შემოვიდა აწოწოლიკაყებულო, ახლად შეუღლები შემოწვერილი პავლიკი, მას უკან მოყვებოდა ოდნავ შეცვლილი, მხოლოდ ორჯერ უფრო დიდი, თეთრი ბიჭი, ცისფერთვალა ბორისი...

ნაშუალამემდე დავრჩით ჩვენს მეგობართან, თუმცა ჩემი მეგობრების წლები, გარეგნობა, ჩვეულება, ინტერესი, სხვაგვარი გახდა, ჩვენ ერთ სილამის ავინახლადურეთ მთელი განვლილი წლები. ჩვენ ერთი გზით მივდიოდით და ამიტომაც ვაუვგეთ ასე უცხად ერთმანეთს. ბავშვების მეგობრობა უბაუკობის მეგობრობად იქცა.

კოლკას დედამ რამდენჯერმე გამოგაძახა მეორე ოთახიდან, დროა დაიშალენითო, მაგრამ ჩვენ, ყოველ დამახილზე მხოლოდ ხმას დაუწევდით და ვაგრძელებდით გაუთავებელ საუბარს.

კოლკა ახალგაზრდული გულით სერიოზულად ფიქრობდა, როგორმე გაბარულიყო ესპანეთში და ინტერნაციონალურ ბრიგადაში შესულიყო.

— გენერალ ლუკანის ქალიშვილი ტელოჩკა ვაიცნო, — ამიხსნა ბორისმა, — ის დაპირდა მამას მიწვევარ ნიკოლაი გამიძახოსო.

— მე არ ვფორჩვედი კოლკას ახლამ ბრძოლაში წასვლას; — სერიოზულად შენიშნა პავლიკმა — იგი სირანო დე ბერკერაკის მდგომარეობაშია, რომლისთვისაც ყოველი ჰრილობა სასიკვდილო იქნებოდა.

— რატომ?

— სოცონოში — სოცონოში —

— მიტომ, რომ იგი მთლიანი გულია ჩემს მეხსიერებაში პირველად გაწითლდა კოლკა.

როდესაც მოსკოვს განთიადი დაადგა, მხოლოდ მაშინ დაეიშალენით. შესახვევები დაცარიელებული და ავარდისფერებული იყო. ყვავოდნენ ცაცხვები და ასე გეგონებოდათ, სახლების კედლებიდან მოკონავედა თაფლის ნაზი სურნელება. პავლიკმა ღრმად, მთელი გულმკერდით შეისუნთქა ჰაერი და თქვა:

— მე მინდა სალდათი ვიყო თვით უკანასკნელ ომამდე...

...ომამდევნო წლებში უფრო იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს, ვიდრე ბავშვობის დროს. წინანდებურად ერთმანეთის ვევერდით აღარ ეცხოვრობდით, ვსწავლობდით სხვადასხვა სკოლაში, შემდეგ ინსტიტუტში. ჩვენი ცხოვრების გზები გაიყარა. ყოველ ჩვენთაგანს გაუჩნდა საკუთარი ინტერესი, მივდებოდა ხანდახან შიშოც კი, რომელსაც ვერ გაუზიარებ უახლოეს მეგობარსაც კი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენი დამაკავშირებელი ძაფები მოღუწდნენ. ყოველი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა რომელიმე ჩვენთაგანის ცხოვრებაში, როგორცაც თავისთავად ერთად გვიყრიდა თავს.

ასე იყო ჩემი და პავლიკის სამედიცინო-ინსტიტუტში მოწყობის შემდეგ, კომკავშირში ბორისისა და მერე კოლკას შესვლის შემდეგ. ასე იყო დიდი წარუმატებლობის შემდეგ ანატომიაში პავლიკის თითქმის მეთხუთხუთწიანი ჩავარდნის დროს, როდესაც ცხადი შეიქნა, რომ მას აღარ გააჩერებდნენ მედიცინის ფაკულტეტზე; ასე იყო ჩემი პირველი მოთხოვნების კრებულის ჩავარდნის შემდეგ და მის მერე, როდესაც ბრიგადირად მომუშავე ბორისმა, მეორე ბრიგადის დაუთმო პირველობა. ასე იყო ფინეთთან მრისხანე ომის თვეებში, როდესაც პავლიკი ნებაყოფლობით უნდა წასულიყო ფრონტზე. მოსკოვის სტუდენტთა სათხილამურო ბატალიონში, მაგრამ ვარჯიშობის დროს ფეხი მოიტე-

ხა და ფრონტზე ვეღარ მოხვდა. ჩვენ არასოდეს არ ვუცხადებდით ერთმანეთს სამიძიარს. დავეცინოდით დახარალებულს, აბუჩად ვიგდებდით, მის წარუმატებლობას, — და ეს ნამდვილად უფრო მარგებელი იყო, ვიდრე ნუგეშისმცემი საცოდავი, მომღუნებელი სიტყვები. წარუმატებლობა მაშინვე ხდებოდა პატარა და წარმატება, წინ გადაიშლებოდა უზარმაზარი სერიოზული ცხოვრება, რომელსაც არ ეცემოდა აწმყოს ხანმოკლე არასამიში უბედურებათა არავითარი ჩრდილი.

უკანასკნელ ხანებში დიდი სამამულო ომის წინ, უფრო იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. მახსოვს ერთერთი ჩვენი შეხვედრა იმ შემთხვევის გამო, როდესაც თეატრალურ ინსტიტუტში გადასვლისას პავლიკმა მიიღო შექება ლეონიდოვისაგან. კეთილშობილმა, გულკეთილმა, არაჩვეულებრივად თავშეკავებულმა პავლემ ოდნავი მღელვარებით, რომელიც ჩვენ პირველად შევამჩნიეთ, გვიამბო დილმა აქტიორმა თუ როგორ გაუყარა მას ფერმკრთალი გამკვალავი თვალი და უთხრა, „შემაკამა წაგიღოთ, თქვენგან ჰაბუკო, რაღაც გამოვიყო!...“ ეს იყო იშვიათი შექება ლეონიდოვისაგან და ჩვენ მივხვდით, რომ ჩვენმა ძვირფასმა წარუმატებლობას-მიჩვეულმა პავლიკმა ბოლოს და ბოლოს მონახა იმ ჭიქური სულიერი ძალის მოდების წერტილი, რომელსაც მიჰყავდა იგი ყოველგვარი მარცხის ასაცდენად, ჩვენ კი გვაძულა გვერწმუნა, მისი დიდი ბედი.

უკანასკნელად 1941 წლის 22 ივნისს შევხვდით ერთმანეთს. ვიცოდით, რომ ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. შევედით კაფე „მეტროპოლის“ ზემო დარბაზში. აშკერად ვსვამდით არა გონებით წარმოდგენილ, არამედ ნამდვილ, თუმცა ძალზე ცუდ ღვინოს. ამ დღეს ერთერთ ჟურნალში იყო გამოქვეყნებული ჩემი პირველი მოთხრობა. მისი გამოჩენა ჩემთვის ახალი ცხოვრების დასაწყისად უნდა გამხდარიყო. დიხ,

ამ დღეს დაიწყო ახალი ცხოვრება, მაგრამ არა მარტო ჩემთვის და სულ სხვაგვარად, ვიდრე მე ვოცნებობდი. შესახვედრად წასულმა თან წავიღე ის უბადრუტი ქურჩალი, — ამ უზარმაზარ ქვეყანაზე იყო მხროლდ სამი ადამიანი, რომელთაც დღეს კიდევ სჭირდებოდათ ეს საცოდავი, მთელი ასი წლით დაგვიანებული მოთხრობა.

ჩვენ ყველამ ვიცოდით, თუ რისთვის შევიყარებით. პავლიკმა დაგვასწრო; ამას მხოლოდ მაშინ მივხვდით, როდესაც მან მოიხადა ჩამოჩაჩულფარფლიანი ძველი ფეტრის ქუდი. საოცრად პატარა, მრგვალმა, სილურჯემდე გადაპარსულმა პავლიკის თავმა გვიხსნა მრავალი ზედმეტი სიტყვებისაგან. იგი სამი-ოთხი დღის შემდეგ მიემგზავრებოდა. კოლია, რომელმაც ის იყო ათწლეული დაამთავრა, უნდა წასულიყო ნამდვილ სამსახურში; მას გავლილი ჰქონდა ყველა კომისია და ახლა მხოლოდ ერთი რამით იყო შეფიქრებულნი: ჯარის რომელი სახეობა ამოერჩია: ბორისი ბრიგადირად მუშაობდა თავდაცვის ქარხანაში და მობილიზაცია არ ეხებოდა. მაგრამ მისი ძმა—ქვეითი ჯარის მეთაური — დაპირდა, ვეცდები გამოვიშვან ჩემთან ერთად. ყველაზე ორჭოფული მდგომარეობა მე მქონდა. ბედის საოცარი ირონიით ყოველი ბრძოლებისა და შეტაკების წინანდელი მოთავე სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად მცენეს.

მაგრამ ვიცოდი, რომ სულ ერთია იქ ვიქნებოდი, სადაც ჩემი მეგობრები იყვნენ, ეს იმათაც იცოდნენ. ვისხედით, ვსვამდით ძალიან ცუდ პორტევისს, რომელიც ისეთივე მშვენიერი გვეჩვენებოდა, როგორც ჩვენი ბავშვობის წლების ძველი ბურგონული. პატარა კოლკა ღიმილით წამოღდა.

— დამისხით კიდევ ღვინო, სადღეგრძელო მინდა წარმოვთქვა!... მოდი, ისე ვიბრძოლოთ, თითქოს ყველანი ერთად ვიყოთ. ჩვენ ერთად ხომ უძლევე-

ლნი ვიყავით, — გახსოვთ ჩისტომბოლები?

— მოდი, ომის დამთავრებამდე ჩემ მივწერთ ერთმანეთს წერილებს, — გვითხრა ბორისმა.

— რატომ?

— ნუთუ არ გახსოვთ, როდესაც რომელიმე ჩვენთაგანი ავად გახდებოდა... ანდა მწყობრიდან გამოდიოდა... დანარჩენებს თამაში არ გამოგვიღოდა?

ჩვენ დაეხუმრით, მარადისობის ჩრდილმა გაღისრილა ჩვენს მაგიდაზე. ბორისს ბავშვივით უთრთოდა მსხვილი ტუჩები. პავლემ თავი დახარა, მას ბევრი რამის მიღწევა შეეძლო ცხოვრებაში, მაგრამ თავის თავისადმი შეუბრალებელი, ბედისაგან არ ელოდა შებრალებას.

ნაშუალამევს გამოვედით კაფედან. ომმა ქალაქს წაართვა ჩაკეტილობა, ქუჩები გზებად იქცა, გზები ღამეში მიემართებოდნენ. ღამეში წავიდნენ ჩემი მეგობრები, მაგრამ წასვლის წინ, უკანასკნელად ვნახე მათი სახეები, რომელიც გზადახეული ტრამვაის რკალიდან გამოკვესილი ელექტრონის შუქზე. თითქოს რენტგენის კაბინეტში მდგარ ფერმკრთალ და უცნაურ, სუსტ მოჩვენებითს ბრწყინვალეებაში, მათი სახეები ისე წარმომიდგა, ვითომც ისინი რაღაც არარსებული, ცივი, ნახი და მსუბუქი ლითონიდან გაკეთებულ მედალზე იყვნენ ამოტვიფრულნი.

ოქტომბრის დღეებში სტუდენტთა ლაშქართან ერთად დავაბიჯებდი ვოლოკოლამსკის გზაშარაზე. გიმნასტურის გულჯიბეში მეწყო ახლა უკვე უსარგებლო სამოქალაქო დოკუმენტები: პასპორტი, სტუდენტის ბილეტი და ცნობა სამხედრო სამსახურისათვის უვარგისობისა.

დიდხანს დავკარგე მხედველობიდან ჩემი მეგობრები. სტუდენტური ლაშქრის გაუქმების შემდეგ, როდესაც მე მაინც დავრჩი არმიაში, ოფიცრობა მომიცეს. ჩემამდე მოაღწია ბუნდოვანმა ხმებმა, რომ კოლკა ვაგზავნეს ჩრდილოე-

თის ერთ-ერთ ფრონტზე. მან დაამთავრა პოლკის სკოლა, წოდებით უმცროსი სერჟანტი იყო და დანიშნულება მიიღო სათხილამურო დამკვერელ ბატალიონში.

შემხვედრი მანქანით ვბრუნდებოდი სულიშჩევიდან, არაკჩევეის დროინდელ სამხედრო ქალაქიდან, რომელიც ვოლხოვის ნაპირზე მდებარეობს. ის-ის იყო გადნოვდით მდინარეზე, რომ ჩვენმა ტონანახევრიანმა მანქანამ ააგრიალა მოშვებული ჭანჭიკები და ქშენითა და ხრიალით აბობლდა ნაპირის ფერდობზე, როდესაც ჩვენს შესახვედრად გამოვიდნენ მეთხილამურე მეავტომატეები. მრგვალ-მრგვალ მწვანე ჩაჩქანებიდან იცქირებოდნენ დაღლილი ბავშვური სახეები. სრულიად ახალი, დაუქმუნავი საყელოიანი მანარა, ზურგზე უხმარი საჭურველი, სარკესავით მბრწყინვალე სასანგრო ნიჩბები, რომელთაც ჯერ არცერთი სანგარი არ გაეთხარათ, მეტყველებდნენ იმაზე, რომ ეს მეავტომატეები — ახალგაზრდა შემესები მებრძოლები იყვნენ. სამარშო ბატალიონი მწყობრში არ იდგა და მრავალი მეავტომატე წამოწვა თოვლზე, რათა სული მოეთქვათ: ზოგი — გულადმა, სხვები — მოკუნტულად. ზოგი ხარბად იტენიდა პეშვით პირში ფუმფულა მშრალ თოვლს. მაგრამ იყვნენ უფრო ამტანებიც ანდა უფრო მედგარნიც. ისინი წელში მოხრილები, განზე არ იყურებოდნენ და შეუპოვრად მიადიჭებდნენ გზის ნაპირას მხრებზე თხილამურებით.

ვაიქროლა შტაბის მანქანამ. მას მიყავდა ბუფერზე ქამრით უკან გამობმული ახალგაზრდა მეთხილამურე. ამას მოჰყვა მხიარული შეძახილები და ზუმრობა, მისმა გასართობმა გამოგონებამ თითქოს მხნეობა დაუბრუნა დაღლილ კაბუეებს. მათ კეფაზე მოიგდეს ღრმა მუზარადები, რათა დამტკბარიყვნენ თავიანთი მარჯვე ამხანაგის ცქერით.

ჩვენ რომ ჩამოგვიქროლეს მებრძოლმა თავი ასწია და მე ვიცანი კოლკას უდარდელი, ნაზი, ოდნავ მონღოლურად პრილი თვალები, ლამაზი, გაბედული,

ძვირფასი სახე. მე რაღაც დაგვიყვარე და გადმოვხტი მიმავალი მანქანის დაღან.

შეხვედრი

შტაბის მანქანა სწრაფად გეშორდებოდა და მიიწვედა ვოლხოვისაკენ. ხელის ქნევითა და ხმამაღალი ყვირილით მივსდევდი მანქანას, კოლია წამოდგა, — ვგანობდი ცდილობდა ჩემს გამოცნობას, მაგრამ ჩემსა და მანქანას შორის მანძილი სწრაფად იზრდებოდა. მეთხილამურეები გაცივებით მიყურებდნენ. ვოლხოვის ნაპირთან მივირბინე მაშინ, როდესაც მანქანა ხიდის ფიცრულეებზე მიხტოდა.

ჩემს წინ გაწოლილიყო ყინულით დაფარული ვოლხოვი. მარჯვენა ნაპირი წყვიდადში იყო ჩაფლული, ჩვენი მხარე კი როგორღაც ნაღვლიანად ანათებდა, თითქოს მის ფერდობზე უფერული, ანაფორები გაეფინათ. არასოდეს დამავიწყდება ვოლხოვისპირეთული სევედისმოგვრელი დაისები. თითქოს მზეს გამოლეოდა მცირე, უბადრუკი ძალა და სამუდამოდ ემშვიდობებოდა დედამიწას, ნელ-ნელა და მქრქალად საუკუნოდ კვდებოდა დღე...

მეთაურის მკვეთრმა, ხორხისმიერმა შეძახილმა გამომაფხიზლა. მთელი ბატალიონი ხრამის პირას მოგროვილიყო და აი პირველი მეავტომატე, თითქოს შურდულიდან გამოტყორცნესო, მოწყდა და დაეშვა ფერდობზე, თან თოვლის მტვერი დააყენა. მას მიჰყვა მეორე, მესამე... მეთხილამურეები ერთი მეორეზე ისარივით მიჰქროდნენ მდინარისაკენ, პაერში ელავდა ჯოხები. თოვლზე ლურჯი ნაკვალევი რთულ სახეებად იქსოვებოდა. აი, უკვე პირველი მოთხილამურე ტრიალებს ჩაშავებულ ყინულებს შორის და მის დასაწევად მიჰქრის დანარჩენი მეავტომატეთა სხვა ათეული. აქ უკვე აღარ არიან დაღლილი ბავშვები, ესენი არიან ცქვიტი ერთ გუნდად შეკრული შემტვევი ჯარისკაცები. მოწინააღმდეგე შორს იყო, მარჯვენა ნაპირის ყინულოვანი რიყის გადაღმა, ქურვებისაგან გადათხრილი ტყის იქით.

მაგრამ მეგონა, ამ მეთხილამურეთა სწრაფი მოძრაობა არ დამთავრდებოდა, სანამ ისინი მტრის შუა გულს არ მიაღწევდნენ. ოდნავ მომეშვა გულზე იმის ფიქრით, რომ კოლკა იმყოფებოდა ნამდვილ ადამიანებს შორის.

ჩემი ამხანაგების ამბავი ორმოცდასამი წლის ზამთარში კონტუზიის შემდეგ მოსკოვს დაბრუნებულმა გავიგე.

— შინ ბორისის წერილი მელოდა. ის იწერებოდა: „მე ძალიან ბოროტი და ეინიანი გავხდი, სიბოროტე კი ჩემში ძლიერ ცოტაა. მინდა ყველაფერი ვიცოდე თქვენზე: ვინ დარჩა ცოცხალი, ან ვინ დაეცა ფეშისტთა ხელით, რათა მათი სიცოცხლისათვის მოვთხოვო იმათ პასუხი“. მე მივწერე ბორისს, რაც ვიცოდი.

პაველ დაეცა მოსკოვისათვის ბრძოლებში. მისი სახელი მოხსენებული იყო საინფორმაციო ბიუროს მოკლე შენიშვნაში. იქ ითყუებოდნენ „ენ“ სოფელში გაჩაღებულ მედვარი ბრძოლის შესახებ, რომელიც გაიმართა ლეიტენანტ არშანსკის მეთაურობით საბჭოთა მეზობლების ჯგუფისა და გერმანელ მეავტომატეთა ასეულს შორის. თავიანთი ნაწილიდან გზამოჭრილი საბჭოთა მეომრები ჩაიკეტნენ სოფლის საბჭოს შენობაში და რამდენიმე საათის განმავლობაში იგერიებდნენ გერმანელთა იერიშებს, ზოლოსდაბოლოს გერმანელებმა მოახერხეს ცეცხლი წაეკიდებიათ ხის შენობისთვის. საბჭოთა მეომრებმა ამჯობინეს ცეცხლში დაღუპვა, ვიდრე მტრებს ჩავარდნოდნენ ტყვედ.

შენიშვნა დაწერილი იყო ჩვეულებრივი ტონით: მოკლედ, მშრალად, უწვრილმანებოდა. მაგრამ მე, რომლისთვისაც უმცროსი ლეიტენანტი არშანსკი იყო თანამებრძოლი ჩისტოპრუდის ბრძოლების დროს, ძალიან კარგად წარმოვიდგინე თუ როგორ მოხდა ყველაფერი ეს. კოლიას ამბავი უფრო მოგვიანებით

გავიგე. აღმოჩნდა, რომ იგი არასოდეს ყოფილა ვოლკოვის ფრონტზე. ის დაიღუპა ილმენტან. მოსკოვის გროთერთა ჰოსპიტალში მოვიდა მისი ამხანაგი, თანშეზრდილი, მასთან ერთად უკანასკნელ ბრძოლაში ნამყოფი და უკანასკნელი, რაც ნახა, სანამ დაქრიდნენ, იყო ნიკოლაი, რომელიც ზურგით მიათრევდა დაქრილ ამხანაგს.

ნიკოლაის დედამ, რომელიც ჩემთან ერთად მოვიდა ჰოსპიტალში, რატომღაც ჰკითხა იმ დაქრილს, ნეტა თუ დაინახე იმ მომენტში ნიკოლაის სახე? არაო, უთხრა მან, ამხანაგი, რომელსაც მიათრევდა ნიკოლაი, იყო ძალიან დიდი და მძიმეო. კოლია იმ კაცის სიმძიმისგან ისე მოიხარა, რომ სახით თითქმის თოვლს ეხებოდაო.

კოლია იყო პატარა და სუსტი. მახსოვს: სურსათით დატვირთული ხელჩანთა ანდა სახელმძღვანელო წიგნებით მაგრად გაჭედული პორტფელი მას მძიმე ტვირთად ეჩვენებოდა და ყოველ წუთს ინაცვლებდა ერთი ხელიდან მეორეში. მე სრულიადაც არ გამიკვირდებოდა, მისი უჩვეულო მამაცობის ამბავი რომ გამეგო. თავისი უზრუნველი სითამამე ყოფნიდა ყოველგვარი გაბედული მოქმედებისათვის. მაგრამ დაქრილის ნაამბობმა გამაოცა: ის, რაც ჩაიღინა ნიკოლაიმ, აღემატებოდა მის ფიზიკურ ძალდონეს.

სულ სხვაგვარად წარიმართა ბორისის ბედი. მან ბოლომდე განვლო რუსი ჯარისკაცის უმაგალითო გზა. ელნიასთან მოკლული, მოლოდენისთან აღსდგა. ის უტევდა ვარშავას, კენიგსბერგის შტურმის დღეებში დედისმიერ გამოტყუებულმა კუსტრინიდან გამოუგზავნა მას ცნობა: ოთხჯერ დაქრილმა, ორჯერ კონტუზირებულმა, ორჯერ დაღუპულად გამოცხადებულმა ბილო ბერლინი და მისი ბრალი არ იყო, თუ ის ვერ მოხვდა მათ რიცხვში, ვინც აღმართა დროშა ცეცხლწაყიდებულ რაისტავზე.

ჯონ სკაინიანი

ზამთარი ჩვენი მღვდვარებისა*

ჩვენი ოჯახის ნაკადული სხვა ნაკადულებს შეუერთდა, ღირსეულ მისაღმებებს ღირსეულადვე ვუპასუხებდით ხოლმე, და მერე ამ მდინარემ წმიდა თომას მომადლო ეპისკოპალურ ეკლესიაში იწყო დენა.

როცა დრო მოვა, და საქირო გახდებოდა ჩემს ვაჟიშვილს ცხოვრების მთელი საიდუმლო გავაცნო, — რაც მან ეპიკი არ მეპარება, უკვე მშვენიერად იცის, — არ უნდა დავეიფო და ქალის თმის ვარცხნილობაზეც უნდა ვუთხრა რამე. თმის ქება თუ კარგად შეითვისა, ყველაფერს მიაღწევს, რასაც კი მისი ავხორცული გული მოიწადინებს. უნდა კარგად გავაფრთხილო: რაც უნდა, ის უქნას ქალს — ჰიტლაცი ამოჰკრას, სცემოს, წააქციოს, ხელი ჰკრას — ოღონდ თმას ნუ აუწეწავს, ამას ნურასდინდებით ნუ იზამს. ეს თუ შეიგნო, მეფე გახდება.

ბეიკერები სწორედ ჩვენს წინ აღიდგინენ კიბის საფეხურებზე და ჩვენ მოწიწებით მივესალმეთ ერთმანეთს.

— იმედი მაქვს, ჩაიზე გვეწვევით.

— გმადლობთ. უსათუოდ. ქრისტე აღსდგა!

— ეს აღენია?! რამხელა გაზრდილა! მერი-ელენიც როგორ შეცვლილა. ისე ამოლტილან, რომ თვალსაც ვეღარ უწვდენ კაცი.

რა ძვირფასია ეკლესია, სადაც მთელი ბავშვობა გაგიტარებია და გაზრდილხარ. ყოველი კუთხე და კუნჭული, ყოველი საიდუმლო კარი ვიცი წმიდა თომას ეკლესიისა. ამ ემბაზში მომნათ-

ლეს, აი იქ პირველი ზიარება მივიღე, ამ მწკრივში, ღმერთმა უწყის, რამდენი ხანია პოულების საგვარეულო ზის, — ცარიელი სიტყვები კი არ გეგონოთ! ეტყობა, მტკიცედ ჩაინერგეს ღვთისმოსაობა, რადგან ყოველი ჩემი შეცოდება დიდებულად მახსოვს, ასეთი შეცოდებანი კი ბლომად ჩამიდენია. მე მგონი, ყველა ადგილს მივაგნებ, სადაც ლურსმნით მაქვს ამოფხაპნილი ჩემი ინიციალები. როცა დენი ტეილორი და მე ლოცვანზე ქინძისთავით ერთ ბინძურ სიტყვას ვწერდით, უცებ მისტერ უილერმა ჩავგავლო და მკაცრად დავგესაჯეს. მერე იძულებული გახდნენ ფურცელ-ფურცელ გავსინჯათ მთელი ლოცვანები და ფსალმუნები, კიდევ არ ჰქონდით რამე მიწერილიო.

ერთხელ, ზედ კლიროსის ქვეშ, მედავითნის საწიგნის მახლობლად, საშინელი ამბავი დატრიალდა. მაშინ მღვდელს ვემსახურებოდი ეკლესიაში. ხელში ჯვარი მეჭირა და წკრიალა ხმით ვგალობდი. იმ დღეს ეპისკოპოსი სწირავდა ჩვენთან, მშვენიერი ბერიკაცი, რომელსაც ერთი ღერი თმა აღარ შერჩენოდა, თავი მოხარშულ ხახვს მიუგავდა, თუმცა მე პირადად წმინდა შარავანდად მეჩვენებოდა ეს. გალობა რომ შეწყდა, ზეშთაგონებისაგან გაბრუებულმა, ჯვარი ადგილზე დავასვენე და ის კი დამაეიწყდა, რომ სპილენძის სამაგრიტ გადამეკეტა. მეორე დამოძღვრების შემდეგ ჯვარი წამოვიდა და, ჩემდა სავალალოდ, პირდაპირ იმ წმიდა მოტვლილ თავს არ დავცა! ეპისკოპოსი მაშინვე ყელგამოღადრულ ძროხასავით გაიშხლართა და მეც დავკარგე

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1.

ჩემი სამსახური — პატარა ბიჭს გადააბარეს, გვარად ჰილს, რომელსაც მეტსახელად აქოთებულს ეძახდნენ და რომელიც გალობაში ოდნავდაც კი ვერ შემედრებოდა. ახლა იგი ანთროპოლოგია, საღდაც დასავლეთის შტატებში მუშაობს. მაშინ დავრწმუნდი, რომ ცარიელა განზრახვას — კეთილი იქნება თუ ბოროტი — არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყველაფერი ბედსა თუ იღბალზეა დამოკიდებული.

წირვა მოვისმინეთ და ბოლოს პირდაპირ გამოგვიცხადეს, ქრისტე ჭეშმარიტად აღსდგაო. ტანში ერთნაირად დამიარა. სულ ასე მომდის ხოლმე, ამ სიტყვების გაგონებაზე. სასოებით მივიღე ზიარება. ალენსა და მერი-ელენს ვერ კიდევ არ მიეღოთ კონფირმაცია და ადგილზე ველარ მოესვენათ, ისე წრიალებდნენ, რომ საჭირო გახდა თვლებს ისრით გაეჭვავებინათ ადგილზე: მერიმ თუ დაიბღვირა, ყმაწვილური თავგასულების ჯავშანსაც კი გახერტეს.

მერე მზის გულზე გამოვედით, შეიქნა ხელისჩამორთმევა და მისალმება, ხელისჩამორთმევა და მილოცვა. ეკლესიაში შესვლის წინ ხომ მივესალმეთ ერთმანეთს, ახლა განმეორებით ვუსურვეთ ყოველივე კარგი და კეთილი, და ესეც თითქოს წირვის გაგრძელება იყო, იმ დაუსრულებელი წირვისა, რითაც ჩვენი თავაზიანობა გვინდა გამოვხატოთ, და რაც ფარულ მუდარასაც შეიცავს ხოლმე — მეც შემამჩნიე და პატივი მეციო.

— დილა მშვიდობისა. როგორა ბრძანდებით, დღესასწაულს როგორ ატარებთ?

— გმადლობთ, ძალიან კარგად. დღედათქვენი როგორ ბრძანდება?

— მომიხუცდა... მომიხუცდა... რა სიკეთე ყრია სიბერეში! თქვენს მოკითხვას გადავცემ.

სიტყვები თავისთავად კი არაფერს ნიშნავს, მაგრამ გრძნობას გამოხატავს. ფიქრი განსაზღვრავს ჩვენს მოქმედებას თუ გრძნობები? ფიქრი კი ზოგჯერ

იქნებ ხელს გვიწყობს, შესრულებაში გვემეღოს? ჩვენს პატარა პროცესიას, ამ მზიან ქუჩაში, მისტერ ბეიკერი მიუძღოდა, და ძალიან ფოთნილობდა, დახეტილ ტროტუარში ფეხი არ ჩავარდნოდა. დედამისს, რომელიც ამ ოცი წლის წინ გარდაიცვალა, შეეძლო მოსვენებით წოლილიყო საფლავში. მის გვერდზე ამელია მიბაკუნებდა, ქალბატონი ბეიკერი, და ცდილობდა ქმრის არათანაბარი ნაბიჯისათვის აეწყო ფეხი, — პატარა, კროლთვალემა ჩიტი, ოღონდ ხელზე გამოკვებილი ჩიტი.

ჩემი ბიჭი ალენი დას მიჰყვებოდა გვერდით, მაგრამ ერთსაც და მეორესაც თავი ისე ეჭირათ, თითქოს სულაც არ იცნობდნენ ერთმანეთს. მე მგონი, ელენს ეზიზღება ძმა, ალენს კი, თავის მხრით, სძულს ელენი. იქნებ ბოლომდეც ასე გაგრძელდეს, მანამ თავიანთი გრძნობების დაფარვას შეეჩვეოდნენ საალერსო სიტყვების გარდის ღრუბლით. აძლიე ხოლმე, ჩემო დაო, ჩემო ცოლო, ყოველდღიურად საუბრე — მაგრად მოხარული კვერცხი და მწნილი. კარაქისა და არაქისის ჯემის სენდვიჩები, კასრის სუნდაკრული წითელი ვაშლები, და გაუშვი ამ დიდ ქვეყანაზე, რათა განაყოფიერდნენ და გამრავლდნენ.

მეტს ან კი რას აკეთებს მერი! ამათაც დაუვლიათ ხელი საუზმის ჩანთებისათვის და არხეინად მიაბიჯებენ თავთავიანთ განცალკევებულ სამყაროში.

— წირვა არ მოგეწონა, ჩემო ძვირფასო?

— როგორ არა! წირვას რა მომაბეზრებს, მაგრამ... ზოგჯერ შენზე მეტარება ექვი... ნამდვილად თუ სწამს-მეთქი ღმერთი... მართლა გეუბნები. ეს შენი ლაზღანდარობა... ზოგჯერ...

— აქეთ მოსწიე სკამი, ჩემო კოკროქინა.

— საუბრე უნდა მოვამზადო.

— საუზმის პატრონის დედაც...

— ამას გეუბნებოდი. სულ ასე ლაზღანდარობ!

— რომელი საღვთო საქმე საუზმე
ნახე! ცოტა უფრო რომ თბილადღეს,
ჩაგვამდი ნავში და სათევზაოდ გაგი-
ყვანდი.

— დღეს ბეიერებთან ვართ დაპატი-
ყებულა, ითენ. გულზე ხელი დაიდვეი
და თქვი: გწამს მართლა ღმერთი თუ
არა? ამ სულელურ სახელებს საიდან
იგონებ? არ მახსოვს, ქრისტიანული სა-
ხელი დაგეძახოს ჩემთვის.

— სულ ერთი და იგივე სიტყვის გა-
ნმეორებით რატომ უნდა გაგაბეზრო?
მთავარი ისაა, რომ ჩემს გულში ზარი-
ვით რეკს შენი სახელი. ღმერთი თუ
გწამსო? ეს რა შეკითხვაა! როდის მომ-
ხდარა, რომ ნიკეის მრწამსიდან ცალკე-
ული ელვარე ფრაზებში ამომეგლიჯოს
და გაფაციცებით გამესინჯოს, როგორც
გატენილი ნაღმი? არა. რა საჭიროა: მა-
გრამ საკვირველი უკია, მერი, მთელი
სული და სხეული ურწმუნოებით რომ
მქონდეს გამომხმარი, ამ სიტყვების
მოსმენაზე: უფალი, მწყემსია ჩემი.
მან მომანიჭა საძოვარი და ვწევარ მას
ზედან!... შიგნეულობა ამომიტრიალ-
დებოდა, გული გამეყინებოდა და ტვი-
წში ცეცხლი წამეკიდებოდა.

— არაფერი არ მესმის.

— არც მე, ჩემო საყვარელო, მაშ,
მოდე, აქედან დავიწყეთ: თითო ბაღ-
ლი რომ ვიყავი, — როცა ძვლები ადა-
მიანს სულ რბილად და მოჭნილი აქვს —
ჯერის ფორმის ეპისკოპალურ ყუთში
ჩამდეს, და იქ მივიღე ასეთი ფორმა,
მერე, ყუთი რომ გამოვტეხე, როგორც
წიწილი გამოტეხს ხოლმე ნაპუქს, რა-
ღა ვასაკვირია, შეც ჯერის მოყვანილო-
ბისა გამოვსულყავი?! არ დაკვირვებ-
ხარ მაინც, როგორც ვერცხვივით ჩამრ-
გვალეზლები არიან წიწილები?!

— რა საშინელ რაღაცეებს მოიგო-
ნებ, ბავშვებთანაც კი არ ურბდები ასეთ
ლაპარაკს.

— ახლა ისინი რას მეუბნებიან! სწო-
რედ წუხელ ამკითხა ელენმა, როდის
გამდიდრდებითო. მაგრამ არ ვუთხარი
სიმართლე, არ ვუთხარი: „მალე გავმ-

დიდრდებით; და შენ, სიღარიბის ზედ-
ვა რომ გიჭირს ასე, სულ მალე სიმდიდ-
რის ზიდავა გავიჭირდები შენთვის“ ასეც
მოხდება, სიღარიბეში მშურით სკდება
გულზე, როცა გამდიდრდება, ან მდი-
ლი ეუღაბიკავა ვახდება. ფული სწეუ-
ლებას კი არ ჰკურნავს, ავადმყოფობის
სიმბტომებსა სცვლის.

— შენს საკუთარ შვილებზე ამბობ
ამას? ჩემზე რაღას იტყვი?

— ვიტყვი, რომ შენა ხარ ჩემი სა-
ლოცავი, ჩემი საყვარელი, ცხოვრების
ბურუსის გამნათებელი შუქურა.

— რა მთვრალივით ელაპარაკობ?...
მართლა ხომ არ დაგიღვევია?

— დავლიე.

— არაფერიც. სუნი მაშინვე მეცემო-
და.

— გცემს ვიდევ, ჩემო საყვარელო,

— რა გემართება?

— ამა შენც ხვდები?... ცვლილება,
საშინელი ქარიშხალი, ღამის სულ წა-
მლეკოს, შენამდე დასუსტებული ტალ-
ღებილა აღწევენ.

— ანუ დამაფეთე, ითენ, რა მოგივი-
და — სულ გაველურდი

— ჩემი ჯილდოები თუ ვახსოვს?

— მედლები? რომში მიღებული?

— სწორედ გაველურებოდა და გამხე-
ცებისათვის მაძლეოდნენ მაგ ჯილდო-
ებს; მთელს ქვეყანაზე დამიანის შეილს
ვერ შეხვდებო; ჩემსავით სძულებოდეს
ვატისკვლა. მაგრამ რომში ახალი ყუთი
გამოიტანეს და იმ ყუთში ჩამტენეს.
დრო, ყოველი წუთი, იმას მოითხოვდა,
რომ ვატისკვლელი გამეხდარიყავი, და
შეც ვხოცავდი და ვხოცავდი.

— მაშინ თმიანობის დრო იყო. სამ-
შობლო მოითხოვდა, ამას.

— დრო მუდამ რაღაცას მოითხოვს,
გინდა თუ არა, უხვათუოდ უნდა ემსა-
ხურო, ამასობაში კი შენც საკუთარი
დრო თვალსა და ხელს შუა გაგეპარე-
ბა. ღმერთივით ჯარისკაცი ვიყავი — მა-
ცაცი, ჰქვიანი, მკვირცხლი და შეუბრა-
ლებელი, ნამდვილი თმიანობის დროის

შესაფერი. იქნებ ამ დროსაც კარგად შევეგუო.

— რაღაც გინდა მითხრა და შორიდან უვლი.

— სამწუხაროდ, მართლაც ასეა. მე თვითონვე ვგრძნობ ჩემს სიტყვებში მობოლიშებას. მაგრამ იმედი მაქვს სმენა მატყვილებს.

— წავალ, სუფრას გავშლი.

— ამისთანა საუზმის შემდეგ ქამის თავი ვილას ექნება.

— მაშ, რამეს წაატეხე. მისის ბეიყურის შლიაბა თუ ნახე! ნამდვილად ნიუ-იორკიდან ჩამოიტანა.

— თმისთვის რა უქნია?!

— შენიშნე? მარწყვისფერად არ შეუღებავს!

„ნათელი, ურჯულოთა განმანათლებელი და ისრაელთა სადიდებელი“.

— მარჯის რა მოელანდა, რამ წაიყვანა მონტოკს?

— დილის ნიავე უყვარს.

— რას ამბობ, შუადღემდე სძინავს. სულ ამას არ დაეცინი! ან მარულოს რაში დასჭირდა ბავშვებისათვის კამფეტის მოტანა?!

— ერთმანეთს უკავშირებ ამ ორ მოვლენას? მარჯი უთენია ღვება და მარულოსაც კამფეტები მოაქვს!

— ნუ სულელობ.

— არ ვსულელობ. მაგის თავი მაქვს! ერთი საიდუმლო რომ გითხრა, არავის ეტყვი?

— ისევ დაიწყე?

— არა.

— მაშინ აღგიქვამ, რომ არავის ვეტყვი.

— მე მგონი, მარულო იტალიაში აბირებს.

— რა იცი? ვითხრა?

— პირდაპირ არ უთქვამს. მე თვითონ დავასკენი სხვადასხვა ფაქტებიდან. მე დავასკენი.

— მარტო უნდა დარჩე დუქანში? აიყვანე ვინმე.

— მეც კარგად გავუძლები.

— ფაქტიურად ყველაფერს შენ აკეთებ. აგეყვანა ვინმე.

— დაიხსომე — ეს მსოფლიო ვარაუდია; თანაც საიდუმლო.

— ჩემი სიტყვა სიტყვაა.

— ნართაულად მაინც წამოგცდება სადმე.

— არა-მეთქი, ითენ.

— იცი შენ რა ხარ? ყვავილების გვირგვინით თავდამშვენებული პატარა საყვარელი ბაჭია.

— სამზარეულოში შენ თვითონ მოემსახურე თავს. მე წავალ და მოვირთვები.

მერი რომ გავიდა, მე საეარძელში გადავითხლარე. ყურში იღუმალი ხმა ჩამესმა, „იყავნ სიტყვა შენი უფალო, დაუტევე მონასა შენსა“, და, კაცი არ ვიყო, თუ მაშინვე არ ჩამძინებოდეს. კლდიდან წყვდიადში დავეშვი და პირდაპირ სასტუმრო ოთახში აღმოვჩნდი. იშვიათად თუ მომივა ასე. და რაკი მთელი დღე დენი ტეილორზე ვფიქრობდი, სწორედ დენი ტეილორი დამესიზმრა. ვითომ არც ძალიან პატარები ვართ, არც ძალიან დიდები, მოჩიტულები უფრო გვეტქმის. ამომშრალი ტბის ფსკერზე დავაბორტებთ და ძველი სახლის საძირკველსა და სარდაფის ორმოსა ვხედავთ. ეტყობოდა, აღრეული გაზაფხული იყო, რადგან ფოთლები ძალიან სქელი ჩანდა და ბალახიც სიმძიმით იზნიჭებოდა, ისეთი დღე იდგა, როცა ადამიანი თვითონვე დამძიმებულობას და მოთენთილობას გრძნობს. დენი სვეტივით მაღალსა და აშოლტილ ღვიას მოეფარა. ისე ყრუდ დამახინჯებულად მესმოდა მისი ხმა, თითქოს ბგერები წყლიდან მოდიანო. მერე უცებ მეც მასთან აღმოვჩნდი, და დენიმ ერთბაშად დნობა იწყო — დნებოდა და მოედინებოდა. ვცადე შემეკავებინა და კვლავ თავისი სახე მიმეცა, როგორც გადმოღვრილ ცემენტს ჩაასხამ ფორმაში, მაგრამ ვერ მოვახერხე. მთელი არსება დენისა და ჩემს თითებს შორის მიძვრებოდა. სიზმარი წამიერიყო,

გამოგონია. ამ სიზმარს კი ბოლო არ უჩანდა, რაც უფრო მეტს ვცდილობდი დენის შეკავენას, მით უფრო სწრაფად დნებოდა.

მერიმ რომ გამაღვიძა, დაღლილობისაგან ძლივს ვსუნთქავდი.

— გაზაფხულის ხურვების პირველი ნიშანია, — მითხრა მან, — მე რომ წამოვიჩინებ, იმდენი მეძინა, რომ დღე-ჩემმა ექიმი გრეიდი მოიწვია. საღათას ძილი ეგონა, სინამდვილეში კი გაზაფხულზე ვიზრდებოდი და ეს იყო.

— საშინელი მაჯალაჯუნა დამაწვა. ღმერთმა შეაჩვენოს ამისთანა სიზმარი.

— სულ ამ ფაცაფუცის საქმეა. წადი, თმა დაივარცხნე და პირი დაიბანე. რაღაც მოთენთილი ჩანხარ, გენაცვალე. ავად ხომ არა ხარ? წასვლის დროა. მთელი ორი საათი გეძინა. ალბათ დასვენება გჭირდებოდა. ნეტა ვიცოდე, მისტერ ბეიკერს რა უნდა.

— გაივებ, ჩემო ძვირფასო. ოღონდ, პირობა მომეცი, რომ ყურადღებით მოისმენ და არც ერთი სიტყვა არ გამოგეპარება.

— ცალკე თუ მოინდომა შენთან ლაპარაკი! საქმოსან ხალხს არ უყვარს, ქალები რომ უსმენენ.

— მამა უცხონდა! მე მინდა, რომ შენც მოისმინო.

— საქმისა მე რა გამეგება... ეს შენც ხომ იცი...

— ვიცი, მაგრამ სწორედ შენს ფულზე იქნება ლაპარაკი.

ბეიკერებისთანა ხალხს ვერაფერს ვერ გაუგებ, თუ დაბადებიდანვე არ იცნობ. მეგობრობა სულ სხვა საქმეა. მე პირადად იმიტომ ვიცნობ, რომ პოულები და ბეიკერები ერთნაირი ხალხი იყო — ერთი სისხლისა, ერთი ადგილიდან, საქმეც ერთი ჰქონდათ და წარსულში ბედიც თითქმის ერთნაირი აღმოაჩნდათ. ეს კი, თითქოს, გარეშე ხალხისაგან ორმოთი და გაღავნით დაცულსა გვხდის. მამაჩემმა ფული დაჰკარგა. მაგრამ ვანა სულ გამწირეს და გამოძიქვეს მე იმ გაღავნიდან. სანამ პირში

სული მიდგას, ბეიკერებისათვის შაინც პოული ვარ და თავისიანნი. მაგრამ ღმერთი ნათესავე ვარ. უფულო-ზნაურთა ნელ-ნელა თავის აზნაურობასაც დაჰკარგავს. უფულოდ დარჩენილი ჩემი ბიჭი ალენი ბეიკერებისათვის უცხო შეიქნება, ხოლო მის მემკვიდრეს სულაც გარიყავენ, მის გვარსა და წარმოშობას ზედაც არ შეხედავენ. რალა ვართ ჩვენ — უმიწაწყო მემამულეები, უჯარო სარდლები და ფეხით მოჩინდრიკე მხედრები. განწირულები ვართ. იქნებ ამიტომაც განვიცადე ასეთი ცვლილება. ფული როდღე მიყვარს, ჩემს დღეშიაც არ მყვარებია. მაგრამ უფულოდ ველარ შევრჩები იმ კატეგორიას, საცა ყოფნას შევეჩვიე კიდევ და თავსაც კარგად ვგრძნობ. ალბათ ჩემი გონების ბნელ კუნჭულში თავისთავად ყალიბდებოდა ეს აზრი და მერე ამოტივტივდა არა როგორც ფიჭრი, არამედ როგორც რქმენა.

— გამარჯობათ, — შემოგვეგება მისი ბეიკერი, — ძალიან გაგვახარეთ. სულ დაგვივიწყეთ, მერი. რა დიდებულის დღე იყო, არა? წირვა არ მოგეწონათ? პირველად ვხედავ, რომ მღვდელი ამისთანა საინტერესო შამაკაცი იყო.

— ძალიან კი დაგვიძვირეთ ნახვა, — თქვა მისტერ ბეიკერმა, — გუშინდელივით მახსოვს, როგორ იჭდა პაპათქვენი სწორედ ამ სავარძელში და ყვებოდა, ბინძურმა ესპანელებმა „შეინი“ ჩასძირესო. აღელვებულმა მთელი ჩაი გადაიღვარა. თუმცა რა ჩაი, კაპიტანი პოული ერთ ციცქნას თუ გაურევდა რომში. მაგარი კაცი იყო, ზოგი ჩხუბისთავსაც ეძახდა.

შევატყვე, რომ მერი პირველად შეცბა, მერე კი ესიამოვნა და გულს მოეფონა. რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ მე იგი მდიდარ მემკვიდრედ შევრაცხე. ფულიანი კაცის რეპუტაცია თითქმის იმდენსავე ფასობს, რასაც თვით ფული.

მისის ბეიკერმა ნერვიული თავის ქოცინით დავეისხა ჩაი მაგნოლიის ფოთლებსავე თხელ და მყიდვე ფინჯნებში.

ყველაფერი უთრთოდა, გარდა იმ ხე-
ლისა, რომელშიც ჩაიდანი ეჭირა.

მისტერ ბეიკერი ჩაფიქრებული იჯდა
და კოვზს ურევდა.

— ვერ ვიტყვი, რა უფრო მიყვარს—
თვითონ ჩაი, თუ მთელი ეს ცერემონი-
ალი, — თქვა მან, — საერთოდ ყოველ-
გვარი ცერემონიალები მიყვარს, სულე-
ლურიც კი.

— მგონი, ჩემთვისაც გასაგებია ეს
გრძნობა, — ვუთხარი მე, — ამ დღიას
მონვენებულად ვგრძნობდი თავს ეკ-
ლესიაში, იმიტომ რომ ყველაფერი ნა-
ცნობი იყო, არავითარი მოულოდნე-
ლობა არ გვემუქრებოდა. წინასწარვე
ვიცოდი, რა დროს რა უნდა ეთქვათ.

— ომის დროს, ითენ... თქვენც მოი-
სმინეთ, ქალბებო და ნახეთ ერთი, ამნა-
ირი რამე თუ გაგიგონიათ ოდესმე...
ომის დროს სამხედრო სამინისტროში
გამამწესეს, მინისტრის მრჩეველად. კა-
რგა ხანს მოგვიხდა ვაშინგტონს ყოფნა.

— ვერ ვიტანდი პირდაპირ, — ჩაუ-
რთო მისის ბეიკერმა.

— ჰოდა, ერთ დღეს ჩაიზე მოიწვიეს
სტუმრები, ქვეყნის ხალხმა მოიყარა
თავი, ბარე ხუთასამდე კაცმა. პირველი
მანდილოსანი ხუთვარსკვლავიანი გე-
ნერლის ცოლი იყო, მეორე — გენე-
რალ-ლეიტენანტის ცოლი. დიასახლის-
მა, მინისტრის მეუღლემ, ხუთვარსკვ-
ლავიან მანდილოსანს ჩაის დასხმა
სთხოვა, სამვარსკვლავიანს კი — ყავი-
სა. მაგრამ პირველმა ქალბატონმა უა-
რი განაცხადა. „ვინ არ იცის რომაო, —
პირდაპირ მის სიტყვებს მოგახსენებთ,
— ჩაის ყავა სჯობსო“. ამისთანა რამე
გაგიგონიათ? — ჩაიხიზბითა, — ბო-
ლოს კი ისე დატრიალდა საქმე, რომ
ყველაფერს ვისკიმ აჯობა.

— ფეთიანი ქალაქია, — შენიშნა მი-
სის ბეიკერმა, — ვერც კი მოასწრებ
ხეირიანად დალაგებას, გაცნობას, შეჩ-
ვევას, რომ გტაცებენ ხელს და სხვაგან
ვ გადავიყვანენ.

მერიმ გაიხსენა, ბოსტონში ყოფნის
დროს როგორ მოხვდა ერთ ირლანდი-

ურ ოჯახში: წყალს შუა ცეცხლზე ად-
ულებდნენ, მრგვალ კასრებში, და მერე
თუნუქის ფინჯნებში ასხამდნენ.

— ჩაი კი არ გამოჰყავთ, პირდაპირ
ადულებენ, — თქვა მერიმ, — მაგისთა-
ნა ჩაით მაგიდას გააპრიალებ.

ყოველ სერიოზულ საქმეს თუ მო-
ლაპარაკებას წინ უძღვის მოსამზადებე-
ლი მუსაიფი, და რაც უფრო სერიოზუ-
ლია საქმე, მით უფრო გრძელი და მსუ-
ბუქი იქნება ეს ჭიკჭიკი. ამასთან, ყო-
ველი მოსაუბრე ვალდებულია თავის
წილ ბუმბულსა თუ ჭრელ-ჭრულა ნა-
ჭერს ჩამოვიდეს. მერისა და მისის ბე-
იკერს რომ არ სდომოდათ არასერიო-
ზულ საქმეში მონაწილეობის მიღება,
დიდი ხანია ერთმანეთში გააბამდნენ
ტკბილ მასლაათს. მისტერ ბეიკერმა
კარგი ღვინით გააპოხიერა ჩვენი საუ-
ბრის ნიადაგი, ასევე მერიმაც. მერიმ
საერთოდ, ძალიან გაიხარა, ძალიან გა-
მოცოცხლდა მასპინძლების ასეთი ყუ-
რადლებით. ახლა მისის ბეიკერსა და მე
უნდა გავველო ჩვენი წილი. ვგრძნობ-
დი, თავაზიანობა მოითხოვდა, მე სულ
ბოლოს მომეხადა ჩემი ვალი.

მისის ბეიკერის რიგი რომ დადგა,
მანაც, სხვებივით ჩაიდნით დაიწყო.

— ძველად, თუ გახსოვთ, რამდენი
ხარისხის ჩაი იყო, — თქვა მან და თვა-
ლები აუციმციმდა. — თანაც, ყველა
თავისი რეცეპტით აყენებდა. რა მცენა-
რის ფოთოლი ვინდა, რა ყვავილი —
ყველაფრისაგან ჩაის ამზადებდნენ. ახ-
ლა რა, ორად ორი ხარისხიდა დარჩა—
ინდური და ჩინური. ჩინურს ყოველთ-
ვის ვერც კი იშოვი. რას არ სვამდნენ,
თუ გახსოვთ — ცირცელიო, გვირთ-
ლო, ფორთოხლის კანი და ყვავილი...
კემბრიკი?...
— კემბრიკი რაღაა? — იკითხა მე-
რიმ.

— ცხელი რძე და ცხელი წყალი, სა-
ნახევროდ. ბავშვებს უყვართ, უბრალო
წყალგარეულ რძეს კი არ ჰგავს.

მისის ბეიკერმაც მოიხადა ვალი.

ჩემი ჯერი მოვიდა და გადავწყვიტე

ერთ-ორი უაზრო ფრაზით ბოსტონის ჩაის ისტორია გამეხსენებია. მაგრამ შენ რომ ვინდა, ისე კი არ გამოგივა ყოველთვის. ისე გამოტყვერება რალაც უხიაგი, რომ ნებართვას არცა გთხოვს.

— წირვის შემდეგ ცოტა წამეძინა, — მომესმა უცებ ჩემივე ხმა, — დენი ტეილორი დამესიზმრა. საშინელი სიზმარი იყო. დენი არ გახსოვთ?

— საწყალი ბიჭი, — თქვა მისტერ ბეიკერმა.

— იყო დრო, ძმაში არ გამოვერჩეოდით ერთმანეთს. მე ძმა არ მყოლია. მართლაც ძმებივით ვიყავით. მე, რა თქმა უნდა, ასე არ მოვიტყევი, მაგრამ ვგრძნობ, ვალდებული ვარ დარაჯად დაეუდგე ჩემს ძმა დენის.

მერი ნაწყენი დამირჩა, მუსაიფის ქარგა რომ დავარღვიე. და ხელადვე იძია შური.

— ითენი ფულს აძლევს. არა მგონია, საჭირო იყოს. მიდის და თერება, — თქვა მან.

— რას ამბობთ! — თქვა მისტერ ბეიკერმა.

— ასეა თუ ისე... საშინელი სიზმარი იყო. მეც, ბოლოს და ბოლოს, რას ვაძლევ — თითო დოლარს, ისიც ათასში ერთხელ. ერთი დოლარით ანკი რა უნდა გააკეთო, დალევის მეტი? ერთბაშად რომ ბევრი მისცე, ვინ იცის, იქნებ განიკურნოს კიდევ.

— მაგას ვინ გარისკავს! — შეჰყვირა მერიმ, — ვინდა ეს გიქნია და ვინდა მოგიკლავს! არა, მისტერ ბეიკერ?

— საწყალი ბიჭი! — თქვა მისტერ ბეიკერმა. — მერე რა ოჯახისშვილი გული მიკვდება, რომ შევხედავ. მაგრამ მერი მართალს ბრძანებს. ფული თუ ჩაიგდო, ღვინოში ჩაიხრჩობა.

— ისედაც არ იკლებს, მაგრამ ჩემგან რა დიდი საშიშროება ელის — ბევრი ფულის პატრონი არა ვარ.

— პრინციპია მთავარი, — შენიშნა მისტერ ბეიკერმა.

მისის ბეიკერმა ქალური უღმობელობა გამოამჟღავნა.

— საავადმყოფოში უნდა მათავსო და იქ მოუვლიან. ^{ერთი წელი} სამივენი გავანაწყენებ. ^{ბოსტონის} ჩაი მართლაც არ უნდა გადამეფქრა.

საოცარია, რატომ გამართავს ხოლმე ადამიანის გონება თვალუქუქუნობასა და დამალობანას, როცა საჭიროა მთელი ჩვენი გულისყური გადაციცებით დაეძაბოთ და საიდუმლო ზრახვებითა და დაბრკოლებებით დანაღმულ მინდორზე როგორმე უხიფათო ბილიკი მოექნებნოთ. მშვენიერად ვიცი, რას წარმოადგენს ბეიკერების სახლი და ჰოულების სახლი, მათი ბნელი კედლები და ფარდები, სამგლოვიარო ფიკუსები, რომლითაც ჭერ მზე არ უნახავთ, პორტრეტები და გრაფიურები, ლოკოინები, წარსულის მოგონებებთან დაკავშირებული ფაიფური და ხეზე კვეთილობანი — ყველაფერი ის, რაც ამ ოჯახებს რეალობისა და სამყაროს ნიშანს ადებს. სკამებს მოდის მიხედვით იცეკიან, ხოლო სკივრები, წიგნის კარადები, სასაღილო და საწერი მაგიდები — მყარ წარსულთან გვაკავშირებენ. ჰოული — თვითონ სახლია. ამიტომაც ებლაუქებოდა საწყალი დენი ტეილორების მდელოსა და სახლს. უამისოდ ოჯახს ოჯახი აღარ ჰქვია, და მასთან ერთად მალე გვარიც გაქრება: ლაპარაკის ტონისა და ხმაში გამოვლენილი სურვილის მიხედვით, ეტყობოდა, სამმა ჩემმა თანამოსაუბრემ დენი ტეილორს ხაზი გადაუსვებს. ზოგიერთებს ალბათ სახლიც სჭირდება, საგვარეულო ისტორიაც, რათა ერთხელ კიდევ დაარწმუნონ თავი, ეცოცხლობთ და ვარსებობთო; თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა დიდი თავისდასამშვიდებელი ეგ არის. დუქანში მე ერთი გაბითურებული ნოქარი ვარ, შინ — ჰოული. ასე რომ არც მე მაქვს თავისდასმშვიდების საბაბი. ბეიკერს შეუძლია ხელი გაუწოდოს ჰოულის, მაგრამ, სახლი თუ არ მექნა, მეც ხაზს გადამიხვამენ. კაცი კაცივით, რომ იტყვიან, სულ ტყუილია; სახლი სახლივით,



უნდა თქვან. საშინლად ავღმფოთდი. თუმცა ამ ფიქრმა ერთბაშად გამამწვარა და გამაყაყა. ბეიკერს ვადაუწყვეტია ცოტათი შეარემონტოს ჰოული, რათა მერის არარსებული შემკვიდრეობით თვითონაც მოითბოს ხელი. ახლა კი დანაღმული მინდორის კიდეში ვდგევარ. გული საშინლად გამიქვევდა ასეთი უანგარო კეთილისმყოფელის მიმართ. მთელი არსებით დავიძაბე, ვაცვოფდი და საომრად შევიმართე. ამ გრძნობას კი ომის უცვლელი კანონიც მოჰყვა: თავდაცვაზედაც რომ იყო გადასული, თავი ისე მოაჩვენე, თითქოს უტევდე.

პირდაპირ ვთქვი:

— მისტერ ბეიკერ, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი რა საჭიროა. თქვენ ჩემზე კარგად იცით, როგორ ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად ჰკარგავდა მამაჩემი იმას, რითაც ჰოულებს სული ედგათ. მე მაშინ ომში ვიყავი. მითხარით, როგორ მოხდა!

— განზრახვა კეთილი ჰქონდა, მაგრამ განსჯით კი...

— მეც ვიცი, რომ მამაჩემი საქმის კაცი არ იყო... მაგრამ მაინც როგორ მოხდა?...

— ხომ იცით, რა დრო იყო. ბირეებზე საშინელ რისკსა სწევდნენ. მამათქვენმაც ვერ მოზომა...

— მრჩეველი ხომ არავინ ჰყოლია?

— მოძველებულ იარაღებზე დააბანდა ფული. მერე დაკვეთები გააუქმეს და ყველაფერი დაიღუბა.

— თქვენ მაშინ ვაშინგტონში იყავით. იცოდით მაინც, რა დაკვეთები იყო?

— საერთო წარმოდგენა მქონდა.

— მაგრამ იმას კი გრძნობდით, რომ თქვენ თვითონ არ დაგიბანდებიათ ფული!

— ჰო, მე არ დამიბანდებია.

— მამაჩემს თქვენთვის არ უკითხავს რჩევა?

— მე ვაშინგტონში ვიყავი.

— ეს ხომ იცოდით, რომ ჰოულების

ქონებას აგირავებდა და იმ ფულს აბანდებდა.

— ეს ვიცი.

— და არ დაუშალეთ?!

— ვაშინგტონში ვიყავი.

— თქვენმა ბანკმაც არ გადაუვალა...

— ბანკი სხვანაირად ვერ მოიქცევა, ითენ, თქვენც ხომ იცით ეს!

— ვიცი, როგორ არა. მაგრამ სამწუხაროა, რომ რჩევა არა გკითხათ.

— ვერ გაიცხავთ, ითენ.

— არც ვკიცხავ. უკვე ყველაფერი მივხვდი. არც არასოდეს გამიკიცხავს. ოღონდ აქამდე არ ვიცი, როგორ მოუვიდა.

შესავალი ნაწილი, ეტყობა, წინასწარვე ჰქონდა მომზადებული მისტერ ბეიკერს. ახლა კი, როცა ყველაფერი ჩაუფლავდა, ახალი შეტრევისათვის დაუწყო ნიადაგს მოსინჯვა. ჩაახველა. ცხვირი ქალაქის ხელსახოცით მოიწმინდა, მეორე ხელსახოცით თვალეზიც ამოიწმინდა, მესამეთი — სათვალეები გაიწმინდა... ყველამ თავისებურად იცის დროს გაყვანა. ერთ კაცს ვიცნობდი, მთელ ხელს წუთს მოანდომებდა ხოლმე ჩიბუხის გაწყობას.

როცა ხელმეორედ გაემზადა, ისევ მე დავასწარი:

— მე რა უფლება მაქვს, დახმარება გთხოვოთ, მაგრამ რაკი თქვენ თვითონ ჩამოაგდეთ სიტყვა ჩვენი ოჯახების საქმიან ურთიერთობაზე...

— დიდებული ხალხი იყო, — თქვა მან, — ხელად მიხვდებოდნენ ხოლმე, სად რა იყო საჭირო. ნამდვილი კონსერვატორები...

— მაგრამ ბრმად კი არ მიჰყვებოდნენ თავიანთ რწმენას, სერ. თუმცა თურამეს ამოიჭრიდნენ გულში, გააკეთებდნენ კიდეც.

— ნამდვილად.

— თუნდაც მოწინააღმდეგის გემის ჩაძირვა გამხდარიყოს საჭირო... გინდა ცეცხლის წაკიდება, არა?

— ალბათ, ჰქონდათ კიდეც ამის უფლება.

— როგორც ვიცი, 1801 წელს საგანგებო კომისიისათვის მოუხდათ პასუხის გაცემა — ვისი მიხნევა შეიძლებოდა ნამდვილ მტრად.

— ომის შემდეგ ყოველთვის ხდება ხოლმე მოვლენათა გადაფასება.

— რა თქმა უნდა. მაგრამ მე ეს ისე კი არ გამხსენებია, სიტყვის მასალად. მართალი თუ ვნებად, მისტერ ბეიკერ, მე ჩემი მდგომარეობის აღდგენას ვეცილობ.

— ყოჩაღ, ითენ! ერთი პირობა ვიფიქრე, ჰოულები ძველებური სული დაკარგა-მეთქი.

— ალბათ, მართლაც დავკარგე. ან გამოვლინების საშუალება არ მივეცი. თქვენ შველა აღმიტყვიო. რითი დავიწყო?

— მთელი უბედურება ის არის, რომ კაპიტალით უნდა დავიწყოთ.

— ვიცი. ვთქვათ, ვიშოვე ეს კაპიტალი, მერე რა უნდა ვქნა?

— ქალები არ მოვაწყინოთ, — თქვა მან, — იქნებ კაბინეტში გავსულიყავით. ქალებისათვის ასეთი ლაპარაკი ვერაფერი საინტერესოა.

მისის ბეიკერი წამოვდა.

— სწორედ ახლა უნდა მეთხოვა მერისათვის, საწოლი ოთახის შპალერი შემარჩევინე-მეთქი. ნიმუშები მალა მაქვს, მერი.

— მე მინდოდა, მერისაც...

მაგრამ მერიც მათ მხარეზე დადგა. ვიცოდე, ასე მოხდებოდა.

— სერიოზული საქმეებისა მართლაც არაფერი გამეგება, — თქვა მან, — შპალერებს კი სიამოვნებით შევარჩევ.

— ეს საქმე ხომ შენ გეხება, ჩემო კარგო.

— მე ყველაფერი ერთმანეთში მერევა, ითენ. ხომ იცი ჩემი ამბავი?

— უშენოდ რომ კიდევ უფრო ამერიის ყველაფერი!

შპალერები, ეტყობოდა, მისტერ ბეიკერის ოინი იყო. არა მგონია, მის ცოლს როდესმე მოფიქრებოდეს შპალერის შერჩევა, თორემ ასეთ ჩაქამე-

ბულ, გეომეტრიული ნახაზებით აჭრელებულ ქალაქებს არ გვაქვდა; ამ ოთახში, სადაც ახლა ტყვე უისხედით.

— ამრიგად, თქვა — მისტერ ბეიკერმა, როცა ქალები გავიდნენ, — მთავარია კაპიტალი, ითენ. სახლი თქვენ დავირავებული არა გაქვთ. ადვილთ და დაავირავეთ.

— მაგას არ ვიზამ.

— ასეთი სიმტკიცისათვის პატივისცემის ღირსი ხარ, მაგრამ სხვა გზა თუკი არა გვაქვს! მერის ფული არ კმარა, თუმცა ფულმა ფული იცის.

— არც იმ ფულს მინდა ვახლო ხელი. ჰქონდეს შავი დღისთვის.

— მაინც საერთო ანგარიშზე გაქვთ, უსარგებლოდ.

— ვთქვათ, გაგტყდი და დავთანხმდით, რას მთავაზობთ?

— დაახლოებით მაინც თუ იცით, რამდენი აქვს დედამისს?

— არ ვიცი, მაგრამ ალბათ კარგა ბლომად.

გულმოდგინედ გაიწმინდა სათვალეები.

— რასაც გეტყვით, ჩვენ ორში უნდა დარჩეს.

— რა თქმა უნდა.

— მადლობა ღმერთს, ბევრი ლაპარაკი არ გიყვართ. საერთოდ ჰოულები უენო ხალხი იყო, მამათქვენს გარდა. ერთი სიტყვით, მე, როგორც ფინანსისტი, ვგაძნობ, რომ ნიუ ბეიტუნის გაიზრდება. საამისოდ არაფერი არ აკლია — არც ნავსადგური, არც უბე და არც არაფერი. ერთი თუ დაიწყო ველარაფერი შეაჩერებს. ასეთ დროს კარგი ბიზნესმენი განზე ვერ გადგება — ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისი ქალაქის განვითარებას.

— და ზერიც ნახოს!

— თავისთავად ცხადია.

— აქამდე რატომ ვერ განვითარდა?

— არა მგონია, მაგისი მიზეზი არ იცოდეთ — მუნიციპალიტეტი დახვესებული ხალხითაა სავსე. წარსულითა

სულდგმულობენ. პროგრესს აფერხებენ.

მუდამ მიკვირდა ხოლმე; როგორ ახერხებს ხალხი, რომ ფულის გაკეთების სურვილი ქველმოქმედების საბურველში გაახვიოს. მისტერ ბეიკერის პოზიციას რომ ეს ქველმოქმედების საბურველი მოვაცილოთ, მის ნამდვილ არსს დავინახავთ. ეს და კიდევ რამდენიმე, სულ რამდენიმე ადამიანი, ახლანდელ ქალაქის მესვეურებს მისცემენ მხარს, მანამ არ შეისყიდიან ან მთლიანად ხელთ არ იგდებენ მომავალი ქალაქის მთელ კეთილდღეობას. მერე პანლურს ჰკრავენ იმ შენს მუნიციპალიტეტსა და თვითონ მერს, ტახტზე პროგრესს შეასკუბებენ და მაშინ გახდება აშკარა, რომ ყოველი ქუჩა თუ შესახვევი, რითაც ეს პროგრესი შემოდის ქალაქში, მათი საკუთრება ყოფილა. წმინდა სენტიმენტალური გრძნობებით გამსჭვალულმა ბეიკერმა გადაწყვიტა საერთო ნადავლიდან ცოტა ჩემთვისაც მოეტეხა. იმას კი ვეღარ მივხვდი, წინასწარვე ჰქონდა განზრახული ჩემთვისაც გაეზიარებინა თავიანთი მოქმედების გრაფიკი, თუ შემთხვევით წამოცდა. მუნიციპალიტეტის არჩევნები შვიდ ივლისსაა დანიშნული. ამ დროისათვის შორისსკერტელი ადამიანების ჯგუფი ხელში ჩაიგდებს პროგრესის საჭეს.

არა მგონია, იყოს კაცი, ვისაც რჩევა-დარიგების მიცემა არ უყვარდეს. რაკი ცოტა ყოყმანი მაინც მეტყობოდა, ჩემი მოძღვარი სულ უფრო და უფრო აღეგზნო და დაიქოქა.

— უნდა მოვიფიქრო, სერ, — ვუთხარი მე, — რაც თქვენთვის ცხადზე უცხადესია, ჩემთვის საიდუმლოებით არის მოცული. თან მერისაც უნდა მოველაპარაკო.

— მაგ საქმეში კი, მე მგონი, ცდებით, — თქვა მან, — ძალიან გავასაქმოსნეთ ეს ჩვენი ქალები.

— ფული მაგისია.
— მმას რა აჯობებს, მოულოდნელად

რომ აჩვენებთ მოგებას. ქალებს ასე ურჩევნიათ.

— უმადურობაში კი ~~სულ~~ ^{ჩემთვის} ჩემთვის მევეთ, მისტერ ბეიკერ, მაგრამ ძალიან მძიმე კაცი ვარ. ათასჯერ უნდა ავწონდავწონო. მარულო რომ იტალიაში აზირებს, არ გაგიგიათ?

თვალეზი დააქყადა.

— სულ?

— არა, დროებით.

— დარწმუნებული ვარ, თადარიგს დაიქერდა — რამე რომ შეემთხვას, თქვენ დაგიტოვებთ ყველაფერს. ამ ხნის კაცია. ანდერძი აქვს?

— რა მოგახსენოთ.

— თუ მოგისია იტალიიდან თავისი-ანები, უადგილოდ დარჩებით.

ისევ გაურკვეველობის ფარის მომარჯვება გახდა საჭირო.

— იმდენი რამე მითხარით ერთბაშად, რომ, დიდ ხანს მეყოფა საცოხნად, — ვთქვი მე, — მაგრამ იქნებ ცოტათი მაინც მიმახვედროთ, რითი დავიწყო!

— ერთი რამე შემიძლია გითხრათ: ქალაქის განვითარება დიდად იქნება დამოკიდებული ტრანსპორტზე.

— ჩვენამდეც მალე მოაღწევს ტრანსკონტინენტალური ხაზი.

— ჯერ სად არის. ჩვენ ვინც გვეკირდება — ფულიანი საქმოსანი ხალხი — ფრენას არჩევენ.

— და აეროდრომი არა გვაქვს, ხომ?

— კარგად მიმიხვდით.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამაგისო ადგილიც კი არ არის, ეს გორები თუ არ გადავთხარეთ ქალაქის ირგვლივ.

— ძვირი დაჯდება. ვიზარალვებთ.

— მაშ რა უნდა ვქნათ?

— ითენ, მომიტყევით, მაგრამ უნდა მენდოთ. ჯერ ვერ გეტყვით. ისე კი პირობას გაძლევთ, ფულს თუ იშვოვით, ნამდვილად გაკეთდებით. სავსებით კონკრეტული საქმე მაქვს მხედველობაში, ოღონდ ჯერ კარგად მოფიქრება სჭირდება.

— რაღაც იმისთანა საქმე ჩანს, რომ ალბათა არცა ვარ მავის ღირსი.

— ძველი ოჯახები კვლავ უნდა შედუღებდნენ.

— მარულოც ჩვენს ჭგუფში შემოდის?

— რა ბრძანებაა! იმას თავისი ხალხი ჰყავს და თავისი გზა აქვს.

— კარგადაც მიაბიჯებენ ამ გზაზე, არა?

— მეტისმეტად კარგადაც. რა უბედურებაა, ყველგან უნდა შეძვრნენ ეს უცხოელები.

— მაშ შეიდ ივლისს უნდა ველოდო, არა?

— მე ეგ არ მითქვამს.

— ალბათ მომეყურა.

— ალბათ.

მერის უკვე დაემთავრებინა შპალერის დათვალიერება და ოთახში შემოვიდა. ჩვენ თავიზიანად შევესართულეთ სტუმრის მოვალეობა და დინჯად გავუღეით შინის გზას.

— არც კი მოველოდი, ისე კარგად შეგვხვდნენ. რაო, რა გითხრა?

— რასაც მეუბნებოდა. შენი ფულით უნდა დავიწყო საქმე! მავას არ ვიხამ.

— ვიცი, რომ მე მერიდები, გენაცვალე, მაგრამ სულელი იქნები, მაგ კაცს რომ არ დაუჭერო ახლა.

— გული არ მაძლევს, მერი, რომ მოტყუვდეს! სულ ცარიელზე დარჩები.

— ითენ, იცოდე, თუ შენ არ იხამ, გამოვიტან იმ ფულს და ბეიკერს მივცემ. ნახე თუ არა.

— დამაცა, მოვიფიქრო. არ მინდა შენც გაგხვიო საქმეში.

— მე საიდან გავეხვევი? ფული საერთო ანგარიშზე გვაქვს. ხომ გახსოვს, კარტში რა მოგივიდა!

— ღმერთო, დიდებულო... კიდევ ეს კარტი!

— მე კი მჯერა და...

— ეს შენი ფულიც რომ დავკარგო, დასანახად შემიძულებ.

— არაფერიც. ჩემი დოვლათი შენა ხარ! მარჯიმ ასე მიმიტყუე, მარჯის სიტყვა გულს დამესტ...

— რა დროს ხუმრობაა!

— რაღა ხუმრობა გამოვა, სიმდიდრემ თუ სიღარიბის სიტკბოება ჩაგვაშხამა.

— ცოტაოდენი ფული რომ გააკეთო, ამით რა ჩაგვიშხამდება. სულ ფულად ხომ არ ვიქცევით... ცოტა, რომ გვეყოს იმდენი.

მე არაფერი მიპასუხნია.

— ჰა, რას იტყვი?

— ო, პრინცესა, — ვუთხარო მე, — საყოფი ფული არ არსებობს. ფული ორნაირად იზომება: სულ უფულობა ანდა არასოდეს არ გყოფნის.

— არაფერიც.

— ასეა. ეგერ, ის ტეხასელი შილი-არდერი, ამასწინათ რომ მოკვდა! სასტუმროს ნომერში ცხოვრობდა და ერთი ჩემოდნის მეტი არაფერი ებადა. არც ანდერძი დაუტოვებია, არც მემკვიდრე... სიცოცხლეში კი ფული არ ჰყოფნიდა. რაც უფრო ბევრი გაქვს, სულ უფრო მეტი და მეტი გჭირდება.

მერიმ ირონიულად მიპასუხა.

— შენ ალბათ იმასაც ცოდვად მითვლი, სასტუმრო ოთახისთვის რომ ახალ ფარდებს ვნატრობ, და ცოტა უფრო დიდ სააბაზანო ქვაბს, რათა ერთ დღეში ოთხ კაცს შეეძლოს ბანაობა და თან ჭურჭლის დარეცხვაც მოვახერხო.

— ცოდევს კი არ გეუბნები, სულელი, მე ფაქტი გითხარი, ბუნების კანონი.

— არ გეტყობა, რომ ადამიანის ბუნებას სცემდი დიდ პატივს.

— ადამიანის ბუნებას კი არა, ჩემო მერი. ბუნებას, საერთოდ. ციყვები იმდენ თხილს იმარაგებენ, მეთადიცი არ დასჭირდებათ. თრიაა ერთნაირი, მუცელი გახეთქვანე აქვს და მაინც იყრის და იყრის პირში, თითქოს ტომარას სტენიდეს. ახლა ჰკვირებდაც

შეხედე — რამდენ თავლს აკეთებენ და თვითონ რამდენს ჰაჰენ!

მერი რომ დაიბნევა და ენა დაეშვება, სულ ცოფებსა ჰყრის, — როგორც რვაფეხა იპურკყება ხოლმე მელანდით სითხეს, — და ამ შავი ღრუბელის საბურველში ეხვევა.

— გულს მირევი! — შესძახა მან, — ვერ იტან, რომ კაცი ცოტა ბედნიერი იყოს!

— სულაც არა, ჩემო კარგო. მე სწორედ იმ განწირული უბედურებისა შეშინდა, იმ ფათა-ფუთის, ყოყლოჩინობისა და შურის, რაც ფულს მოაქვს.

ქვეცნობიერად, ალბათ, მასაც ჰქონდა ამის შიში. მაშინვე მოშვარდა, კარგად მოსინჯა ჩემი ყველაზე უფრო მტკივნეული ადგილი და ეკლები ჩამასო: — ა, ბატონო, ჯიბეგახერტილი ნოჭარო! სიმდიდრე ცუდი საქმეაო, გვაფრთხილებს. ისე მოაქვს თავი, გეგონება, ერთი თუ იკადრა ხელის მოქნევა, მთელი დოვლათი მისი იქნება.

— იქნება კიდევ.

— რანაირად მაინც?

— ძალღის თავიც მანდ არის დამარბულა.

— არაფრის მაქნისი არა ხარ, თორემ აქამდე გააკეთებდი. ენა ხარ ცარიელი. წაიგდებ ენას და მორჩა.

იმის სურვილი, რომ ვინმეს ტყველი მიაყენო, გულს ღვაჭლდღე უკვივსებს. ცეცხლი მომედო. მხამიფით... მთმერია ბინძური, ცოფიანი სიტყვები. მთელი არსება სიძულვილის გრძნობით გამეყლინათა.

— შეხედე! შეხედე! ვერა ხედავ! — შესაძახა მერიმ.

— რაო? სად?

— ეგერ, იმ ხეებს ჩაუქროლა და ჩვენს ვზოში შევარდა.

— რა შევარდა მერი? მითხარი! რა მოგეჩვენა?

ბინდბუნდში დავინახე როგორ იღიმებოდა, ქალის განუგეორებელი ღიმილით. სიბრძნეს ეძახიან ამას, მაგრამ სინამდვილეში ეს არის ყველაფრის გაგების ნიჭი, რასაც სიბრძნე სულაც არ სჭირდება.

— არაფერიც არ დავინახავს, მერი.

— ჩხუბი დავინახე... მაგრამ გაქრა უკვე.

ხელი მოვხვიე და ჩემკენ მოვაბრუნე.

— მოდი ცოტა გავიაროთ, შინ მისვლას მოვესწრებით.

დავუყვევით ღამის გვირაბს, მაგრამ ხმა აღარ ამოგვიღია. ანკი რა საჭირო იყო.

თარგმანი ინგლისურიდან **მხატვან ბელიძისა**

(გაგრძელება იქნება)

ილია ლუბინსკი

ჩვენი სერგო, ჩვენი კომისარი!

ეს არა თუ პორტრეტი, ესკიზურა მონახაზიც კი არ არის. ძალიან ძნელია გვსახუროთ სერგო ორჯონიკიძეზე, — ხსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეზე — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარზე. ის, რასაც მე ვხედავ მთავად „მნათობის“ მკითხველებს, არის მხოლოდ ცოცხალი შთაბეჭდილებების ჩანაწერები გავით „იზვესტიას“ სპეციალური კორესპონდენტის ბლოკნოტში. კორესპონდენტის მოუსვენარმა, მაგრამ სახაზოვნი მოვალეობამ პირველად 1934 წლას ზაფხულში მიმიყვანა სერგოს ვაგონში. მაშინ მე ვწერდა და ვაჭვენიებდი რეპორტაჟს სერგოს მოგზაურობის შესახებ ურალში.

... დიდი მეტალურგიული ქარხანა. საქმე ვერ მიდის კარგად. მოულოდნელად ჩამოდის ორჯონიკიძე. დირექტორი ჩივის, გამოუვალ მდგომარეობაში ვარო. დაწვრილებით, რაღაც კუშტი კმაყოფილებით ჩამოთვლის თავის ნაკლოვანებებს, განზრახ, მოფიქრებულად იმათრახებს თავს.

სერგოს მოთმინება ამოიწურა.

— მითხარით, ამხანაგო, დიდი ხანია მუშაობთ მეტალურგიაში?

— უკვე ათი წელიწადია, — უცბად გამოჩვიმა მკერდი და ისე უპასუხა კმაყოფილებით დირექტორმა.

— ვფიქრობ, დროა თავი დაანებოთ ამ მძიმე საქმეს, თქვენ უკვე კარგად შეგისწავლიათ ქარხნის ნაკლოვანებანი, შესანიშნავად აღნიშნავთ თქვენს ყველა შეცდომას, მაგრამ, როგორც სხანს, არაფერი არ შეგიძლიათ გააკეთოთ მათ გამოსასწორებლად.... სემუშკინ, — მიმართა სერგომ თავის თანამემწეს, — ახლავე მოამზადეთ ბრძანება ამხანაგის განთავისუფლების შესახებ. უნდა შევიდეთ მის მდგომარეობაში.

... მაკეევკის ერთ-ერთ ქუჩაზე სერგომ გააჩერა წითურულვაშებიანი ხნიერი კაცი.

— გამარჯობათ, ივან გავრილოვიჩ! გაამგზავრეთ ქალიშვილი საზღვარგარეთ?

— გაემგზავრე. დიდად გამდლობთ.

კორესპონდენტთა კორპუსი გზაუნის თავის წარმომადგენელს გაიგოს საქმის ვითარება. სრულ კონფუზი: ეს ხომ კორობოვია! — მებრძმედეთა მთელი დინასტიის მეთაური. მისი პირმშო პველე ბრძმედების საამქროს უფროსია ენაკიევიში; ნიკოლოზი — აკადემიკოს პავლოვის ასისტენტი; უმცროსი — ილია ბრძმედის უფროსია მაკეევკაში. იმავე საამქროში, სადაც მამა ობეროსტატად მუშაობს. მამა-შვილს შორის მწვავე კონფლიქტია. ილიამ, რომელიც მეთაურობს ახალგაზრდა ინჟინრების ჯგუფს, მოითხოვა — შემოღებულ იქნას დნობა მყავე შლაკებზე. მყავე შლაკები — ადვილად დნობადი და თხევადი, მოედინება, როგორც ახლად შოწ-

ველილი რძე... ლითონის გამოდნობა რამდენიმეჯერ იმატებს. მაგრამ საჭიროა დიდი სიფხიზლე, რომ სქელმა, „ცივმა“ თუჯმა არ დაიწყოს დენა. ეს რომ მოხდეს, ყველაფერი ჩაიშლება, ბრძმედი დიდხანს „იჭირვეულებს“. ინჟინერთა კლუბში გამართულ დისკუსიაზე ახალგაზრდა ინჟინრებთან შეტაკების შემდეგ, ივანე დაეუბრა შვილს, სალამს არ ამღევს. განაცხადა: მეყოფა, რაც ვიმუშავე, ქარხნიდან მივდივარო. მაგრამ ორჯონიკიძეს თხოვნით. ივანე დარჩა ქარხანაში. მათ ახლო ნაცნობობა აქვთ. შარშან ზაფხულს ობეროსტატი თავის ცოლით მთელ თვეს იყო სტუმრად სერგოსთან მოსკოვს ახლო ავარაკზე.

კორობოვის ქალიშვილი ჯერ არაფერ შუაშია. მას საგანგებო რამ შეემთხვა — ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში მოხვდა. სრულიად შეუფერებელ დროს — თაფლობის თვეში მის ქმარს, არქიტექტორს, საზღვარგარეთ გზავნიდნენ მივლინებაში. საშინლად შეწუხდა ახალგაზრდა ქალი. მამას, სასტიკს ვაჟების მიმართ, არ შეეძლო გულგრილად ეცქირა აცრემლებული ქალიშვილისათვის. ფარულად, შინაურებისათვის შეუტყობინებლად, ივანე კორობოვმა თავის მოულოდნელი დარდი აცნობა ორჯონიკიძეს. მესამე დღეს დეპეშით მიიღო პასუხი:

„შენი წერილი, ივანე გავრილოვიჩ, მივიღე. გმადლობთ გულითადი ნდობისათვის. თქვენი ქალიშვილის საზღვარგარეთული პასპორტი გამოწერილია. ეუსურვებ ახლადდაქორწინებულებს ბედნიერ მგზავრობას. სერგო“.

• • •

... ორჯონიკიძესთან ვაგონში მენახშირეები არიან. ერთი ახალგაზრდა ინჟინერი არც ისე გაბედულად ამბობს:

— უნდა ვიფიქროთ და როგორმე შემოვიღოთ კონვეიერზე ნახშირის დატვირთვის მექანიზაცია.

— Какой пряткий! — გაისმა აქეთიქიდან ხმები, — ჯერ საზღვარგარეთაც

არ არის ქვანახშირის დასატვირთი მექანიზმები!

სერგო წამოხტა და, ცოტახალისკნის, მწყარალად თქვა:

— შერე რა, რომ არ არის! უწინარეს ყოვლისა, ვინ უნდა ფიქრობდეს მუშის შრომის შემსუბუქებაზე, — ჩვენ თუ კაპიტალისტები?

— და მაშინვე აწერინებს ბრძანებას: „წლის დამთავრებამდე დამზადებული იქნას სამოცდაათი ექსპერიმენტული მანქანა ქვანახშირის დატვირთვის მექანიზაციისათვის“.

• • •

... სერგოსთან კაბინეტში არის სერგეი სობოლევეი — ქარხნის დირექტორი ლენინგრადიდან. 1923-1924 წლებში ის მუშაობდა კომკავშირის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნად თბილისში. სწორედ იმ ხანებში მას სასაცილო ამბავი შეემთხვა. ამხანაგთან ერთად სადგურის პერონზე მიმოდირდა.

— ეს საით გაგიწევიათ? — სალამიც არ მიუცია, ისე მკაცრად მიახალა სერგომ, რომელიც კიროვთან ერთად მოულოდნელად გაჩნდა პერონზე.

— მოსკოვს!

— შერე ბილეთები გაქვთ?

სერგომ, ვითომდა კონტროლიორი ვარო, — სიცილით იგონებს სობოლევეი, — გასინჯვა დაუწყო ბილეთებს:

— უვარგისია! — დაასკვნა სერგომ, — მომყევით!

შეველით ვაგონში. მატარებელი დაიძრა. მე ხელიდან არ ვუშვებდი პორტფელს. სერგომ ეს შემამჩნია.

— რა გაქვს პორტფელში?

— არაფერი ისეთი: პირსახოცი, კბილის ჯავრისი, წიგნი!

— აბა, ვადმომეცი!

სერგომ გამომართვა პორტფელი და სიცილით ამოიღო იქიდან... ღვიწით სავსე ბოთლი. ვაგონში ატყდა ხარხარი. ამასობაში მირონიჩმა შეამოწმა ჩემი

ამხანაგის საგზაო, — და აღმოჩნდა ქართული ხაჭაპურები.

— ხედავთ ამ კავკასიელებს! — იხუ-მრა სერგომ, — აბა, ყველაფერი ამო-ლაგეთ საერთო სუფრაზე!

დიდხანს იცინოდნენ ამ ჩვენი საგზ-ლის გამო.

ახლა სობოლევი უფრო სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. მისი ქარხანა ზანტად და დაგვიანებით ასრულებს მთავრობის მნიშვნელოვან შეკვეთას.

— კიდევ რამდენი დრო დაგვიკირ-დება?

სერგოს მხრით, „თქვენობით“ საუ-ბარი ცუდის მომასწავებელი ნიშანი იყო. აღამიანებს, რომლებთანაც კარ-ვად იყო განწყობილი, „შენობით“ მი-მართავდა.

სობოლევი ასახელებს დროს.

— რამდენად უფრო სწრაფად შეას-რულებს ამავე შეკვეთას იაპონია?

— იაპონია ამას გააკეთებს ერთი თვით ან თვენახევრით უფრო ადრე.

— დაბრუნდით ახლავე თვითმფრი-ნავით ლენინგრადს. მოიწვიეთ მუშები საქარხნო კრებაზე და გადაეციეთ მათ ჩვენი საუბარი. დარწმუნებული ვარ, მუშები გეტყვიან თქვენ, რომ ჩვენი პროლეტარული ხელისუფლების დროს, ჩვენს საკუთარ საბჭოთა ქარხნებში ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ბევრად უფრო ნაყოფიერად, ვიდრე მუშაობენ კაპი-ტალისტურ ქვეყნებში...

ორივე — მე და შირონიჩი. ასე გულმოდგინედ გზრდით და რა გამო-ვიდა?

სობოლევი თავჩაქინდრული მიზანდა-ლებს გასასვლელი კარებისკენ, სერგო მისძახის — როცა იაპონელებს გაუსწ-რებთ, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ჩვენს გაზეთს „ზა ინდუსტრიალიზა-ციუს“.

• • •

... სემუშკინი მოახსენებს სერგოს, ქარხანა „მანომეტრის“ დირექტორმა, როცა იგი თქვენი გუშინდელი გაცხარე-ბის შემდეგ გონზე მოვიდა, წარმოადგი-

ნა სერიოზული გასამართლებელი საბუ-თები, — ირკვევა, რომ მას პრაქტიკური დანაშაული არ მიუძღვის შეხვედრე-ბის წინაშე. ალბათ, გუშინდელმა თქვე-ნმა გამწყარალმა კილომ დააბნია და სა-ხელდახელოდ ვერ მოგვცათ სწორი გან-მარტება.

სერგოს სახეზე სიწითლემ გადაურ-ბინა, ალბათ გაახსენდა, რომ გუშინ და-უშსახურებლად უწოდა მეტად მოკრ-ძალეულ დირექტორს „შლიაპა“.

— სემუშკინ! რიგს გარეშე, დაუყო-ნებლივ გაუგზავნეთ დეპეშა, ჩაიწერეთ ტექსტი: „ბოდიშს ვიხდით. გთხოვთ მაპა-ტიოთ. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი — ორჯონიკიძე“, ასლი — აუცილებლად პარტიის საქალაქო კომი-ტეტს.

• • •

... ჩვეულებისამებრ სერგოს კაბინეტ-ში ქარხნების დირექტორების ბრძანე-ბათა ასლებს ათვალიერებენ.

„კრასნი ტრეუგოლნიკის“ მუშათა მომარაგების განყოფილების საბჭოთა მეურნეობაში სამუშაო დღის გაცდენი-სათვის აგრონომი მოუხსნიათ.

— ვერ დავიჯერებ, რომ იმ კაცს მუ-შაობა არ უნდოდეს, — ეუბნება სერგო მთავარი სამმართველოს უფროსს, — გამოარკვიეთ, რაშია საქმე.

შეეკითხნენ ლენინგრადს. მიიღეს პა-სუხი: აგრონომი სამუშაოზე არ გამო-ცხადებულა. მოუხსნიათ. შემდეგ გამო-ირკვა: ცოლი გახდომია ავად; ქმრის გარდა, მიმხედავი არავინ ჰყოლია. აგ-რონომს წინადადება მისცეს დაბრუნე-ბულიყო სამუშაოზე, მაგრამ განაწყენე-ბულს უარი უთქვამს.

ამას მოჰყვა სერგოს განკარგულება: გამოიწვიეთ ჩემთან ის აგრონომი, არ დაგავიწყდეთ მისკეთ სამგზავრო ფუ-ლიც, ოღონდ ტაქტიით.

გოცემულმა აგრონომმა, შეაბიჯა თუ არა სახალხო კომისარის კაბინეტში, წამოიძახა:

— ბოდიში, ვერაფრის გზით ვერ მიმ-ხედარავარ, საიდან იცით ჩემი არსებობა! მე ხომ არავისთვის არ მიმიმართავს!

* * *

... ახალი ტანკის გამოცდა მიმდინარეობს ქალაქს გარეთ. სერგო ქუდით აძლევს ტანკის კომანდირს სიგნალს გააჩეროს მანქანა. სერგო გადმოდის თავისი „პიკარდიდან“ და ჯდება ტანკში. მანამდე მძღოლ-შეჭაინიკოსს ყურში ჩაუფუჭუნეს — არ გაავითაროთ მაქსიმალური სიჩქარე, თვალყური ადევნეთ გზას, გვერდი აუქციეთ ოღრო-ჩოღროებს. სახალხო კომისარს ერთი თირკმელი არა აქვს და გულით ავადმყოფიარ.

იარეს რამდენიმე წუთს. სერგომ ექვი აიღო, რაღაც საქმე ვერ არის კარგათო, და შეკითხვებს აძლევს მძღოლს. ესეც გამოტყდა — ტანკს შეუძლია სამჭერ-ოთხჭერ უფრო სწრაფად იმოძრაოს, მაგრამ ნაბრძანები არა მაქვს.

— აბა ახლა ჩემი ბრძანებაც შეასრულე, — წაიყვანე მანქანა ისე, რომ გამოჩნდეს ყველა მისი ღირსება.

ქარხანაში სერგო ბრუნდება ამავე ტანკით. კმაყოფილი შედის საამწყობო სამქროში და უზიარებს ინჟინრებს და მუშებს თავის შთაბეჭდილებებს.

— ახლა შემიძლია თამამად მოვაწერო ხელი მთავრობის კომისიის დადგენილებას: „მანქანა კარგია!“

* * *

... კისლოვოდსკში ნარხანის წყაროსთან დგანან სერგო და მისი მეუღლე ზინაიდა. მათთან მოდის თმბაბურძენული, წვერულვაშებიანი, მოუსვენრად მომზირალი, გამზდარი კაცი და სწრაფად ამბობს:

— ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული...

სერგომ ხელი გაუწოდა და დასძინა:

— წამოდით, ერთად ვისადილოთ და ვილაპარაკოთ.

უცნობმა გააცნო თავისი თავი: გეოლოგი ბორის ორლოვი გახლავართო.

ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ეს ახალბედა გეოლოგი გამგზავრებულა

ყაბარდო-ბალყარეთის მთებში მოღობდენის საძიებლად. ქართა ხეობაში — ყაბარდულად ტირნიაუზში — შეხვედრია იმავე ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ვერა ფლეროვას, რომელთანაც სტუდენტობის წლებში მხოლოდ შორეული ნაცნობობა ჰქონია. აქ, მთებში კი, ერთი ოცნებით გატაცებულნი, ერთი ჰიზის და ლხინის მოზიარენი, ერთბაშად დაახლოებულან და ერთმანეთი შეყვარებიათ. როგორც კი ქალაქს დავბრუნდებით, დავქორწინდეთო, — გადაუწყვეტიათ.

მანამ კი ხოხვით აღიოდნენ კლდეებზე, სულ მაღლა და მაღლა, აფრთხობდნენ ორბებს, წერაქვით ამსხერვედნენ გრანიტს, საკუთარი ზურგით აქონდათ მწვერვალებზე ფეთქადი მასალა. როგორც კი აფეთქებების ხმა მიწყდებოდა და კვალი გაიფანტებოდა, დასისხლიანებული ხელებით შეუდგებოდნენ ასეული ტონობით დაგროვილ კლდის ჯიშების გადარჩევას. ბოლოს ეღირსნენ დიდი ხნის ნანატრ ჯილდოს — მოღობდენის ძარღვებით დასერილ მძიმე ლოდს.

სალამოს ეამს ამ ნაპოვნით და სიყვარულით ფრთებშესხმულნი დაბლობისაკენ დაეშენენ. გზად მდინარე ბაქსანის უნდა გაეველოთ. ქარის გრიგალისებურმა ქროლვამ, მუდამ რომ თარეშობს აქაფებული მდინარის გაღმა-გამოღმა აღმართულ კლდეებს შორის, თოკის ვიწრო ხიდი გადააბრუნა. ბორისმა მოასწრო ხიდის სახელურისთვის ხელის ჩაკიდება, ხოლო ვერა, ძვირფასი ჯიშების ნიმუშებით საცეს რუჯაკით, გრიგალმა მდინარეში გადაისროლა. ქალი სიბჭვაზე დაეარდა და დაიმტკრა სასიკვდილოდ, განზრახული ქორწინების წინა დღეს.

სერგომ მაგრად მიიკრა მკერდზე ბორისის ღიღიხნის დაფვარცხნელი, გაბურძენული თავი.

— რითი შემიძლია დაგეხმარო?

— ვერას პიკი... მოღობდენი... ეს მისი პირველი საჩუქარი იყო... საშობლოსადმი მიძღვნილი... დამიჯერეთ... —

ნაწყვეტ-ნაწყვეტად ხმამაღლა ამბობს ორლოვი.

— მესმის, ჩემო ბორის! მე ვთხოვ ბატალ კალმიკოვს, მას ისე ვენდობი, როგორც საკუთარ თავს. ის ყველას ფეხზე დააყენებს. თუ ვერას პიკზე (მწვერვალზე) მართლა არის მოლიბდენი, ჩვენ აქ ავაგებთ დიდ ქარხანას, მთელ ქალაქს! ცენტრში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას აღვმართავთ ობელისკს თქვენი საყვარელი ქალის პატივსაცემად და სახსოვრად.

* * *

გიორგი გვახარიას მხრით მუდამ შეჩეუული არიან მოულოდნელობას, მეტწილად ფრიად სასიამოვნოს. სერგოსთან მისი ნაცნობობაც მოულოდნელად დაიწყო.

სტუდენტი გ. გვახარია, საგარეო ვაჭრობის ინსტიტუტის მდივანი, მოულოდნელად თავისთან მიიწვია მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარმა ორჯონიკიძემ.

— აი, როგორი ყოფილხარ, ჩემო მოჩხუბარო თანამემამულე. — უთხრა სერგომ და გიორგი გვერდზე მოისვა პატარა სავარძელზე. — ანასტას მიქოიანმა მირჩია გავცნობოდი. გუშინ იყო ჩემთან თათბირზე; თავისი თვალით უნახავს და თავისი ყურით მოუსმენია როგორ „ანადგურებ“ ძველ პროფესორებს! მამლაყინობ, ბიჭიკო!.. კომკავშირელებისაგან უნდა შემიდგინო მუშგლეხინისათვის „მსუბუქი კავალერიის“ მთელი ესკადრონი!

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გიორგის გზავნიან ლონდონში სავაჭრო წარმომადგენლობის თანაშრომლად და ასრევე მოულოდნელად გადმოჰყავთ მო-

სკოვში მუშგლეხინის ინსპექტორად. შემდეგ მუშაობს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში. სწორედ აქ მისცა სერგომ მას პირდაპირ გამარეტიანებელი კითხვა:

— ხუთ მშენებლობას გაუძღვები ერთბაშად?

— ხუთს?

— ხომ არ დაყრუებულხარ, რომ ვერ გაიგონე! გზავნი ღონბასში, „რეკონსტრუქციის“, ე. ი. ხუთი უმნიშვნელოვანესი ქარხნის მშენებლობის უფროსად.

სწორედ იმ ხანებში გიორგი გვახარიას პიროვნებით დაინტერესდა მწერალი კონსტანტინე პაუსტოვსკი, რომელიც ყველაზე უკეთ ერკვევა იმაში, თუ რა არის რომანტიკა და გმირობა.

„... ღონბასის ყველა „ზედამკვრელურ“ ხუთ მშენებლობას სათავეში ედგა გვახარია, კაცი, იმდენადვე სწრაფად მოქმედი საქმესა და გადაწყვეტილებაში, რამდენადაც მისწრაფებულად, შინაგანი ენერგიით ჟღერს მისი გვარი... მუშაობა მიმდინარეობს სწრაფად, მაგრამ ყოველგვარი ტრაგიკული ზედაძაბულობის გარეშე, მიმდინარეობს ხალისიანად, ყოველგვარი კვენა-ტრაბახის გარეშე, მშვიდად და დაწყნარებულად, მოკუმულ ტუჩების და ტყვიისებური მძიმე გამოხედვის გარეშე. გმირობა არ იმოსება არც სახეიშო სამოსით და არც განზრახ შერჩეული ქალამნით. გმირობა დადის უბრალო კეპით, და სახეც გმირისა ჩვეულებრივია და ხშირად ისევე წითლდება შეცბუნებისაგან, როგორც ყოველი მოკვდავის სახე. გმირობა სხვადასხვაგვარია, მაგრამ ყველაზე დიდი და მაღალი ის გმირობაა, რომლის არც ფოტოგრაფიით გადაღება და არც მაღალფარდოვნად აღწერა არ შეიძლება“.

როცა ჩვენი ქვეყნისათვის მთავარ, სასიცოცხლო საჭიროებად გახდა ლითონი, გვახარიამ ითხოვა სამუშაოდ გამგზავნეთ მაკეევკის ქარხანაშიო. მაშინ მთელს უკრაინაში არ ყოფილა იმანზე უფრო ჩამორჩენილი წარმოება.

¹ ვერა ფლოროვამ ვასილიარი საჩუქარი დაგვიტოვა. ბორის ორლოვმა და ძველმა გამოცდილმა ველოვმა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ხრუშჩოვმა დაამტკიცეს, რომ ქართა ხეობაში მოლიბდენის მადანი ულეველია. ამჟამად იქ დიდი სამარეწველო კომბინატი და ქალაქი ტირნიაუზია.

ნაშუალამევის ორ საათზე საბრძმედღე საამქროში ფეხი შედგა სუფთად წვერ-მობარსულმა, კოსტად ჩაცმულმა ვაე-კაცმა რქის სათვალეებით. ეს იყო ახალი დირექტორი. ბრძმედებს არ მოშორებია გათენებამდე. ასე იდგა ღუმე-ლებთან ყოველ ღამე, განუწყვეტლად, მთელი ორი კვირის განმავლობაში. ერთ დღეს ურევავს მოსკოვს:

— ამხანაგო კომისარო, მზად ვარ და-ვისახელოთ საბრძმედღე საამქროს ახალი უფროსის კანდიდატურა, ოღონდ მისი გვარი თქვენ ვერაფერს გეტყვით. ახალი ნასტუდენტარია, ცვლის ყველაზე ახალგაზრდა უფროსია, კომკავშირელი ილია ზლოჩევსკი.

— მართლაცდა, კანდიდატურა მოუ-ლოდნელია... იყოს მასე... დანიშნე! — უპასუხა სერგომ... ახლა უკვე ზედმე-ტია სჯა და თათბირი! რაკი ჩაგაბარეთ კომკავშირელებს ქარხანა, — უპატრო-ნეთ და მოუარეთ! თქვენზე გადმოდის ესტაფეტა.

„კომკავშირული ქარხანა, — განა მოულოდნელი არ არის? — გახდა საუ-კეთესო ქარხანა მთელ საბჭოთა კავშირ-ში. მრავალი და მრავალი სამეურნეო მუშაკი და ეკონომისტი გააოცა იმ ფაქ-ტმა, რომ ამ ქარხანამ პირველმა თქვა უარი სახელმწიფო დოტაციებზე. იმ დროის კანონების და ჩვეულების მი-ხედვით უდოტაციოდ ქარხნები არ მუ-შაობდნენ. გვახარია ნაბიჯი დაუჯერე-ბელი ჩანდა. თეთრ ემიგრანტთა მეთი-ური — თვით პროფესორი მილიუკოვი წერდა:

„მოსკოვში ახლა გულმოდგინედ თხრიან სამარეს მეტალურგიული მრე-წველობის დასამარხად. დოტაციებზე უარის თქმა მის სულ განადგურებას გამოიწვევს. გზაც იქითკენ ჰქონია!..

სერგომ თავი ვერ შეიკავა და მრეწ-ველობის მუშაკთა ერთ დიდ თათბირზე სიტყვა-სიტყვით წაიკითხა რუსი ეკო-ნომისტის და კადეტების ლიდერის მი-ლიუკოვის „ავტორიტეტული და კეთი-ლი სურვილებით“ გამსჭვალული წინას-წარმეტყველება, და თავის მხრით დაუ-

მატა: წინააღმდეგ მილიუკოვის ამ მო-საზრებისა, გვახარიასაგან დაწყებული საქმე კარგად დასრულდა! — სამხრეთის მთელი მეტალურგია და „სპეცსტალის“ ყველა ქარხანა ამჟამად უდოტაციოდ მუშაობს.

ასე შეაჩვია გვახარიამ ყველა სასია-მოვნო და სასიხარულო მოულოდნე-ლობას. ბედიც წყალობდა — ყოველ ნიჭიერ და შრომისუნარიან მუშაკს მის-კენ მიუხაროდა. ასე, მაგალითად, ცნო-ბილმა ვირტუოზ-ოპერატორმა ვასილ ოგოროდნიკოვმა მაკეევკაში გადასვლა ითხოვა. თავის ძველ სამუშაო ადგილზე მაგნიტოგორსკში მას რაღაც შეემთხვა. კაცმა არ იცის, ხშირმა ჯილდოებმა და წახალისებამ გაადიდგულა იგი, თუ მა-რთლა რაღაც აწყენინეს, ერთ მშვენიერ დღეს თავი დაანება სამუშაოს, ჩალის ფასად მივიღ-მოყიდა მთელი თავისი ავლადიდება და ღამის მატარებლით მთელი ოჯახით, დედაბუდიანად, სად-ღაც გაემგზავრა. გზიდან ღია ბარათი გაუგზავნა დირექტორს — იუგით ნუ მომიგონებ, ძველი სიკეთისათვის — მადლობა, მაგნიტოგორსკში დაბრუნე-ბულს კი ვერ მნახავთ.

ეს ამბავი სერგოს ყურს მიწვდა. ერთ დღეს იგი ტელეფონით ურევავს დირექ-ტორს:

— რატომ არაფერი ისმის ოგოროდ-ნიკოვზე? ზომ ჯანმრთელადაა?

დირექტორმა გულახდილად უპასუხა:

— გაიპარა, გაიქცა გაურკვეველი მი-მართულებით. სულ წახდა ბოლო დროს.

— რამ წახდინა?

მძიმე მრეწველობის სახალხო კომის-რის სამდივნოს მიეცა უმკაცრესი ბრძა-ნება—იპოვეთ ოგოროდნიკოვი. დაუ-წყეს ძებნა, უწინარეს ყოვლისა, მის სა-მშობლოში — დონბასში. პასუხი პა-სუხს მოსდევდა:

— შემოიარა დებალცევოში...

— უნახავთ ენაიკევოში...

— უნდოდა მოწყობილიყო კრამა-ტორსკში...

— აქ არ არის. მაკეევკაში წაიყვანეს.

გვახარია ხმას არ იღებდა. არც ეცალა. — ოგოროდნიკოვთან ერთად მოულოდნელობას ამზადებდა. ყველაზე დიდი მანქანებელი, რასაც ვასილ ოგოროდნიკოვმა მაგნიტოგორსკში მიიღწია, იყო ის, რომ ყოველ საათში გლინავდა ოცდაათხ ზოდს. მაკეევკაში კი უკვე იძლეოდა საათში 28, 32 და ოცდაცამეტ ზოდსაც კი. გვახარია ავტულიანებდა კორესპონდენტებს:

— ჩამოდით, გვაქვს სასიხარულო სიახლენი.

სწორედ ამ დროს მოხდა ყოველად გაუთვალისწინებელი მოულოდნელობა: მოსკოვიდან ჩამოფრინდა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის შეფ-პილოტი: — ოპერატორი ვასილ პეტრეს ძე ოგოროდნიკოვი დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს სახალხო კომისარიატს.

თუ რა საუბარი ჰქონდა სერგოს პირისპირ ვასილთან, — ამის შესახებ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ. ოგოროდნიკოვი ისევ მაგნიტოგორსკშია ერთი შეორეს მისდევნ მძიმე ზოდები ბლუმინგის როლგანგებზე. მხიარული თვალებით უყურებს ადამიანებს ოპერატორი-ვირტუოზი.

გიორგი გვახარია კი სამუდამოდ მოაშორეს თავის დიდ საქმეს.¹ მუხანათურად გამოასალმეს სიცოცხლეს მისი ნი-

ქის და უნარის სრული გაფურჩქვნის წლებში, სწორედ იმიტომ, რომ ის უყო სერგოს უსაყვარლესი ადამიანი.

• • •

... უკვე რამდენიმე საათია, რაც ორჯონიკიძე ჩელიაბინსკში ათვალეირებს გასაშვებად გამზადებულ მძიმე დაზგათმშენებლობის დიდ ქარხანას. ქარხნიდან გარეთ გამოსვლისას დაინახა კიდევ ერთი კორპუსი, თითქმის იმოდენა, რაც ქარხანა იყო.

— ეს რაღაა?

შშენებლობის უფროსი კატელი ათვალეიწუნებოთ იქნევს ხელს.

— არაფერი ისეთი საინტერესო! პატარა დამხმარე საამქროა!

— როგორ თუ დამხმარე, ასეთი უზარმაზარი შენობა? რა არის იქ?

— საშვედლო!

როცა სერგო შენობაში შევიდა, საყვედურის ნიშნად თავი გაიჭინა. ხედავს ვეებერთელა უროებს, 750 ტონიან ჰიდრაულიურ წნეხებს და ბევრს ისეთ რამეს, რომლითაც ყოველი მოწინავე ქარხანა იამაყებდა.

— აი, ხედავთ? — ხმამაღლა ამბობს სერგო, — როგორც ვავადიდგულეთ კატელი! კარგი კაცია, — ააგო კომსომოლსკი ამურზე. მაგრამ ვამაყდა, დაა-

¹ გიორგი გვახარიას და მისი მეუღლის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ მათი დაძალებული ბავშვი ოთარი ახლო ნათესაებებმა თბილისში ჩამოიყვანეს, ზრდდნენ ისე, რომ ბავშვს არ გახსენებოდა მშობლების ტრაგიკული ბედი. მაგრამ ზოგჯერ თვითონ ოთარი იხსენებდა ამა თუ იმ ებზოდს თავის ცხოვრებიდან. ერთხელ, ჰყვებოდა იგი — ელექტროტექნიკური მრეწველობა დღეს იგივეა, რაც ოცდაათიან წლებში მამათქვენსათვის მეტალურგია იყო. ჩასთვალეთ, რომ დღეს თქვენ იხარებთ ესტაფეტას.

ასეთ შემთხვევებში მოკლედ უბასუხებენ ხოლმე „ეუბნები, მალონეს არ დავიშურებ.“

ოთარ გვახარია გახდა საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის მთავარი სპეციალისტი ელექტროტექნიკური მრეწველობის დარგში. მან ვაყეთა იგივე, რაც მამამისმა ოცდაათიან წლებში მაკეევკაში, — მისა წინადადებით ჩვენს ტესპულაციის მთელი ელექტროტექნიკუ-

რი მრეწველობა, ყველა ოცდაათობეტი ქარხანა, ჩააბარეს საშუალო სკოლების გუშინდელ კურსდამთავრებულ კომკავშირელებს.

როცა ყველა ქარხანა ფეხზე დადგა, წელში გაიშართა და გაძლიერდა, ოთარმა კვლავ გამოამჟღავნა მამის ხასიათი. მამა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოდან წავიდა მშენებლობაზე, შვილი — კომიტეტიდან ქარხანაში. მამა იყო დირექტორი, სახელგანთქმული დირექტორი, შვილიც დირექტორია, ჭეჭყერობით დამწყები, ახალბედა. მაგრამ მასაც მამასავით სწევია მოულოდნელობა. ინჟინერმა და დირექტორმა დაუსწრებლად დამთავრა მოსკოვში... ლიტერატურული ინსტიტუტი, მარჯვდ შეუთავსა ერთმანეთს ფიზიკა და ლირიკა. ელექტრონიკის სამყაროშიც და ლირიკის სამყაროშიც პატივისცემით ამბობენ ოთარ გვახარიაზე — ზედგამოჭრილი მამაო.

ვიწყდა, რომ რამდენიმე წლის წინათ, ეს პატარა დამხმარე საამქრო, წარმოგვიდგებოდა დიდ ქარხანად, მით უფრო „ჩელიაბინში“, ამ კატორღულ ტრაქტზე.

მცირე დუმილის შემდეგ განაგრძობს:

— საერთოდ კი, ჩვენ არც ისე ღარიბები ვართ. ექვს მილიონს გადაჭარბა მრეწველობის მუშაკთა ჩვენმა არმიამ.

ყოველი კაცი, რომელიც ამ დიად ამხანაგობაში შედის, — მიწისმთხრელიდან აკადემიკოსამდე, მდნობელის შეგირდიდან სამმართველოს უფროსამდე, — ყველა დარწმუნებით და სიყვარულით ამბობს: „ჩვენი სერგო, ჩვენი კომისარია“.

თავის კაბინეტში არის თუ ქარხანაში, სადილობს თავის ბინაში (კრემლის ქედელს იქით მდებარე დაბალი, მყუდრო სახლის მეორე სართულზე), თუ ისვენებს (ეს სიტყვა სერგოს მიმართ შეიძლება მხოლოდ პირობით ვიხმაროთ) აგარაკზე, მოსკოვშია თუ კისლოვოდსკოში, ყველგან მას ხალხი ახვევია.

უღამიანებოდ მას სუნთქვაც კი არ შეუძლია. „ჩემთან, — თქვა სერგომ თავდაცვითი მრეწველობის მუშაკთა თათბირზე, — ყოველთვის, ყოველ საათს შეუძლია და ვალდებულია მოვიდეს კიდევ ყოველი მუშაკი, გამიზიაროს თავის საზრუნავი, თავისი დარდები! თავისი ჭირი და ღონი.“

ერთხელ, ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად სერგოს მუშაობის წლებში, მისმა თანაშემწემ კარებზე გამოაკრა განცხადება:

„ამხანაგი ორჯონიკიძე ღებულობს კენტ რიცხვებში 12-დან 3-მდე“.

როცა ეს განცხადება პირველად დაინახა სერგომ, იკითხა:

— ეს ვინ გამოკიდა?

— მე, — აღიარა სემუშკინმა.

— თუ არა შენ — აბა სხვა ვინ იზამდა ამას! ვთქვათ, ჩამოვიდა გლეხი, ან მუშას სასწრაფო გადაუდებელი საქმე აქვს, როგორ ფიქრობ, მისაღებ დღეს უნდა უცადოს? ახლავე გააკარი სხვა განცხადება: „ორჯონიკიძეს მიღება

აქვს ყოველდღე... თუ სამხარეო კომიტეტში არ დაგვხვდათ, ვთხოვთ შეაქვთ ხოთ ბინაზე“.

არც დრო, არც მაღალი პოსტი არ მოქმედებს სერგოზე. ორჯონიკიძესთან მისვლა ყოველთვის შეიძლება, მაშინაც კი, როცა ამის ნებას მისი ჯანმრთელობა არ იძლევა. 1936 წლის შეიდ იანვარს ცკ პოლიტბიურო იძულებული გახდა მიეღო საგანგებო დადგენილება: „დაევალოს ამხ. ორჯონიკიძეს 12 დღე დაისვენოს მოსკოვს ახლო მდებარე თავის აგარაკზე, ისე, რომ მიიღოს არა უმეტეს 1-2 კაცი სადღეს“.

მომე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ბერლინში ვლადიმიროვი შემოფოთებული იტყობინებოდა:

— „როცა მედიცინის პროფესორს ნოორდენს მოკლედ ავუწერე დეპარტამენტის დირექტორის (პირობითად ეს სპეციალური ექიმები სერგოს ამ გამოჩენილ მედიკოსთან საუბარსა და მიწერ-მოწერაში) დატვირთვა და მუშაობის მასშტაბი, ნოორდენმა წამოიძახა:

— თუ ეს მართალია, მაშინ ბატონს გადაუწყვეტია მძლავრად მოქმედი საშუალებით სიცოცხლე დაასრულოს თვითმკვლელობით“.

— მე სიმართლის ნახევარიც კი არ მითქვამს მისთვის, — განაგრძობს ვლადიმიროვი, — პროფესორისთვის სრულიად უცნობია, თუ რა წარმოდგენილად არის დაძაბული სერგოს ნერვული სისტემა მთელი რიგი წლების განმავლობაში.

• • •

... საუბარი მიმდინარეობს ვაგონების ბორბლების გრიალში.

სერგო:

— ახლახანს ვკითხულობდი აკადემიკოს პავლოვის „პირობით რეფლექსებს“ და წააფიქრი შესანიშნავ ფრაზას „რა არის მიზნის მიღწევის მთავარი პირობა? — დაბრკოლებათა არსებობა“.

მონდება ხოლმე, დაიბარებ სამეურ-

ნეო მუშაკს და ეუბნები: უნდა იყოს-როთ ასეთი და ასეთი პროგრამა. კოლმანობს, არ უნდა მიიღოს, რატომ?

— არ გამოვა!

— რატომ არ გამოვა, შენ ზომ დიდი რეზერვები გაქვს!

— არა, ბატონო, არ გამოვა.

და ამ „არ გამოვა“-თი მიღის უკან, ამ „არ გამოვათი“ ცხოვრობს, „არ გამოვა“-თი სძინავს. რა თქმა უნდა, ასეთ კაცს არასოდეს არაფერი გამოუვა. რომ ეუბრძანო წაიკითხოს „პირობითი რეფლექსები“, იქნება, მაშინ ეშველოს რამე.

* * *

... სერგო ყურს უგდებს „ლამაზად“ მოლაპარაკე ერთს ინჟინერს.

— ჩვენ დაეიბენით იმის გამო, რომ მაგნიტოგორსკის ბრძმედებიდან თუჯი მდინარესავით მოედინება.

სერგო მაშინვე აწვდის რეპლიკას:

— ჩვენ ათასნაირი ქარხანა გვაქვს, ვისაც არ შეუძლია თავი გაართვას მდინარეს, იმას გავგზავნით უფალისკის ქარხანაში, სადაც თუჯი პატარა წყაროსავით მოწანწყარებს.

* * *

... სექტემბრის ქარ-წვიმიანი ღამეა... თენდება... დაღლილ-დაქანცული სერგო მაგნიტოგორსკის ქარხნის ცენტრალურ ელექტროსადგურთან შეჩერდა. გამოეგება ტანწერილი ქალიშვილი, თვალებგამბრწყინებულს.

— ცვლის ინჟინერი ჯაფარიძე გაბლაფართ, — გააცნო თავი ქალიშვილმა. ხმაში მღელვარება ეტყობოდა.

სერგოს ბოლომდე არ მოუსმენია ქალიშვილისათვის. გადაეხვია და დაუკონა ორივე ლოყა. მერე უკან დასწია და გაუღიმა.

— აბა, მაჩვენე შენი მეურნეობა, ცვლის ინჟინერო ჯაფარიძე, ელენე ალექსეევნა. ბოდიში, შენ ალექსეევნა კი არა, ალბათ, პროკოდიევნა ხარ. მამაშენს მხოლოდ იატაკქვეშეთში ვეძახდით ალიოშას.

მას შემდეგ, რაც ესერებმა და რეგლისის იმპერიალიზმის ფენტიტებმა რადიექსი კომისარი დანტრეტსკი მტკვოს არ შეუწელებია ზრუნვა თავისი გულითადი მეგობრის ალიოშას ოჯახის ბედზე. ელენეს დედა ვარო მაშინვე შეიპყრეს და დიდხანს ჰყავდათ პატიმრობაში. ორი დაობლებული გოგონას პატრონობა იყისრა თბილისის არალეგალურმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, რომელმაც ძლივსძლივობით მოახერხა მათი გაგზავნა მოსკოვს.

მხოლოდ ერთხელ აღუდგა ელენე თავისი მამის მეგობრების მეურვეობას.

ენერგეტიკული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ელენეს უპირებდნენ ასპირანტად დატოვებას და შესთავაზეს სახალხო კომისარიატში მუშაობა.

— ეს არ იქნება! — მტკიცედ განაცხადა ქალიშვილმა, — წავალ სამუშაოდ წარმოებაში, წავალ არა სამხრეთში, არა დნებრისპირა ან დონბასის კეთილმოწყობილ ქალაქებში! არ წავალ იქ, სადაც ვზები მეტისმეტად გატყპნილია!

ორივე მხარე ჯიუტად აღდა თავის დადამყვეტილებას.

— წავიდეს იქ, სადაც სწადია, — თქვა ორჯონიკიძემ. — ელენე კომკავშირელია და სურს იყვეს თავისი მამის ღირსეული ქალიშვილი.

ორმოცგრადუსიანი ყინვაში, მაგნიტოგორსკის მხვლეტავი ქარის ქროლვაში ელენე, რომელსაც არც კი გამოუჩენია ინჟინრის დიპლომი, კეთილსინდისიერად ასრულებდა მიწისმთხრელის და მეტეტონეს მოვალეობას. სხვა კომკავშირელებთან ერთად ააგო კაშხალი. და შენობა ელსადგურისა, იმ ელსადგურისა, რომელსაც ახლა ასე გულმოდგინედ ათვალეირებინებს სერგოს.

მხოლოდ სახალხო კომისარის ერთი შეკითხვა იყო ელენესათვის მოულოდნელი:

— ქარხანაში ბევრია ქართველი?

— ჩემი ვარაუდით, ორმოცდაათ კაცამდე იქნება ისინი, ვინც პირდაპირ საქართველოდანაა მოსული, ძლივს

ეგუებიან აქედნე ჰავას. განსაკუთრებით უკირთ ზამთრის თვეებში. მეშინია, ზოგიერთები უკან არ გაბრუნდნენ.

— არა, ჩემო გოგო, საქართველოში ყველანი ერთად დაბრუნდებით, სწორედ თქვენ ამჟამად პირველ ქართულ მეტალურგიულ ქარხანას! ძალღონეს არ დავეშურებ, რომ ამას დიდხანს არ დააგვიანდეს.

• • •

... სერგომ ყური მიუგდო. ფანჯარა ვალო. კისლოვოდსკის კამკამა დილის მყუდროება შეარყია სალაშქრო ქისტურმა სიმღერამ. ხმაური სულ უფრო და უფრო ახლოვდება. იგი უკვე სახლთან გაისმის.

ნახევრად მივიწყებული მეომრული სიმღერა. თქარათქური, ნაღების წკრიალი. შავი ნაბღები. თეთრწვეროსნები, მალა აშვერილი შაშხანები.

სერგო ხელს დასტაცებს უფროსი ძმის პაპულის ნაჩუქარ იმერულ ბლუზას, გზა და გზა იცვამს, და კარებისკენ მიეშურება...

მხედრებს ცხენები თამაშ-თამაშით მოჰყავთ. გაისმის თოფების ბათქი, ზორხისმიერი შექაბილები:

— ვურრო! ვურრრო ერჯინეზ!¹ ყონახ ვა!²

ლავარდ ცაში წვრილბეწვიანი ბოზობი ქუდები აფრიალდნენ. ბზინავენ სუფთად მოპარსული, სარკესავით პრილა შიშველი თავები, — პატივცემული, დარბაისელი ბერიკაცები მისეალ-

მებინან, მათი შეხედულებით, ვერ კიდევ ახალგაზრდა თავისი მგვტმპარს. დღეს მას მხოლოდ ორმოცდაათი წელიწადი უსრულდება! ლუომ და ლუომ! ნამდვილი ლომია!


ჭალაროსნებმა სერგო ცხენზე შესვეს, მხრებზე ნაბადი მოახტრეს, თავის წრეში გარიეს.

აუჩქარებელ, დინჯ საუბარს იწყებს ასშვიდი წლის ისმაილი, უხუცესი ბერიკაცი დატიხიდან, იმ აულიდან, სადაც 1919 წლის დამდეგს სერგო აგროვებდა პირველ პარტიზანებს.

— ალახმა თავის მოწყალე გულით ქისტ ხალხს მოუვლინა დევგმირი, სახელად ტერსმელი. ვოლიათმა ჩამოაგორა მთიდან უზარმაზარი ლოდი და დიდი მონდომებით ჩაეკტა იმ ქვეთ ხეობის კარი. ვერავინ ვერ შეძლო იმ ლოდის ადგილიდან დაქვრა. ქისტები მორჩილად უნდა ამოწყვეტილიყვნენ სიმშვილით და სნეულებით.

გავიდა მრავალზე უმრავლესი წელი. უგონო ტერსმელის ქვა იმ ადგილიდან დასძრა და შორს გადაისროლა ლომისფარიანმა დევგმირმა — გურჯმა ერჯინეზმა. ლენინმა წარმოგზავნა იგი იმისათვის, რომ ქვეთ ჩაეკტილ ხეობიდან ქისტები მზის სინათლეზე, ნამდვილი ადამიანური ცხოვრების გზაზე გამოეყვანა.

— ერჯინეზ! — ჩვეულებისამებრ, ისმაილი უნაგირზე წამოიმართა. მას სხეებმაც მიბაძეს და ერთად შესძახეს: — შენ იშვი ჩვენდა სასიხარულოდ, ქარიშხლისა და გრივალებისათვის!



1. ვურრო (ქისტურად) — ურა, ვაშა.
2. ყონახ ვა — თი ვაეკაცი!

ჩვენს მიზნობაში

ს კ ა რ მ ა რ ა შ ი

— ავარმარა, პირველი შახტი — აცხადებს კონსტრუქტორი, თვალი მოჯარი მდინარის პირას ბუნებრივ ქვაში აღმართულ წითელვარსკვლავის შენობას. აგი I შახტის სამმართველოა.

ჩვენს ზემოთ მკლავის სიმსხო ბაგირზე, წეროებივით მწყრივად მოსრიალევენ ნახშირით სავსე რონოდები.

შახტის მთავარ ინჟინერს რაფიელ ჯოხაძეს ტელეფონის ორი ყურმილი მოუღმარჯვებია და ელაყას ამინებს:

— არ მომიყვანო მანდ, გააჩერე კონვეიერი და დასვენე ხალხი ცოტა ხანს, ირემამეს ახლავე გამოვგზავნი... ირემამე, შედი ერთი, თუ კაცი ხარ, საშა კობაძის ბრძადასთან, გაზის რაოდენობა და კედლების გამაგრება შეამოწმე, თორემ შეუმოწმებლად აპირებენ ნგრევის დაწყებას.

მთავარი ინჟინერი მაღალი, ბეჭფართო სვანია. მას ზორხისმიერი ხმა აქვს და არწივული გამოხედვა. საუბარი კი ქორა მახშივით ღინჭი და დაკვირვებული.

გაუბით ნაწყვეტ-ნაწყვეტი, საუბარი. ელაპარაკობთ იმაზე, რომ ცხელი ზაფხულია, რომ ახლა ზღვია კარგი, რომ თერამეტი სახელმწიფოს თათბირი ძალიან გაკვიანტრდა. არ შეკითხება, ვინ ვარ, რისთვის მივედი მასთან.

მეც თითქოს შეუბერხულება, ამ თბილი საუბრის შემდეგ ყურნალსტის ბლოკოტის ამოღება, გეგმის შესრულების პროცენტების ჩხრეკა.

ათი საათია. ცლა ორზე შეიცვლება, მანამდე უნდა გავიგო ყველაფერი, რის გაგებაც მაღაროსზევეთ შეიძლება:

„შახტში სულ რვაასი კაცი მუშაობს.

აგი უძველესი მაღაროა მთელს ტყვარჩელში. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ამ შახტის ლავება და სანგრევებში ქვანახშირის მარაგი მალე უნდა ამოწურულიყო, მაგრამ მე-შახტეებმა მნიშვნელოვანი ცვლილებანი შეიტანეს ამ ვარაუდში. აღმოაჩინეს ახალი რეზერვები და უკვე შეადგინეს ხუთწლიანი გეგმა,

რომელიც სამშობლოსთვის 600 მილიონ ტონა ქვანახშირის მიცემას ითვალისწინებს.

მაღარო ყოველდღიურ გეგმას 108-110 პროცენტით ანაღლებს, და წლის დაჯალება ჯერ კიდევ ხუთი დღით ადრე შეასრულა.

შახტში სულ ოთხი უბანია; საში — საექსპლუატაციო და ერთი მოსამზადებელი. მეორე უბანი (უბნის უფროსი რაულ რურუა) კომუნისტური შრომის უბნის სახელს ატარებს.

მოწინავე ბრძაღლებდ ითვლებიან ალექსანდრე კობაძის, შალვა არღიას, ევგენი რუდოსიასა და სხვათა საღღელამისო კომპლექსური ბრძაღლები 'კობაძის ბრძაღალში' შრომობს მისივე მასწავლებელი, ვეტერანი — მეშახტე ზებტა ყიბა.

ამას წინათ კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით (მდივანი აბესალომ კირთაძე) შექმნიდა კომკავშირულ-ახალგაზრდული ცლა, რომელსაც, სამთო ტექნიკის მ. ჭუმბურაძე ხელმძღვანელობს, ამ ცლამ იანერის გეგმა 105%-ით შეასრულა და დასაყურთა აღმინისტრაციისა და პროფკავშირის საშახტო კომიტეტის გარდასავალი დროში. ცლაში ხუთი მეშახტეა: ავიძბა, ჯენია, ჯობუა, კეროვი და ჭუმბურაძე.

მეოთხე უბანში საეულავი მანქანით ხდებდა ქვანახშირის ჩამონგრევა, სხვაგან კი წერაკეთი და აფეთქებით.

საკმარისია.

მე შახტში უნდა ჩავიდე. ადვილზე უნდა ენახო მეშახტე, ვინ არის იგი, როგორ მუშაობს, რას ფიქრობს?

შესასვლელის წინ თანდათანობით გროვდება მეშახტეები. მათ შორის არიან მოხუცები, არიან სრულიად ახალგაზრდანიც. აყვით მიწისფერი ბეჭუნტის უხეში ტანსაცმელი. თავზე კასკები ახურავენ. ჩანთაში აირწინალო, ქამარში წერაქვი.

პლაკატის ჩრდილში დგანან და ამოღებენ.

პლაკატზე კი დიდი თეთრი ასოებით სწერია: „ვალდებულემა აიღე? შეასრულე კიდევ“.

როგორც იქნა, გამომწყრივდნენ მაღაროს სიბნელედა, სველტანსაცმლიანი, გამურული ფიგურები. ბეჭუნტის მარჯვლები რეზინის ჩექმებს ზემოთაც დასველებათ. ნახშირის ფე-

რია მათხ ხელეხი, ხახეც. აბანოსაყენ მიემარ-
თებინან.

შახტის შესასკელელთან მდგომინ თუ ერთმა-
ნეთისგან განირჩეოდნენ, გამოსულეხი საოცრად
ჰქვანან ერთმანეთს.

როგორ დაიტია ამდენი კაცი, ასე ეიწრობი-
რიაჩმა გვირაბმა? ცელა დაიწყო.

ათიოდე წუთის შემდეგ შემახტის ტანსაც-
შელს გულმოდგინედ ვისწორებთ და მივემარ-
თებთ შახტის შესასკელელისაკენ.

— ცელა!

— შახტში რომ ჩავალთ, იქნებ შეგცივდეთ
კოდეც, — მეუბნება ჩემი გამყოლი.

გვირაბში შევედი. ხუთიოდე ნახიჯი გადავდ-
ვით თუ არა, მალაროს ცივმა, ნესტიანმა ჰაერმა
ცხვირპირში სასიამოვნოდ მოგვასუნთქა.

ცობაზე კოდეც გამოვავილა დღის სინათ-
ლემ, მერე თითქოს შევშინდაო, უკან დაბრუნ-
და და ცივ სინუნელს ერთბაშად შეგვაცოცა.

ფანარები ავანთეთ.

ხმურია გვირაბში. ვერ გავჩვენ, რა უფრო
შვევითრად ისმის, ვგონა-ურთიკების სრიალი, თუ
ჰაერმწმენდის სისინი.

თანდათანობით შეერჩია თვალი სიბუნელს და
ფანარის შუქზე ახლა უკვე ყველაფერს ვარჩევ.

ჩემი გამყოლი წინ მიდის, ზოგჯერ შეჩერდუ-
მა და ფანარს მომანათებს, ეხედები — აქ რა-
ღაც საშიშია, ამიტომაც გულმოდგინედ დაც-
ქვით შევ სავარცხს.

გვირაბის კედლები და ტერი ოდესღაც მჭიდ-
როდ დიდგმული ხის შორებით გაუშავრებით.
ალგა-ალგ მიწისქვეშა წყალს ტერში ჩამოუღ-
წევა და წვეთავს, ალგა-ალგ კი პირდაპირ
წვიმის. ხეები ამ ადგილას საეშაოდ დამშალა და
მე ეტვი მივარება მათ სიმაგრეში.

ხახადიდებულ ტერიდან შავი წყალი ჩამეწ-
ვეთა კისერში.

ჰაერი თანდათანობით მიმივ და უგემოვნო
ჩდება.

მინც რა ჩქარა მიდის ეს ოჯახაშენებელი.

— რა გქვია, მშობილო?! — იქნებ საუბრით
შაინც შევიქციო თავი.

— დიმიტრი მამარდაშვილი, შენა?

კუთხარი, რაც მქვია.

დიმიტრის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და-
უშთავრება. შვიდი წელია, რაც შახტში მუ-
შაობს. ლეჩხუმელია.

— ყოველდღე შემოდისხარ გვირაბში?

— რატომ დღეში ორჯერ არა.

— აფარებთ ხდება შახტში?

— აშეითად.

— რას ჰქვია იშეითად?

— აშეითად იმას ჰქვია, რომ ხშირად არ

ხდება. შახტს ყოყოჩებთ არ უყვარხარ. თველი
უნდა გქონდეს, შოთმინება და ცოდნა.

— მაინც რის ვამო ხდება აფარებთ?

მთავარი ინეირის მოადგილის ომინინი ხარ,
ცილი საგორაყებმა ტამისყვრით აიტაცეს.

— ხომ არ შეგვიშინდი, სტუმარო? შეიდი
წელია იქ ვემშობ და, არ მახსოვს ჩენს შახ-
ტში ადამიანის მსხვერპლი ყოფილიყოს. ავარიის
გამოწვევა შეუძლია აფეთქების დროს გამოყო-
ფილ ვაზს. ჰვანახშინს ბუნებრივი ვაზეხი აბ-
ლავს. ამიტომ ჩამოსანგრევი ადგილი წინასწარ
უნდა შემოწმდეს. საითო საქმეში ყველაზე
რთულ ოპერაციას მაინც ტერის მართვა წარ-
მოადგენს. გამოღებულ სავარცხს დიდი ძალით
აწევა ტერი. დროადრო ბივეები დაწოლას ვერ
უძლებენ, თანდათან იღუნებინან. კარგი მემახ-
ტე დროოდად უნდა ამჩნეოდეს აქვას. თუ დაუ-
კვირდები, შეამჩნევ, რომ სოლი აქყლიტება და
ბივის თავი შედის ტერში, მაშინ ნახშირის გა-
მოღება უნდა შეაჩერო, ორმაგი მესერი უნდა
გაყვლო.

კილომეტრნახევარზე შემოვსულვართ. ისევ
წინ მივიწევთ. დავიდალე. ოღონდ არ გავჩერ-
დე და, უკვე სულერთია, საით გადავვდამ ფეხს.

ხანდახან მოტებს ავებდავ და ნახიჯს მოვუშა-
ტებ.

შორიდან სინათლე გამოჩნდა. სინათლე სწრა-
ფად მოგვიაბლოვდა. გვერდით გვირაბის პატარა
ელშავალმა ჩავგვიტროლა. ელშავალზე შავი მე-
შანქანე იჯდა და მე შეენიშნე, როგორ ჩასწია
მის გვერდით თავი ვილაყამ.

— ექვი! — დამახა დიმიტრის.

ელშავალი გაჩერდა და უკანსვლით წამოვი-
და.

— ლონია ხარ? — მიუხლოვდა ინეინერი და
თვალეებში მიანათა. ალბათ, ლონია იყო, რად-
განაც აბრებილი ცხვირი ჰქონდა და დიმიტრის
თვალეების ტუტვით გაუღიმა.

— მინდ ვინ გიზის?

თურმე აშაოდ უეღია მემანქანის თანაშემწეს
დამალეა.

— რეზო ვარ, — ამყო მან თავი და ხელი
შოინჩრდილა.

— რომელი რეზო?

— ბალათელია.

— ვინ დაგხვა ელშავალზე?

— ლონიამ.

— რატომ?

— მართვას მასწავლის.

— სანგრევეში რატომ არა ხარ?

— დღეს პირველ ცელაში გამოვედი და და-
ვრჩი.

— მერე დიდიდან საღამომდე ვინ მოგცა შა-
ხტში ყოფნის ნება, თავი არ გეცოდება?

— რა მიჭირს, — ისე ვეყაცურად თქვა რე-

ზომ, რომ იმ წუთში მართლაც, არაფერი უკი-
რდა.

დღივტრამ შემანქანე ლუბინიკოვს უბრძანა,
სწრაფად გაეყვანა ახალგაზრდა მემსახტე მალა-
როდან, რას აკეთებ, უნდა იცოდე შენხელა კა-
ცნაო.

იყოლა, განა არ იყოლა ღონიამ, მაგრამ მე-
გობარს ხათრი ვერ გაუტეხა.

გავიარეთ ცოტაც და ერთბაშად შეწყდა ღი-
ნდაგი. მთავარი გვირაბი სამ ტოტად ვაიყო. ჩვენ
მარცხენა ტოტს ჩამოვყვეით.

ქვევით მივდივართ.

გვირაბის შუაში ჰენახშირით დატვირთული,
ღანაუროფებიათი კონვეიერი მირიბინობს. სი-
არული ძალიან გაჭირდა. გვირაბი ისე დაბალია,
რომ მე წელში მოხრილი მივდივარ, დღივტრი კი
ორად მოკაეულა.

კონვეიერისაკენ თუ გადავვიცდა ფეხი, რკი-
ნის ჭაბჭოთი გავეხლართება და ცხვირით გვახ-
ნევირებს ნახშირიან წყალს.

შავ კედელთან ღრმულში, მკრთალი სინათლე
შეფინშენ და ვეერდზე გადავხტე.

ღრმულიდან ვილაყამ ხელი გამომიწოდა, ხმა
რომ არ ვამეგონა, ვერაიან დამარწმუნებდა, რომ
იგი ქალის ხელი იყო.

— რკინის მეთულში კინლამ თავი წაგაყალა,
ახალი მიღებული ხარ? — დამტვრეული ქართუ-
ლით მითხრა მან.

ქალი მალაროში?

ყველაფერს წარმოვიდგენდი და ამას ვერა.

დღივტრამ ფანარი მოგვანათა და არ ვასცი-
ნებია.

ღრმულ ამოვიხუნთქე და ისევ ქვევით დაე-
ყვიით. ღამის ხობვით დავეშვათ.

ის ქალი კონვეიერის შორივე ზედამხედველი
ყოფილა. იშვიათად, მაგრამ ქალებიც გვხვდე-
ბიან შახტში, შედარებით მსუბუქ სამუშაო-
ზეო, ამბობს დღივტრი.

შევიხვევით.

— რომელი უბანში წაიღეთ? — მეკითხება
იგი. მე ქვევით ახედდავ და ვრწმუნდები, რომ არ
ხუმრობს;

— რომელიც უფრო ახლოა, — ვებწვევები.

ისევ გახვავაოფეთ ვხა.

ისევ კონვეიერი, პაერმწმუნდის სისინი და
უქუნეთი

— შორი?

— არა, აქვეა.

და აღარ თავდება ეს „აქვე“.

შორიდან ყრუდ, ძალიან ყრუდ, აფეთქების
მსგავსი, დაგუდული ხმა მომესმა.

— ჩვენს ზემოთ რა სიმაღლის მიწა იქნება
ახლა?

— ზუსტად არ ვიცი.

— მაინც?

— იქნება, ასე კილომეტრი.

ჩვენს თავზე კილომეტრიანე მიწა იქნება ამ
მორბებს. იქ ზემოთ მწვერვალია, მწვერვალზე
ლორთქო ბალახი და წითელი ყვავილით და-
ქარაგული სათიბი.

მწვერვალიდან მომწმენდილ ამინდში მოხანს-
შორს ცის დასაწყისი და ზღვის ღერვი ხახი.

აქ მთის გულა და მილიონწლიანი ხაპარე
იმ ხეებისა, ზემოთ რომ მწვანედ ბიბინებენ.

იქ უმთავრო დამევიც გზას გაიგნებ.

აქ უკუნეთია.

აქ მიწა, მიწა ცივი და მარადიული.

და მიწაში თითქოს სავანებოდ ჩამარბულა
„შავი ოქროს“ უზარმაზარი ზოდები.

უკვე სულ ახლოს გაისმის აფეთქების ხმა.

ჩვენი პატარა გვირაბი მიწის შავ ხახს მიად-
გა, და მე წერაქვების არეული კაკუნი მესმის.
— მოველით — ამბობს დღივტრი.

ძლიერ წელში გავიძარტე. ვგრძნობ ფართო-
დარბაზს მჭიდროდ შედგმული ხის სეცტებით
და მალაი შავი კედლებით. კედლებს იქედან
მკრთალი სინათლე ლაცლიყებს და კონვეიერის
ხხრიალში ადამიანთა ხმა ისმის, ვილაყამ გაიცი-
ნა კიდევ.

— შალვა! — დამიხბა დღივტრი.

წერაქვის ხმა ერთბაშად შეწყდა, კონვეიერიც
გაჩერდა.

— ექვი!

— შავი სიერცილიან მთვარეხავით ამოყო თა-
ვი ერთადერთმა ფანარმა და ჩვენსკენ წამოვი-
და.

ისევ ამუშავდა კონვეიერი, ისევ გაისმა წე-
რაქვების და ნინებების ხმაური.

— მესამე უბანში ვიმყოფებით, ეს შალვა არ-
ღიას ბრიგადის სამუშაო აღვილია, — თქვა დღი-
ვტრამ.

— გამარჯობათ, — მოვეიახლოვდა მემსახტე.

— დღივტრი ხარ?

დღივტრამ ჩემი თავი გააცნო და ისიც უხს-
რა, რისთვის მოვედი აქ.

— დაბრძანდითო — გვითხრა მიწისქვეშა მ-
სინამდღა

ხის ბიგებზე ჩამოეჭქით.

— როგორაა საქმე შალიყო?

— ვანგრევეთ.

— ეს დიდი კედელი რთდის უნდა ააფეთ-
ქით?

— დღეს.

— რომელი კედელი უნდა ააფეთქოთ? — ჩა-
ვერიე საუბარში.

„შალიკომ „აბუშოკი“ უზარმაზარ შავ კედელს
დაუმიზნა.

ახლა შავ წყვლიადში ექვი მთვარეა. იხინა



თანდათანობით იზრდებიან და უკვე ვარჩევ აღმინათა სილუეტებს.

ქვენასწორის დარბაზში სიჩუმე დამყარდა.

— დავამთავრეთ. ახლა ნაღმი უნდა გავაშხადოთ, — თქვა ძალიან ახალგაზრდულმა ხმამ და ფანატი ქვენასწორის გროვანზე შემოლო.

— ცოტა ხანს დავისვენოთ, გაიციანოთ.

მომიახლოვდნენ. თითქმის ერთნაირი სიმაღლის, ერთნაირი ჩაემულოების შემახტებები, და ვექსმა ვეკაკვა ვექსი ხელი გამომიწოდა.

უბის წიგნაკი ამოვიღე და სუსტ შექმე წერას შევუდექ.

თითქმის ყველა კითხვანზე ბრიგადირი იძლევა პასუხს. ზოგჯერ ბიჭებიც გაუსწორებენ.

— შესაშვ უბნის ახალგაზრდულ ბრიგადაში (რომელსაც „შალიკო არდიას სამო ბრიგადას“ უწოდებენ). ექვსი წევრი ირიცხება: შალვა არდი, ეორა ამბოკაძე, რეზო დადაშავა, სეთი დარსაძე, პრიხოდკო ივანე და ალიოშა ხვარცკია. მათ შორის ყველაზე უფროსი ალიოშა ხვარცკია ოცდახუთმეტი წლისაა, უმცროსი რეზო დადაშავა კი — ოცის. ბრიგადა ყოველდღიურად სამოცდაათ ტონა ქვენასწორის აძლევს სამშობლოს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ სამოცო ტონისა. ახალგაზრდული ბრიგადის ექვსი წევრიდან ოთხი სწავლობს და თან მუშაობს, ამბოკაძე ეორა და დარსაძე სეთი — საღამოს სკოლაში, დადაშავა რეზო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტია. ხოლო ეს მაღალი რუსი ივანე პრიხოდკო კი სტუდენტი პრაქტიკანტია ხარკოვის სამთო ინსტიტუტიდან.

— აბა, მე, საქმეს მივხედოთ — შეაწყვეტინა ბიჭებს საუბარო ბრიგადისმა.

შემახტებები აღგნენ, ფანრები აიწათეს.

— ახლა აფეთქებენ — მოთხრა დიმიტრიმ.

— მოიცილოთ თუ?... — მოვიცილა.

კედელი ზოგან გაბურღეს, ზოგან წერაქვით გამოტეხეს.

გარეთ გამოვედით და დარბაზის შესასვლელთან გროვებს მოვეფარეთ.

ის წეთი იყო საოცრად გრძელი და შეშნარევი მოლოდინით სავსე.

მერე ერთბაშად განათდა და ყრუდ დაიჭიკა. იქნებ, ჟერ ყრუდ დაიჭიკა და მერე განათდა. შეტორტმანდა შავი კედელი. მერე თითქმის ჟვარი გამოყსახაო, ოთხად გააბზარა და ჩამოიქცა. აფეთქების ადგილას პირველნი ზეენ გაეჩნდით.

— ზორბად დანიგრა, — თქვა შალიკომ.

დიმიტრიმ ჩამონგრეულ კედელს წერაქვი მიუკაქუნა.

— ეტყობა, აქ კიდევ დიდზეა მაღანი.

ბიჭები შემოკვივდნენ.

— უკან დაიწით! ბიჭები ჩქარა! — იცვირა ვილაკამ.

ადგილიდანვე გადახტი გვერდსკამს. — მთავორე წყალში ხტებიან.

წამის რალაც შეათანებლი ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ვიდექი, ქვენასწორის შავი ლოდი დაეცა.

— ვადრბით! — შემომგეცეინენ ბიჭები. გადავრჩინელივარ.

— ორმავე ბესერი, აქ ჰერი სუსტია, — იბახის ბრიგადირი, ყველანი ერთბაშად ამოძრავდნენ. ბიჭები გამართეს და ჰერს შეუყენეს.

სამიშროებამ გაიარა. შეუდგნენ ჩამონგრეული კედლის დამუშავებას. ერთნი წერაქვებით ამტრევეენ, მეორენი ნიზბებით ჰყრიან კონვეიერის დანაყრებზე. ათხუთხდა კონვეიერი აღმართა წერაქვი.

ლალაბებს ქვენასწორი.

ჩახა-ჩუხი, ჩახა-ჩუხი, ჩახა-ჩუხი.

— კარგად დაფშვენით, კონვეიერს ჰვა არ დაუდოთ.

— წერაქვი ჰერზე არ მოგიხედეს, ნუ იქნევ ასე მაღლა!

ჩახაჩუხი, ღრჰიალი, ხრიგინი, სრაალი, სიხინი.

კონვეიერი გასახველში უფრო დიდ კონვეიერს უერთდება და ცარიელი კბილებით ქვეშ-ქვეშ მოძებება.

შავ კედლებზე ჩრდილები ირხევიან, უშველებელი შავი ჩრდილები ღრღნიან და ეხიდებიან.

ვაიდა კიდევ ერთი საათი. მე არ ვიცი რა დროა ახლა გარეთ.

შალაროში ცივა. შემახტებები კი ხანდახან კასკის შოიხიდან და შუბლზე ხელს გვალისავავენ.

— მოგწყინდა? — შეკითხება დიმიტრი, წერაქვს ბიგაზე კიდებს და მიახლოვდება.

— წივიდეთ?

საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ბიჭებს ვემშვიდობები.

— ხელ სინათლზე გნაჭავთ ყველახ.

— სინათლზე, იქნებ, ვერც ვეიციო.

— გიციობთ, გიციობთ.

შალემ დარბაზის გამოსასვლელამდე გამოგეცა, მაგრამ სადაა გამოსასვლელი. ფხვიერი ქვენასწორის დიდი მთა მასწოლია მას და ჩვენთვის გზა დაუკეტავს.

— აუჰ, — ეთქვი მე.

— რაშია საქმე?

— დავმარბულვართ ცოცხლად.

— ვე არაფერი, — იციანის დიმიტრი. — დიდი კონვეიერი გაჩერებულა და ჩვენსავე ქვენასწორის ჩვენთვის გზა შეუტყავს.

სეთი მომიახლოვდა. იგი მხალგაზრდა, მკვირცხლთვალეპიანი, ჩაფსკენილი შემახტეა.

— „სამპოთა აფხაზეთის“ რედაქციაში ხომ არ

იციო ვინმეს?

— ვიციო.

— ვის იციო?

— რედაქტორს.

— ლექსების განყოფილების უფროსს?

— იმასაც იციო.

— აბა, თუ არ შეწუხდები, ლექსი მაქვს გაზეინილი და ეგებ მიმიხედო.

— რაზეა ლექსი?

— „მდინარე“ ქვია სათურად.

სეთი დარსაძეს დახმარება აღუთქვი.

დაესვენეთ და ისევ შევეჭიდეთ ნიჩბებს. ისევ აფთურდნენ ჩრდილები შეე კედელზე. სუნთქვა გაქირდა. ჩამონგრეული მადნის გაზი თუ დაგროვდა ლაქში. ნიჩაბი დაუვადე და პერმანენტის გრილ ქარს შევეუფიერე სახე.

— ჩართეთ კონვეიერი! — იძახის დიმიტრი.

— ვერ ვასწევს, ჯერ ბევრია ნახშირი.

— ჩართეთ!

კონვეიერი აცახცახდა, გაიწელა და ხანტად დაიძრა.

— ახლა უკვე მალე იქნება გასასვლელი.

— მოთხარი ერთი, თუ ძმა ხარ, — თქვა ამ მოკაძემ და ნიჩბის ტარზე ხელისგულები დაიწყო.

— რა გითხრა?

— ვახტი რას ჰქვია?

— რა? ვახტი?

— ჰო, აი განუთებში ხშირად წერია, ესა და ეს, ან ამის ბრთვად ვახტზე დგასო.

აეუხსენი როგორც შემეძლო.

შერე მე დავიწყე.

— ხელფასი რამდენი გაქვთ?

— გამოიმუშავენაზე ვართ.

— მაინც?

— თქვენში ორას მანეთზე ნაკლებს არც ერთი არ გამოედვიართ.

— ბევრად ნაკლებს რომ ღებულობდეთ, იმუშავედით შალაროში?

წუთით სირბილე ჩამოვარდა. მე კიდევ გავიმეორე შეკითხვა.

— ნაკლებს რატომ უნდა... — დაიწყო რეზომ და შუაზე შეწყვიტა.

— ფულზე ხომ არაა საქმე, — სხვისი ხმით თქვა ვილაყამ.

— განა შვას ვამბობ, მე წარმომიდგენია

იალაების სიყვარული, მწყემსს ხელში სალამური უქარავს, შეკუტრებში რჩებოდნენ... ვინუღიან მთებს და უყვარსს რედაქციას.

— და ვერ წარმოგიდგენია კაცს უყვარდეს მინისქვეშეთი, — სიტყვა წამართვა შალიყამ, — არ ვაგამტყუნებ, ძმაო, შენს აღვილას, აღბათ, ჩვენც ასე ვიფიქრებდით. მიწაში ჩასვლას ყოველთვის გაუბრბის კაცი, გიყვართო მალარო! გიყვითხე შენ. რა ვიცი, მე პირადად, აღბათ, ამაზე არასადეს არ მიფიქრია, ძნელი, ძალიან ძნელი საქმეა, მარა ვაყვითხე. მიმუშავება და ვმუშაობ, მესახელება და ვმუშაობ. ეგებ, იმიტომ ვმუშაობ, რომ ამ ხელეებს ქურდობა არ შეუძლიათ, ეს ხელეები ვერც იფიქრებენ. ფულზე თქვი შენ, ფულზე კირდებია დღეს კაცს, ფულის შოვნისთვისაც ვმუშაობთ, გვაქვს კიდევ. ზოგს მანქანის უფდა უნდა, ზოგს ცოლის შერთვა, ზოგს სხვა რამე, და ბოლმა დაგვხარობდა, რომ არაში გვით გვეშოვა ეს ფული.

გასასვლელის ხერხეში ვილაყამ მოაუქებულე ნიჩაბი შემოკყო და ქვეანახშირის მოზრდილი გროვა დაითრია.

ისევ შემოკყო ნიჩაბმა თავი. ერთი მტყაველით დაიწია მადანმა.

ყველამ ყურადღება მიეაქციეთ.

— ვინ უნდა იყოს?

— გრიგოლი იქნება, ჩვენი ცვლის უფროსი.

— რა იციო?

— გრიგოლი ხარ? — დაუყვია სეთმა.

— ჰო, ჰო — ჩემად ჩაილაპარაკა იქვე, ჩვენს

ვერდით ვილაყამ.

იქედან გრიგოლი წმენდდა გზას, აქეთ ჩვენ მივეშველეთ და სულ მალე გამოჩნდა ოქროსფერი მთვარე.

გრიგოლი III უბნის ცვლის უფროსი ყოფილა. გრიგოლის მოსვლის შემდეგ დიდხანს არ გაეჩერებულვართ.

უკან მოვიყვლიეთ გზას ქვეანახშირის ჯურღმულებში.

ვიარეთ, ვიარეთ და, როცა მალაროს გამოსასვლელამდე სულ ცოტა დაგვრჩა, ჩვენს შესაგებებლად არ წამოვიდა სინათლე, აქეთობისას დიდის ამბით რომ შემოგვაცალა.

დალამებულა.

გარეთ გამოსვლა მე ვიგარქენი მჩატე პაერთი და აწუელი ცით, ვარსკვლავებით შემორტყმულ მთვარით.

შავა ახსნიძე

ანა კალანდაძე

ფიქრობ, ცოტა ვინმე შემოსულა წვეწვან ახალ პოეზიაში მკითხველი საზოგადოების მიერ ისეთი დაუგვიანებელი აღიარებით, როგორც ანა კალანდაძე. შან ერთბაშად მიიპყრო ყურადღება, პირველი ლექსებითვე იქნა ცნობილი, როგორც ეპემიუტანელი შემოქმედი. ასეთს სწრაფ აღიარებას სხვადასხვა გარემოებამ შეუწყო ხელი. მთავარი მიზეზი იმისა, რომ ანა კალანდაძე უმაღლეს დადგა ყურადღების ცენტრში, იყო, ცხადია, მისი ხალასი პოეტური ნიჭი, მისი ლექსები როგორღაც სრულიად ახლებურად გაისმა.

მართლაც ანას ლექსებში იგრძნობოდა არა იმდენად ომის ქარიშხალი, არა ქვეშევრდების გრიალი, არა დამსხვრეული ტანკების შემსუთავი ბოლი, არა ტრაქტორების გუგუნე, არამედ წმინდა, გამკვირვალე ცა, რომელსაც სადღაც თითქოს ბზარი ემჩნეოდა. აი ისეთი ცა, როგორსაც წარმოადგენს დავით კაკაბაძის დიდი მხატვრული შთაგონებით შესრულებული სურათი, რომელიც გამოხატავს წყნარ, მოწმენდილ ცას. ამ ცის სინაზესა და სიმშვიდეს, სუფთა ლაქვარდოვან ფონს სადღაც მალა, ძლიერ მალა გამსკდარი ყუმბარა არღვევს. ამ ლექსებს მკითხველი გადაჰყავდა განცდათა სულ სხვა სამყაროში.

ანა კალანდაძის წიგნში შესული მრავალი ლექსი მკითხველის სულიერ სიმდიდრედ, მის სასიამოვნო საკუთრებად არის ქცეული. ანა კალანდაძის პოეტური

ხმა იმდენად თავისებური და, რაც მთავარია, ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ საგრძნობი გავლენა მოახდინა პოეზიის სარბიელზე მის შემდეგ გამოსულ ზოგ ახალგაზრდა პოეტზე. ეს ბუნებრივია. ვიყოთ მიუდგომელი და ვთქვათ, რომ თვითონ ანამაც განიცადა დასაწყისში გალ. ტაბიძის ერთგვარი გავლენა. შემდეგში მისი ხმა თანდათან დაიწმინდა და დამოუკიდებელი გახდა.

ანა კალანდაძის პოეზია მკითხველს ხიბლავს და იზიდავს არა მხოლოდ გულწრფელობით თუ ქვეშარბიტი უშუალოებით, მოვლენების რაღაც ინტიმური აღქმით, არამედ ნაციონალური კოლორიტით, შინაგანი პოეტური პათოსით, და იმ განწყობილებათა დინებით, რაც ხშირად მოუხელავი რჩება თითქოს, რომ არაფერი ვთქვათ განცდათა სიღრმესა თუ სინატიფეზე. შეიძლება ზოგიერთი მისი ლექსი ფერაკლულად მოეჩვენოს მკითხველს, აქვს ზოგიერთი ლექსები, რომლებიც ვაჟას ლექსების სტილიზირების ცდას წარმოადგენენ. მაგრამ ეს კი არ უნდა იქცევდეს ყურადღებას. რომელ გამოჩენილ პოეტს არ აღმოაჩნდება თავის საგანძურში ფერდაკარგული ლექსი, მაგრამ ანას წიგნში, რომელიც არა ერთხელ გადაიკითხავს, არ შემხვედრია ლექსი, რომელიც გაყვიროდეს: შემხედეთ რა სიხლებე შემომამქვს პოეზიაშიო, არც ერთი მათგანი არ აბეზრებს თავს მკითხველს ორიგინალობანას თამაშით, გარეგნული

პრანკვიზაციაზე, კომპრომიტით, სტრიქონების მოდური განლაგებით, არა! ლექსების, უმრავლესობა ტრადიციული მეტრიითაა დაწერილი. მაგრამ ეს ლექსები მაინც გამოირჩევიან თავიანთი აღნაგობით, პოეტური ელერადობით, შინაგანი რიტმით, ნამდვილი სიახლით, ანას პოეზიისათვის დამახასიათებელი თვისებებით.

ანა კალანდაძის პოეზიაში მე მხიბლავს სულიერი გულახდილობა, გულით აღქმული სინამდვილე, ღირიკულ აღსარებათა სიღრმე. მისი ლექსების უმეტესობა გამოირჩევა ქალწულებრივი სინაზით და რაღაც პირვანდელი სიწმინდით, ისეთივე მოკრძალებით, რაც თვით ავტორისათვისაა დამახასიათებელი. ცნობილია, როგორ არ უყვარს, როგორ ეუხერხულება თავისი ლექსების საჯაროდ კითხვა ანას. როგორც ჩანს ლექსი მისთვის ისე უღერს, როგორც ლოცვა, როგორც აღსარება, რომელსაც თავის გულში წარმოთქვამენ ხოლმე. ანას ლექსები მართლაც შორსაა ესტრადულ დეკლამატურობისაგან. არც ხმამაღალი ლაპარაკი ეხერხება მას. პოეტი უფრო თავისუფლად გრძნობს თავს, როცა ჩურჩულთ ამბობს სათქმელს, ისე, როგორც საყვარელი თავის რჩეულს სანუკვარ სიტყვას ჩასჩურჩულებს ხოლმე.

ანა კალანდაძის პოეზიაში ჩვენ ვერ ვიგრძნობთ წინასწარ აკვიტებულ ტენდენციას და შეიძლება ეს ქმნის პოეტურ ეფექტს. ავიღოთ ანას სამართლიანად გახმაურებული ლექსი „ქარში გამო, ქიაჟია მარია“. ამ ლექსს დაწერის წელიც რომ არ ჰქონდეს მიწერილი, შეითხველისთვის, ცხადია, ისედაც გარკვეულია მისი თარიღი. იგი შექმნილია სამამულლო ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ, თუმცა ლექსში მკითხველი ვერ გაიგონებს დაფდაფების ხმაურს, ვერც აღტაცების ყვირს, აწეულ ხმას. მაგრამ ლექსში დია, რბილი საღებავებია შეტანილი, და ეს ქმნის გარკვეულ განწყობილებას. ლექსის ყოველი

სტრიქონიდან უხვად მოდის სინათლე: „მზე იცინის, ვარდფურცლებს... დარია“, „უნისლოა, ზეტყვ... გოდერია“ „ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში“. ამის გამო ლექსის გმირიც ბუნებრივია რაღაც იმ შინაგანი ღიმილით არის გაშუქებული, რომელიც მას საალერსოდ განაწყობს, სიცოცხლის მოყვარულად ხდის. ამიტომ ემუდარება გმირი ქიაჟია მარიას „ქარში გამო, არას გაენებ, მხოლოდ მოგეფერებო“. ამ აღმინაწრის გრძნობით არის გამთბარი მთელი ლექსი და ამით არის იგი ღირსშესანიშნავი.

პოეტს ლექსში შეყავს სამამულლო ომის სახელოვანი გმირი ირ. ციციშვილი და მისი სახით წარმოგვიდგენს თავდადებული მეგრძოლის ზოგად სახეს. ლექსში არა მყვირალა, არამედ უბრალო პოეტური სახეებითა თუ თქმებით გამოლილია სამამულლო ომის შემდგომი აღდგენითი პერიოდი, როცა:

ზღვად დარხეულ მინდორს ვაუხარია,
ბელტს ამრუნებს—ეს ნიკორა ხარია,
ღინჯად მისდევს კვალში ზველა გუთანს,
ვერ წაიღებს ხორბალს სულთამზუთავს.

აღდგენითი პროცესი სულ ორ სტროფშია მოქცეული. ისინი რომ შესაფერხარჩოში არ იყოს ჩასმული, ჩარჩოში, რომელსაც თელების შრიალი და გუგუნნი, ყაყაჩოების ცეცხლი, ყვავილების ქარი და, რაც მთავარია, მზისა და მიწის სიცილი ამკობს, შეიძლება პოეტური ზემოქმედების ძალა არც ისეთი საგრძნობი ყოფილიყო. მაგრამ ლექსს გამძლეობას ანიჭებს ის გულითადობა, ის პარზონიული განწყობილება, რომელიც „ქიაჟია მარიასა“ და ავტორს შორის არის დამყარებული, თუ ვნებავთ ის სულიერი ტკივილი, რომელიც გამარჯვებას თან სდევდა მაშინ. თუ ავტორი ქიაჟია მარიას თხოვს „ქარში გამო არას გაენებ, მხოლოდ მოგეფერებო“, იგი ამავე დროს ემუდარება კიდევაც მას: „მომახურე, მცივა, ქია მარია“-ო. არღვევს თუ არა ეს სულიერი ბზარი ლექსის საერთო ნათელ განწყო-

ბილემას? ვფიქრობ, არა. პირიქით, მას უფრო რელიგიურს, ხელსახებს ხდის. უნდა გავითვალისწინოთ ლექსის დაწერის თარიღიც და ის იარა, რომელიც ომმა ხალხს მიაყენა. ამ შემთხვევაში პოეტ-ქალი ღრმად იჭრება ადამიანის გულში და მის სწორ ფსიქოლოგიურ სურათს ხატავს, ხატავს საღებავებით, რომლებიც ერთმანეთში თითქოს შეუმჩნევლად გადადიან.

ანა კალანდაძე ლირიკული პეიზაჟის დახელოვნებული ოსტატია. მის მიერ დახატული პეიზაჟები მომხიბვლელია იმიტომ, რომ მათში ყოველთვის იგრძნობა ბევრი სინათლე და სუფთა ჰაერი, ადამიანის გულის ძველი, მრავალი ფერი და გულშიჩამწვდომი ხმა. ტომას მაზნი შტორმის ლირიკის გარჩევიანას, სხვათა შორის ამბობს: „რომელიც გნებავთ მის (შტორმის) ლექსში თქვენ გხვდებით განცდათა და შეგრძნებათა ისეთი ძლიერი კონცენტრირება, უბრალოების ისეთი ოსტატობა, რომ ჩვენ ყველანი, რაც არ უნდა ვებრდებოდეთ და რამდენჯერაც არ უნდა გადავიკითხოთ და ზეპირად წარმოვთქვათ მისი სტრიქონები, კიდევ და კიდევ ვიგრძნობთ ყელში რალაცის მოწოლას, იმ მღელვარებას, რასაც იწვევს სიცოცხლის დაუზოგავად ტკბილი და მძაფრი გრძნობა, რის გამოც ამ პოეტის ხმა ასე გვხიბლავს ჩვენ, როცა თექვსმეტი, ჩვიდმეტი წლისანი ვართ. ერთმა ფრანგმა პოეტმა როგორღაც შენიშნა, რომ თითონ სიტყვას „ხელოვნება“ (art) თავისი ძლიერადობით არაფერი არა აქვს საერთო დალოცვილ სიმშვიდესთან; რომ ეს არის ყვირილი ველური ფრინველისა, რომელიც ქვასავით დაეცემა ხოლმე თავის მსხვერპლს. როგორც ჩანს ეს მართალია, — შტორმის ლირიკა გვასწავლის, რომ ხელოვნება ყველაზე უფრო ნაზ, ყველაზე უფრო გულითად ფორმითაც კი დაუზოგავად გვოქერს ჩვენ ყელში“. აქ ლაპარაკია სიამოვნების ცრემლზე, რომლის ტყვე ვხდებით ხოლმე. ყოველ შემთხვევაში

დაახლოებით ასეთი გრძნობა იწყობს ალბათ მკითხველს როცა ის ეცნობა თავის ფუძემდებლებს, ზუსტი პოეტური სახეებით გაცხოველებულ ლექსებს. ბუნების რამეტყველი პოეზია იგრძნობა თუნდაც იმ თოთხმეტ სტრიქონში, რომელთა წაკითხვამ არ შეიძლება მკითხველს არ მოაგონოს მზით გავარჯარებული დღე, ფიქვნარი, რომელიც გამაბრუებელ არომატს აკმევს სივრცეში და ერთმანეთში არეული ჯადოქრული ფერები... და რა კდემამოსილება, სიწმინდე, სინაზე იგრძნობა ამასთანავე ლექსში. ფიქვეებს რცხენიან მწველი მზისა იმის გამო, რომ შიშველი ტანი მოუჩანთ და „თვალთ აიფარეს მწვანე ხელები“.

ცაშიც ცეცხლია, ვულკანებია და შეტყორცნილი პეიზაჟები... დღეაშიწავს, დღეაშიწავს არეული ვველა ფერებია... ფიქვის ხეებია, ფიქვის ხეებია თვალთ აიფარეს მწვანე ხელები.

ანა კალანდაძე საკმაოდ ხშირად მიმართავს ამ ხერხს: ლექსში უეტრად შეისერის უცხო სიტყვას, (ამ შემთხვევაში „პეიზაჟებს“), და ეს დისონანსად როდი გაისმის. პირიქით, როგორღაც ლექსის სამკაულად იქცევა, ლექსს მეტემოციურ ძალას ანიჭებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანა კალანდაძის ლექსებში ჩვენ არც ისე იშვიათად გვხვდება გაცოცხლებული ღმერთები, რომელთა ასაკი მრავალი საუკუნით განისაზღვრება. ერთ ლექსში („თავბრუნდამხვევი ჩამოდის ფლორა“) გაზაფხულისა და ყვავილების ღმერთ-ქალი ფლორა „ყვავილების ლამაზი ეტლით ჩამოდის დედამიწაზე“. და იგი სასწაულებს ახდენს: „რალაცნაირი ყვავილის ფერფლით ფარავს ლურჯ ბუჩქებს, გაზაფხულს მზე კი „ვარდებისათვის აღვიძებს ზეფირთ“. მთელი ეს ლექსი, გაყდენთილია გაზაფხულის სურნელებით, რომელიც ასე ხიბლავს მკითხველს, ხიბლავს თავისი ძნელად მისაღწევი გამჭვირვალობით, რალაც მსუბუქი

და წმინდა ჰაერით, რისი შესუნთქვაც ასეთ კმაყოფილებას იწვევს. მეორე ლექსში („ზღვის ამ ნაპირთან“) ჩვენ ვხედავთ ზღვის ღმერთს — ნეპტუნს, „ძლიერ ქარებთან“ შმაგ მოღავეს“, ლურჯთვალა, ცისიქეთურ ღმერთს, ზღვის ნაპირთან რომ დგას და ზღვაში კენჭებს ისვრის. მოცულობით ეს პატარა ლექსი ალბათ ღრმად დააფიქრებს მკითხველს: ღმერთიც ისე ისროდა ზღვაში კენჭებს, „როგორც ჩვენ, ყველა, ყველა მოკვდავი“, რომ ადამიანის სული არ კვდება, იგი მარადიულია, რომ „ჩვენ დასაბამიდან ერთმანეთს ვიცნობდით, ვგრძნობდით“. ასე ლელავდა ზღვა, ასევე იღვლებს და ათამაშებს იგი კენჭებს მარად...

მესამე ლექსში პოეტი ქალი სულს უდგამს მიწის ნაყოფიერების ღმერთ-ქალს იზიდას. პოეტი თითქოს თვალნათლივ ხედავს ჩვენს უძველეს წინაპრებს ხეტებს, რომლებიც ხელაპყრობლნი თაყვანს სცემენ დაუსაბამო ცეცხლს, დიად, უბოლო ცეცხლს, რომელიც მალა იზიდავს დაფნას და ნაძვს. თითონ ლექსი ჩემზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს იგი რაღაც წარმართული ძალით იყოს დაჯილდოებული, თითქოს ვხედავდეთ ცეცხლის თაყვანისმცემლებს — ქალდეელებს, ხეტებს, თუბალებს, მესმოდეს იზიდას ტაძრის ქურუმის ხმა მღაღღებელი. ასე იჭრება შემომქმედი საუკუნეთა სიღრმეში, ფანტავს ბურუსს და თან მიჰყავს მკითხველი გზით, რომელსაც „მარად სავსე უქრობი ცეცხლით“ აღსავსე ღვთაებრივი ციციანათლა ანათებს. საერთოდ პოეტის ოცნება, მისი შემოქმედებითი სული ხშირად მიდის ხოლმე საუკუნეთა მიღმა და თითქოს პირველყოფილ ადამიანთა სამყაროში შეჰყავს მკითხველი. ავილოთ, მაგალითად, ლექსი „მე მივაშურებ ურარტულ ქვაბებს“. ლექსის გმირი — ეს არის პირველყოფილ ადამიანი, რომელიც მთელი თავისი არსებით დაკავშირებულია ბუნებასთან. მას ფეხზე აცვია „ირმის ტყავით შეკრული ხამლი. აღ-

მერთებს მზესა და ანთებს ცეცხლს“. მათ სცემს თაყვანს, „მასევე უხუცებს ხვალისათვის ფიქრი და ჯაბჯანს წვერილ ნადირთა ბუნაგებს არბევს კეტით და მშვილდით“. დიდ ნადირთაგან კი ურარტუს გამოქვაბულში იფარავს თავს. იგი ბუნების მოვლენათა სრული მონაა, მისი ტყვეა. ეშინია ბუნების ძალების, ისეთებისაც კი როგორცაა ქარი, რომელიც გუგუნებს ქვების კართან ისე საზარლად, რომ „უმწეო ადამიანს თავზარი დასცეს“. ამ ადამიანს თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მას ცეცხლის გაჩაღება ძალუძს, სხვა მხრივ ციცილიზაციასთან არავითარი ურთიერთობა არა აქვს, იგი მტკიცედ დგას ხელუხლებელ, შიშველ მიწაზე და ცეცხლს სწირავს მსხვერპლს. რა უნდა თქვას ავტორმა ამ ლექსით? ცხადია, ის არ მოუწოდებს მკითხველს „დაუბრუნდეს მიწას“, არ სურს გაიმეოროს ძველი მოწოდება მიწასთან დაბრუნებისა. ავტორი ცდილობს დახატოს ჩვენი უძველესი წინაპრის სამყარო და მისი უმწეო მდგომარეობა ბუნების მოვლენებთან ბრძოლისას. მე ამ ლექსში ვგრძნობ პოეტის რომანტიულ ლტოლვას აღდგინოს გრძნეულ ურარტუს სურათი; ეს ურარტუ იმ „რძისფერ კვამლია“ გახვეული, რომელიც სამსხვერპლოდ დანთებულ ცეცხლს ასდის. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ლექსი უფრო მწიგნობრული ხასიათისაა.

ანა კალანდაძის პოეტური ძალა და უშუალობა ღრმა წარსულში ნათელი ხედვით როდი შედგენდება იმდენად, რამდენადაც მისი მშობლიური გურიის პეიზაჟების განსულიერებით, მათი გაცოცხლებით, მათი ხატვისას ისეთი პოეტური საღებავების გამოყენებით, რომლებიც მეტად ფაქიზ, ლირიკულ განწყობილებებს ქმნიან მკითხველში. იმდენად ნაზი და ღია ფერისაა ეს საღებავები.

თოვლი აჰარა-გურიის მთების...

ჩემულ მთათა...

მტკრე წისქვილი გუბაზოულზე

ჩემს ვზოს კართან...

წყავის ფოთოლი, ნაშს რომ ფრთხილად
ინახავს,
თართოვლით...
თოვლი აპარა-გურჩის მთების,
ნისლი და თოვლი...

ავტორი გურჩის მთებს უწოდებს „ჩემულს“ და ეს ერთი სიტყვა ქმნის გარკვეულ ინტიმურ განწყობილებას. მე ვხედავ ამ პატარა წიქვეილს გუბა-ზოულზე. პოეტის ეზოს კარს რომ ჩაუდის, ვხედავ იმ წყავის ფოთოლს, რომელიც „ნაშს ფრთხილად ინახავს“, არ აკარებს ამქვეყნიურ მტვერს, ქარის მრისხანე ფრთებს თუ სიოს ნელ ქროლვას, არც მზის სხივს, რომ არ აორთქლდეს და არ გაქრეს. და ისევ თოვლი და ნისლი, რომელიც გურჩის მთებზე გაწოლილა.

ანას პოეტიკაში სტრიქონების თუ ცალკეულ სიტყვების განმეორება გარკვეული რიტმიკული თუ აზრობრივი მახვილების როლს შესანიშნავად ასრულებენ და ისეთ ლირიკულ მოტივს ქმნიან როგორც ესათვის ამოჩემული და მიგნებული აკორდები მუსიკაში. ამავე დროს ანა ხშირად მიმართავს ლექსში მრავალწერტილებს, მიმართავს სავსებით შეგნებულად. ამ მრავალწერტილებს დაკისრებული აქვთ მნიშვნელოვანი ფუნქცია: შექმნიან მკითხველში ესა თუ ის პოეტური განწყობილება, გამოიწვიონ სულიერი მღვლეარება, რასაც ხშირად ვერ აღწევს ვერავითარი სიტყვიერი მასალა. შემოქმედებითი პროცესი მეტად რთული და ღრმა პროცესია, რომლის საიდუმლოებაში შექრა არც ისე ადვილი საქმეა. ცნობილია, რომ ხშირად პოეტი როგორც იტყვიან ქვეტექსტით გაცილებით უკეთ მეტყველებს, უფრო ღრმად შეკყავს მკითხველი თავის სამყაროში, უფრო კარგად და სრულყოფილად უშლის მკითხველს თავის ღვიქრებსა და გრძნობათა სამყაროს, ვიდრე მრავალსიტყვიანობით. ვფიქრობ, რომ ანა კალანდაძის პოეზიაში მრავალწერტილები გამომსახველობითი საშუალების გარკვეული სისტემის ხასიათს ღებულობენ.

მადლი გადმოდის ცისფერ მთებზე უხილავ
გზებით
და ლურჯი ტბების, ლურჯი ტბების
თვალეში კრთება...
ეს არის მიწის, დედამიწის მარადი ესება
იმ გრძნეულებით, რაც მის სულში
არასდროს ქრება...
ო. უხილავო, კვლავ დიდება თქვენს
მეუფებას.

ეს არის მთელი ლექსი, რომელიც ჩემთან როგორც შეითხველთან განუყრელ კავშირს ამყარებს, ჩემში ქეშმარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას აღძრავს ხოლმე წყავითვისას. იმიტომ, რომ ვგრძნობ რალაც დიდ სიყვარულს და სიხარულს, რასაც პოეტი და მისი მეშვეობით ჩემშიც იწვევს ეს ხილული ქვეყანა და მადლი უხილავ გზებით „ლურჯი ტბების თვალეში, რომ კრთება“. ეს არის თითქოს შეუღწევი პანთეისტური სიხარული, რომელსაც ფრთებს ასხამს „დედამიწის მარადი ესება იმ გრძნეულებით, რაც მის სულში არასდროს ქრება“, ის სიკეთე, სისასვე, რომელიც უხილავი გზებით აღწევენ ადამიანის გულს და იქ მკვიდრდებიან.

პოეტი ძალზე გამახვილებულია გრძნობა სამყაროს მარადიულობისა, მისი სილამაზისა და შეუწყვეტელი ესებისა რაც ასეთ სულიერ ჰარმონიას ამყარებს მასში. და მართლაც ვის არ განუცდია ასეთი შინაგანი სიხარული და სისასვე „ციხფერი მთების“ თუ ლაქვარდოვანი სიერცის ხილვისას, როცა ცა თითქოს თავლად, უხილავ მადლად იღვრება და მთელ შენს არსებას ეუფლება, როცა მთელი არსებით უკავშირდები გარესამყაროს, თითქოს მასში დნები და მზადა ხარ ჩურჩულით იმეორე ხოლმე გულში ეს უბრალო, მაგრამ ღრმა ოპტიმიზმის, დიდი ადამიანური რწმენის, მისი მშფოთვარე გულის დამშვიდებელი სიტყვები: „ო, უხილავო, კვლავ დიდება თქვენს მეუფებას“. ეს არის სიცოცხლის ტრფიალის პოეტური გამოხატულება, სიცოცხლის მიმღობა მის მრავალფეროვან ფორმაში.

ასეთივე სულიერი პარმონია, მელოდიური ხმების მშვიდი ქღერა იგრძნობა ლექსში „ვარსკვლავები“. აქაც ლაპარაკია ბრწყინავ ვარსკვლავებზე, რომლებიც „თავის მადლს ცას და მიწას უხვად სწირავენ“, ლაპარაკია „აპრილის გულთამბილავ ჩუმ დამეზე“, რომელსაც პოეტის გულში შემოაქვს სულიერი სიმშვიდე და სიხარული, სიყვარული და ღტოლვა უსასრულობისკენ.

პოეტი შეხარისხნათელ, ღია ფერებს, სამყაროს იღუმალეობას, ყოველ წამს, რომელიც საუბრა „მთვარითა და ყვავილებით“, „მეტრფის ორ ჯადოქარს — მთვარესა და ღამეს. მას სურს ავიდეს მიუვალ მწვერვალზე, იყოს სულ „ახლოს მზესთან, სულ ახლოს მზესთან“. იგი ემუდარება ქარს „სალ კლდეებზე შემოდგას ფეხი“ და მიუტანოს „ფოთოლი ვერხვის“. პოეტის ოცნებაში ცა და მიწა ერთმანეთს გათიშულნი როდი არიან:

დაემყვიღრები იმ მთების წვერსა
მსურს სამღვამოდ ვეყურო მზესა.

ამ მზის შუქით არის განათებული და აესებული ანას ლექსების უმრავლესობა. მზე ისე უხვად აფრქვევს შუქს ადამიანს, რომ უკანასკნელი თითქოს თითონ „იქცევა სხივად“. იგი პირდაპირ ამბობს „მე სხივი ვარ“. ხშირად ამბობს პოეტი: „მე სხივი ვარ“, „მზე ვარ“, „წვიმა ვარ“, „ელვა ვარ“ და ა. შ. ასეთია პოეტის პანთეისტური განწყობილება, მისი სულიერი გარდასახვის ძალა, მისი მიერ ბუნებასთან დამყარებული ინტიმური კავშირის ძალა.

პოეტს სინამდვილე წარმოდგენილი აქვს არა როგორც ცალკე აღებული სიკეთის ან ბოროტების სამყარო, არამედ როგორც წინააღმდეგობათა ბრძოლის ასპარეზი, როგორც ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. პოეტის წარმოდგენით ადამიანში ორი საწყისი ებრძვის ერთმანეთს — ანგელოსი და სატანა.

ჩემი კარგო, ქვეყანაზე გვიხლი ოდეს,
— ზედი ჰკონდეს, — თქვა შეთვალა
ქრისტეფორუსმა,
— ზედი ჰკონდეს? ხა...
არასოდეს! —
თქვა სატანამ, ზღვას ფოლადის ხმალი
დაქრა,
ზღვამ წამიღო, უდაბნოში გამოირიყა.

პოეტის აზრით მორალურ-ეთიკური ხასიათის ეს საკითხი, ბრძოლა ანგელოსსა და სატანას შორის, განსაზღვრავს ადამიანის სიცოცხლის შინაარსს, მთლიანად აღებული ანას საქმაოდ მდიდარი პოეზია მიმართულია ადამიანში კეთილი, ნათელი საწყისის განმტკიცებისკენ, ბოროტების დამლევისაკენ. ეს აზრი წარმოადგენს ამ პოეზიის ჰუმანისტურ საფუძველს.

პოეტი პირდაპირ აყენებს საკითხს:

მე დაეშალო კვლავ გავქვე ჩემს
მზრწყვიანვ ცდომილს,
ისე დიდებულს ღამას ცას და ქვეყანას
შორის,
და დაინთვა იმ უძირო სიცარიელეს,
სად უფეროდ რბიან დღეები?
თუ... მე გავიქვე მასთან ისე ვისწრაფო
მისკენ,
ვით წყლის სული და მიწის სული
მიღრინავს ცისკენ,
ღურჯი კლდეებით.

პოეტი აყენებს ამ მნიშვნელოვან, საზოგადოებრივი ხასიათის საკითხს, მაგრამ ამ ლექსში პასუხს არ იძლევა. პასუხია მთელი მისი პოეზია, სიცოცხლის დამამკვიდრებელი, პოეზია, რომელიდანაც სიხარულის სიო ქრის, რომელშიც სიცოცხლის, სამყაროს სიყვარულის მომაჯადოებელი ხმა ისმის. თითქოს ფიცს აძლევს უხილავს და მოუხელებელს.

და მე ვუმღერებ შენს წერალ ყვავილებს,
ო, მე ვიმღერებ, ვიმღერებ მხოლოდ!
ისე უსაზღვროდ მინდა სიმღერა,
როგორც ამ ღურჯ ცას არა აქვს ბოლო...

ეს სურვილი დაუსრულებელი სიმღერისა არის ბედნიერება ადამიანისა, რომელიც მოჯადოებული და მოხიბლულია მზით, დაუსაბამო ღურჯი ცით,

წელთბილი სიოს ქროლეით, იასამანის ყვავილებით, სიცოცხლის სიღამაზით. იმდენად მოხიბლული, რომ მზადაა ამ „იასამანის ლურჯ ტოტებზე დაფრინდეს“. კიდევაც უმღერის გაზაფხულს, როცა ვერხვის შრიალი ავსებს სივრცეს, დედამიწა აფუგუნდება, ჰაერი ჭადოჭარ ფლორას ფრთებით შეიბრუნება, ყვავილნი თვალს გაახელებენ. პოეტი ტყეს მიმართავს: „ღუმილი გვეყო“, რადგანაც „მკვდარი არის, დღეს ღუმს ვინცა...“ და პოეტი უმღერის ველებს „ხმით საამერიოთ მპყრობი ველთა“, უმღერის ალაღებით მომჭროლ ქარს, რომელიც აღვიძებს სიყვარულს და პოეტის „გრძნობის ძალას“. იგი თავს ავსებულად გრძნობს მზით, მთვარით, გაღლებულია მიწითა და ზეცით. აღუვებბიცაა ალბათ იმიტომ, რომ „დღენიადაც ერთმანეთს ეძებენ“ — ლექსის ლირიკული გმირი და შრომანი. ეს მუდმივი სწრაფვა სულის სწორისაკენ, ეს აღუვებელი სურვილი ერთმანეთის ნახვისა, ეს მიუწვდომელი სული, რომლითაც დაჭილდოვებულია მიწა და ზეცა, მთელი სამყარო ანას რომანტიკულ პოეზიაში მკაფიოდ ვლინდება. ანას მიერ დახატული ბუნების სურათები მტკად ექსპრესიულია. პოეტს ბუნებასთან უშუალო კავშირი აქვს დამყარებული. გარკვევით ესმის თუთის ფოთოლთა ჩურჩული, თუთისა, რომელიც ლამის სახლში შევიდეს და ლამის „წელზე მოხვდეს ხელი, ლამის თავზე გადაუსვას ხელი“. პოეტი თითქოს გაბრუნებულია ბუნების მოვლენათა სიღამაზით, სიცოცხლის მარადისობით, მისთვის ამ ქვეყნად „ყველაფერი ზღაპრულია და იდუმალია“. თითქოს არც სურს პოეტს გახსნა ამ იდუმალებისა, რომლითაც აღვსებულია ეამი და ემუდარება კიდევაც მას: „ნუ მიახლოვდები, შენ იდუმალებავ, ნუ მიახლოვდებიო“. არის რაღაც ანას პოეზიაში მინდისებური აღქმა სინამდვილისა. მისი ლექსის გმირს კარგად ესმის ბალახის სუნთქვა, მისი იდუმალი ენა, ლხენით ისმენს ბელურების წივიწივს, ბელურებისა,

რომლებმაც „ვარდის ტოტზე შერჩეული ხმელი თესლი აყენეს“.

პოეტისთვის მიუღებელია ცხოვრებიდან განდგომა, მარტოობა. ეშინია ამ მარტოობის; არა თუ ცოცხალი არსება, არამედ მარტოობას მცენარეც კი გაუბის. „ნუთუ ამ ფოთლებს ამ მღვიმეების, ამ მარტოობის არ ეშინიათ?“

მინდა გავიხსენო ანას ერთი ლექსი „ო, მე კი არა, გული ხარხარებს“, რომელიც ჰემშიარტი პოეტური მადლით და სიღრმით არის დაწერილი და რომელიც ბუნებისაგან პოეტის განუშორებლობაზე, მათ ურთიერთ აღვსებაზე დადასტავს:

როცა ნამიან ველზე გავივლი,
ნამი ბალღივით მათრობს, მახარებს,
ქარა, მოიტა ატმის ყვავილი
ქარო ფოთლებიც შემომამყარე...
და, როგორც ვივი, ო, როგორც ვივი,
თმამწევილი მოლი ხარხარებს.
ხეთ სამკეული მოხსნეს შიშით
და ხელუკუღმა შემომამყარეს.
და... მეც ვეგვიფი... ო, მე კი არა,
გული ხარხარებს, გული ხარხარებს.

ჩვენ გვხიბლავს ამ ლექსის ლირიკული ინტონაცია, გრძნობის ის სიუბვე და სინაზე, რომელიც მასში (ლექსში) შეინიშნება, პოეტურ სახეთა ის კონკრეტულობა, რომლითაც ლექსია დაწერილი. ნათლად ვხედავ ხეებს, რომლებიც გამვლელს „ხელუკუღმა აყრიან“ თავიანთ ფოთლებს და ამის გამო ექსტაზში შესული პოეტის გული სიხარულით გიგივით ხარხარებს.

ანა კალანდამის პოეზიის დამახასიათებელი თვისებაა გამოხატოს აზრის კეთილშობილება, ადამიანის ფაქიზი სიყვარული, რომელიც უკარნახებს პოეტს მიმართოს თეთრ წყალუკას (ეს ერთი საალერსო სიტყვა საოცრად ზრდის ლექსის ემოციურ ძალას) ვედრებით „ნუ დაასველებს ნეშტთა კეთილთა“. ამიტომ არის, რომ თითქმის მის ყოველ ლექსში ასე ძლიერ ნაკადად იჭრება ალერსის, მოფერების მოტივი

„ალერსის მთხოვარს“ მზე ეფერება. უნდა, რომ ჭარბ მოეფეროს პატარა რტოს, არ განძარცვოს ყვავილთაგან და ევეღრება გიდევა: „დამიყვავე, ჭარო, ნუ ხარ მკაცრი, პატარა ვარ მოფერება მინდაო“.

ანა კალანდაძის ფაქიზ კალამს ეყუთვნის ლექსი „ბეთანიის გზაზე“, რომლის წაკითხვა ყოველთვის სიხარულს იწვევს ხოლმე ჩემში. ეს ლექსი ნათელყოფს თუ რა შესანიშნავად ხატავს პეიზაჟებს პოეტი სიტყვით, რა კარგად აქვს დაუფლებული ანას ფერწერითი ხატვის ოსტატობა. მართლაც ვინც ყოფილა ბეთანიაში მას ადვილად შეუძლია აღადგინოს მეხსიერებაში, წარმოიდგინოს ცოცხლად ბეთანიაში მიმავალი გზა:

ასკილი, მოცხარი, მოცივი...
გზადაგზა კუნელიც გვხვდება...
აღარ წვიმს... ლამაზი მზრება
გაშალეს ლამაზმა მთებმა...
მიეღივართ... მიეღივართ... ცივი
სეტქემბრის ჭარები ჰქრიაან,
ხველ გზებზე წახლს და იფნის
და მუხის ფოთლები ყრია...

სულ რამდენიმე სტრიქონში ანა ხატავს ძველი გურიის მოხდენილ სურათს ლექსში „შემოდიოდა ჩვენში კალანდა“.

და მე ვივინებ ჩახლართულ ღობეს,
სერებს თოვლიანს...
ხმობდა ჭათამი გურიის სოფელს,
ყვფდა თოლია...

ჭარი თერებრდა ღვინით ნაქებით
გრძნეულ მარანთან...
შემოდიოდა ჩიზილაკებით
ჩვენში კალანდა.

და მრავალი სხვა ლექსი მოედინება ისე, როგორც მთის ანკარა ნაკადი, აუმღერეველი, სუფთა. ისინი მოძრაობაში მოჰყავს წარსულის, განუმეორებელის მოგონებას. ამიტომაც, რომ ამ ლექსებში ფერმონება შემოქმედებითი სევდაც, სევდა მშობლიურ მხარეზე, ვარემოზე, სადაც პოეტის ბავშვობამ ჩაიქროლა. წარ-

სულის მოგონება უდევს საფუძვლად ანას ერთ-ერთ ლექსს „ქექდა მანუტრკას“ სახელწოდებით. ლექსში მიმდინარე დედისადმი. პოეტი არ არის შემსწრე ბალ-მასკარადებისა, როცა დიდ დარბაზებში ქექდა ვალსი, მანუტრკა თუ პადესპანი და „პუსარნი იწვევდნენ ქალწულებს საცეკვაოდ დეზთა წყარუნით“. ლექსი ალბათ დაწერილია დედის მიერ წარსულის მოგონებით გამოწვეულ რომანტიკული გზნებით. მაგრამ ანა ისეთი უშუალობით და გულწრფელობით აცოცხლებს ამ წარსულს, რომ ყოფილა თუ არა მკითხველი შემსწრე სიჭაბუკის ასეთი სიცელქისა, მას ცოცხლად წარმოუდგება გაჩაღებული დარბაზი, დეზების წკრიალი, აბრეშუმის ზეიმი, თავბრუდამხვევი მანუტრკა თუ ვალსი, როცა

შმაგი სინათლე თვალებს სჭრიდა მკერდზე
ბრილიანტს
და იაფენდი ტიროდა თმაში...

სადღაა ის განუმეორებელი ახალგაზრდობა, ის ოცნება მომავალზე, ის აღტაცება სულისა, რომელიც სიჭაბუკის თანამგზავრია მუდამ და რომლის გახსენებაც გულში სევდას უღებს კარებს. ახლა პოეტის წინაშე დგას არა ის ქალწული, რომლის „ლამაზი კაბა იასამანის სურნელს აქმევდა“, არამედ დედა, რომელსაც თმები გათეთრებია და „ძვირფას კაბას ერთი ღერო შერჩა სუსამბრის“. ეს შემპარავი შემოქმედებითი სევდა ლექსს მეტ ლირიკულ ქლერადობას და ემოციურ ზეგავლენის ძალას ანიჭებს.

ვრცელია ანა კალანდაძის პოეტურ ხილვითა სამყარო. იგი გაცილებით უფრო თავისუფლად გრძნობს თავს კამერული ლირიკის სფეროში. მისთვის საცხებით უცხოა პათეტური აგზნებულობა, აწეული ტონი. ანას ლექსის დამახასიათებელი თვისებებია კონკრეტულობა, ლაკონურობა და ინტიმური აღქმა სინამდვილისა. მისი პოეზია თემატიკურადც საკმაოდ მრავალმხრივია. მთავარია მანც — ეს არის პატრიოტიზმის თემა

და ბუნების მოვლენათა ჯადოქრული სა-
მყარო. ტექნიკის, კოსმოსური განვითარების
პირობებში პოეტი ქალის შემოქმედებითი
ფანტაზია კიდევ უფრო ანტიტიტებს კავშირს
ბუნებასთან. მრავალ შემთხვევაში უკანასკნელის
ტყვეობაში იმყოფება. მისი ლექსები ხშირად გამო-
სცემენ ვარდის, იასამანის, შროშანას
გამაბრუნებელ არომატს. ვფიქრობ, რომ
ტექნიკის უსწრაფესი განვითარების
ეპოქაში, ფიზიკასა და ქიმიის, კიბერნე-
ტიკის აღმავლობის და კოსმოსის დაბე-
რობის ეპოქაში, ადამიანი კიდევ უფრო
მონატრებული გახდება ყვეაილთა, ანკა-
რა წყლის ნაქადთა, ჩრდილთა და ბუ-
ნების იმ მოვლენათა სამყაროსი, რომ-
ლებიც მის სულს შვებას, სილალეს მი-
ანიჭებენ და სილამაზის გრძნობას გაუ-
მახვილებენ. მინდა მოვიყვანო აქ ანას
ერთი უპრეტენზიო ლექსი „შემოვლენ
როკით“.

შემოვლენ როკით კვალდაც ვარდნი,
სურნელთ ფრქვევითა,
მოვა პეპელა, ლურჯი ბალახი
აღდგება მკედრებით...
დანიამება მინდვრად შროშანი ციურ
ცრემლითა,

თოვლით თვითი...
და შესძრავს შიწის პატარა ჩიტი
ვარდის ქებითა...
შემოვლენ როკით კვალდაც ვარდნი,
სურნელთ ფრქვევითა.

ეს არის მთელი ლექსი. აქ ვარდსაც
ვხვდებით, პეპელასაც, შროშანასაც, ბუ-
ლბულსაც, რომელიც ვარდს ხობტას
ასხამს. ეს არის გაზაფხულის პიშნი. მიუ-
ხედავად იმისა, რომ ლექსში უხვად
არის გამოყენებული ძველი პოეტური
რეალიები, იგი მაინც ერთგვარ სუ-
ლიერ შვებას, სიამეს მანიჭებს, გულსა
სწმენდს. ლექსის ამოცანაა მკითხველში
ხალისი შეიტანოს, მის სულიერ დახვე-
წას, ამღვლებას დაეხმაროს. ის როდია
მთავარი — ვარდს მიმართავ, პეპელას

თუ ბულბულს. მთავარია — ის თუ რო-
გორ და სად მიმართავ მათ, როგორ გა-
მოიყენებ მათ ადამიანის სურნელთ-სი-
ხარულის თუ სევდის გაშლისას. მისი
შინაგანი სამყაროს ფორმაციის სა-
ქმეში. მთავარია ისეთი ახალი პოეტური
სახის მონახვა, რომელიც ელვასავით
გაჰკრავს და მთელ ლექსს გაანათებს. ამ
ლექსშიც მე მიზიდავს რალაც ციური
სინაზე და კდემამოსილება, ის ფერე-
ბი, რომლებიც ბუნების აღორძინების
სურათს ხატავენ, მიზიდავს ის ინტუი-
ტური ასოციაციები, რომლებიც ჩვენ
გულში გაზაფხულის შემოსვლას გვაგ-
რძნობინებენ.

ანა კალანდაძის ზოგიერთი ლექსი
თითქოს ხალხურ კილოზეა აგებული.
მინდა მკითხველს მოვგავიწოდო რამდენიმე
სტრიქონი ერთ უსათატურო ლექსიდან.

რისად არ მოშედავ? თვალგანწივებში
მინდვრად გვლოდება ღელი მკრთომარეო,
გულო, გულსა შინა ცრემლთა მწვივებო,
სულო, სულსა შინა სევდის მთოვარეო
...
შვი შენით შვიობს,
შხედ ენთები, ზეობ,
გვირგვინს იფრქვევ მზისებრ და ა. შ.

მთელი ამ ლექსის ინტონაციური
ელვადობა მე მაგონებს შელოცვას,
რომელსაც ჩურჩულბუნდნენ ძველად.
მხედველობაში მაქვს ლექსის სწორედ
ინტონაციური აღნაგობა და არა აზრო-
ბრივი მახვილი. ამ მხრივ ეს ლექსი
გამონაკლისის როდი წარმოადგენს ანას
ცხოველ პოეზიაში.

ანა კალანდაძე გარკვეული ინდივი-
დუალური სახის მქონე პოეტიკა. თავისი
დაძახული სულიერი ცხოვრების გამო-
ხატვით იგი თავის დროსა და, შეიძლება
ითქვას თავისი თაობის ოცნებასა და გა-
ნწყობილებას აცნობს მკითხველს. პოე-
ტის ერთ-ერთი დანიშნულება ესაა. მან
საკმაოდ ღრმად შეასრულა ეს ამოცანა.
ლექსების უმრავლესობას თავისი თარი-
ლი აქვს. ისინი გაუღწეველია ვარდისა
და იასამანის სურნელებით, სავსეა მზის
შუქით, თუმცა ხანდახან მათში მთვარის

მინაზებულის სხივიც შეიჭრება ხოლმე, მათში ხშირად ისმის აპრილის შრიალი ან მაისის ეუუუნა წვიმის ხმაური. მის ლექსებში ხშირად გაისმის აგრეთვე შორეული ხმები, რომლებიც მკაფიოდ აღწევენ ჩვენამდე. ანას სიყვარული ბუნების თუ ადამიანისა სულ სხვა თვისებისაა.

ანას სიყვარული ნათელია, ნაზია, კდმამოსილია. იგი ყვავილებით არის შემკული. იგი მსუბუქი, გამჭვირვალე და გულის გადამახალისებელია. ჩვენ ნაკლებად აღმოვაჩინეთ მის ლექსებში გაშვებულ სამოქალაქო ინტონაციებს, სამოქალაქო პათოსი უფრო ძლიერად იგრძნობა სტრაქონებს შორის, ლექსის ქვეტექსტში, იმ განწყობილებაში, რომელსაც ეს ლექსები ქმნიან, სინამდვილის იმ, თუ შეიძლება ითქვას, ფილოსოფიურ აღქმაში, რითაც ანას ანკარა პოეზია გამოირჩევა. ამ ლექსების მთავარი ღირსება მათი მხატვრული სისრულითა და უშუალოებით განიზომება.

თავისი პატრიოტული ღირსებით ანამ ძლიერ დაგვიახლოვა, ჩვენს სულიერ სამყაროში შემოიყვანა ჩვენი ხალხის შორეული წარსული, მისი ისტორია, და მასში ცხოველი სული შთაბერა. ეს ლექსები სავსებით თავისუფალია მშრალი დეკლარატურობისაგან. მათში მკითხველი იშვიათად თუ გაივინებს მყვირალა შექანისებს სამშობლოს სიყვარულზე. ეს სიყვარული გამდნარია ლექსში, ამიტომ ხშირად მრუხელავი.

არაფერს ვიტყვი ლექსზე „საქართველო ღამაზო“, რომელიც სიმღერად არის ქცეული. როგორც ღაღადისი ისე ჩამესმის ყურში მაგალითად ლექსი: „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო, შენ ისე ღრმა ხარ... სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა ვერაფერს ნახა, ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა და ვერცა სპარსმა“. ლექსში სიტყვაც არ არის თქმული ქართველი ხალხის თავდადებულ გმირობაზე. მაგრამ ამ გმირობამ არ მისცა სწორედ საშუალება

ოსმალოს, მონღოლს თუ სპარსს დამკვიდრებულებს ჩვენს მიწა-წყალზე. ზოგიერთ ლექსში ანას კულტურაზე ჩვენ გვხვობავს როგორც პოეტური დიალოგის მშვენიერი ოსტატი, რომელიც მოსაუბრე ღრმა დრამატიზმით აღსავსე ამბებზე, როგორც მთბრობელი ტრაგიკულ მოვლენებზე, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი წარსული. ასეთია თუნდაც ლექსი: „ქსნის ძველ ციხეზე გუგუნებს ქარი“. იგი გვაგრძნობინებს ისეთ ტყვილს, თითქოს ძველ იარაღს გაეხსნას პირი. ჩვენს გულშიც აღწევს ექო ძველი ბრძოლებისა, რომელთაც შეიწირეს სამშობლოსათვის თავდადებულ ელიზბარის, შალვას და ბიძინას სიცოცხლე.

— მოკლეს ბიძინა და ელიზბარი...

— შალვაც?

— კო, შალვაც და ქართველები

მათ ეკართოში მიახვეწებენ...

— ნათელი იყოს მათი სხენება

აწი და მარად, აწი და მარად!...

ქსნის ძველ ციხეზე გუგუნებს ქარი,

გუგუნებს ქარი...

თითქოს ლექსში მშვიდი, წყნარი ტონი სჭარბობს, ნამდვილად კი ნამდვილი სულიერი მღვლეარებით, შინაგანი დრამატიზმით არის იგი შეკრული.

ანას პატრიოტული ღირსების გვირგვინს წარმოადგენს ლექსი: „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან“. ამ სიტყვებს ათქმევიანებს ავტორი დიდ მეფეს — დავით აღმაშენებელს. ლექსს საფუძვლად უდევს ღრმა ეთიკური ხასიათის შინაარსი. მეფე, რომელმაც საქართველო გააერთიანა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, შექმნა ნიდაგა დიდი კულტურული აღორძინებისათვის, შარავანდედის გვირგვინი დაიდგა თავზე, შთამომავლობას ცენტრალაზებული სახელმწიფო დაუტოვა, მაინც მოუწოდებს ქვეშევრდომთ ფეხი დაიდგან ხოლმე მის საფლავზე მდებარე ლოდს ყურძნის მტკენებით რომაა შემკული. პოეტი მეფის ასეთ ანდერძს ხსნის მისი მოკრძალებით, თავმდაბლო-

პით, რაც განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის ხალხს უნდა ახასიათებდეს. პოეტი აყენებს საკითხს: „თუ... ეს მაღალთა თავმდაბლობაა ოდით და ოდით?“. მაგრამ თუ ეს ასეა, თუ ცოდვილია მეფე მაშინ რაღა ჰქმან ცოდვილთ სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის ვერსით მპოვნელთა? და ლექსი თავდება მეფის იმავე თხოვნით: „გულზე დამადგით, ფეხი დამადგით გულზე ყოველთა“. და ამით პოეტი მოუწოდებს მკითხველთ ზნეობრივ სიწმინდესაკენ, თავმდაბლობისა და მოკრძალებსაკენ, ადამიანის მიერ თავის საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისაკენ. ვფიქრობ ეს ლექსი წარმოადგენს კეშმარიტი პოეტური თრთოლივით და ჰუმანისტური იდეალებით დაჯილდოებული გულის გამოსხივებას.

ანას პატრიოტული ლირიკით აქლებულ ლექსების ციკლს მიეკუთვნება აგრეთვე აკვარელით და არა მსუყე, პროზიერი საღებავებით შესრულებული ისეთი ლექსები, როგორიცაა: „მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს“, რომელიც ალაზნის პირას თეთრადაა ანთებული, „ქეთევან დედოფალი“, რომელსაც „სიკვდილის წინ ქართლის ვარდად გაეხარა“, „შორია თამარ“, „ასეთი დარი თუ იყო მაშინ, ოდეს მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა“ და „იღვა თბილისი როგორც ერეკლე“, „ოდეს თბილისი აიქლეს სპარსთა“, „იყალთოში“, სადაც ახლა „სიჩუმეა, მზე და სიჩუმე გულთა მკოდავი“, ოდესღაც კი მისი (იყალთოს) გუმბათის გაბრწყინებული ყელი ლავარდოვან სიერცეში კიაფობდა. სხვა მრავალი ლექსიც სამშობლოს უქრობელი შუქით არის გამთხარა.

ჩემზე არ ახდენს ისეთ ღრმა შთაბეჭდილებას ციკლი ლექსებისა, რომლებიც მოთავსებულია განყოფილებაში „ფშავი“. განყოფილებაში „ჩეხოსლოვაკია“ არის ლექსი „ღარევე ზარები, ლორეტა“ დაწერილი ანას პოეზიის დამახასიათებელი უბრალოებით და მელოდიურობით. ამ განყოფილებაში მოთავსე-

ბული სხვა ლექსებიც ნათელყოფენ თუ რა დიდი როლი შეესრულებია ჩეხოსლოვაკიაში მგზავრობას ანას პოეტურად არის გაფართოებაში, მისი შთაბეჭდილებების შთაგონებულ ლექსებად ფიქსირებაში. ეგრძოდ, ზემოდასახელებული ლექსი საგრძნობი ემოციონალური ძალით გამოირჩევა. წაკითხვისას ჩემს წინაშე დგება მამაცი მხედარი, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობას შეეწირა და „მოკვდა რჩეულთა სიკვდილით“. ეს ლექსიც ერთგვარი ჰიმნია მშვიდობის მადიდებელი, მსოფლიო ხანძრის წინააღმდეგ მიმართული:

ღარევე, ღარევე ზარები,
ზარები ღარევე, ლორეტა
რომ... იფლონიცეს ყანაზე
კვლავ ცაში აფრინდნენ ტოლებთან,
რომ ჩქარა აფეავენდნენ, ლორეტა!
რომ ჩქარა მსოფლიო ხანძარი,
მიწაზე შეეკეას რომ ტოვებდა,
ღარევე, ღარევე ლორეტა!

ცხადია ეს არის სამოქალაქო მოტივით გაყვანილი ლექსი, მაგრამ მოცემული არა მშრალი, პლაკატური სახით, არამედ თბილი, ლირიკური საღებავებით შესრულებული. იგი პოეტის გულის ცეცხლშია გატარებული და ამიტომ არის ასეთ ძლიერ შთაბეჭდილებას რომ ახდენს მკითხველზე.

აღსანიშნავია მეორე ლექსი „გაზაფხული და სიცილი შენი“, რომელიც მიძღვნილია ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირის იულიუს ფუჩიკისადმი. ლექსში ავტორი გვიხატავს არა მხოლოდ ფუჩიკის შინაგან სამყაროს, არამედ საკუთარ დამოკიდებულებას გარემოსადმი, სინამდვილისადმი. ანა რამდენიმე პოეტური შტრიხით ხატავს მებრძოლის ცოცხალ სახეს. როგორც ცნობილია იულიუს ფუჩიკმა დატოვა შესანიშნავი წიგნი „რეპორტაჟი საბრძოლველადან“, რომლის შესახებ გერონტი ქიქოძე წერდა: „ეს ისეთი წიგნია, რომელსაც შეუძლია ბევრი სკეპტიკოსი და მიზანტროპი განკურნოს და მხნეობა მიანიჭოს ბევრ სულმდაბალ ადამიანს, აქ გამოთქ-

მულია ვაქცაური სიტყვები რომელთაც არაერთარი პათეტიკური და სათეატრო შესტი არ სჭირდება. ესაა ეპოქის დიდი დოკუმენტი, მას ბევრი ბადალი არ ჰყავს თანამედროვე მწერლობაში. ანას ლექსიც ისე წარმოგვიდგენს ფუჩიკის სახეს, როგორც სიცოცხლის დაუღალავ მომღერალს, როგორც სიცოცხლის დამამკვიდრებელ ადამიანს, რომელსაც სწამდა თავისი და საერთოდ ხალხის დიდი მომავალი, მისი კეთილდღეობა და ბედნიერება. ამიტომაც, რომ ლექსის გმირის ბაგეებს არ შორდება სიცილი, რომ ეს გმირი ღრმა ოპტიმიზმითაა გაშუქებული. ლექსის მოტივს ეს სიცილი, ეს ხალისი წარმოადგენს.

მზე დაკაშაშაშებს დღევანდელ პრალს.

როგორც ლამაზი სიცილი შენი —

ა5

ღურჯი ლაქვარდი... როგორ ჰყავს ურთერთს გაზაფხული და სიცილი შენი —

ა5

რამდენი ჰქონდა მზე და სიცოცხლე.

მზე და სიცოცხლე პატარა ყვავილს.

ვფიქრობ, რომ ანა კალანდაძის პოეზიის ემოციონალური ძალა ბევრად მისი პოეტური ენითაც განისაზღვრება. ანა ხშირად ამორებს მტვერს ძველ, მივიწყებულ სიტყვებს და გაბედულად, ცოდნით იყენებს მათ. იმდენად არა არქაული სიტყვებით, რამდენადაც სინტაქსური წყობით გამოირჩევა მისი ლექსი. ამის მრავალი დამადასტურებელი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგ-

რამ ეს ცალკე წერილის საგანს შეადგენს. ვფიქრობ, რომ მისაღებია ყოველი საშუალება, რომელიც ლექსში ემოციურ ძალას ზრდის, აღზღვეს, ამ მიზანს ანას პოეტური მეტყველება შესანიშნავად ემსახურება. ანას ლექსის გამომსახველობითი საშუალებანი: ეპითეტები, მეტაფორები, პარალელები, პოეტური სახეები, ინტონაციური ქდერადობა — ყოველთვის ახალი და ცოცხალია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: მისი პოეტური სახეები კონკრეტულია, ხელშესახებია, მისთვის საფესებით უცხოა მშრალი განყენებული სახეები, რომელთა წარმოდგენა ხშირად შეუძლებელი ხდება.

ანა კალანდაძის ლექსებში გაბატონებულია აპრილისა და მაისის სუნთქვა, მზის შუქი, ლაქვარდოვანი სივრცეები. ეს ლექსები უმღერიან ადამიანის სულიერ სიმადლეს, მის შინაგან სიმდიდრეს. ეს პოეზია მთელი თავისი არსებით უპირისპირდება ცინიკურ, ნიპოლისტურ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. პირობით, ანას პოეზია ამ სინამდვილის, სიცოცხლის შესანიშნავ პიმს წარმოადგენს, პიმს, რომლის მოსმენაც, მკითხველს სასურველ ესთეტიკურ სიხარულს ანიჭებს და ადამიანის, ბუნების, სიყვარულისთვის განაწყობს. ეს პოეზია მოგვიწოდებს სიცოცხლისა და ადამიანურ კეთილშობილებსაცენ, სიკეთისა და ღიმილისაცენ.

კვანთა კუთხე

ლილი დასაწყისი

„საქართველოს მოამბის“ ახი წლისთავის გამო

გაცხარებულ იდეური ბრძოლის ვითარებაში და მეტად მძიმე საცენზურო პირობებში შეუდგა ილია ჭავჭავაძე რევოლუციურ-დემოკრატიული ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ გამოცემას. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1863 წლის 7 თებერვალს (ძვ. სტილით).

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, — წერდა ილია „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო სტატიამში, — მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

ილია ჭავჭავაძეს სწამს, რომ ჟურნალი „შიაგნებს და შეიტყობს ცხოვრების მარცხს და შენიშნავს იმ მარცხს მცირედსა ცვლილებასა“. ამ რთული და ძნელი ამოცანის გადასაწყვეტად ჟურნალი ეცდება, — ამბობს ილია, — „წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი“.

ილია ჭავჭავაძის და მისი თანამებრძოლების მთავარი მიზანი იყო შექმნათ ახალი მოძრაობის იდეური ხელმძღვანელი ცენტრი, გამოეფხიზლებიათ ხალხი, განათლების გზაზე დაეყენებიათ იგი, გამოეღვიძებიათ თვითშეკმედების სურვილი, ჩაენერგათ უკეთესი მომავლის იმედები. შეგნებით ამოქმედებული ხალხი, ილიას ღრმა რწმენით, „ვეღარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა“ და თავდადებით იბრძოლებს უკეთესი მომავლისათვის.

„საქართველოს მოამბე“ განუხრებლად იბრძოდა დასახული მიზნებისათვის. ჟურნალის ყველა ნომრის ყოველი სტრიქონი ურტყამდა ძველი წყობილე-

ბის, ძველი მსოფლმხედველობის, ძველი ყოფის ზღუდეებს, აფხიზლებდა ხალხის გონებას, რაზმავდა ქვეყნის ძალებს განმათავისუფლებელი ბრძოლებისათვის.

„საქართველოს მოამბემ“ ფართოდ გაშალა ხალხის წინაშე ახალი სიტყვის, ახალი იდეების ძღვეამოსილი დროშა, უხვად მიაწოდა მკითხველებს, როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური, ისტორიული და მეცნიერული მასალები. საკმაოა გავითვალისწინოთ ჟურნალის ფურცლებზე ნაქადაგები საბრძოლო იდეები, აზრები, მათი ავტორების შთამაგონებელი სახელები, რომ ნათელი წარმოდგენა ექონიოთ ილიას გამბედაობაზე, მის შორსმჭვრეტელობაზე, ღრმა ერუდიციაზე, საბრძოლო პოზიციაზე.

ილია ჭავჭავაძის პოეტური, პროზაული, პუბლიცისტური შედევრების გვერდით ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებან ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის, ბ. ბელინსკისა და ნ. დობროლუბოვის, მიხ. ლერმონტოვისა და ალ. გრიბოედოვის, პიუგოს და ანდრე შენიეს, პრუდონისა და ბასტიას შემოქმედების ნიმუშები.

„საქართველოს მოამბის“ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე გარკვეული მიზანდასახულობით საგანგებოდ არჩევდა ჟურნალში მოთავსებულ მასალებს. ორიგინალური იქნებოდა თუ თარგმნილი, სულ ერთი იყო, ყოველ მასალას უნდა გაეძლიერებია იმ იდეების შემოქმედების ძალა, რომლის პროპაგანდასაც ემსახურებოდა ჟურნალი. შემთხვევით როდი იხსნება ჟურნალის პირველი ნომერი ნიკოლოზ ბარათაშვილის

ლექსით „შემოღამება მთაწმინდაზე“. ამ დიდებულ ლექსის მთავარი იდეა, მისი ოპტიმისტური განწყობილება („როს გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდასა ის განანათლებს“) ეურნალის მრწამსის და მიზანდასახულობის გამოხატველი იყო.

„საქართველოს მოამბის“ ყოველი მომდევნო ნომერი წინა ნომრის იდეური ხაზის გაგრძელებაა. ილია ქაქუცაძის ნაწერები: „ჩემო კალამო...“ „მუშა“, „პოეტი“, „აჩრდილი“, „ვლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი“ და სხვ. ამხელდნენ და უარყოფდნენ რა ბატონყმობის აუტანელ ვითარებას, ამკვიდრებენ იმ აზრს, რომ ფეოდალური ურთიერთობის პირობებში „კაცი კაცურად ვერ იცხოვრებს ვერც ერთს დღესა“. ამავე ნაწერებში გატარებულია იდეა, რომ ხალხის დაფარული ძალა განადგურებს მიწათმფლობელურ წყობილებას. „შენს ღუმელშია იყო ღვთისა რიხვისა ზარი“. — ეუბნება ილია მუშას, — ე. ი. ხალხის ღუმელსა და თმენას მოსდევს ხალხის რისხვა, აღშფოთება, ხალხის აღზევება — რევოლუცია და ხალხის საბოლოო გამარჯვება.

„საქართველოს მოამბის“ ერთი მთავარი ამოცანათაგანი იყო ეჩვენებინა ქართველებისათვის სხვა ხალხების ცხოვრებისა და ბრძოლის სურათები. ამ მიზნით ეურნალმა ბევრი უცხოური ნაწარმოების თარგმანი მიაწოდა მკითხველებს, მათ შორის, ვიქტორ ჰიუგოს რომანი „საბრალონი“, მისივე წერილი „სიკვდილით დასჯის საშინელება და მისი გადაადგების აუცილებლობა“; ანდრე შენიეს ლექსი, რომლის ლეიტმოტივი შეესატყვისება თვით ილიას სულისკვეთებას და განწყობილებას;

„ცხოვრების ზღვაზედ, სად გრივალნი
შეუბრალებლად
მშფოთვარე ზვირთთა ზედა ჩემს ნავს
ატრიალებენ...“

კითხულობ შენიეს ამ სტრიქონებს და თვალწინ გიდგას ილიას პირადი ცხოვრებაც და ქართველი ხალხის ბედის-

ტრიალიც. ასევე მიხ. ლერმონტოვის ლექსი „სიზმარი“ გამუხატავს ეურისტანჯივით გულგანგმირულად მამულშიველის მდგომარეობას:

„ღრმა წყლული ჩემი ორთქლად სადმე
აბოლდებოდა
და წვეთ-წვეთად მუნით სისხლი
შეწებდებოდა.“

ეროვნული ჩაგვრის საწინააღმდეგო აზრები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები ერთ მთლიან გრეხილად გასდევს ეურნალს პირველი ნომრიდან უკანასკნელ მეთორმეტე ნომრამდე. ასევე სოციალური თავისუფლების რევოლუციური აზრებით არის გამსჭვალული ეურნალში გამოქვეყნებული მრავალი მხატვრული, პუბლიცისტური ნაწარმოები. ეროვნული და სოციალური ბრძოლის მოტივები ერთდებიან. როგორც მოსალოდნელია, ეს ორი ძირითადი თემა უმეტეს შემთხვევაში იგავის, ეხოპესენით არის გახსნილი და გამოხატული.

მიმოხილვებში „სხვადასხვა ამბავი“ თითქმის ყოველთვის ღრმად არის გარკვეული ეროვნული ჩაგვრის მიზეზები და გატარებულია ის აზრი, რომ არც ერთ ერს არა აქვს უფლება მეორე ერი ჩაგროს, რომ ძლიერი სახელმწიფო ყოველთვის ჩაგრავეს სუსტ ხალხს. „მაგრამ უმალესი ბუნებითი კანონი არასდროს არ დაკარგავს თავის ძალასა, არ დაუკარგავს ხალხს თავის სურვილსა და არ დაუბრკოლებს მოძრაობასა... ხალხის ცხოვრება დღეს იქნება თუ ხვალე, გამოაცხადებს თავის შინაგანს ძალასა და სხვასაც აგრძნობინებს, რომ ეგ ძალა სრულიად არ არის ჯერ კიდევ გამჭრალი“. აქ ქართველი ხალხს შინაგანი ძალის გამოვლინებაზე არის ლაპარაკი, რაც ეენზურას არ გამოპარვია და დიდად დაუზიანებია კიდევ ეს მიმოხილვა. („საქ. მოამბე“ №1).

„სხვადასხვა ამბავში“ გაშუქებულია საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფორმაციების ისტორია, რევოლუციის წარმომშობი მიზეზები და აღწერილია ბრძოლები თავისუფლებისათვის.

გქონდათ მეფობა ინტრიგებისა, ავაზაკებისა, მახეზღარებისა, ჯალათებისა, ... მოკლებული იყავით სიტყვის ყოველ თავისუფლებას, ბეჭდვის, ყრილობის, კაცად ყოფნის თავისუფლებასაც კი. ბურბონებმა თქვენის ცხოვრების დარაჯად თავზეც წამოგაყენათ პოლიცია, რომლის მეოხებითაც თქვენ თვით თქვენივე ნათესავეებისაც გეშინოდათ, გეშინოდათ თვით თქვენივე ცოლშვილისაცა“...

კითხულობ გავაციის ქადაგებასა და გეხატება რუსეთის კოლონიად ქცეული საქართველოს მწარე სინამდვილე.

„გარბაღდომ რაღა მოგიტანათ? — განაგრძობს გავაცი, — თავისუფლება, თავისუფლება, თავისუფლება!... უბასუხა ხალხმა“.

„ეს განთავისუფლება, რომელიც იტალიის სხვა მხარეთაგან მოვიდა თქვენთან, — ეუბნება გავაცი ნეაპოლის მცხოვრებთ, — კისრად ვადებთ მადლობის გადახდის უსაღმთოეს მოვალეობასა. თქვენ ვერ გადინდით მაგ მადლობას, ვერც ლექსებით, ვერც ვალობით, ვერც მუზიკით, ვერც თეატრითა, ვერც ბალებითა, ვერც დღეობებითა, ვერც სადილებითა. არა, თქვენ მოვალეობას გადინდით ლეგიონებითა, თოფებითა, ცხენებითა და ზარბაზნებით, გადინდით მაშინ, როცა თქვენ თითონ იბრძოლებთ იტალიის სხვა მხარეთათვის, რომელნიც ეხლა კიდევ მონობაში არიან... რომელნიც თქვენთვის იბრძოლებენ და სისხლსა ღვრიდნენ...“

„იციოდეთ, — ეუბნება მსმენელებს გავაცი, — რომ მამული არ აღიდგინება ხოლმე არც სიმღერებითა, არც ღიმნებითა, არც ლექსებითა, დღეობებითა, ჩირაღდნებითა, არამედ აღიდგინება ყველას და თვითულის ერთიანი თავდადებითა... დაილოცა ნათელი, და დაილოცა ისიც, ვინც ნათელი მოგვიტანა“.

გავაციის ქადაგებაზე უფრო შესაფერი მასალის გამოძებნა რევოლუციის საკითხებზე ხალხთან სასაუბროდ შეუძლებელი იყო. დობროლუბოვის ბრძოლის სულსკვეთებით სავსე ნაწარმოებ-

მა დიდი იდეური ელვარება შესძინა „საქართველოს მოამბეს“ აქ დამრგვანის სახით მოცემულია ის, რის ქართულად დაწერა და გამოქვეყნება ყოველად მოუხერხებელი იყო. ეს მოახერხა ეურნალის რედაქციამ მაშინ, როცა 1862 წლის საცენზურო კანონით აკრძალული იყო უცხო ქვეყნების რევოლუციური ბრძოლების წარმატებაზე წერა.

„საქართველოს მოამბე“ დიდ ყურადღებას აქცევდა მეცნიერული ცოდნის გავრცელებას, ლიტერატურის, ხელოვნების, მათ შორის მუსიკის, დრამატურგიისა და თეატრის საკითხებს, ბავშვის აღზრდისა და ადამიანის განათლების, ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემებს. ეურნალის დევიზია ხალხმა იცოდეს ყოველივე, რაც კაცობრიობას შეუქმნია. ინტელიგენცია უნდა იდგეს მეცნიერული ცოდნის პირველ ხაზზე და მისმა გონებამ უნდა ჩააშუქოს ხალხის მოძრაობის და მოქმედების სიღრმეში. ხალხია თავი და ბოლო ისტორიისა და ყველაფერი ხალხის სასარგებლოდ უნდა კეთდებოდეს.

როდესაც ვითვალისწინებთ სამოციანი წლების დასაწყისში რეაქციის თარეშს, გვაგონდება პეტერბურგის რევოლუციურ-დემოკრატიული ცენტრის დარბევა, ნ. ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების დაპატიმრება, ეურნალ „სოვრემენიკის“ დახურვა, ადამიანთა პირად ცხოვრებაში გაბოროტებული ცენზურის შეჭრა, გვაოცებს, ილია ჭავჭავაძემ და მისმა წრემ როგორ შესძლეს გამოცემა იმ მართლაც დიდებული „საქართველოს მოამბისა“, რომელმაც კუთხიდან კუთხემდე შესძრა მიყუჩებული ფეოდალური საქართველო, მყარი საფუძველი ჩაუყარა ახალ ეპოქას, ერთბაშად გააფართოვა ქართველი კაცის გონებრივი ჰორიზონტი.

მხოლოდ უბადლო თავდადება, გუტჩეხელი ნებისყოფა, გატაცება და მგზნებარება თუ შეაძლებინებდა „საქართველოს მოამბის“ რედაქტორს დაუძლეველ დაბრკოლებათა დაძლევის,

ეურნალის მეთორმეტე ნომერში წერდა ილია: „ეურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა... რომელთანაც ყველა ბრძოლა, მეცადინეობა და თავდადება უქმია, „დრონი მეფობენო“ ნათქვამია“.

ზედმეტი იმის მტკიცება, რომ „საქართველოს მოამბემ“ მძიმე წინააღმდეგობა დასძლია და მაქსიმალურად აღიმაღლა ხმა ხალხისა და ქვეყნის დასაცავად, რევოლუციური ბრძოლების სადიდებლად. და თუ ილია არ იყო კმაყოფილი რომ „ეურნალმა ვერ გაამართლა იმედებში“, ეს იმიტომ, რომ ილია ჰვავაძეს და მის თანამებრძოლებს მეტის თქმა და გაკეთება სურდათ, ვიდრე მაშინდელი პირობები ამის შესაძლებლობას იძლეოდა.

„ვის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა ჩვენი ცხოვრება უწინდელ კალაპოტს სცლიდა და ახალში შესვლას აპირებდა, — წერდა ნიკო ნიკოლაძე 1863 წლის შესახებ, — ასტყდა სასტიკი ბრძოლა ძველსა და ახალს შუა, —...რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჰვავაძეს“.

„საქართველოს მოამბემ“ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა რეალისტურ ლიტერატურას, რევოლუციურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობას. ილია ჰვავაძე ჯერ კიდევ „ციხეკარში“, პეტერბურგიდან დაბრუნებისთანავე მოითხოვდა — „რომ უნიჭონი და მასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდან ფეხს ნუ გამოდგამენ გარედ, ლიტერატურაში: ამას ვთხოვ ხალხის სახელით, ხალხისავე სახელის დაცვისათვის“.

ილია ჰვავაძე ამართლებდა თავის პოეტურ თქმას, „ხალხის წყლული მაჩნდეს წყლულად“: ეურნალი მთლიანად დააყენა ხალხის სამსახურში და არ დაუთმო ადგილი უაზრო და პრიმიტიული ხასიათის ნაწარმოებს; როგორც თვითონ ამბობდა, „კრიკა შეუკრა“ ისეთ

პოეტებს, რომლებიც პირს არიდებდნენ ხალხის ცხოვრებას, ქვეყნის ინტერესებს და „ბულბულსაგანთ“ უმზრად სტვენდნენ“.

ამიტომ სამართლიანად დაიმსახურა „საქართველოს მოამბემ“ ხალხის სიყვარული. მისი ნომრები ხელიდან ხელში გადადიოდა, იწერდნენ ეურნალიდან მთელ ნაწარმოებებს, იმართებოდა სახალხო საჯარო წაკითხვა, „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?“ ზეპირი სიტყვიერების სახითაც შეიჭრნენ სახალხო მოქმედების მეხსიერებაში და გავრცელდნენ ხალხში.

„საქართველოს მოამბემ“ ერთი წელიწადი იარსება. ოცდახუთი წლის ჰაბუკი ილია ჰვავაძე იყო მისი დამაარსებელიც, რედაქტორ-გამომცემელიც და ყველაზე მრავალფეროვან ნაწარმოებთა ავტორიც.

ილია მიზნად უსახავდა თავის ეურნალს ფეხზღად სჭეროდა თვალი მომავლისაკენ: „ყოველ გონიერ ეურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მომავლისაკენ, — წერს ილია, — რაც შორსა სცემს ეურნალის თვალი, მით უფრო კარგია“. ახლა ყველასათვის აშკარაა, რომ „საქართველოს მოამბემ“ თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალებით დიდ სამსახურს უწევდა ჩვენი ხალხის მომავალს, სწორ გზაზე აყენებდა მას და უნერგავდა ბედნიერი მომავლის იმედებს.

„საქართველოს მოამბემ“ მისაბაძი მაგალითების მაჩვენებელი იყო მომდევნო ბეჭდვითი ორგანოებისათვის. „სასოფლო გაზეთი“, „დროება“, „კრებულო“, „მნათობი“, „ივერია“ ცდილობდნენ „საქართველოს მოამბისებურად“ მდგარიყვნენ ხალხის სამსახურში.

ვინც ახლა გულდასმით განიხილავს „საქართველოს მოამბეს“, დაგვეთანხმება, რომ ეს ეურნალი საქართველოს წარსულის, აწმყოს და მომავლის უბრალო მოამბე როდი იყო, იგი იყო ქართველი ხალხის დიადი მომავლის მგზნებარე მახარებელი.

როსა ბაჰანიძე ადექსანდრე სერაფიმოვიჩი

(დაბადების 100 წლის გამო)

ალექსანდრე სერაფიმოვიჩის ლიტერატურული მოღვაწეობა ექვს ათეულ წელს მოიცავს. იგი ლიტერატურის ასპარეზზე წაშინ გამოვიდა, როდესაც რუსეთის პროლეტარიატი გამათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში დგებოდა. სერაფიმოვიჩმა ორი დიდი ლიტერატურული ეპოქა დაუკავშირა ერთი მეორეს. იგი მოგვევლინა ჩეხოვისა და ლევ ტოლსტოის „უმცროს თანამედროველ“. მისი პირველი კრიტიკოსები ვ. კოროლენკო და გლ. უსპენსკი იყვნენ. ალექსანდრე სერაფიმოვიჩი იყო XIX საუკუნის რუსული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების დამცველი და გამგრძელებელი, ამავე დროს ახალი, პროლეტარული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელიც.

ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა სერაფიმოვიჩის შემოქმედებას. „თქვენმა ნაწარმოებებმა და ჩემი დის ნაამბობმა ჩამინერგა ღრმა სიმპათია თქვენდამი და ძალიან მინდა ვითარათ, თუ რაოდენ საჭიროა მუშებისა და ყველა ჩვენგანისათვის თქვენი მუშაობა“¹ — წერდა ლენინი სერაფიმოვიჩს.

რუსეთის პირველ რევოლუციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სერაფიმოვიჩის შემოქმედებისათვის. მან გაამდიდრა იგი ისეთი ისტორიული და პოლიტიკური გამოცდილებებით, რომელთაც გასაზღვრეს შემდგომში მწერლის შემოქმედებითი გზა და მიმართულება.

რევოლუციის დამარცხებამ დემოკრატიულ ბანაკში რღვევა გამოიწვია. მრავალი მწერალი, რომელნიც „ზნანის“ ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი, დაცემულობის განწყობილებებს ეძლევიან და იღვურ მერყეობას განიცდიან (ა. კუპრინი, ი. ბუნინი და სხვ.), ხოლო ზოგიერთნი სრულიად ჩამოსცილდნენ მოწინავე რუსულ ლიტერატურას.

რუსეთის ინტელიგენციისათვის ამ ყველაზე სამარცხვინო ათწლეულში, გორკის გამოთქმა რომ ვიხმართ, სერაფიმოვიჩი აქტიურად იცავს ლიტერატურის ხალხურობის პრინციპებს, არის გორკის ერთგული თანამებრძოლი რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1909 წელს იგი რუსეთის სხვადასხვა ადგილას კითხულობს კრიტიკულ ლექციებს ლიტერატურულ დეკადენტობაზე.

სერაფიმოვიჩი კარგად ხედავდა, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც ხალხს ხელს უშლის შეებრძოლოს არსებულ წყობილებას, არის ილუზიები ბედნიერებაზე. ამ ილუზიებით თვით ცხოვრებისაგან გატანჯული მშრომელი ხალხი დაავადებული. ამიტომაცაა, რომ სერაფიმოვიჩის ამ პერიოდის შემოქმედებაში განსაკუთრებულ სიმპათიებს პოეზებს პირადი, კერძო საკუთრების დამლუპველი ძალის თემა. ამ წლებში სერაფიმოვიჩი აწვითარებს კაპიტალიზმის ანტი-სოციალდოგმობის, მისი კაცთმოძულეობის თემას. ავტორს მიაჩნია, რომ საკუთრების ძალა ამახინჯებს ადამიანებს, უბიძგებს მათ ბოროტებისაკენ. ამ თემას მიუძღვნა მან რეაქციის წლებში და-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 35, გვ. 475. გამოცემა მეოთხე, 1953 წ.

წერილი ნაწარმოებები. მათგან თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა მოთხრობა „რეყუბი“.

სერაფიმოვიჩის კარგად ესმოდა, რომ თვით კაპიტალიზმის განვითარებაში არის მისი დაღუპვის მიზეზებიც. ამ თემაზე დაწერა მან რომანი „ქალაქი ველზე“, რომელშიც აგვისახა კაპიტალიზმის განვითარებისა და ზრუნის პროცესის რიგი მნიშვნელოვანი ნიშანი და ამავე დროს მისივე მესაფლავის — პროლეტარიატის შეგნების ზრდა.

ამ რომანის გამო მწერალი შენიშნავს: „მე მინდოდა მეჩვენებინა კაპიტალიზმის უღმრთელი დაწოლა მუშათა ცხოვრებაზე... მეჩვენებინა განვითარების პროცესში მყოფი ბურჟუაზია, პირველდაგროვების მძაფრი პროცესის წარმოშობა, მხატვრულად ამესახა ბურჟუაზიის წარმოქმნა და ზრდა მუშათა კლასის ზრდასთან ერთად. როდესაც ბურჟუაზია იწყებს განვითარებას, მას სჭირდება პოლიცია, ესპირობა მღვდლები, ეკლესია. მე ამის დახატვაც მომიხდა...“

თემატურად რომანი განეკუთვნება გარკვეულ ისტორიულ პერიოდს—მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს. რომანის იდეური პათოსია ღრმა რწმენა რევოლუციის გამარჯვებისადმი. სავსებით სამართლიანად წერდა 1933 წელს „პრადეა“ მის შესახებ: „1905 წელს, მოსკოვში დეკემბრის აჯანყების თითქმის მეორე დღესვე, სერაფიმოვიჩი იწყებს თავისი რომანის „ქალაქი ველზე“ წერას, რომანისა, რომელიც დღემდე მღვდვარებით იკითხება. ამ ნაწარმოებში ხელახლა მტკიცდება რევოლუცია, მისი გარდუვალობა და კანონზომიერება. 1905 წლის რევოლუცია განადგურებულია — გაუმარჯოს რევოლუციას“.

წინააღმდეგობა ბურჟუაზიის, ინტელიგენციისა და პროლეტარიატის წარმომადგენლებს შორის რომანის ძირითადი კონფლიქტია. მისი მხატვრული ძალა ის არის, რომ ავტორი აგვისახავს რა

ხალხთა სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობას და მათ კლასობრივ ბრძოლას, ახერხებს ისტორიული პროცესის ხეშეხებას ცალკეულ ადამიანთა ბედისა და ყოფითი ურთიერთობის კონკრეტულ სურათების წარმოდგენით.

ავტორი თავის ნაწარმოებში გვიჩვენებს დონის მოტიტვლებულ ველზე კაპიტალისტური ქალაქის დაბადებასა და განვითარებას, პირველ დაგროვებას ზარბაროსულ მეთოდებს, მუშათა სიღატაკესა და კაპიტალისტურ ურთიერთობას. მკითხველის თვალწინ წარმოდგება პირველდაგროვებელ საქმოსანთა ბინძური მაქინაციების, სამიკიტნოსა და მეძავთა სახლში გამეფებული ბინძური ორგინების სურათები, ბურჟუაზიული ოჯახებისა და დონის მუშათა ტანჯული ცხოვრების რეალური სურათები.

სერაფიმოვიჩი ნიჭიერად და რეალისტურად ასახავს ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ მექანიზმის, მის მანინჯ სოციალურსა და მორალურ თვისებებს და გვიჩვენებს მათ წყაროსაც — კაპიტალისტური, ექსპლოატაციის ეკონომიურ კანონებს. ეს იყო მხატვრის დიდი გამარჯვება.

ბურჟუაზიის ანტიადამიანურობა, მისი მტაცებლური ხასიათი, ამორალობა ნათლად და მკაფიოდ განსახიერდა ზახარ კოროედოვის ხასიათში, ამ მიმტაცებლისა და მევაზვის, გაიძვერისა და გარყვნილი „მხეცის“ მხატვრულ პორტრეტში.

ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტელიგენციის ერთ-ერთ წარმომადგენლად რომანში გამოყვანილია ინჟინერი პოლინოვი. მის სახით მწერალმა დაგვიხატა რუსი ლიბერალის ნამდვილი ტიპი, რომელიც რეფორმებისათვის ბრძოლით იწყებს და ცხოვრების უკვირო პირობებთან შეგუებით კი ამთავრებს.

უფრო უმსგავსო და მკვეთრი გადაგვარების, დაცემულობის სურათი დაგვიხატა ავტორმა პოლინოვის ცოლის მშის პეტრე ივანოვიჩის მაგალითზე.

პეტრე სტუდენტობის წლებში იყო რევოლუციონერი — პროპაგანდისტი, იყო პოლიტიკურ გადასახლებაში. მაგრამ დაშვებულად, დატყვევებული და დადინჯებული საბოლოოდ ისიც „შესანიშნავად ეწყობა“ ზახარ კოროედოვის რწმუნებულად.

თუ ზახარ კოროედოვის სახით ავტორმა დაგვიხატა ბურჟუაზიის წარმომადგენლის სურათი, პოლიციისა და პეტრე ივანოვიჩის სახით მწერალმა ნილამი ჩამოხადა მის „კულტურულ“ ლაქიებს, ლიბერალური და რადიკალური ინტელიგენციის პოლიტიკურ რენეგატებს, რეაქციის ეპოქის ლიბერალურ იდეოლოგიას. ყოველივე ეს რომანს იმ პერიოდში აძლევდა მეტად აქტიურ რევოლუციურ ხასიათს.

ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი რომანში მუშებს უძირავეთ. სერაფიმოვიჩი წერდა: „ყველაზე უფრო მე მუშების დახატვა მინდოდა, მინდოდა მომეცა თავდაპირველი რევოლუციური მოძრაობა“. მაგრამ ავტორმა ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განახორციელა. მუშათა მხატვრული სახეები ვერ არიან ბოლომდე გამოკვეთილნი, ისინი „პირველდამგროვებელთა“ წარმომადგენლებთან შედარებით უფრო მკრთალნი არიან.

მუშათა მასა რომანის დასაწყისში არაორგანიზებული, შეუგნებელი ძალის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და რევოლუციური აგიტაციის ზეგავლენით იგი იწყებს გამოფიზლებას, იზრდება და ვითარდება მისი კლასობრივი თვითშეგნება. ველზე მუშათა თავყრილობის, პოლიტიკურ წრეში მეცადინეობის, პირველი, და განსაკუთრებით, მეორე გაფიცვის სცენები, მკითხველთა თვალწინ გადაშლიან მუშათა მასობრივი, შეკავშირებული მოძრაობის სურათებს. ნაწარმოებში ჩანს, თუ როგორ მტკიცდება ერთიან, მყარ კოლექტივად მუშათა ჯგუფი, როგორ გამოიყოფიან ამ ბირთვიდან მეთაურები.

გ. ი. ლენინი ახასიათებს რუს სოციალ-

დემოკრატებში მერყეობისა და რევოლუციური ბრძოლიდან გაქცევას მოვლენებს და წერს: „მაგრამ ცალკე-ცალკე ხეტიალობდნენ და უკან იხევდნენ მხოლოდ ხელმძღვანელები: თვით მოძრაობა განაგრძობდა ზრდას და დიდ ნაბიჯებს დგამდა წინ. პროლეტარული ბრძოლა ედებოდა მუშების ახალ ფენებს და მთელ რუსეთში ვრცელდებოდა.“ (ლენინი, თხზ., ტ.5, გვ. 660).

რეაქციის პერიოდში დაწერილი რომანის „ქალაქი ველზე“ უდიდესი იდეური მნიშვნელობა ის არის, რომ იგი მკითხველებს არწმუნებს რევოლუციის გარდუვალობაში, მუშათა მოძრაობის უძლეველობაში.

1914 წელს მსოფლიო ხალხებს თავს დაატყდა ახალი ომის ცეცხლი. მსოფლიო ომში რუსეთის ჩაბმის დღეს სერაფიმოვიჩი წერდა თავის მეგობარს, მწერალ ა. ა. კობენს: „... ეს ხომ — სისხლის ოკეანეა... მე, ძმაო, საშინელები-საგან თავზარდაცემული ვერაფრით ვერ მოვსულვარ გონს“.

1915 წელს, დიდი წვალეების შემდეგ, სერაფიმოვიჩი ახერხებს ფრონტზე მოხვედრას. ექიმთა ჯგუფში, რომელთან ერთადაც მწერალს მოუხდა მგზავრობა, იყო ავრეთვე მარია ილიას ასული ულიანოვა. მისი დახმარებით გაიგო სერაფიმოვიჩმა სიმართლე იმპერიალისტური ომისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულობაზე.

სერაფიმოვიჩი აღწერს იმპერიალისტური ომის საშინელებას. მისი გალიციური ჩანაწერები არის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩაფიქრებული ბოროტების, მმართველი კლასების სულიერი ხრწნის, უბრალო ხალხის ტრაგედიის მატინე. დიდი მხატვრული და იდეური მნიშვნელობა აქვთ ამ პერიოდში დაწერილ მის მოთხრობებსა და ნარკვევებს — „შეგებულებაში“, „შრაპელი“, „ზემოდან“, „შეხვედრა“, და სხვ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება სერაფიმოვიჩმა აღითქვა როგორც უდიდესი მოვლენა

კაცობრიობის ისტორიაში. მწერალი გულითა და სულით მივსალმა რევოლუციას. ოქტომბრის პირველსავე დღეებში სერაფიმოვიჩი ჩაება ახალი ცხოვრების ფერხულში, იგი პირადი მაგალითითა თუ კალმით ცდილობს ხელი შეუწყოს ახალი ცხოვრების შენებას, 1918 წელს სერაფიმოვიჩი შედის კომუნისტურ პარტიის რიგებში. მწერალი აქტიური პრპაგანდისტი ხდება, ხელმძღვანელობს ლიტერატურის, კრიტიკისა და ხელოვნების განყოფილებას „იზვესტიაში“, გაზეთებსა და ჟურნალებში აქვეყნებს წერილებსა და ნარკვევებს ოქტომბრის რევოლუციის დიდ მნიშვნელობაზე, მის შემოქმედებით ზასიათზე, სამარცხინო ბოძზე აკრავს მათ, ვინც განუდგა რევოლუციას, უღალატა ხალხის ინტერესებს.

მდგომარეობის გამწვავების პერიოდში სერაფიმოვიჩი სამოქალაქო ომის ფრონტზეა, ამ პერიოდის მწერლის ნარკვევებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს საბჭოთა ლიტერატურაში. ნარკვევები „პოლიტკომი“, „თვითგანმკურნავი ძალა“, „ბრძოლა“, „პოზიციაზე“, „სამი მიტინგი“, „მაცოცხლებელი ძალა“, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს მწერლისა და იმ დროის ლიტერატურულ ცხოვრებაში.

სამოქალაქო ომში მონაწილეობამ სერაფიმოვიჩის საშუალება მისცა თავისი თვალით ენახა თუ რა თავგანწირვით იბრძოდა მშრომელი ხალხი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსახოვებლად. მწერალს აღძრა სურვილი წაბტკრულ ტილოზე გადაეტანა ამ გმირული ბრძოლების მართალი სურათები. ცხოვრების ღრმა ცოდნამ და რეალისტურმა აღლომ სერაფიმოვიჩს მისცეს შესაძლებლობა 20-იან წლებში შეექმნა შესანიშნავი ნაწარმოები მებრძოლ და გამარჯვებულ ადამიანებზე, ნაწარმოები, რომლითაც ქვეშაბრიტად ამაყობს მისი მთავარი გმირი — საბჭოთა ხალხი.

სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვარი“ ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოე-

ბია მრავალმილიონიანი ხალხის ბრძოლაზე, რომელშიაც ბრწყინვალე დამსახბა რევოლუციის შემოქმედებში მისი ძალა. სერაფიმოვიჩმა ამ ნაწარმოებში მიზნად დაისახა ეჩვენებინა მრავალრიცხოვანი მასის, არაორგანიზებული, სხვადასხვა სოციალური ფენისაგან შემდგარი ხალხთა ნიაღვრის, სრულიად სხვადასხვაგვარ მოაზროვნე ადამიანების მისვლა რევოლუციურ შეგნებამდე.

სერაფიმოვიჩმა თავისი ახალი მხატვრული ნაწარმოების თემად აიღო სამოქალაქო ომის ერთ-ერთი დრამატული ეპიზოდი — ტამანის არმიის გამოსვლა თეთრგვარდიელთა ალყიდან. ებოპეის დასაწყისი ტამანელების ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტთან კერძოდ, 1918 წლის აგვისტოს მოვლენებთან არის დაკავშირებული. კულაკთა აჯანყებამ მოიკცა თითქმის მთელი ყუბანი. თეთრგვარდიელებმა აიღეს ეკატერინოპოლი, ჩრდილოეთ კავკასიის ძირითაღმა ბოლშევიკურმა ძალებმა უკან დაიხიეს. საფრთხე შეუქმნეს ტამანის ფრონტის საბჭოთა ჯარებს. ტამანელები აჯანყებულთა ალყაში მოემწყვდნენ. ყველას, მებრძოლებსაც და მათ ოჯახებსაც დაღუბვა მოეღოს. იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. მავრამ ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ანარქიულად განწყობილი, ტამანელთა ჭრელი მასა ვერ გარკვეულა თუ რა ხდება მის გარშემო, საღაა ხსნა ამ მდგომარეობიდან. თავიანთ უფროსებს, ხელმძღვანელებს, მის მიერვე არჩეულებს, ტამანელები არ ენდობიან. მართალია მოახლოვებული საფრთხის შიში დიდი აქვთ, მავრამ თავისი ქონების დატოვება ენანებათ და სზე.

ტამანელების ბედი მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვზას აირჩევენ ისინი. შეეცდებიან გაარღვიონ ალყა და შეუერთდნენ წითელ არმიას, თუ სზეა ვზას დაადგებიან? ოცდათორმეტ დღეს მოუნდნენ ტამანელები ხუთასი ვერსის გავლას. შავი ზღვის სანაპიროზე, შემდეგ ნოვოროსისსკი, ტუაფსე,

კავკასიის მთების გავლით ისევ ყუბანა — ასეთი იყო მათი გზა. ამაზე აიგო „რკინის ნიაღვრის“ სიუჟეტი.

ზღვა ხალხმა იმჟღებით დასტოვა მშობლიური ადგილები, ცეცხლითა და მახვილით გამოდევნეს ისინი თავიანთი ქოხებიდან და ეკლიან გზას გაუყენეს მათი ცოლშვილიც. ხუთასი ვერსი გალიეს ტამანელებმა. სისხლით მორწყეს ნაკვლევი. ვაკეკაცებთან ერთად ტანჯის გზა გაიარეს ძოქთთა ბავშვებმა. ქალებმა და თეთრწვერა მოხუცებმაც. ამ არმიასი არ იყო „ასეულები. ათასეულები, პოლები“.

ტამანელების ეს გამირული გადასვლა ისტორიულად გამართლებულია. ისინი იბრძოდნენ იმისათვის, რომ შერტეზოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამცველებს, სოციალისტური საშუალოს დამცველებს. „მაშ რისთვის, რისთვის უწამა ეს ხალხი... რისთვის“. მიმართავს კოკუხი ლაშქრობის დასასრულს ტამანელებსა და თავად უპასუხებს ყველას შეგივრად: „მხოლოდ ერთ რამისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მუშათა და გლეხთა ბედნიერებისათვის“.

როგორც სამართლიანად არის აღნიშნული კრიტიკულ ლიტერატურაში. სერაფიმოვიჩმა ტამანის არმიის არა მარტო სოციალური დახასიათება, არამედ „სოციალური ბიოგრაფიაც“ მოგვცა. ამ უფროსო მასის, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა, სხვადასხვა განწყობილების მქონე გლეხთა გარდაქმნა ერთი მიზნითა და რწმენით გამსკვლეულ ადამიანთა „რკინის ნიაღვრად“ — წარმოდგენს ნაწარმოების იდეურ აზრს. „ძალები იზრდებიან, — ამბობდა სხვა გარემოს გამო ვ. ი. ლენინი, — რევოლუციის ზრდასთან ერთად“.

სწორედ ეს რევოლუციურა ზრდა, წრთობა გვიჩვენა სერაფიმოვიჩმა თავის „რკინის ნიაღვარში“.

ლაშქრობის დაწყების წინ ტამანის არმია, სრულიადაც არა ჰგავს „რკინის ნიაღვარს“. ნაწარმოების პირველივე სტრიქონები ტამანელებში გამეფებულ

არეულობაზე მიგვიითივებს. დაბნეულობა, გარკვეული მიზნის უქონლობა, უნდობლობა მეთაურებისადმი და მანასიათებელია ტამანელებისათვის ამ ეტაპზე. სულ სხვა სურათს ვხედავთ ნაწარმოების დასასრულში. ოცდათორმეტ დღეს გასტანა ამ გადასვლამ, ხუთასი ვერსი გაიარეს ადამიანებმა და მკითხველის თვალწინ ახალ ტამანელებად წარმოსდგნენ.

თუ კი ნაწარმოების დასაწყისში ჯარისკაცები მზად არიან ხიშტზე წამოაგონ თავიანთი მეთაურები, „რკინის ნიაღვრის“ დამამთავრებელ სცენაში მიტინგზე კოკუხის სიტყვას სუნთქვაშეკრული უსმენენ. ხოლო როდესაც კოკუხი სიტყვას ამთავრებს, ერთი კიდიდან მეორე კიდემდე ერთსულოვანი ხმა აღმოხდებათ:

— მა-მაჲ, პატრონო!!! გავვიძებ, სადაც გინდა... ჩვენ არ დავზოგავთ თავს და თქვენთან ერთად დავიხოცებით...

ტამანელების პოლიტიკური გამოღვიძება, პოლიტიკური გამოწრთობა ასევე განასაკუთრებული მიგნებით აქვს გადმოცემული ავტორს.

„რკინის ნიაღვარში“ სერაფიმოვიჩის ნოვატორობის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთ მომენტს. თერთონ მწერალს მიაჩნია, რომ სტიქიურსა და ანარქისტულს უნდა დაუპირისპირდეს რევოლუციური ორგანიზებულობა და შეგნებულობა. თერთონ ეს პრობლემა, რევოლუციაში შეგნებულობისა და სტიქიურობის პრობლემა, — ერთ-ერთი ძირითადია ოციანი წლების ლიტერატურაში.

ნაწარმოების ცენტრალური გმირისა — ხალხის და მთავარი გმირის, ხალხის მეთაურის — კოკუხს შორის მტიციე იდეური კავშირი არსებობს. მათ სიღრმეში ჩაწვდომა და სრული წარმოდგენის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მათ ურთიერთკავშირსა და მთლიანობაში განვიხილავთ.

„რკინის ნიაღვარში“ ხალხთა მასის

გარდაქმნა ცალკეულ გმირების გარდაქმნის მეშვეობითაც არის გადმოცემული. ასეთი ცალკეული გმირები სულ თითხუა ჩამოსათვლელი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ დენიკინსა და პოკროვსკის, ან ეპიზოდურად გაეღწეულ სახეებს, კოეუხს გარდა, ნაწარმოებში სულ სამიოდე გმირია შედარებით სრულად წარმოდგენილი: სმოლოკუროვი, გორპინა და თავადი მიხელიძე.

გზობაში სერაიოზული როლი აქვს დაკისრებული გორპინას. შეიძლება ითქვას რომ მასების დამოკიდებულება კოეუხისადმი გორპინას მოქცევა-გარდაქმნაშიაც აისახა. გორპინა პირველად მიტინგზე ამაღლებს ხმას კოეუხის წინააღმდეგ, გორპინას პირით დაბეჩავებული გლეხი ლაპარაკობს. მისი გაძვალტყავებული ხელი მშრომელი ქალის ბედუკუღმართ ცხოვრებაზე მიგვიითითებს, მას ყოველი ლუკმის მოპოვება შრომითა და წელისწყვეტით უხდება და ამიტომაც რომ ასე ვააღმა-სებით უტყვს კოეუხს.

კოეუხის ბიოგრაფია ჩვეულებრივი ღარიბი გლეხის ბიოგრაფიაა. ამ ადამიანმა დიდი ტანჯვა-ვაებით გაიკვლია გზა ცხოვრებაში და პრაპორჩიკის ჩინს მიაღწია. მაგრამ ოფიცერთა არა-ადამიანურობას და ქედმაღლობას მაინც ვერ შეეგუა. კოეუხი თავდაპირველად ვერ არის პოლიტიკურად მოწიფებული რევოლუციონერი, მაგრამ გულით იგი ხალხის მხარეზეა. კოეუხისა და ხალხის აზრები ხშირად ერთიმეორეს ემთხვევიან.

სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილი ნაწარმოებების გმირებს: კოეუხს, ლეკინსონს (ფადეევის „განადგურება“) და კლიჩკოვს (ფურმანოვის „ჩაბაევი“) ბევრი რამა აქვთ საერთო, უპირველეს ყოვლისა, რევოლუციისადმი ერთგულება, თავგანწირული ბრძოლა მისთვის.

იღუურად ერთ პოზიციაზე მდგარი ეს სამი ადამიანი მაინც განსხვავდება ერთიმეორისაგან. ზოგჯერ არსებითაც კი, ლეკინსონი და კლიჩკოვი ბოლშევი-

კებია, რომელთაც პრთულტარული ბრძოლის საკმაო გამოცდილება აქვთ. კოეუხი კი პოლიტიკურად ნაკლებ განათლებულია. იმას, რასაც ლეკინსონი და კლიჩკოვი შეგნებულად, დაფურცბისა და განსჯის შემდეგ აკეთებენ, კოეუხი ინტუიციით აკეთებს, და სწორად გამოდის. გამოდის იმიტომ, რომ ის, ჯერ ერთი, სულითა და გულით ბოლშევიკია და მეორე, ამას კარნახობს მშრომელი ადამიანის ყოფითი გამოცდილება.

სერაფიშვილი თავისი აზრის მხატვრულად გადმოცემას დიდ ყურადღებას აქცევდა. იგი მაღალფარდოვანი სიტყვების ხმარებას გაურბოდა. მაგრამ ეპოქის თავისებურების გადმოსაცემად სტილურ კონტრასტებს მიმართავდა. მწერალი ერთიმეორეში აქსოვდა „მაღალსა“ და „დაბალ“ სტილს, რომანტიკულ პათოსს და მკაცრ რეალიზმს. სერაფიშვილი უხვად სარგებლობს ხალხური გამოთქმებით. ხალხური ფრაზეოლოგია, დიალექტიზმები დამაბასიათებელია „რკინის ნიაღვრისათვის“.

დიმიტრი ფურმანოვი „რკინის ნიაღვრის გამოცემის გამო დაწერილ რეცენზიაში აღნიშნავდა: „რკინის ნიაღვარი“ — სამოქალაქო ომის ეპოქის ისტორიული მოთხრობის კლასიკური ნიმუშია. მის მიხედვით უნდა ისწავლონ მასალის კეთილსინდისიერი, გულმოდგინე შესწავლა, მისი უნარიანი განაწილება, ქარსიდან და გაფანტულობიდან მონოლითური, ოსტატურად დამუშავებული ნაწარმოების შექმნა და ისტორიული სიმართლის დაურღვევლად მხატვრული მოთხრობის შედევრის მოცემა“.

„რკინის ნიაღვრის“ შექმნის შემდეგ სერაფიშვილი განაგრძობს დაძაბულ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მუშაობას, აქტიურად მოღვაწეობს ქურნალ „ოქტიაბრში“, ხშირად მოგზაურობს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში და გამოდის სიტყვებითა და მოხსენებებით მუშათა კლუბებში, კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებსა და ქობ-სამკითხველოებში, პიონერთა

და წითელ არმიის სასახლეებში, პარტიკაინტებში და სხვაგან.

სერაფიმოვიჩი თავის სტატიებში ენერგიულად იცავდა მებრძოლი ხალხის ცხოვრებასთან მტკიცედ დაკავშირებულ და კომუნისტური იდეურობით გამსჭვალული ხელოვნების პრინციპს. მას მიაჩნდა, რომ საბჭოთა ლიტერატურის ძალა თვით სინამდვილის სოციალისტური შინაარსი იყო, რითაც იგი საზრდოობდა თავის მხატვრული ტილოების შექმნის დროს. მწერალი ცდილობდა ცხოვრებას მიჰყოლოდა მხარდამხარ, და ეს ყოველთვის ემჩნეოდა ხოლმე მის ნაწარმოებებსაც. ოციანი წლების მეორე ნახევარსა და ოცდაათიან წლებში იგი ქმნის მოთხრობებისა და ნარკვევების სერიას, რომლებშიაც მთავარ თემას ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნა და ახალი, სოციალისტური სინამდვილის გავლენით ადამიანის სულიერი ზრდა წარმოადგენს. ასეთია მოთხრობები „მიტკა“, „მთის ქალიშვილი“, „ხალხი ტიტანი“. ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად აგრეთვე რომან „ბრძოლას“, რომელიც სერაფიმოვიჩმა ოციანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო და ვერ დაასრულა.

ოციან წლებში შექმნილ მთელ რიგ ნარკვევებში ასახულია წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის, ახალი, ბედნიერი ადამიანის დამკვიდრების ამბები, („ბრიგადირი“, „დონის სტეპებზე“). 1933 წელს დაიბეჭდა მისი რომანის „საყოლმეურნეო მიწდგრების“ ცალკეული აღვილები. რომანი მიეძღვნა დონზე კოლექტივიზაციის გატარების პირველ ეტაპებს, კოლექტივის მშენებლობას, სოფლის კომუნისტებს, სოფელში სოციალისტური წყობისათვის მებრძოლ ადამიანებს.

როდესაც დაიწყო დიდი სამამულო ომი, 80 წლის მოხუცი მწერალი საბრძოლო პოსტზე დადგა. ფრონტზე მიემგზავრება, საბჭოთა არმიის მებრძოლ ნაწილებთან ერთად იბრძვის გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ. „ეს არაა

სასწაული“, — ასე დაარქვა სერაფიმოვიჩმა სამამულო ომზე შექმნილ ნაწარმოების ციკლს, რომელიც საბჭოთა ხალხის საბოლოო გამარჯვების რწმენით იყო გამსჭვალული. „დიახ, რუსი მებრძოლის წაქცევა შეუძლებელია. არაჩვეულებრივი სიფიქტით იბრძვის იგი ახლა თავისი დიადი სამშობლოსათვის, იბრძვის ძმებისა და დებისათვის, იბრძვის დიადი საბჭოთა წყობილებისათვის“.

ომის ქარცეცხლი ჯერ კიდევ მძვინვარებდა, როდესაც სერაფიმოვიჩი თავისი ნაწარმოებებით გამოვიდა მშვიდობის დამცველად. ზოლო საბჭოთა ხალხის „გაშმაგებული აღდგენითი ძალის“ ასახვას მწერალმა მრავალი მოთხრობა და ნარკვევი მიუძღვნა. ასეთია მისი ნარკვევი „შემოქმედების ნიაღვარი“, მოთხრობა „ნორჩთა არმია“ და მრავალი სხვა. მწერალი თავის ნაწარმოებებში გვიჩვენებს, თუ როგორი აღფრთოვანებით, შემოქმედებითი აღმაფრენით, რა სისწრაფით იწყებენ საბჭოთა ადამიანები მტრების მიერ დაზარეული ქვეყნის აღდგენას.

მწერლის უკანასკნელი წლების მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია პორტრეტული დახასიათებანი, მოგონებანი ისტორიის დიად მოღვაწეებზე. ასეთებია „სტუმრად ლენინთან“, „ორი შეხვედრა“ (სერგო ორჯონიკიძესთან).

სიცოცხლის ბოლომდე სერაფიმოვიჩი რეალისტური ხელოვნების მტკიცე მიმდევარი იყო. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე იგი ასე არიგებდა ახალგაზრდებს: „ცხოვრება დამატრობელ სურნელებას აფრქვევს! ცხოვრება ჩვენი — ზღვის უსასრულო ცისფერი სივრცეებია! მამ კიდევ უფრო შეაჩქეთ ეს ცხოვრება, კიდევ უფრო გააფართოვეთ მისი სივრცეები!“

„ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს — კომუნისმი!“ — ამბობდა სერაფიმოვიჩი. მისი ლიტერატურული შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქვეშაირიტი დადასტურებაა ამ სიტყვებისა.

სიმონ ნავარავა

ივანე პავსკირის შემოქმედება*

გასული წლის დამლევს საქართველოს ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღინიშნა აფხაზი საბჭოთა მწერლის ივანე პავსკირის დაბადების 60 წლისთავი.

ივანე პავსკირი ავტორია ორმოცდაათამდე ლიდი და პატარა მოთხრობისა და სამი ლიდი რომანისა. მისი პროზის თემატიკა ძირითადად სოფელი და სოფლის აღმამანების ცხოვრებაა, თუმცა მისი მესამე რომანი „ერცახუს კალთებთან“ მუშათა კლასის შრომისა და ბრძოლის ეხება. ყველა მის ნაწარმოებში ძველსა და ახალს შორის ბრძოლაა, ახალის დამკვიდრება, დამოკიდებულების, კაპიტალიზმის გადმონათობების დაძლევა და ახალი, მოწინავე აღმამანების, აფხაზი ხალხის წიაღიდან გაშობილი აღმამანების კონკრეტულ, მხატვრულ სახეებში ჩვენებაა. მოთხრობებში „კარვალის თოფი“, „უშობელი“, „ქვლები“, „ყომლი“ და სხვ. მწერალი უშთაურესად აფხაზეთის რევოლუციამდე ცხოვრებას ავლენებს. მათში კარგად ჩანს რეალისტი მწერლის მახვილი თვალი.

უკვე ერთი მოხრდილი რომანის („თემირაი“), მრავალი მოთხრობისა და ნარკვევის ავტორი იყო ივ. პავსკირი, როდესაც მან ლიდი სამაშელო ომის დროს შექმნა ბრწყინვალე მოთხრობები: „ტანისტი სმირნოვი“, „ორი ცნობა“, „მწვერავლები“, „ცაცა ხამიშა“, და „სახარზობელანე“.

ომის შემდგომი პერიოდის ცხოვრებას კონკრეტულად გამოიმსახველ მოთხრობებში „ბრიჯადირი“ და „უბრტანი და ნარიკი“ მიმზიდველად არის დახატული სოფლის მეურნეობას მივნივე აღმამანების შრომითი გვიარობა. პატარა მოთხრობა „პატროსნება“ მეოთხეულში საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სიუფარულსა და კეთილბუნდობიერ დამოკიდებულებას აკვიდრებს.

შეგრამ ივ. პავსკირის შემოქმედებაში ეს მოთხრობები როდია მთავარი. მისი პროზის ძირითადსა და წამყვან ნაწარმოებებს სამი რომანი წარმოადგენს. ესენია: „თემირაი“, „ქილის ღირსება“, და „ერცახუს კალთებთან“.

„თემირაი“ პოპულარული რომანია. ამ რომანში ავტორმა რეალისტი ბელეტრისტის სერიო-

ზული ტილანტი, მაღალი გემოვნება და მოვლენებზე დაკვირვების ძლიერი უნარი გამოავლინა.

მწერალი სოფლის კარგი მცოდნეა. ეს გარემოება მას ძალიან უწყობს ხელს ღრმად ჩანწვდეს გლეხობის ყველა ფენის წარმომადგენელთა სულიერ სამყაროს, მათ მისწრაფებებსა და სურვილებს. ბრძოლა ძველსა და ახალ სამყაროს შორის ამ ნაწარმოების თვითველ თავსა და სურათში იგრძნობა.

30-იან წლებში, საკომუნურეო წყობილების შექმნის პირველ ეტაპზე, სოფლად ძალზე მწვეველ იგრძნობოდა კლასთა ბრძოლა.

ი. პავსკირმა ამ რომანში მძაფრად დავეხატა ორი მოპირდაპირე კლასის აღმამანთა ცხოვრების სურათები. ნიკიერმა მწერალმა ჩვენს წინ გადმოშალა იმ დღეპირი ცხოვრების საშინელეზა, რომელიც სულთამუთავიეით აბრზობდა მშრომელ აღმამანს წარსულში. ამ ცხოვრებიდან გამოსული და მისგან დაღდასმულია თემირაი თვანბა.

თემირაი ახალი აღმამანის ტიპის ნამდვილი განსახიერებაა, მაგრამ ამ ახალ აღმამანში წყვეული წარსულის სიმახინჯე, მისი ძველი ადამიანური თვისებები იხენენ მთელი თავისი სიმძადრით. თემირაის თვანში მოხდა დიდი ტრაგედია — თემირაის ძმა შიტა ვილყამ მოკლა. თემირაის ძველმა ადამიანურებმა ჩააგონეს, რომ მან მკვლეელი უნდა აღმოაჩინოს და ძმის სისხლი უნდა აიღოს, ეს გრძნობა ღრმად გაუქდა გულში თემირაის. ის კარგად გრძნობს, რომ მის, ახალი ცხოვრების აღმამანს, სულად არ შეეფერება სისხლის აღებაზე ფიქრიც კი, გრძნობს ამ სივლახებს, მაგრამ როგორ დასძლიოს ეს დაბრკოლება? როგორ შეიერთოს მან ძმის მკვლელის, პამათის ქალშვილი? იმდენად ძლიერია წარსულის გადმონათობების სიმძიმე და სიმწვევე, რომ ეს ასაღებარდა აღმამანი პირველად ვერ ახერხებს მისგან თავის დაღწევას. ამ საქმეში საზღვარს როდეს თამაშობს მიეკუა. იგი თემირაის მოხისხლე მტერიცა. შეამჩნევს რა თემირაის სულის ამ ტრაგედიას, თემირაის სისხლის აღებისაკენ მოუწოდებს. თემირაი დროებით ხელს იღებს შაზინის შერთავზე, მთავარ ამოცანად იხდის ძმის მკვლელის აღმოჩენას, მის მოკვლას. ეს გარემოება შაზინაზე უფლ გაველნას ახდენს.

* ნაწვეეტი მონოგრაფიიდან: „ივანე პავსკირის ცხოვრება და შემოქმედება“.

ქალი წესს, ცდილობს ჩააგონოს თემირს, ხელი აღოს ახალი დროისათვის შეუფერებელ აღათზე, მაგრამ ჭერჭერობით მიზანს ვერ აღწევს.

ქვეყნის ზრდასთან ერთად თემირიც იზრდება, მის „მე“ში ახალი ცხოვრების განმტკიცებისათვის მებრძოლი ადამიანის თვისება მწიფდება, ის გარდაქმნის გზაზე დგება, ამაში მიხას, როგორც პარტიის წარამადგენელს უდიდესი როლი შეუძლია. მისა არა თუ თვალყურის აღევნებს თემირს, არამედ მამობრივი ზრუნვით იმსჯელება მისდამი, თანდათან, მაგრამ გადაჭრით აიჭრათებს თემირის შეგნებაში ჭერ-ჭერობით კიდევ შემორჩენილ აღათ-წესების გავლენის ძალას.

რომანში საინტერესოდ არის მოცემული გლეხთა სხვადასხვა ფენების ერთიერთობა, რომელიც შეიქმნა სოფლად კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შედეგად. განსაკუთრებით მწკრივად არის ნაჩვენები თუ როგორ ცდილობენ ქვეყნის ნაძირალები ძირი გამოეთხარონ კოლმეურნეობებს, სული შეუშალონ კოლმეურნეობებში მშრომლებს გაერთიანებას.

ამ უარყოფითი ტიპების პარალელურად ნაჩვენებია კოლმეურნეობების განმტკიცებისათვის ბრძოლა. ახალი ადამიანების ზრდასა და საშუალო გლეხების მტკიცეობიდან საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე მტკიცედ დადგომის პროცესი, მიჯიქსა და მურხაყანის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანების თანდათანობით გამოფხიზლების მომენტები მკვეთრად არის გამოხატული. რომანში ნაჩვენებია პარტიის როლის გააღვივება და მისი გავლენის ძალა გლეხთა ფართო მასების დასარჩუნებად კლასობრივი მტრის წინააღმდეგ.

დიდი ინტერესით იკითხება ის თავები, სადაც მოთხრობილია გამოცვლილი, გონებრივად და სულელებად ამაღლებული თემირის მოსკოვიდან დაბრუნება სოფლად, თუ როგორ აქტიურად ჩაება თემირი სოფლად პარტიულ მუშაობაში, როგორ ამოუღვა იგი გვერდით ამხანაგებს, ამაღლებულმა მისი და შაზინას შეხვედრა.

რომანში თავიდან ბოლომდე დიდი ინტერესით იკითხება. სიტყვები გამართულია და კომპოზიციურად მტკიცედ არის შეჯერული, ადამიანები ცოცხლად და მკაფიოდ არიან გამოხატულნი, აფხაზეთის ბუნება ორგანულად არის ნაგრძობი, აფხაზეთის მდიდარი ფოლკლორი უხვად არის გამოყენებული.

ივ. პაპასკირის მეორე დიდი რომანია „ქალის ღირსება“. ეს რომანიც სოფლის ფონზე იშლება, აქაც საკოლმეურნეო ცხოვრების მოწინავე ადამიანების ბრძოლა ძველი გადმომანათლებლობა და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, მაგრამ თუ „თემირში“ პირველ პლანზეა წამოწეული მამაკაცი, „ქალის ღირსებაში“ აფხაზ ქალია საიღის ცხვრადი წამყვან მხატვრულ პერსონაჟად. მისი ბიოგრაფია უღირსად ჩამოფიქრე-

ბელი და საინტერესოა. თუ ივ. პაპასკირმა „თემირში“ კოლმეურნეობის პირველ პერიოდის ცხოვრება მოგვცა, „ქალის ღირსებაში“ იგი უფრო ფართო ტილის შინა მუშაო პერიოდის შესახებ, უფრო გრძელ — მისი რომანის გმირები სამამულო ომში მონაწილეობენ და შემდეგ იქიდან დაბრუნებული სასწაულებს ახდენენ სოფლის მუშაობაში. თუ „თემირის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, შაზინას ცხოვრების გზა უაღრესად რთული და დამბული იყო, „ქალის ღირსებაში“ მთავარი გმირი ქალის, საიღას ცხოვრება უფრო დრამატულია და ზოგ მომენტში ტრაგიკულია არის მისული, მაგრამ ისეთი კეთილშობილი ადამიანების წყალობით, როგორც არიან ლევარსა, შახსენი, მეზა და სხვა, — საიღა დაღუპვის გადაურჩება და მთელი სოფლის თვალს ხდება.

საიღასა და ლევარსას ხასიათების გამოყვეთისას მწერალს არ დაუშურებია ენერჯია, რომ ისინი სინამდვილის ნიშანდობლივი თვისებების მატარებელნი ყოფილიყვნენ. სწორედ ასეთ მაღალმხატვრულ ფორმებში არის მოცემული ამ ორი ბრწყინვალე ადამიანის ცხოვრება. ამიტომ არის, რომ მკითხველს ღრმად გონიცილის მათ გასაჭირსა და ღზინს.

მწერალი ასევე გულმოდგინედ ხატავს უარყოფით ადამიანებს. ასეთი ადამიანების ტიპურ გამოხატულებას წარმოადგენს მოხუცი აბლატა, გაიფერა, სპეკულანტი, ყოველგვარი ახლანდემო ღვარამბოა და ვესელით სავსე ადამიანი, რომელიც ნიღაბაფარებული დადის სოფლად და ცდილობს კეთილ ადამიანად მოაჩვენოს თავი ხალხს.

როცა მკითხველი თანმიმდევრულად ეცნობა საიღას ცხოვრებას, მის თავგადასავალს ომამდე, ომში და ომის შემდეგ, იგი რწმუნდება მწერლის რეალისტური ჩანაფიქრის მხატვრულ უშეალობაში. ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ საიღასაგან ჩვენ უპველად სოციალისტური შრომის გმირი უნდა მივგველო.

მესამე რომანი „ერეკლუს კალმობიან“ ორივე რომანისაგან ძირითადად იმათ განსხვავდება, რომ ამ ნაწარმოებში მწერალი მუშათა კლასის თემს შესვიდებია, რაც აფხაზურ მწერლობაში თითქმის იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

ეს რომანი თავისი მხატვრულობით, სიუჟეტის ბუნებრივი გაშლით და მასში გამოსახული ადამიანების ცოცხლად, მკაფიოდ და დამაყრებლად გამოხატვით, მკითხველთა ფართო მასების ყურადღებას იმსახურებს. ამ რომანის დიდი ღირსება ის არის, რომ იგი ინტერნაციონალური სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებია.

აფხაზები, ქართველები და რუსები ისეთი სიყვარულით არიან წარმოსახულნი, რომ გვერნებათ თითქმის ერთი დიდი ოჯახის, ერთი დედ-

მამის შეილება იყენენ. ამ აზრის სისწორეში დატყუდებულნი, როდესაც თამელ ქანბას, მოსე კობალიანის, ანთიკას, დავით ნიკოლოზისა-
 ძე შევეციონ, ჩაკუნ ზარაზისი, ნიკოლოზ შე-
 დლის და სხვათა მხატვრულ სახეებს გავიზარებთ
 რომანის მიხედვით. ამ აღმაშენებლ შორის დამ-
 ყარებული მეგობრული, ძმური, ამხანაგური,
 კოლექტიური ურთიერთობა ამ ნაწარმოებზე
 მომხიბვლელსა და სინტერესოს ხდის.

როცა ჩვენ ამ რომანის გმირების სულიერ
 სამყაროში ვიხედებით, პირველი, რაც მთავა-
 რია, გვიზიდავს მათი ნათელი, ცოცხალი სახეები
 ბი. ესედავით, რომ აღხაზი მშრომელი ახალგა-
 ზრდა კოლმეურნი გლეხი თამელ ქანბა, რომი-
 ნის ერთ-ერთი წამყვანი მხატვრული პერსონა-
 ჟი, მთავარიან სოფელ ვადალანში გაზრდილი
 ბიჭი, მდიდარი სტალიკეთებისაა. თავდაბლო-
 ბა, მოკრძალება, გულისსიმირება და თავდად-
 ბა ახასიათებს თამელს რაჟასა და საზოგადო-
 ებაში, დიდსა და პატარასთან, შრომისა და
 ბრძოლაში, სიციცხლსა და საყვარელში, დამ-
 რკობელს ვადალანსა და შრომითი წარმა-
 ტებების მოთხოვნას პროცესში.

თამელ ქანბა ბუნებრივად მიხსწრაფობდა,
 მღაღარასაკენ, ქარხნისაკენ, და კოლმეურნი
 გლეხის ეს სულიერი და აღმზიანური გარდაქმ-
 ნა-გადამტევა სამრეწველო მუშად დამაყრე-
 ბლად, ბუნებრივად აქვს გამოასხული შიგარას.
 თამელ ქანბას სახით ჩვენს თვალში დგას ცო-
 ცხალი, მოქმედი, მოაზროვნე, აქტიურად მეტრ-
 ძილი აღმზიანის რეალისტურად გამსახიერებუ-
 ლი მხატვრული სახე.

თამელის დამოკიდებულება ანთიკასადმი,
 როგორც საყვარელი აღმზიანისადმი, ამდელ-
 ვებელი, მომხიბვლელი და მისაბაძია. მათ ცოლ-
 ქრულ ურთიერთობაში ნამდვილად იგრძნობა
 კომუნისტური მოჩალის სიდიადე. თამელი ან-
 თიკას უყვარს არა მარტო, როგორც ცოლს,
 არამედ როგორც მეგობარს, დამოუკიდებელი
 აზროვნების მქონე აღმზიანს, თანამებრძოლს, ამ-
 ხანავს, საზოგადოებისათვის სასარგებლო არსე-
 ბას. ანთიკას მეგობრობაში კიდევ უფრო გაზარ-
 და და აღმაშალა თამელის აღმზიანობა საზოგა-
 დობის თვალში.

ვინც ღრმად ჩაკვირდება თამელისა და მო-
 სე კობალიანის მეგობრობასა და ურთიერთობას
 ვგი ნამდვილად დარწმუნდება თამელის კიდევ
 ერთ დამახასიათებელ თვისებაში; იგი ყველას-
 თან კეთილშობილური, მაღლადამიანური, სა-
 ზოგადობრივი ინტერესებით გამსჭვალულია.
 ნათელი გონების კაცია. იგი ტიპური გამოსა-
 ხელებია საბჭოთა ხელახლელების პერიოდში
 აღზრდილი თაობისა; მისი ბიოგრაფია ჩვენი
 საბჭოთა აღმზიანის ბიოგრაფიაა.

გაუბტური ყოფიდან მუშერ ყოფაში ვადალ-
 ლის პროცესი მექანიკური პროცესი როდია,
 ვგი დიდი აღმზიანური, ფსიქოლოგიური, გარ-

დაქმნის პროცესია, როდესაც მღგობრებობის
 და გარემოს შეცვლასთან ერთად, ქვეყნის
 შინაგანი სამყაროს შეცვლა ყველაფერს
 დობებაში აღმზიანის ფუნქციის შეცვლასთან ერთ-
 თად იცვლება მისი შინაგანი ბუნება, ხასიათი.

ამიტომ თამელის კოლმეურნიობიდან მღა-
 როში ვადალანში ერთბაშად როდი მოწყვიტა
 იგი სოფლის ცხოვრებას, აყუაიებულ მიდამო-
 ებს, კოლმეურნიებაში ღია ცისქვეშ ფუსფუსს.

მართალია, კოლმეურნიობიდან მისულმა
 თამელმა მღაღარის შესახველი კართან დატო-
 ვა სოფლის ტანსაცმელი და მღაღარის მუშის სპეც-
 სამოსით შეედა, მაგრამ მისი შინაგანი ბუნება,
 მისი წარმოდგენები, მისი ჩვეულები ერთბაშად
 უცვლელი რჩება. ახალ ვითარებაში თამელს
 ესედავით, როგორც გარემოსთან, ასევე თავის
 თავთან ბრძოლაში მყოფ აღმზიანს, რათა ამ
 წინააღმდეგობაში გამოიკვლიას და ჩამოყალიბ-
 დეს ისეთივე მოწინავე მღაღარელი მეშა თა-
 ვისი დამახასიათებელი თვისებებით, როგორი
 მოწინავე კოლმეურნი და საზოგადოებრივად
 აქტიური მეშაკეც იყო იგი სოფელად. მაგრამ
 თამელს სისუსტე აღმოაჩნდა ახალ, შეცვლილ
 გარემოსთან შეგუებაში, მოწინავე მეშად გა-
 დაქვევის პროცესში. თამელმა წიფობილია
 და დამარცხება განიცადა პირველ ხანს ბარი-
 ტის ამოღების ტექნიკის დაუფლების საქმეში
 და გამოცდილ, ტექნიკის დაუფლებულ არს
 მღაღარელ მეშასთან, დავით ნიკოლოზისაძე
 შევევთან შევიბრებაში.

სოფლად მის შეგუებაში ყველაფერი ხილ-
 ლი, გააზრებული, გაანცილი და წარმოდგენი-
 ლი იყო ისე, როგორც არსებობდნენ ისინი ბუ-
 ნებასა და სინამდვილეში. და ის, რაც ბუნებასა
 და სინამდვილეში არსებობდა, მის სულშიც
 იყო, როგორც მისი ბუნებრივი და ორგანული
 ნაწილი, მაგრამ გამოიკვალა თუ არა მისი
 ცხოვრება, გარემო, მღგობრებობა, შრომითი
 პირობები და მათი ფორმები, მღაღარე თუ არა
 ეს წლობით შეგუებული ვითარება, — დარ-
 ლე მისი სულიერი მთლიანობა და ვადალანის
 შინაგანი ყოფაში, მის მტკიცე ნებისყოფიდან
 პირველი მზარი, სისუსტის პირველი ნიშანი,
 რომლის პირველი გამოვლიანება იყო გეგმებას
 შეუსრულებლობა. შემდეგ მეგობრული კრიტი-
 კის მოთმენლობა. რუსი ოსტატის შევეკო-
 ვის დახმარების შემდეგ თამელს შრომაში
 გარდატეხა ბწყება, თუმცა პირველ ხანებში
 მაინც ვერ გეტყობდა იგი ოსტატს, მაგრამ
 დიდი წინსვლა დაეტყო, შემდეგ დავითისეულ
 ხერხებსა და მეთოდს დაუფლებული ახალგაზრ-
 და მეშა თავის მასწავლებელს დაეწია და კი-
 დევეც გააქსწრა, როგორც ამას მოხუცა
 უწინასწარმეტყველებდა.

ეს იყო დიდი ზემოე როგორც თამელსათვის,
 ისე მთელი მეშათა კოლექტივისათვის და
 ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალისათვის, ვინსა-

კეთრებით დავით ნიკოლოზისძესათვის. ამით დასრულდა თამელის სამეფო მემად ვარ-
დაქმნის პროცესი.

დიდბუნოვანი რუსი ადამიანის შესანიშნავი
სახე მოგვცა მწერალმა დავით ნიკოლოზს ძე
შეცუციის სახით. შეცუციე მოწინავე რუსი
მემა, მისი ხასიათი, მისი თვისება, მისი სიბ-
ღისაყენ მიმავალი გზა ტიპური გამოსახულებ-
ბა თანამედროვე საბჭოთა მემისა. დავით ნი-
კოლოზის ძის თამელისადმი ურთიერთობაში
ჩვენ მკაფიოდ ვივარაუდებთ რუსი ადამიანის ძს
მალალი ბუნება და მოთაღი, რომელიც ასე
დამახასიათებელია დღეს ამ დიდი ხალხის შეი-
ღებისათვის. მოხუცი ოსტატი, როგორც მამა,
როგორც მეგობარი, როგორც ძმა და, როგორც
დინჯი, აუღვლეველი, გამოცდილი მასწავლე-
ბელი ისე ეპყრობა თამელს. აგი ასე აწრთობდა
შრომაში თამელს, როგორც დიდოსტატი თავის
შეგობრდს, როგორც მამა თავის ღებოდ შეიღს.

თამელ ქანბას ცხოვრებაში, მის წინსვლასა
და განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს ნი-
კოლოზ შეგობად და მოხე კობალიანმა, ამ ორმა
შესანიშნავმა ქართველმა ადამიანმა, რომელთა
აზრებასა და ფიქრებში, მოქმედებასა და ვანსად
სურვილებში მთელი ქართველი ხალხის ფიქრ-
ები და აზრები ივრძნობა.

ავტორის ამ ორი ადამიანის შინაგანი სამყარო
ისე ფართოდ გაუხსნია, წარმოუხსნავეს და გადა-
უშლია, როგორი წარმოდგენაც აქვს მას, რო-
გორც შემოქმედსა და მოაზროვნეს ამ ხალხზე
მწერალს მათი სახით დაუხატავს ქართველი
მოწინავე ადამიანის ტიპური, სახე და მათში
ჩაღქმულია ის მალალი ადამიანური თვისება,
შრომისადმი სიყვარული, პროგრესისაყენ ღტო-
ლვა და ფართო თვალთახედვა, რომელიც ასე
დამახასიათებელია ქართველი საბჭოთა ადამიან-
ისათვის.

ეს ორი ადამიანი, ეს ორი ტიპი ავტორის
ქანსად განწყობილებაზე შეტყუვლებს. ეს მომე-
ნტი ხანგამით უნდა აღინიშნოს, რადგან ასე
დადებითად და ცოცხლად მოხაზული ტიპები
არც თუ ისე ბევრია აფხაზურ ლიტერატურაში.

ამგვარიად, ა. პაპასკირმა ამ რომანის („ერც-
ხუს კალთებში“) სახით, რომელიც მშენებრი

ქართულით თარგმნა ახალგაზრდა მწერალმა
მირიან ცაილიამ, მნიშვნელოვანი წილია შე-
იტანი როგორც აფხაზურ მწერლობაში, ისე
ჩვენს დიდ საბჭოთა ლიტერატურაში.

ა. პაპასკირი ზედმიწევნით ნაყოფიერი მწე-
რალია, მისი შემოქმედება საქმიოდ არის ცნობი-
ლი საქართველოს ვარეაღ. ამას ადასტურებს
ას უამრავი წერილები და გამოცხადებები, რო-
მელსაც ავტორი ღებულობს, მკითხველებისაყენ.
ის დიდი გამოხმარება, რომელიც მისი რომანე-
ბის საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენებ-
ზე თარგმნამ გამოიწვია, ძალზე დამახასიათებე-
ლია და მწერლის დიდ პოპულარობაზე შეტყუ-
ვლებს.

ქართველი მკითხველები დიდად აფასებენ
აფხაზ პაპასკირის შემოქმედებას. მის მოთხრო-
ბებსა და რომანებზე რამდენიმე კარგი წერი-
ლია დაბეჭდილი ქართველი კრიტიკოსების
მიერ. საუბილერ დღეებში გიორგი ნატროშვი-
ლი წერდა „ლიტერატურულ ვაზეთში“. „აფხაზ
პაპასკირი ოქდაათი წლის წინ გამოვიდა სამ-
წერლო ასარეზზე და ამ ხნის განმავლობაში
ბევრი კარგი ნაწარმოები შესძინა აფხაზურ
პროზას. მთავარი ის არის, რომ მან შეციც
ხაფუძველი ჩაუყარა აფხაზურ რომანს და გაუ-
კათა გზა მას“.

მართლაც, იგი აფხაზური პროზის ერთ-ერთი
ფუძემდებელია.

აფხაზური საბჭოთა პროზა დღითიდღე ვი-
თარდება. მის განვითარებაში, გარდა დიმიტრი
გულიასა და ივ. პაპასკირისა, მნიშვნელოვანი
წილი მიუძღვით გამოჩენილ (ან ვარდაცე-
ლილ) მწერლებს ს. ქანბასა და პ. აგუშას.
სამსონ ქანბა ივ. პაპასკირის მასწავლებელი
იყო, როგორც სკოლაში ასევე მწერლობაშიც.

ივ. პაპასკირის თანამედროვეთაყენ აქტურად
მუშაობენ პროზაში ლაკერბაი, ა. ჟონუა, კ.
ლოშია, ივ. თარბა, ა. ღერჯუა და სხვები,
მაგრამ მათგან ვანსხვაეობით ივ. პაპასკირის
პროზა გამოირჩევა, როგორც ძარღვიანი, დინ-
ჯი, მაგრამ ამავე ღროს შინაგანი ცეცხლითა
და დიდი სელიერი სიღამაპით შემკობილი შე-
უენელებელი მოთხრობა აფხაზ ხალხის ცხოვ-
რებაზე.

პაპი ხნთიგია

ღმისს დამოუკიდებელი სახეობა

ქართულ ლექსზე დაკვირვება სრულიად უცვლელ ხდის, რომ სილაბურობა, რომელიც ტაქტებში მარცვალთა რაოდენობის თანაბრობას გულისხმობს, ვერ ამოსწურავს მისი ბუნების მრავალმხრიობას.

სხვა რომ არა იყოს, წმინდა სილაბურობის თეორიით ვერ ავსნით იმ გარემოებას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი უცვლელი მეტრი — თექვსმეტმარცვლიანი შაირი — ტერფთა სხვადასხვაობის გამო — ორი, ერთმანეთთანაგან დიდად განსხვავებული რიტმული წყობის და, აქედან გამომდინარე, ლექსის ორი სხვადასხვა სახეობის — მაღალი და დაბალი შაირის შემადგენელია.

მაგრამ არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც. ერთ-ერთი ამათავანია ჰეტერომეტრობა — სხვადასხვა ზომის ტაქტების გაერთიანება სტრაფში. სილაბური ლექსი იზომეტრულია, მარცვალთა რაოდენობა სტროფის ყველა ტაქტში ერთნაირია. ძირითადად ასეთივე იყო ტრადიციული ქართული ლექსიც, მაგრამ, ამასთან ერთად, მასში იმთავითვე შეინიშნებოდა არათანაზომიერ ტაქტთა გაერთიანების ტენდენცია. თავი რომ დავანებოთ ძველ სასულიერო პოეზიას, ამის ნიმუშებს ვხვდებით აღორძინების ხანის შვერლობაშიც. მაგალითად, ზეინის აზრით, შამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკში“ ფიქსირებული ე. წ. „გრძელი შაირი სამკვეთი“ არის არა ოცდაათმარცვლიანი იზომეტრული ლექსი, არამედ ჰეტერომეტრული წყობის სახეობა — თექვსმეტმარცვლადი რვა-მარცვლდთან:

კაცსა უნდა: ამ სოფელსა არ მიყევს და არ აქოსა,

კანწმოროს, განაგდოსა,

წყარღების გეენიას დაუშრტისა,

ანავზნება,

აიჟღაშოდ არ ანდოსა.

თავი მკრძალად, სული მრთელად შეინახოს, არა ჰყოსა,

წაშენდელი არანდოსა;

ღებობა, რომელიცა ეურჩების სიამოვნეს

ამ წლთისა არახდროსა.

ნიუნედავად იმისა, რომ ეს ლექსი მამუკას ოცდაათმარცვლიანად აქვს გააზრებული, მისი მეტრული სტრუქტურა უფლებას არ გვაძლევს უპოტყვოდ მივიხედოთ ქართული პოეტრიის მამა თბი მუხლის ჩათავების შემდეგ აქ ძალაუნებურად იბადება ახალი ტაქტის დაწყების აუცილებლობა. ქორეულ-პეონური წყობის თექვსმეტმარცვლადი და ქორეულ-დაპტილური წყობის ოცმარცვლდზე უგრძეს ლექსს ქართული მეტრიკა არ იცნობს. ჰეტერომეტრიკის ეს სახეობა თექვსმეტმარცვლადი რვა-მარცვლდთან, ტერფთა ამგვარივე განლაგებით, უცხო არ არის, საერთოდ ქართული ლექსისათვის:

როცა შეუი ვარდისფერი, ვარდისფერი,

დაიღვარა განათიღვზე. მორცხვი, ნახი,

(გ. ტაბაძე, „ღანდი არაქვეყნიური“).

ჰეტერომეტრული სტროფი უმეტესად გულისხმობს ორი სხვადასხვა ზომის ტაქტის კანონზომიერ მთავრელობას. გ. ტაბაძის „ეს მძინარე მთა და ველი“ დაწერილია ჰეტერომეტრიკის სახეობით — რვა-მარცვლადი შედმარცვლდთან; ყოველი კენტი ტაქტი რვა-მარცვლიანი, ლუწი — შედმარცვლიანი:

შუწხარებავ, როგორც გველი,

ხმარად გულში გამიარ.

ეს მძინარე მთა და ველი

იყოს მრავალგამიერ.

ამასთან ერთად, ჰეტერომეტრულ სტროფში დასაშვებია არათანაზომიერი ტაქტების ყოველგვარი კომბინაცია, თუ კი სტროფის რიტმული მთლიანობა არაა დარღვეული. ჰეტერომეტრული საზომითაა შესრულებული, მაგალითად, დ. გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი“. რომლის ყოველი სტროფის ხუთი ტაქტიდან პირველი-მეორე ამმარცვლიანია, მესამე-მეოთხე-ექვსმარცვლიანი, ხოლო მეხუთე — ხუთმარცვლიანი, რითმითა ამგვარი კომბინაციით — aabbc:

ზამთარს წახედა აჲ ჰარნახელი;
 ზურმუხტის ტატხედ დაჲდა ზაფხული.
 შემოკრბენ უოველინი
 მუნ სულნი ცხოველნი
 და მიულოცეს.

როცა ეს წყობა უცვლელად გაიდაღის სტროფიდან სტროფში და სისტემის სახით გასდევს ლექსს, ნათლად გამოკვეთილი რიტმული სტროფი მეტრულ ჩარჩოებში ემწყვდევება და სტროფი ლექსის საზოგადოებრივ ფუნქციას კისრულობს.

ჭარბული პეტერომეტრიკა მდიდარია მსგავსი მოვლენებით, ხოლო შესაძლებლობანი კიდევ მეტი.

გვიჩვენებს გამოკვეთილ პეტერომეტრული სტროფების ერთი კატეგორია, რომელიც შემდეგად სიერითი კანონზომიერებით ხასიათდება: ოთხტაბიანი სტროფებში განხვევებული ზომისაა მხოლოდ ერთი ტაბი.

პეტერომეტრიკის ამ კატეგორიაში ემყვება ს. ს. ორბელიანის „უცხო“ და მეტრული სტრუქტურით მისი შესაბამისი ლექსი „ნარგოზოვნიდან“ — „ქართლი მშვენიერია“, რომელიც სტროფებში პირველი სამი ტაბი ათმარცვლიანია, ხოლო მეოთხე — ცამეტმარცვლიანი:

გტრფიალებ, მზეო, თუ შენკენ მზეო,
 ერთხელ მისმინე, ორჯერ, სამზეო,
 ვერა ეცან შენი გონება, ზნეო.
 ჰქვან მას სახელად ქართლი მშენიერია.

ეს უჩანახელე ტაბი, რომელიც სტროფის რითმითა ფერხულიდანაც გამოითმელება, რეფრენული ხასიათისაა და უცვლელად მეორდება ყოველი სტროფის ბოლოს.

უცხო სწორად განხვევებული ზომის ტაბი მელნიკლი ან ტერფინკლია: შეკვეცილია მარცვლებით, ტერფებით, მუხლებით; ხან ტაბის ნაცვლად ნახევარტაბია დაჩენილი, ხან არც ისაა სრული. ეს კვეცადობა შესაძლებელია მოხდეს სტროფის თავშიც, ბოლოშიც და შიგნითაც.

გ. ტაბის ათმარცვლიან ლექსში „ცხრაას თერამეტი“ პირველი ტაბი ხუთი მარცვლითაა წარმოდგენილი:

მამხოც ნეინი,—
 აჲ მარტოობა და სინანული.

1. პროფ. ა. გაწერელიამ სრულყოფილად დაახასიათა ქართულ კლასიკურ ლექსში გამოვლენილი პეტერომეტრული სტროფების სახესხვაობანი (იხ. „ქართული კლასიკური ლექსი“, 1953, გვ. 229-237).

დაგვეხსენ ღამით მოთარგმენი
 და ომი ატყდა პარტიზანული.
 უფრო გაერცელებულია
 კვეცადობა:

„რგალის ქება“ მოთერთია ქონდაქარსა,
 ცეცხლს ავზნებდა კაცთა ვრწმობის
 ქონდაქარი...
 ზე მიქონდა, ღრუბლისაყენ, ცეცხლი
 ქარსა,
 ქრიდა ქარი...
 (ა. კალანდაძე, „ქეთევან დედოფალი“).

შეკვეცილი ტაბები ორგანულ მთლიანობაშია სტროფთან. შეკვეცა მოხდა არა თვითნებურად, არამედ რიტმული კანონზომიერების დაცვით. ტაბი შეწყვეტილი იქნა ცუხურის ხაზთან, ე. ი. იქ, სადაც მეტრულა პაუზა შეჩერების საშუალებას იძლეოდა. ამასთან ერთად, საუფრადღებოა ისიც, რომ, მოთვლილენი შეწყვეტის მოხუდად, ტაბი გაერთიანევი არ დაჩენილა. უოველიდე ეს იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ წარმოდგენილი სტროფები ერთი მთლიანი რიტმული ერთეულებია, რომლებიც მეტრული სქემის შექმნის საფუძვლად იძლევიან.

პეტერომეტრული საზომების ამ კატეგორიაში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიქცევი ისეთმა ოთხტაბიანმა სტროფებმა, რომლებშიც განსხვავებულია ზომისაა მესამე ტაბი:

სურამისა ცხე,
 სურავილითა ვნახე.
 ჩემი შეილა ზურაბი
 კარგად შემინახე.

(ხალხური).

აჲ საჲმე ვაჲქს მეტიდ ბუნებრივ, ძალდაუტანებელ რიტმულ წყობასთან, რომელიც ოდნავი ამადლებით მესამე ტაბში და შემდეგ ისევ დაბლმ დასვლით. სასიამოვნო მუსიკალურ შეგრძნებას იწვევს. შესაფერისი ნიმუშები სხედასხეა ვარიაციით მრავლად აღმოჩნდა, განსაკუთრებით, ჩვენს ხალხურ პოეზიაში.

თუ ზევი, ექვსმარცვლიან ლექსში მესამე ტაბი შეიდმარცვლიანი იყო, კვეცმომოტანილ მაგალითში შეიდმარცვლიანი ლექსის მესამე ტაბი რვამარცვლიანია:

აღზანი დილია,
 შეგ ზებერი ჰკილია.
 პური ვოხოვე, არ მუჰამა,
 ჩემი ცოლდა ჰკილია.

(ხალხური).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორსავე შემთხვევაში ტაბები გათანაბრებულია ვიფიქრე-

რი სმოვნით ო, რაც ასე დიშახლიათებულა
ხალხური ლექსისათვის.

სურამისა ციხეო,
სურელითა ვნახეო.
ზეში შვილი ზურაბი
კარგად შეშინახეო.

ანდა:

ილაზანი დიდაო,
შიგ ბებერი ჰქიდაო.
პური ეთხოვე, არ მშკამა,
ჩემი ცოდვა ჰქიდაო.

ამგვარი ეპოსის საფუძველი უხათუოდ არსე-
ბობს. ხალხურ ლექსში არის შემთხვევები,
როცა ერთი და იგივე სტროფი ხან ო — ემ-
ფატიკური სმოვნითაა წარმოდგენილი, ხან კი
— მის გარეშე. მაგალითად, ცნობილი ხალხუ-
რი ლექსა —

თებერვალი დადგა,
ზეში წყალი ჩადგა,
ჩიტმა ჩიორამა
საძირკველი გადგა —

ამგვარი სახითაც არაერთხელ შეგვხვედრია:

თებერვალი დადგაო,
ზეში წყალი ჩადგაო.
ჩიტმა ჩიორამაო
საძირკველი გადგაო!

თუმცა ეს ანალოგია მთლად ზუსტი ვერაა.
ამ უკანასკნელ შემთხვევაში ემფატიკური სმო-
ვნის სტროფის ოთხსავე ტაქსს ვრთვიხ. წინა
მაგალიტებში კი იგი უნდა მივმართო მხო-
ლოდ სამ ტაქსს მეოთხესთან გათიანბრებისათ-
ვის. ამასთან ერთად, უფრო საყურადღებოა ის
გარემოება, რომ ამ სახეობის ზოგიერთ ნი-
მუშში, მიმართებით ფორმის გამო, ო ემფატი-
კური სმოვნის არსებობა საერთოდ გამორიცხუ-
ლია. ამის ნათელი ილუსტრაციაა ხალხური სა-
ბავშვო ლექსი:

ანუ, ანუ, ცხენო,
შე კუდმოსაჭრელო.
უნაგირი ვერ ვიშოვე,
როგორ გაგაქენოშ.

1. ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი,
1938, გვ. 50.
2. საინტერესოა ისიც აღინიშნოს, რომ ამ ლექ-
სის ვარიანტულ სხვაობებში მეტრული სტრუქ-
ტურა უცვლელია (იხ. ქს. სიხარულიძის საბავ-
შვო ფოლკლორი, გვ. 35).

პირველ, მეორე და მეოთხე ტაქტებზე ო —
სმოვნის დამატება აქ უკონაღ გვემართება
იქნებოდა. მაგრამ ესეც ტრადიციული
იყოს, ამით ტაქტების გათანაბრება მაინც ვერ
ხერხდება, რადგან ამ მაგალითში მესამე რვა-
მარცვლიანი ტაქტი ორი მარცვლით უგრძესია
სტროფის დანარჩენ ტაქტებზე. მეტობა შესაძ-
ლებელია სამი მარცვლითაც: ხალხურ ლექს-
სიმღერებში ჩვეულებრივი და გაერცვლებულია
ხუთმარცვლები მესამე რვა მარცვლიანი ტაქ-
ტით.¹

ამასთან ერთად, ზოგჯერ მესამე ტაქტი და-
ნარჩენებზე უგრძესია მაშინაც კი, როცა ეს
უკანასკნელი ო ემფატიკური სმოვნით არიან
წარმოდგენილი:

ვაი, ჩემო ქისაო,
ოჭროს ქსოვილისაო!
შეგ ნადები საქონელი —
ფსი საშოთხისაო.²

ამრიგად, პეტრომეტრული სახეობის აღნიშ-
ნული სახეობის არსებობა ეპოსს არ იწვევს. ეს
წყობა ხალხური ლექსწყობიდან შესული და
გაერცვლებულია ზევს ლიტერატურაშიც. აქ
წერეთლის ლექს „ხალხური“-ს პირველი
სტროფის შეიღმარცვლიან ტაქტებში მესამე
ტაქტი რვა მარცვლიანია:

შინდვრად ეგდო თეთრი ქვა,
დაჯვარ ზელი, თან ამყევა.
ქაღო, შენი სიფარული,
სადაც წაველ, თან წამყევა.

ეს წყობა დღესაც არაიშვითად იხმარება.
ახალგაზრდა პოეტის მ. ფოცხიშვილის ლექსე-
ბის წიგნში მისი რამდენიმე ნიმუში ვნახეთ,
ეგრძელ:

ილზათ ვიციენებ ბევრს,
ილზათ ვიტარებთ ბევრს,
დრო, როგორც თეთრი ზამთარი,
შეებარება თმებს.

(„ველი დაემებს გულს“).

ორივე სტროფი ხალხური ლექსის ყაიდაზეა
გამართული და უნდა ვიფაროდეთ, რომ მარ-
ცვლომეტობა მესამე ტაქტში მათ გადმოყო-
ლილი აქვთ ხალხური ლექსწყობიდან. მაგრამ
საგულისხმოა ის გარემოება, რომ მსგავსი მოვ-
ლენა დიდსტრუქტურულია ისეთ ლექსებში, რო-

1. ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი,
გვ. 40.
2. ძველი საქართველო, ტ. I, 1909 წ., IV
განყოფილება, გვ. 74.

მელთაც ხალხურთან არავითარი კავშირი არა აქვთ:

დათოვლილი სავანე,
თან სურვილი გვიანი.
რჩება ოდნავ დასანანი
ეს ღღებები მზიანი.
(ტ. გ რ ა ნ ე ლ ი, „განშორების ლოდები“).

ამ ტიპის ხალხურ ლექსებში რითმა ან ინტონაციონია (ახეს), ანდა სამუა (ახა), უვარედინი გართობა (ახა), თანაც კონსონანსური რითმა (სავანე-დასანანი) ამ სტროფს ხალხური ლექსწყობისაგან სავსებით შიშნავს.

ლექსის ამ სახეობის თავისებურებას, უპირველესად ყოვლისა, განსხვავებული ზომის შესამე ტაქსი კმწისს. მარცვალმეტრობა შესამე ტაქსში ლექსის რიტმულ რხევადობაზე დადებითად მოქმედებს. ეს გადასვლები მოკლე ტაქსიდან გრძელზე და შემდეგ კვლავ მოკლეზე, რიტმს მოძრავსა და ელასტიურს ხდის. შესამე ტაქსთან შეფერხებული ერთიანი რიტმული დინება შემდეგ ისევ ძველ კალაპორტში სწორდება. ეს „პრორომი“ სენისათვის ადვილად შესამჩნევია; იგი, როგორც განსხვავებული დინება, განსხვავებული რიტმული ნიუანსი, მაშინვე თვალში ეცემა მკითხველს, რომელიც, თავისდაუნებურად, განსაკუთრებული ინტერესით აკვირდება ამ გრძელ ტაქსს. ოთხ-ტაქსიან სტროფში ამგვარი ოპერაციისათვის ყველაზე ხელსაყრელი ადგილი სწორედ შესამე ტაქსია. მას შემდეგ, რაც პირველ-ორ ტაქსში შესაგისი ერთეულების კანონზომიერება გამოვლინდება სისტემის სახე მიიღო, როცა გამოიკვეთა რიტმული სურათი, მელოდია, რიტმის გამოცემა შესამე ტაქსში ლექსის პარამონიას ვეღარ აზიანებს. მით უმეტეს, რომ ბოლო ტაქსში რიტმი ისევ სწორდება. სტროფის შიგნით მოქცეული რიტმული „უწყობრიობა“ მის ფარგლებშივე რჩება, ვარჯეთ აღარ გამოდის. მუსიკალური თვალსაზრისით ეს მოვლენა გაიგება, როგორც სმის ოდნავი ვაგრაჟლება, მეტრულდენი წამლვრება, რაც ასე დაამახასიათებელია ჩვენი ხალხური ლექს-სიმღერებისათვის. ოთხ-ტაქსიან ხალხურ სტროფებში მისამღერები ჩვეულებრივად შესამე ტაქსს ერთვის:

რაც შენ წახველ, ჩემო ქმარო,
თვალზე ძილი არ მქონია,
ყოველ ღამე საუვარელი, **გაფიცავი,**
სამზე მეტი არ მყოლია.

ამ წყობის ბუნებრიობას ისიც განაპირობებს, რომ, ზომის სხვადასხვაობის მიუხედავად, სტროფის ყველა ტაქსი ერთ რიტმულ პრინციპზეა აგებული. ტერფთა ხასიათი ყველა ტაქსში ერთნაირია. სტროფი — „აჲ, აჲ, ცხენო“ ქორეულ-პეონურა ტერფებითაა შეს-

რულბული (2/4). ამის შესაბამისად მესამე ტაქსშიც მაღალი შაირისაა (4/4). ზუსტად ასევე მეტრული კონსტრუქციის სტროფში მაქსიმალური (2/3/1), რის გამოც შესამე ტაქსი რეპარაციულიან დაბალ შაირს ქმნის (3/5).

ტერფთა განსხვავებულობა მეტრულად განსხვავებულ ტაქსს, ორმაგი დატვირთვის გამო სტროფის საერთო რიტმული დინებიდან ამოაგდებდა. ამის ნიშნება ტ. გრანელის ქვემოთმოყვანილი სტროფი, რომელშიაც შესამე ტაქსი არა მარტო უგრძესია დანარჩენებზე, არამედ მათგან განსხვავებულია ტერფთა ხასიათითაც:

მაღე გავა ზამთარი,
გეონი ვნახავ ვაზფხულს.
ღამე სწვავს, როგორც აფთარი,
სულს, ლექსებში დამარბულს.
(„გ ა ნ შ ო რ ბ ე ს ლ ო დ ე ბ ა“).

მეტრული თანაზომიერების შემთხვევაში კი შესამე ტაქსის განსხვავებული ტერფობრივი შედგენილობა ქართულ ლექსში ჩვეულებრივი მოვლენაა. რეპარაციულიან მაღალი შაირით შესრულებულ სტროფში შესამე ტაქსი ხშირად დაბალი შაირისაა:

ერთს დედაბერ-მამაბერსა,
გასოვს, ჩვენ რომ შევეყარეთ,
გავციცხეთ საცოდავები
და სიცილი დავაყარეთ?
(ა. წერეთელი, „დედაბერ-მამაბერი“).
ინდი:
პოპონა! აგზე! აგზე!
ბიჟო, ჩემი მკაცა ნახე,
და თუ შენ მაში ჩამოგრიე,
ქალაჩუნა დამიძახე.
(ა. წერეთელი „სიმღერა მკის დროს“).

მართალია, აქ ორსავე შემთხვევაში შესამე ტაქსის ზომა იგივე დარჩა, მაგრამ ტერფთა ხასიათის შეცვლის გამო რიტმული სხვაობა საგრძნობია.

საყურადღებოა ის ვარაუდიც, რომ თუ ამგვარი ცვლილება მაღალი შაირის სტროფის შესამე ტაქსში თითქმის ყოველთვის ნორმალურად გვეჩვენება, სხვა ტაქსებში იგი უმეტესად რიტმული დეფექტის შთაბეჭდილებას ტოვებს:

მაგრამ იქით წასულები
აღარცინ დაგვბრუნებია...
ეტყობა, რომ ემერეთი
ყველას დაუწუნებია.
(ა. წერეთელი, „აჭედან და ციმიბრამდე“).

აქაც დაახლოებით იმავე სურათს ვღებულობთ, რაც მესამე ტაეპის მეტრული განსხვავებულობის შემთხვევაში გვქონდა. პირველთა სტროფის რიტმის გამოცემა არა თუ ენებს, თითქოსდა კიდევ უხდება, მაშინ როცა მესამე სტროფში იგი სასიამოვნო შთაბეჭდილებას აღარ ტოვებს. საქმე ისაა, რომ მესამე სტროფში რიტმი მინამღე შეიცვალა, სანამ ერთი გარკვეული მელოდია გამოიყვებოდა.

მეტრომეტრული წყობის აღნიშნულ სახეობასთან მქოდროდაა აგრეთვე დაკავშირებული ხალხურ ლექსში გავრცელებული სამფა რითმინობა (aaba). თანახმოიერი ტაეპები ერთი რითმით არიან გაერთიანებულნი, განსხვავებული ზომის ტაეპი კი ურითმოა. ამის ილუსტრაციას წარმოადგენს ჩვენს მიერ უკვე ციტირებული სტროფები: „ალაზანი დიდია“, „ეპი ჩემო ქისია“ და სხვ.

მეტრულად თანახმოიერი ტაეპების ერთი რითმით გაერთიანება თანახმოიერ ტაეპთა ურთიერთ კავშირს აძლიერებს, კანონზომიერების განწყობილებას ბადებს, პარამონიულობას ზრდის. ამავე ძალით იგი ხელს უწყობს მეტრულად განსხვავებულ და ურითმოდ დარჩენილ ტაეპის გამოყოფასა და ხაზგასმას.

სამფა რითმინობა ტაეპთა თანახმოიერების შემთხვევაშიც კი ხელს უწყობს სტროფის რითმითა პარამონიაში ურითმოდ დარჩენილ მესამე ტაეპის ინტონაციურ განსხვავებულობას:

საიდუმლო ბარათო,
ვითბრეს: ექმენ მარადო
სიხარულის მომნივედ,
და სვედისა ფარადო.

(ა კ ა კ ი)

ეს მოვლენა, მიუხედავად თვისობრივი სხვაობისა, დაახლოებით იმავე ზემოქმედებითა ნიშნით ხასიათდება, როგორც გვქონდა ტაეპთა საერთო თანახმოიერებაში მესამე განსხვავებული ტაეპის დროს (ცხადია, ამ ორი მოშენების მთლიანი ვათანაბრება არ შეიძლება. ტაეპის ინტონაციური გამოყოფისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს მის მეტრულ სხვაობას, ვიდრე ურითმობას).

საინტერესოა თვით პოეტის, შემოქმედის და-

მოკიდებულება ამ მოვლენისადმი. შევხებუ-ლია იმის თქმა, რომ ამ შემთხვევაში პოეტს მხოლოდ რიტმული ფაქტორი ამოწვევდეს. ჩვენი აზრით, მესამე ტაეპის მეტრული განსხვავებულობის აღკვეთლობა უპირატესად მაშინ იბალება, როცა სტროფისათვის დამახასიათებელი შინაარსის შემცველი სიტყვების ჩვეუ-ფერ თავსდება წინააღმდეგობაში მოზომილ ჩარჩო-ში. პოეტის მიერ დაწყებულმა საუბარმა ბუნებრივად მოიტანა მესამე ტაეპში ლოგიკურ-ემოციური თვალსაზრისით გამახვილებული გა-მოთქმა, რომელიც სიდიდის გამო ვერ ჩაერთა ტაეპის ფარგალში. ამავე დროს, პოეტმა იცის, რომ მესამე ტაეპი ითმენს მარცვალთა მეტო-ბას. გამომდინარე აქედან, იგი უყოყმანოდ „არღვევს“ სტროფის მეტრულ სტრუქტურას, რითაც ხელს უწყობს თავისთავად საინტერესო შინაარსის შემოწე მესამე ტაეპის ინტონა-ციურ ხაზგასმას.

ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულ სტროფე-ში მესამე ტაეპი დანარჩენი ტაეპებისაგან თითქმის ყოველთვის გამოირჩევა თავისი განსაკუთრებული შინაარსით. „ალაზანი დიდიას“ მესამე ტაეპი ამ სტროფის ლოგიკური დატოვრ-თვის ცენტრს წარმოადგენს. აქ ახსნილია თუ რა ცოდვა ჰქილია ალაზანში თავიქე ჩაკიდებულ ბებერს. ირკვევა, რომ ბებერი ძუნწი ყოფილა — „პური ვთხოვე, არ მავამა“. დედის განსა-კუთრებული გრძნობები იმიტომაა მიმართულა შურამის ციხისაკენ, რომ იქ საკუთარი შვილი ვგულება („ჩემი შვილი ზურაბი“).

ამრიგად, ლირიკულ ლექსებში ოთხტაეპიანი სტროფის მესამე ტაეპი თავისი აღგვიმდებარეობის გამო ეფემტურ საშუალებას იძლევა პოეტური ფრაზის ლოგიკურ-ემოციური გამახ-ვილებისათვის.

საერთოდ, ოთხტაეპიანი სტროფებში მესამე ტაეპის მარცვალმეტობა სტროფის საერთო რიტმიკის დაცვით, დამოუკიდებელი მეტრული სქემის არსებობის მაუწყებელია; იგი თავისებური და მოქნილი ფორმაა ლირიკული განწყობილების გადმოსაცემად, გავრცელებულია ჩვენს პოეზიაში და შეტანილ უნდა იქნას პეტრომეტრული საზომების რიცხვში, მინიმუმ იქნას ქართული ლექსის დამოუკიდებელ სახეობად.

პედაგოგიკა
მეცნიერება

ჩვენს ხელთ არის დავით მიქელაძის ხელნაწერი (რუსულად), რომელზეც აწერია: „პედოგოგიკა. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს“. — ეს გაბედული და მკვერტი პედაგოგიკური დოკუმენტი ჩვენი მგზნებარე მოღვაწის პატრიოტული სულისკვეთებისა. „დასაყვამ სპეციალურად თავადანაწერობა, რომელიც შორეულ კრებაზე შეიყარა, უსაზღვრო პატრიოტული მისა და ალტაყების გრძნობით მისაღება რუსი ხალხის წარმომადგენლებს, გაბედულად და თანაზომიერად რომ იცავენ თავისუფლებასა და სამართალს“. ამ ფრთხილ და ოფიციალური მიმართვისათვის აუცილებელი თავანაწერების გამოხატვის შემდეგ მიქელაძე გაბედულად დაპირაკობს თავარის სასახლეში მომხდარ „დიდ განხეთქილებაზე“, რომლის შემდეგაც „მთავრობა აღმათ გაიგებს, ბოლოს და ბოლოს, თავისი აღტრბობის მთელს უპარობას და აღარ შეეცდება დამორტოს ამომავალი განთავის შეუქი“. ამხელ მერის თქმა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მისამართით თითქოს ძნელია, მაგრამ დავით მიქელაძე მერსაც ამბობს: იმედოვნებს, რომ „მომე საუკუნო ომდები, რაც ჩადუნია მოარობას რუსი და საგსებით ასევე რუსეთის ხალხების წინაშე, (ხაზი ჩვენმა, გ. მ.) გამოსწორებული იქნება პირველი რუსული წარმომადგენლობითი კრების მიერ“.

ცხადია, დ. მიქელაძემ არ იცოდა სათათბიროს ნამდვილი არსი, მაგრამ ის იბრძოდა ისე, როგორც ესმოდა და როგორც მოცემული ვითარება ამის საშუალებას აძლევდა, იბრძოდა, როგორც თავისუფლების რაინდი, პუბლიცისტი, დემოკრატი.

„გათელილი, დასერილი, თავის უკეთეს გრძნობებში შეერაცხეიფილი საქართველოსის მომე ხალხის რჩეულთაგან, რომ მინიკებენ მას ავტონომიურ დემოკრატიულ მმართველობას, თავის დიდ მშობლიურ რეხეთთან პოლიტიკური ერთიანობის საფუძველზე“, — ასეთი გაბედული და თანაც შორსმკვრივებული სიტყვებით თავდება მიმართვა,

რომელიც დავით მიქელაძის კალმითაა დაწერილი.

სწორედ ხალხის „გათელვა, გასრება“ და დამონება მიანიდა დ. მიქელაძეს ეკონომიური სილატაკის მიზნად.

მაგალითად, როცა „ივერიამი“ მველე ეგება რუსეთში შიმშილის მიზნებს, აკრიტიკებს გერმანულ ავტორს პიმელტერს, რომელიც რუსეთში შიმშილის ძირითად მიზნად „ხნეობის სიმეიტრესა და უტაქტობას“ თვლის, და ასახელებს შიმშილობის ძირითად მიზნებს: ბუნების პირობებს, გზებს, ეკონომიურ მდგომარეობას, პოლიტიკურ წყობას ქვეყნისას. მველე თვლის, რომ სახელმწიფო მოღვაწეს — მვეს თუ პრეზიდენტს — უარესად მაღალი შეგნება, ქვეა და სინდისი მოეთხოვება, რადგან „უყოფი შეცდომა და შეცოდება ვრის წინაშე მთელის თავის სიმძიმით უმთავრესად მის დაატყდება თავს“ მამხე მოუთითებს, მაგალითად, იმ სტატიაში, რომელიც სერბების ქაბუკი მვეს ალექსანდრეს მიერ ძალაუფლების ხელში ნაადრევად აღებას უძენდა.

სოციალური უსამართლობით გულნატყვი დ. მიქელაძე, ბუნებრივად, ეძებს საიმედო გზებს უფრო განიერული წყობილებისაკენ.

მველე მომხრეა დეცენტრალური მმართველობისა, „როდესაც ქვეყნის თვითთველ ნაწილს მინიჭებული ექნება თვითმმართველობა“, და ექებს ამერიკას, შვეიცარიასა და ინგლისს, როგორც ლონდონსა და პარიზში ბევრი უკეთესი ექიმია, მაგრამ ინდოეთსა და ტონკინში უჩრევნით უარესი, ოღონდ ადგილობრივი, ასევე მმართველობის საყობილო. და ასეთი დემოკრატიული პრინციპი მმართველობისა მუდამ უპირატესად მიანიდა ჩვენს დატლავ მოღვაწეს.

როცა 1894 წელს ანარქისტმა კახრიომ ხანჯლით მოკლა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის პრეზიდენტი სადი კარნო, მველე იმავე

- 1. „ივერია“, 1893, № 136.
- 2. „ივერია“, 1893, № 78.
- 3. „ივერია“, 1874, № 78.

* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 1.

დღეებში უძღვანის ამ ფაქტს წერილს და თუმცა ჭყრავ არ იცის მკვლელის მრწამსი, ვარაუდობს, რომ ეს იქნებოდა ანარქისტი, მომხრე პრინციპისა: „რაც უარესია, ის კარბია“. მართალია, კარონს მმართველობა აღნიშნა მძიმე კრიზისით, რეპრესიებით შეუთა მოძრაობის წინააღმდეგ, და ამდენად მკვლელის მიერ პრეზიდენტის გამოყვანა ღირსეულ მოღვეწედ გაუგებრობა, მავრამ საყურადღებოა მისი მსჯელობა ანარქისტებზე, რომელთა წყალობითაც, „არავინ იცის, როდის სად აფეთქებენ, სად დასცემენ ხანჯალს... საფრანგეთს აქვს პრესა, აზრის გამოთქმის საშუალება. რისთვის დასპირდათ ხანჯალი და დინამიტი?“

დიდად საგულისხმოა და გონიერული მეველის მსჯელობა ქვეყნის მმართველობის ფორმებზე. მისთვის ნიშნულია საფრანგეთი და ლანკონლის ამერიკა, როცა პრეზიდენტი კი არ არის მთავარი, არამედ „ერის ერთიანი მკვიდრი ტადარი“, ხოლო იქ, სადაც სათავეშია ერთმმართველი, მეფე, ტირანი, იქ, პირიქით, ქვეყნის წესობა კი არაა მთავარი, არამედ კერპი, პიროვნება, რომელიც განაგებს ერას ბედსა და უბედობას. „აქ თითონ კაცი ფასდება და არა დაწესებულება“.¹

მეველის აღმოფთვებს ანარქიზმი, ეს „ახალი დროის ვესაია“, რომლის ლეიზია „ვეველაფერი, გარდა წესისა“, და სასტიკად კაცხავს ფრანგ ანარქისტს ელიანს, რომელიც პარლამენტი აფეთქა, ამასთან გმობს ჭუნგლების კანონს აღმამინათ საზოგადოებაში და საერთოდ სისხლათ მოპოვებულ ბატონობას დღემოკლედ თვლის“.²

მეველე გმობს ანარქისტებს, არა იმიტომ, რომ არსებული წყაობილება იდეალურად მიაჩნია, არამედ იმიტომ, რომ მათი გზა შრუდე და უსაყოფოა.

მეველე გრძნობს ახალი სიოს ქროლას, და თუმცა შორს დგას მეცნიერული სოციოლოგიის დეპრესიასგან, უდავოდ აღლევებს მშრომელთა ბედი. „ახალსეული კაპიტალისტურ წეს-წყობილების გაქმნება, ევროპის ბურჟუაზიის გაქრობა და მუშათა უფლებების დამკვიდრება და კიდევ სხვა მრავალი ვანა საფრანგეთის პრეზიდენტის მკვლელის ბასრ ხანჯალს შეუძლია“?³

უშუალობით, ნათელი და მიზიდველი ფერებითაა დაწერილი ლექსები „საუზარი შვილთა“ და „რთველში, კახეთში“, რომლებშიც პოეტი შეზარის და გზას ულოცავს ზედნიერ მოშავალ თაობას. მისი სიყვარული უსისხლეროა, იგი მთელ ღდაშიწას ეყუთუნის, ნაირფერი ყვავილებით დაფარულ და მარად ახალგაზრდა დედამიწას, სიცოცხლის, სიღამებისა და სიყვარულის ჰიმნად გაისმის პოეტის შესანიშნავი სიტყვები მისი ერთ-ერთი ლექსიდან: „ყვავილი ყველგან, კაცის გულშიც, შინაც და გარეც,

სიცოცხლე ყვავილს და დიდება სამშობლო მხარეს!“

ბ. კვიციანიძე

ბ. კ. ჩხხოვის სამტომეული ქართულად *

დიდი რუსი მწერლის ბ. კ. ჩხხოვის შემოქმედებამ დიდი ხანია მიიპყრო ქართველი მკითხველის ყურადღება. ჩხხოვის ნაწარმოებთა პირველი ქართული თარგმანები გამოქვეყნდა ვერ კიდევ გასული საუკუნის ბოლო წლებში და მას შემდეგ ინტერესი ჩხხოვის შემოქმედებასადმი არ შენელებულა.

1961—1962 წ.წ. ქართულ ენაზე გამოვიდა ბ. კ. ჩხხოვის ნაწარმოებთა თარგმანები, სამტომად. (შემდგენელი ნ. შევლაძე, რედაქტორი გ. ციციშვილი, წინასიტყვაობის ავტორი დ. შენგელაია).

მთარგმნელთა კოლექტივს ჩაუტარებია დიდი და ნაყოფიერი მუშაობა. თარგმანთა უმრავლესობა შესრულებულია მაღალ დონეზე, კარგი ქართულით, იკითხება ლაღად, ძალდაუტარ-

ებლად. სიაშოვნებით იკითხება „მოხელის სიკვდილი“ (თარგ. დ. შენგელაიასი), „მსუქნისა და გამბღარი“ (თარგ. პ. წერეთლისა), „წილები“, „მხატბი ხალთაში“, „პოლატა № 6“, „იონიში“ (თარგ. ა. ახალშენიშვილისა), „კაცი ფეტლარში“, „ენტერი პრამიბეევი“, — „ქაშელონი“ (თარგ. შ. თაბუაშვილისა), „სუედა“, „სულაკო“ (თარგ. თ. პოლემორდინოვისა) და სხვა ბევრი მოთხრობა. ამ თარგმანებში მკაფიოდ ჩანს არა მარტო მთარგმნელთა მერ ორივე ენის კარგი ცოდნა, არამედ ისიც რომ მთარგმნელები კარგად ერკვევიან მოვლენათა რაობაში, იცნობენ მწერლის ეპოქას, იცან ყოველი დეტალის მნიშვნელობა.

ბ. ჩხხოვის თხრობის მანერის, მისი ენის ლექსიკური, სტატიკური და სინტაქსური თავისებურებებს ღრმა გაგებითა და ქართული ენის მდიდარ შესაძლებლობათა უნარინი გამოყენებით, პირდაპირ მთარგმნებით უთარგმნათ

* ბ. კ. ჩხხოვი, თხზულებანი, I, II, III ტ., საბჭოთა საქართველო, 1961-62.

მოთხრობები: „გუნდის მოძღვრალი ქალი“ (თარგ. თ. სულიაშვილისა), „ადამიანის საუბარი ძალღალან“ (თარგ. ვ. შთვარაძისა), „ლიზა-ლიზატი“ (თარგ. პ. წერეთლისა) და კიდევ ბევრი სხვა. ჩუბოვის სამტრედიელის თარგმნის დონე, როგორც აღენიშნეთ, ძირითადად მაღალია. და ეს მით უფრო ვარაუდობს, რადგან ეს დონე მიღწეულია არა ერთი მთარგმნელის, არამედ მთელი კოლექტივის მიერ, რაშიც, უდაოა, გარკვეული წვლილი მიუძღვის სამტრედიელის რედაქტორსაც.

მოუხედავად ზემოთ ნათქვამისა, ჩვენ თავს ნებას მივცემთ მივუთითოთ ზოგიერთ შეცდომებს, რომელთა გასწორება აუცილებელია შემდგომში ა. პ. ჩუბოვის ნაწარმოებთა თარგმანების ქართულად სრულყოფისათვის.

ჩვენი შენიშვნა ეხება თარგმანებში დამკვიდრულ ისეთ შეცდომებს, რომლებიც ამასწინებენ ან სრულიად სცლიან მწერლის აზრს ან მხატვრულ სიხეს.

დედანშია: *Холмы... равнина... и опрокинутое над ними небо, которое в стенах, где нет лесов и высоких гор, кажется странно высоким и прозрачным.*

თარგმანშია: „პორცეები... ვაყე... და მათზე დაპირკვეებული ცა, რომელიც ველზე, სადაც ტყეები და მაღალი მთები საშინლად ღრმად და გამკვირვალე გეჩვენებთ.“ (ტ. II, გვ. 177, „ტრამალი“) ავტორი ამბობს, რომ ველზე, სადაც ტყეები და მაღალი მთები არ არის, ცა გეჩვენებთ მაღალი და გამკვირვალეა. თარგმანში კი ველზე არის ტყეები და მაღალი მთები, და თანაც ეს მთები და ტყეები საშინლად ღრმად და გამკვირვალეა.

დედანშია: *Кажется, запой у него пол самым ухом Патти...*

თარგმანშია: სწორედ გამოუსწორებელი ლოთიოთია... (ტ. II, გვ. 310*, „მოსაწყენი ამბავი“) აქ „გამოუსწორებელი ლოთი“ არაფერშია, დედანში ნათქვამია „იფიქრებოთ, მას (ვ. ი. პიოტრ ივანოვიჩის — ვ. წ.) უყრის-ძირში პატში (იმ დროს ცნობილია მოძღვრალიმა ქალმა) რომ უმღეროს, პიოტრ ივანოვიჩი მანამ მოკრისკის ჩაუყრებსო. აქ მწერალი ხაზს უსვამს გვირის მეტად მშვიდ ხასიათს.

მოთხრობა „ტრამალი“ ასეთი ამბავია მოთხრობილი: გლუხა სხეების დახმარებით ეპირი გამარცხდა და სიყვარულს გადაარჩინა. ამ ამბის თხრობას გლუხი ანუ მთავრებს: „Купец на рынках три сотенных вождествовал, а мне пять лобничиков дая... ეს წინადადება ქართულად ასეა თარგმნილი: „ევაზარმა მათ სამსი მანეთი არაუჭა, მე კი ხუთი კუფალი მომცა...“ (ტ. II, გვ. 246), აქ, უფრო ერთი კოლორიტული ტრი სოთენных (სამი ათთუნინანი) შეცვლილია ბუნდურული „სამასი მანეთით“. მეორეც, შეცდოვანა სიტყვა ლობნიჩიკი — ის „ეფულად“ თარგმნა. კუფალი პატარა თევზია, და

ხუთი თევზი — ისიც კუფალი — მოტად შეტყუება ლაფურა სიცოცხლის გადარჩენისათვის. კუფალი არის лобан, лобанчик კი იტყუებულ მკვლევარულ გარგონში ოქროს ფუფუნებში ცხადდება. გლუხმა, როგორც ის ამხეად ამბობს, სიკეთისათვის მიიღო ხუთი ოქროს ფული და არა ხუთი წყვილი თევზი.

ასეთივე გაუგებრობა გამოიწვია სიტყვა *стреха* ს არასწორმა თარგმანმა. *стреха* არის ჩალის საბურავი, რომლითაც გადახურული იყო ბაიკი. თარგმანში („ტრამალი“) ის „ბულუღაა“. ამის შედეგად კი გამოვიდა, რომ ბულუღებში იყო სარდაფი, ღამეს ათველა ოცამდე გლუხი თავისი ურემებითა და ცხენებით, და თანაც ვიშვარი ღვრიტლი იყო.

ტექსტის უზრადღებთ წაკითხვისას აღვალ: გასაგებია, რომ *нагая смерть* მოუნანიებელი სიკვდილია და არა ძალმომრეობითი სიკვდილი (II, 221), *под в лавке был поант* დუქანში იატაკი იოწყული იყო და არა მოცემენტებულ (II, 235) *охлаждение* — შეფეღა და არა ტყის მცელი (II, 259) თუნდაც იმიტამ, რომ ტრამალზე ტყე არ არის; *ветхость университетских построек* უნივერსიტეტის შენობათა სიძველეა და არა უნივერსიტეტის მშენებლობის სიძველეები (II, 336); *подстаканник* საუბევა და არა კიჭა (II, 164); *баночки* ქალები და არა ბებლები (II, 181), *порты* — შარვალი და არა პაკიები (I, 390) და სხვ.

თარგმანებში გვხვდება ისეთი უზუსტობანიც, რომლებიც ქართულში ერთი შეხედვით არ იგრძნობა, რადგანაც აზრობრივად და ენობრივად წინადადება თითქოს გამართულია, მაგალითად, დედანში: *Школа обыкновенная, ала простого звания, есть, а чѳс насчет бывшего учения, таких шѳту.* თარგმანშია: „სკოლა ჩვეულებრივი, უბრალო ცოდნის შესაძენად არსებობს, მაგრამ რაც შეეხება დიდ სწავლას, ასეთი არ არის“ (II; 221)

Простое звание უბრალო, დაბალი წოდების ხალხს ნიშნავს და არა უბრალო ცოდნას. გლუხის სიტყვებში ასახულია ის ურადღებრივი უთანასწორობა, რომელიც არსებობდა შვიდის რუსეთის განათლების სისტემაში. თარგმანში სწორად ეს მნიშვნელოვანი დეტალი დაკარგულია. მოთხრობაში „მოსაწყენი ამბავი“ ჩუბოვის გვირბი ლაპარაკობს თავის ხელმოკლე ოჯახის დიასახლისებზე, რომელიც დღე-ნაღამე კამიების თვლამ მიიყვანა იტამდე, რომ *умет говорить только о расходах и улачивается только дешенизе.* ვ. ი. გერბრება ლაპარაკი მხოლოდ ხარჯზე და იღინება მხოლოდ მაშინ, როცა იაფობაა. თარგმანში კი გვაქვს: „იადფასიანი რამეც კი მოხვერის დინილს“ (II, 333). საარსებო სახსრებს ნოკლებზე-

ლი ადაინის ნაცვლად თარგმანი გუთავაზობს გემოვნებას მოკლებულ ადამიანს. Незамысли-
 атай теория кровообращения, ე. ი. სისხლის
 მიმოქცევის მარტივი თეორია თარგმანში გა-
 დაქცეულია „სისხლის მოძრაობის სიმარტივის
 თეორიად“ (II, 309). კიდევ ერთი ამგვარი მა-
 გალითი, „ხაშვი“ სოფლის უბრალო ადამიან-
 ნები ვფერებენ თანასწოვლები ვაჭრისა და ფა-
 ბრიკანტის მიხედვით ცეცხვს და: На минуту
 пристали ему все—и его богатство и оби-
 ды.—ე. ი. ერთი წუთით აპატრეს მას ყე-
 ლაფერი—სიდიდრეცა და ბევრი წყენა. მწე-
 რალი კტ ხახს უყვამ აპატრეს ერთი წუთით
 თთ, თარგმანში ეს ორი მნიშვნელოვანი სიტყვა
 ამოგდებულა, სამაგიეროდ ჩამატებულა სხვა
 ამწდენამე სიტყვა, ამ „გადაკეთება“ შემდეგ
 მივიღეთ სრულიად სხვა აზრი: „ყველაფერი
 დავიწყებოდათ და მზად იყენენ ყველაფერი
 გაპატრენათ მისივეის: მისი სიდიდრე და ის
 შეურაცყოფდა, რომელიც არაერთხელ ატრ-
 ნათ მისგან“ (III, 151) ამ ნაწყვეტში 10 რუ-
 სულ სიტყვს შთარგმნელმა მოანდომა 17 ქარ-
 თული სიტყვა და მისანი მაიცი მიუწველობელი
 დარჩა. ცხადია დედანი და თარგმანი ყოველ-
 თვის სიტყვა-სიტყვით არ ჩაეტყვიან ერთმან-
 ეთში, მაგრამ სიტყვიერი მახალის ხარჭვაში
 ასეთი დიდი განსხვავება გაუმართლებელია,
 თუ გაეთვალისწინებთ ქართული ლექსიკის
 სიდიდრეს.

ამა თუ იმ ნაწარმოების გვიბის ენა მხატვ-
 რული სახისა და კოლორიტის შექმნის ძლიერი
 საშუალებაა. პერსონაჟის ენის თარგმანი მართ-
 ლაც რომ ძალიან ძნელია, რადგანაც იგი ხში-
 რად არ ემორჩილება ენის საერთო გრამატი-
 კულ ნორმებს, ა. ჩუხოვის პერსონაჟთა მერყე-
 ულების დასალოებით შესატად გადმოცემა უნდა
 მოხერხდეს ქართული ლიტერატურული ენის
 მდიდარი სტილისტური და სინტაქსური თა-
 ვისებურებათა გამოყენებით. თარგმანებში
 ზოგან ეს პრინციპი დარღვეულია, პერსონაჟის
 ენა „გალიტერატურულდება“, რითაც ჰქარ-
 ვავს თავის განუმეორებელ ენებსა და ელფერს,
 უფერული ხდება თვით პერსონაჟიც, რადგან-
 აც მას წართევს მისი სულიერი სამყაროს
 გამომხატვის ყველაზე ძლიერი საშუალება. ასე
 დაემართა ნაწილობრივ პანტელეს „ტრამპლ-

ში“, ასე დაემართა ლიბას „ხრამში“, ეს ქული
 ისეა დაბნელებული და დამინებულა ხარბი
 და დაუნდობელი ეპურებისა და ნაწარმოების
 ქმრის და მახლისეულის ხელში. რომ თვისი
 ორი თვის შეიღს მიწამდე თავს უტრავს, თქვე-
 ნობითა და მამისაგოით მიმართავს Зара-
 ставите, Никфор Анисимович). იგი მხარსაც
 თქვენობით მიმათავს. (Они ничего не об-
 ждали). თარგმანში ეს მონე-ი ენა „დაწყოფ-
 ბელია“, რაც დიდ ზიანს აყენებს ლიბას სახის
 ნილიანობას.

მოსაწონია, და, ჩვენი აზრით, სწორიცაა,
 რომ რუსული სახელისა და მამისახელის გად-
 მოცემის დროს თარგმანებში დატულია ერთი
 პრინციპი — სახელთა რუსული წარმოთქმა
 — გრიგორი პეტროვიჩი, ნიკოლაი ვროლაიჩი,
 პიოტრ და სხვ. მაგრამ მწერლის პერსონაჟთა
 გვარების თავისებურებაში გამოჩნათ მთარგმ-
 ნელებს. ჩუხოვის მოთხრობებში ხშირად გვარი
 ამოწყურავად ახასიათებს პერსონაჟს, მის საქ-
 მინაობის, სულიერ სამყაროსა და სოციალურ
 წდგობათათვის („Одумеаи, Пришачеев, Ре-
 вушо-Караулои, Червяков, Хамон, Зинежа-
 лои, Ахатов და სხვ.) რუსი მკითხველის-
 თვის ამ გვარების სატირული ფეჭკია
 გააფხმა, რადგანაც ისინი ნაწარმოებთა
 უცხელა სიტყვიდან. და რომ ქართული
 მკითხველისთვისაც ასევე განსაგები უფი-
 ლიცო მათი ოთლი ნაწარმოებში, საქოო
 იყო პერსონაჟთა გვარების ძირების თარგმნა
 სტილითი მაინც.

ბოლოს, გვიჩნა აღენიშნით, თუ რა ზიანი
 მოაქვს ზოგჯერ წინადადებაში რომელიმე სი-
 ტყვის არასწორ ხმარებას მაგალითად: „გაშეშე-
 ბული ხელები გაასავსავა“ (II, 223), გაშეშე-
 ბული ხელებს ევლარ გაასავსავებს კაცი „წე-
 ლთურევით მიამურეს ურმებს“ (II, 223), წელ-
 ათურევით მიმურება? „დაჩოქილი ყოფილა,
 თავი მუხლებზე ედო“ (II, 244) დაჩოქილს თა-
 ვი როგორ ედო მუხლებზე? და სხვ.

დიდი მწერლის ა. ჩუხოვის თხზულებათა სამ-
 ტომეულას გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენ-
 აა ჩვენს ევლტურულ ცხოვრებაში და სასურ-
 ველია, რომ მომავალ გამოცემებში აღარ გან-
 მეორდეს სამტომეულში გაპარული ზოგიერთი
 უზუსტობანი.

გიორგი წიგნახილველი

საინტერესო ნაშრომი ქართულ დიალექტოლოგიაში*

ქართული ენის დიალექტების სრულყოფილად შესწავლას შეტად დიდი მნიშვნელობა აქვს

ჩვენი სამწერლო ენის ბევრი პრობლემის გაშუ-
 ქებისათვის. თანამედროვე ვითარება მოითხოვს,
 რომ დაჩქარდეს დიალექტოლოგიური ტექსტე-
 ბის შეკრება და მათი ფონეტიკურ-გრამატიკე-
 ლი და ლექსიკური ანალიზი. უნდა მოვსწროს
 თითოეული კილის სრულყოფილად მიმოხილ-
 ვა, ვიდრე იგი დაეარგედეს საერთო სახეს და

* ი. ვიკინიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთა-
 რაძე — ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექ-
 ტთა განაილვა, ტექსტები, ლექსიკონი, რედაქ-
 ტორი ვ. თოფურია, 1961.

გაითქვამებოდეს სალიტერატურო ენაში. დიალექტები ყოველთვის იყო და არის სამწერლო ენის ერთ-ერთი მთავარი მასაზრდოვებელი წყარო. ქართული ენის ბევრი მარჯალიტი ვახუნულია ხალხში. საჭიროა მათი ფიქსირება, რომ არ დაიკარგოს უკვალოდ. ამიტომ კეთხური მეტყველების შესწავლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

უკანასკნელ წლებში უმაღლესი სასწავლებლების სათანადო ფაქულტეტებზე საფუძველი ჩაეყარა ქართული ენისა და მისი დიალექტების მეცნიერულ შესწავლას. გამოქვეყნდა მონოგრაფიები ცალკეული კილოების შესახებ. მაგრამ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებს ფილოლოგიის ფაკულტეტებზე, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მწვავედ იგრძობა სახელმძღვანელოს უქონლობა ქართულ დიალექტოლოგიაში.

ამ ხარკუნს შევსება მიზნად დაუსახავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრას. კათედრამ მოამზადდა გამოსცა ქართული დიალექტოლოგიის პირველი წიგნი. იგი შეიცავს მეცნიერულად ზუსტ და სანდო ტექსტებს ქართული ენის ყველა კილოსა და კილოვანებ. ესენია საქართველის სსრ ფარგლებში: ხევსურული, შიხვეური, მთიულური, თუშური, ფშაური, კახური, ქართლური, მესხური, აჭარული, გურული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული; აზერბაიჯანის სსრ-ში — ინგილოური, თურქთში — იმერბეულს და ირანში — ფერეიდნული.

წინასიტყვიანობაში მოცემულია დიალექტოლოგიის მოკლე და ნათელი განმარტება. კარგად არის ნაჩვენები დიალექტთა როლი ლიტერატურულ ენის ჩამოყალიბების საქმეში.

წინასიტყვიანობაშივე ნაჩვენებია დიალექტების როლი ენის თეორიის საყვანძომ პრობლემათა გადაწყვეტაში (სუბსტრატის საკითხი, გარდამავალი დიალექტის განენა, სხვა ენობრივი წრის გავლენა, სუბლექტივისმის მოშლისა და უნიფიკაციის გატარების ტენდენცია, არქაიზმი, ნეოლოგიზმი და სხვ.).

დიალექტოლოგიურ მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ისტორიულ-ენონოგრაფიული საკითხების შესწავლისა და გაშუქების საქმეშიც.

ტექსტებს წინ უსწრებს სათანადო კილოს მოკლე ისტორიულ-ენონოგრაფიული მიმოხილვა, სადაც ნაჩვენებია დიალექტის გავრცელების არე, განვითარების ისტორია, ზოგიერთი ძირითადი თავისებურება, მწერლობაში გამოყენება, შესწავლის დონე და სხვ. იქვე ერთეის ლიტერატურის სია.

საქმის ცოდნითაა დაწერილი თითოეული ენონოგრაფიული კუთხის ისტორიულ-ენონოგრაფიულ-ენობრივი მიმოხილვა.

ლექსიკონში, რომელიც შედგენილია კილოე-

ბის მიხედვით, შეტანილია ტექსტებში წარმართავისებური სიტყვები, ტერმინები, ფრაზები და ფორმები. სიტყვების განმარტებები სტრუქტურულია და ნათელი, თუ ორიოდ რამდენიმე სიტყვით მივიღებთ მხედველობაში. გრამატიკული ელემენტები თუ ფორმები განმარტებულია გასაგებად და შედარებით ამომწურავად. ამ მხრივ ეს ლექსიკონი გვაძლავს ცოდნას ამა თუ იმ კილოს ფონეტიკურ-გრამატიკულ მხარეზედაც და ნაწილობრივ ავსებს მიმოხილვას. რადგანაც ეს უკანასკნელი წიგნი მოცემულია ძალიან მოკლედ, ავტორები ცდილობენ ზოგერთი შეტად მნიშვნელოვანი ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენა გააშუქონ ლექსიკონში. მაგალითად, თუშური ტექსტების ლექსიკონში ვკითხულობთ: **გამწყ** - მიღებულია **გამა** - რთული პრეფიქსის -**თ**- ნიშნისა და სათავისა თუ ენბითის **ო**-თავისართის გრძელ ხმოვანად შერწყმითა და მათი გამოყოფის-ს გადასმით: **გამოქ** -**ო**; **მაგ** **გამწყჩინე**ს **გამოჩინეს**; **გამოქ** **ხაე** **გამოჩინა**; **გამწყ** **თარაე** **გამოილო** (გვ. 578).

ასევე კარგადაა დახასიათებული ამავე ლექსიკონში თუშურის, ამ შეტად თავისებური კილოს მივლი რიგი ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენები: თურქობითი პირველის **აე**, **აე**ს სუფიქსი, უმარცვლო **ო** (**ი**), **-დ**, **-ღ**, **-წ**, **-წანა**-წილაკები, სმოვანთგამყარა და მტიერი შემართვა-დამართვის ბგერა **ქ** და სხვა მრავალი.

უე ნაწილაკის შესახებ რაქული ტექსტების ლექსიკონში ნათქვამია, რომ იგი არის „ბიექტის, აგრეთვე მიცემით ბრუნეში დასმული სუბექტის მრავლობითობის გამომხატველი ნაწილაკი. მას თანდათანობით ენაცვლება **-თ** სუფიქსი, არის გარდამავალი საფეხურის შემთავი-ეებიც, სადაც **-თ** სუფიქსთან ერთად **უე** ნაწილაკი გაიყოფიებული: **მაგ**: **უთხრაეე** (მშობლებს), და **აეე** **ნაეე** **მოსამსახურეე**ები თავზე... **უნდაეე** **ამათ**, **ქონდაეე** **ქონდაათ**, **მოაეე** **ვენ**.. **გენახულეე** **ბათეე**“ (გვ. 689).

კავთური ტექსტებისათვის შედგენილ ლექსიკონში აღნიშნულია, რომ **უე**- მიღებულია გავრეეების **-ა**- ხმოვის ენბითის **ე**- თავსართთან დამსგავსებისა და შემდეგ გადამსგავსების შედეგად: **გაე** → **გეე** → **გო-ე**; **გოინ**-**თაე** **ის** **უფლებინა** „განეთვისებლებინა“ (გვ. 647).

ინალიგიური ვითარება ხევსურულის, შიხვეურის, მთიულურის, ფშაურის, ინგილოურის, კახურის, მესხურის, აჭარულის, იმერულის, გურულისა და სხვა ტექსტების ლექსიკონებშიც. ზოგერთი დიალექტური ფორმა, რომელიც მიღებულია რთული ფონეტიკური პროცესის შედეგად, აქ გადმოცემულია ნათლად და ყვე-

ლანაჟვის გასაგებად, მაგრამ ძალიან მოკლე და მოზღვნილად. ამ მხრივ სანინშეშო და მისაბაძი განმარტება.

ლექსიკონში შეტანილი სიტყვების განმარტება, როგორც აღვნიშნეთ, ზუსტია, თუ არ მივიღებთ მჭიდველობაში იშვიათ გამოსაკლისებს. ლექსიკონი ერთეულების ფორმა და მნიშვნელობა დაბუნსტებულა ავტორთა მიერ სათანადო კლოს წარმომადგენლებთან და სპეციალისტებთან ერთად, აგრეთვე სრულად გამოყენებულა მათ შესახებ არსებულ ლიტერატურა.

მართალია, დიალექტების მიხედვით შედგენილ ლექსიკონში ყოველთვის ვერაა შესაძლებელი თავიდან იქნეს აცილებული ერთი და იმავე ლექსიკონი ერთეულისა და განმარტების განმარტება, მაგრამ ასეთი ლექსიკონი ადვილბს ტექსტის გაგებასა და გამოყენებას; კარგად ამართლებს წიგნის სასწაელო მიზანს. ვარდა ამისა, „ცალკეულ დიალექტთა ლექსიკონები, — როგორც ეს ამ წიგნშია ნათქვამი, — შემდეგ საფუძელად დაედება ქართული ენის მთლიან შეპირისპირებით დიალექტურ ლექსიკონს და მასში უფრო ნათლად გამოჩნდება არა მარტო სინონიმთა სიუხვე, არამედ ომონიმთა სიმრავლე“ (გვ. 548).

ასეთი დიალექტოლოგიური ლექსიკონების წყალობით კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკონი, დიალექტთა საფუძვლიანი შესწავლა ამის კარგი საწინდარია.

ამ სქელტანიანი წიგნის ძირითად ნაწილს წარმოადგენს 446 სახელწოდების ტექსტი. მათი უმეტესობა ჩაწერილია თვით ავტორთა მიერ, ხოლო „დანარჩენი ნაწილი ან ამოღებულია ერთმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და თბლისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა დიალექტოლოგიური ენაშუადციების მიერ შეკრებილი მასალებიდან (დაცულია ინსტიტუტსა და ქართული ენის კაბინეტში), ან წარმოადგენს ენათმეცნიერთა და ეთნოგრაფთა მიერ ადგილობრივ ჩაწერილ და დღემდე გამოუქვეყნებელ ტექსტებს“ (გვ. 693). აღვნიშნავდილთავან ამ წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე ტექსტი.

მთელი დიალექტოლოგიური მასალა დალაგებულია კილოებისა და კილოკავების მიხედვით. ენობრივი თავისებურება ყველგან დაცულია ზუსტად და სწორ წარმოდგენას გვაძლევს ამა თუ იმ კუთხის მეტყველებაზე. არ გრის ყურადღების ვარემე დარჩენილი ქართული ენის არც ერთი დიალექტური ერთეული, სადაც არ უნდა იყოს ის მასალებს რაოდენობა ცალკეულ

დიალექტების მიხედვით კარგად არის შეზომილი. შერჩეულია საერთოდ საუკეთესო მასალები, რომლებიც ყურადღებას იქცევენ ყოველმხრივ.

ტექსტები სინტაქსითა თავისთი მრავალფეროვანი შინაარსითაც, მათში ასახულია ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფის ყველა მხარე. ადვილად, ამ დიალექტოლოგიურ მასალებს სიამოვნებით გამოიყენებენ არა მარტო ენათმეცნიერები, არამედ საქართველოს ისტორიით, ეთნოგრაფიით, ფოლკლორით, სოფლის მეურნეობით დაინტერესებული პირები, ამ დარგის სპეციალისტები და აგრეთვე სხვებიც.

წიგნის ბოლო ნაწილში მოცემულია ვრცელი ანატი. მოხსენებულია დამხმარე პირებიც, რომელთაც შენიშვნები მიაწოდეს ავტორებს. ზოგ შემთხვევაში თან ერთვის კიდევ წარმოდგენილი შენიშვნები და შესწორებები ნიშნისათვის (მაგალითად, არჩილ ჯანაშვილისა — ინგოლორის შესახებ, რიხის იარაქელისა — თიანური მეტყველების ზეკურული ნაწილის შესახებ და სხვ.). დასახელებულია 100 ჩამწერი და 420 მოქმელი და ზედმეწყობი პირი.

წიგნის ამ ნაწილში ვგებულბთ აგრეთვე, თუ რომელ დიალექტზე გვაქვს ამაჟამად მავნეტოფონით ფირზე ჩაწერილი ნიმუშები.

ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებსა და ქართული დიალექტოლოგიით დაინტერესებულ პირებს.

მეორე წიგნად განსაზღვრულია გამოვიდეს დიალექტების ვრცელი მიმოხილვა.

ორივე წიგნი და ახალი მავნეტოფონური ჩანაწერები დაედება საფუძელად ქართული დიალექტოლოგიის მოკლე სახელმძღვანელოს, რაც დიდი საიუჭარი იქნება ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის.

სარეცენზითი წიგნში შეიმჩნევა ხარვეზებიც კესენა:

- 1) თითოეული დიალექტის მიხედვით წარმოდგენილი დეტერატურის სია არ არის მთლად სრული; 2) წიგნს არ ერთვის ამ შრომების სიდა, რომლებშიც გაშუქებულია ქართული დიალექტოლოგიის ზოგადი საკითხები ან დიალექტების მონაცემების მოშველიებით გადაწყვეტილია ქართული ენის მნიშვნელოვანი პრობლემები, ანდა მოცემულია სალექსიკონო მასალები რამდენიმე დიალექტის მიხედვით.

აღდგომის კონსტანტინეპოლის საიდუმლოება*



სახელმწიფო გამოცემლობა „კონდა“ გამოსცა ცნობილი ნორვეგიელი მეცნიერის ტურ ჰეიერდალის ნაშრომი „აღდგომის კენძელის საიდუმლოება“. რით არის საინტერესო „აღდგომის კენძელის საიდუმლოება“, ან როგორც მას შეორწინებულ უწოდებენ „აქუ-აქუ“? ამ წიგნის საყოველთაო პოპულარიზაციაზე ის ფაქტი მტკიცედებს, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში „აქუ-აქუ“ ითარგმნა და გამოიყა მსოფლიოს 50 ენაზე.

1947 წელს პერუს (სამხრეთ ამერიკა) ნავსადგურ კალიაოდან ბალსის ხის ცხრა შორისაგან შეკრული ტივით „კონ-ტიკი“ ექვსმა მამაკცმა მოგზაურმა ტურ ჰეიერდალის შეთავაზებით მიაღწია წყნარი ოკეანის განმარტოებულ პატარა აღდგომის კენძელს.

რად დასჭირდა მამაც ექვსეულს ძველ ინდიელთა მსგავსი პრიმიტიული ტივით გადაცურება 3500 კილომეტრი მანძილზე? ამაზე პასუხს იძლევა თვით წიგნის ავტორი.

წყნარი ოკეანის შეაგულში მდებარეობს 165 კვადრატული კილომეტრი ფართობის აღდგომის კენძელი, რომელიც პირველად პოლანდიელმა მეზღვაურმა იაკობ რივენიმ აღმოაჩინა 1727 წლის 6 აპრილს აღდგომის წინა დამეს და ამიტომ „აღდგომის კენძელი“ უწოდა საინტერესოა აღინიშნოს, რომ კენძელის ნამდვილი სახელწოდება დღემდე არააინ იცის, ადგილობრივი მებოგრებლები კენძელს უწოდებენ რაპანუნი. ძველი ლეგენდების თანახმად კენძელს უწოდებოდა — ტე პიტო ო ტე ზენუა, — რაც „სამყაროს ჰიბს“ ნიშნავს.

აღდგომის კენძელზე მისულ ყველა მეცნიერს აკვირებს მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლები, რომლებიც სრულიად არ გვანან წყნარი ოკეანის დიდი სივრცეებზე გაფანტული კენძოლებს — პოლინეზიელითა კულტურის ძეგლებს. საქმე ისაა, რომ აღდგომის კენძელზე დღესაც არის 600-ზე მეტი ქვის უზარმაზარი ქანდაკება, რომლებიც ვულკანური ქანებისაგანაა გამოილილი. თითოეული ქანდაკება ტანდრინზე ტონას იწონის, ზოგიერთი კი 20-30 ტონასაც.

მეცნიერების წინაშე დიდი ხანია დგას საკითხი თუ ვინ გამოთავა ქვის ეს გიგანტური ქანდაკებები, საიდან მოვიდა ამ განმარტოებულ კენძელზე მისახლება. ამის შესახებ დღეს არსებობს ორი — ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო თეორია. აწ განსვენებული ცნობილი ახალგაზრდა მეცნიერი ტე რანკე პიროსა (პ. ბაკი) თავის ნაშრომში „შხის აღმოსავლი

მეზღვაურები“ ამტკიცებს, რომ პოლინეზიელი და მათ შორის აღდგომის კენძელის მისახლება მოვიდა ამის კონტინენტიდან. ეს არის ე. წ. „ახიური წარმოშობის თეორია“. ახალგაზრდა ნორვეგიელმა მეცნიერმა ტურ ჰეიერდალმა წამოაყენა „ამერაკული წარმოშობის თეორია“, რომლის თანახმად პოლინეზიელები და პირველ რიგში აღდგომის კენძელის მისახლება, წამოსული არიან ამერიკის კონტინენტიდან, ე. ა. აღმოსავლეთის მხრიდან.

თავისი თეორია პრაქტიკულად რომ დაემტკიცებინა, ტურ ჰეიერდალმა ბალსის ხის მარცხისაგან დაამზადა ისეთივე ტივი, როგორსაც აყენებენ ძველი ინდიელი ტომები ზღვაზე მოგზაურობისათვის. მან თავის ხელ შეგობარობან ვროთე ვად-კურა წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილი და მიაღწია ჩილის რესპუბლიკის კუთვნილ პაწაწა აღდგომის კენძელს. ამით ჰეიერდალმა ერთბაშე კიდევ დაამტკიცა, რომ ძველი ინდიელები საუკეთესო ზღვაურები იყვნენ, კარგად იცოდნენ ზღვის დინებები და ქარის მიმართულება, რაც მათ დიდ სამსახურს უწყედა ზღვაში მოგზაურობისათვის. „კონ-ტიკით“ მოგზაურობა მეტად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. თვით ტურ ჰეიერდალის გამოთქმით „კოლუმბუს მიერ ამერიკის აღმოჩენისათვის შესრულებული მოგზაურობა ტექნიკური სიძნელეების თვალსაზრისით გაცილებით ადვილი იყო, ვიდრე აღდგომის კენძელზე შესრულებული პირველი მოგზაურობა“

თავისი მოგზაურობის შედეგები ჰეიერდალმა აღწერა მეტად საინტერესოდ დაწერა ნაშრომში „კონ-ტიკი“ (გამოცა მსოფლიოს 60 ენაზე). ხოლო 1955-1956 წლებში ჰეიერდალმა დიდი ხნით დაჟყო აღდგომის კენძელზე, დიდძალი მეცნიერული მასალა შეაგროვა და გამოსცა ბრწყინვალე ნაშრომი „აქუ-აქუ“.

გარდა ჰეის გიგანტური ქანდაკებებისა აღდგომის კენძელზე საინტერესოა თავისი უნიკალური დამწერლობის ნიმუშები, რომლის მსგავსი შიგულ ოკეანიაში არსად არ გვხვდება. ასეუ დამწერილი ფირფიტებს ისინი უწოდებენ „კოსავ რინგო-რონგოს“, რაც მათსავე ენაზე „შილა-პარაკე ხეს“ ნიშნავს, მსგავსი ფირფიტები დღემდე არაა გამოხერხული. ჯერ კიდევ სამოქალაქო ომამდე ამალგაზრდა ლენინგრადელმა მეცნიერმა ბ. გ. კედრიაეცემმა (დაიღუპა სამოქალაქო ომის დროს) შესწლო აღდგომის კენძელის დამწერლობის ზოგიერთი ტექსტის დადგენა (თუმცა შინაარსი დღემდე არაა დადგენილი), ხოლო მის დაწვებულ სექცეს წარმატებთან განავარაუბნენ ლენინგრადელი მეცნიერება ნ. ა. ბუტინოვი და ი. ვ. კნორაზოვი, რომლებმაც თავის დროზე გამოიტყეს მთავ ტომის ხელნაწერები. ბევრი მეცნიერი ფიქრობს, რომ აღდგომის

* ტურ ჰეიერდალი. „აღდგომის კენძელის საიდუმლოება“. თარგმანი შალვა ბუაჩიძისა, „კონდა“, თბილისი, 1962 წ.

კენძელის მცხოვრებლებს არ შეეძლოთ შექმნათ ასეთი შალაა კენძელსა და რომ ეს კენძელი არის ოდესღაც ჩაბრუნელი მატერიატის ნაწილი, რომლის კულტურული ნაშთები თითქმის შემორჩენილია კენძელზე. უნგრელი მეცნიერის ჰევესის აზრით, „შოლაპარაკე ხს.“ ფირფიტები ძალიან წაავაგს ძველ ინდურ დამწერლობას. ამ თეორიებს გამოიხსნა თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეებიც. ნორვეგიელმა მეცნიერმა ტურ ჰეიერდალმა წამოაყენა მოსაზრება, რომლის თანახმად სამხრეთ ამერიკიდან წამოსულმა ინდიელმა ტომებმა თან წამოიტყეს თავისი დამწერლობა და რომ აღდგომის კენძელის ნაწიერი ფირფიტები ძალიან ემსავაგებს ძველი ცივილიზებული სამხრეთ ამერიკის ტომების — ინკების დამწერლობით ნიშნუებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეცნიერებმა მხოლოდ ასიოდ წლის წინათ გაიგეს და ყურადღება მიაქციეს კენძელზე მსავალი ფირფიტების არსებობას, ხოლო ორი წლით ადრე დაახლოებით (1862-1864 წ. წ.) მონათმფლობელებმა კენძელიდან თითქმის შთელი მამაკაცები წაიყვანეს ძალიან პლანტაციებზე სამუშაოდ. მალე ყველა დიდებუა, და ცხადია, დამწერლობის მცოდნე ყველა პირი სურდა რა ვექსტრინიანებია კენძელის შთელი მოსახლეობა მისიონერებმა მოსპეს „წარმართა“ დამწერლობის ყველა ნიმუში, ათასობით ფირფიტა დაიწვა კოლონებზე. უფრო გვიან, როდესაც კენძელ ტაბიტის ნებისყოფისმა ტებანი კოსენმა დაიწყო ვადარჩენილი ფირფიტების შეგროვება, მათმა ჩაოდენობამ მხოლოდ ოცს მიაღწია, მათ შორის ორი ფირფიტა დღესაც ინახება ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში. ეს ფირფიტები 1871 წელს ჩამოიტანა კენძელში არსმა მეცნიერმა ნ. შილოხოვმა. მალევე და პირველმა მსოფლიოში აღწერა ადგილობრივ მცხოვრებთა დამწერლობის ნიმუშები.

რას აძლეეს მეცნიერებს ტურ ჰეიერდალის გამოკვლევები? ცხადია, საბოლოო დასკვნების გამოკანა ნაადრევი, მით უმეტეს, რომ ჯერაჯერობით დამთავრებული არ არის ჰეიერდალის კამბალური ნაშრომი „აღდგომის კენძელის არქეოლოგია“. (სამ ტომად). სულ მალე მდგადრი არქეოლოგიური მისაღების საფუძველზე ავტორი ნაშრომი შექმნის მოდერს ჰეიერდალის მისაზრებთა სისწორეს.

„კონსტრუქცია“ და „აუთ-აუტს“ ავტორი ცდილობს დამტკიცოს, რომ აღდგომის კენძელს თავისი შთალი კოლტურით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილს ძველ ისტორიაში და რომ არც ერთ კონძელს, მის გარდა, არა აქვს უფლება თავისთვის უწოდოს „სამყაროს ტიპი“, რომ სამხრეთ ამერიკის კონტინენტსა და აღდგომის კენძელს შორის არსებულ კავშირზე პირველ რიგში მიგვიითყვას ქვის გვიანტური ქანდაკებ-

ბის არსებობა მექსიკიდან პერუმდე, მათ შორის ცენტრალური ამერიკის სველ ჯუნგლებშიც. როგორც ცნობილია, კენძელზე ტყეაშაშაშის, სამავიეროდ დიდი ჩაოდენობით მსხვერპლ მტნარი წყლის ლერწამი, თითქმის ერთ-ერთი კულტურა ბატატი, რომელიც აქ, ისევე როგორც სამხრეთ ამერიკაში, კუმბას სახელწოდებითაც ცნობილი; მეორის მხრივ, სწორად ასეთი ლერწამი იზრდება სამხრეთ ამერიკაში, ხოლო მეცნიერებაში უკვე დადგენილია, რომ ტბილი კარტოფილის — ბატატის სამშობლო სამხრეთ ამერიკის ანდები.

მიუხედავად ჰეიერდალის რიგი სწორი მოსაზრებებისა, მთლად არ შეიძლება უარყოფთ, „აზიური წარმოების“ თეორია. ჰეიერდალმა კარგად შეისწავლა რა აღდგომის კენძელის მცხოვრებთა ლევერები და ვადმოცემები, გემოთქვა მებრად ორიგინალური და შეიძლება ითქვას მოსახლეობის აზიური და ამერიკელი ნაშთების თეორიების შემაერთებელი მოსაზრება. თურმე აღდგომის კენძელზე თავდაპირველად შთეიღენ ინდაელები აღმოსავლეთიდან, სამხრეთ ამერიკიდან, რომლებიც შექმნეს ქვის თლის შალაი ხელოვნება. ესენი იყვნენ „გრძელყურანიანი“. უფრო გვიან პოლინეზიის კურძელებიდან (დოსალოთიდან) შთეიღენ „მოკლეყურანიანი“, რომლებიც ხასტიკ ბრძოლებში მოსპეს „გრძელყურანიანი“ და მიწაზე დააბნეს ქვის ქანდაკებები.

ჰეიერდალის განსაკუთრებული დამაზრება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა მეცნიერთა შორის ადგილობრივი მცხოვრებლების დასაზრებით კენძელზე მოახდინა არქეოლოგიური გათხრები, შთიარა, ინახულა ვადმოცემული და სამალავები და ამათ ადგილობრივ მოსახლეობას გაუღვივა პატრიოტული ინტერესი თავიანთი წარსულისადმი.

რამდენიმე სიტყვა თვით ნაშრომის სახელწოდების შესახებ.

მებრად საინტერესოდ იწყება შრომის ტექსტი.

„შე არა მყოლოდა აუთ-აუტ.“

თუნდაც მყოლოდა ამ ხომ არ ვიცოდით, რა არის ეს აუთ-აუტ და ვერც კი მოიხებრებდით მის გამოყენებას. აღდგომის კენძელზე სხვა საქმიე, აქ ყოფილ ადამიანს, რომელიც კი პატრეს სცემს თავის თავს, კიდევაც ჰყავს აუთ-აუტ, და მეც ვაიბინე ჩემი აუთ-აუტ.“

თორემ აღდგომის კენძელზე ყველას აქვს საკუთარი აუთ-აუტ. ადგილობრივი მცხოვრებთა საკუთარი აზრებს, სინდისს, ინტრიციას, ყოველფერს ერთად, რასაც შეუძლია წარმოადგინა მოგვიცეს უწინარ სულზე — აუთ-აუტს უწოდებენ. ეს არის საკუთარი თავის მეორე მხარე, და როდესაც ადამიანს მოწყინდება ან ჩაიჭვს საკუთარი აქვს ვადსამწყვეტი, ის მიმართავს აუთ-აუტს ე. ი. ესაუბრება და რჩევას ეკითხება თავისთავს; თავის ორველს, კენძელზე ღრმად სწერათ, რომ აუთ-აუტ (ასული-მცველი) — სა-

კუთარი ორეული, ყველაზე კარგი მრჩეველია და მის გარეშე აღამიანი ბედნიერი ვერ იქნება. რაც მთავარია, აქუ-აქუ იცავს მათ ყოველგვარი ზიფათისაგან, ავი თვალისაგან, ავადმყოფობისაგან, თვით დაუძინებელი შტრისაგანაც კი.

რამდენიმე შენიშვნა თარგმნის შესახებ. გე-მ გვერდზე რუსულის ვაულებით წერია ტატიანელი — ტაიტელის ნაცვლად. წინასიტყვაობაში (გვ. 15) წერია, რომ აღდგომის კენძულზე 525 ქვის გიგანტია, ხოლო ტექსტში, 110-ე გვერდზე ქვის ქანდაკებათა რიცხვი ექვსასზე მეტს აღწევს. ორი უბრალოდ აღნიშნული აღმდგომისაგან. გვ. 28 მთარგმნელი საყოველთაოდ აღიარებულ ტერმინს „ტერასას“ ნაცვლად რატომღაც ხმარობს საყრდენს, თუმცა ეს ორი სრულიად სხვადასხვა ცნებაა. უზუსტობას აქვს ადგილი კიდევ ერთ ადგილას. რუსულ ტექსტში წერია: „А значительной дальше к югу, в том месте, где меняют свое направление самые южные ветви этого течения, лежит другая маленькая точка, и у нее есть название—остров Пасхи“. ქართულ თარგმანში სწერია: „მეგრამ რუკის ქვედა ნაწილში, სადაც მიმართულებას იცვლიან დინების უკიდურესი ნიშნები შტოვბი, მეორე პატარა წერტილია, სახელად აღდგომის კენძული“. აქ სრულიად უადგილოდ არის მოტანილი რუკა (რუკის ქვედა ნაწილი), დინების ტოტი და არა შტო.

საერთოდ კი შალვა ბუაჩიძემ წარმატებით გაართვა თავი ტექსტის თარგმნას და მოგვცა ამ ფრად საინტერესო ნაშრომის კარგი თარგმანი.

დასასრულ, ვესურს ზოგიერთი მოწაზრების გამოთქმა შრომის სახელწოდების შესახებ. ტერ პეიერდალის რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და თვით მის მშობლიურ ნიშნულს *Копенгаген* გამოცემულ ნაშრომს ეწოდება აქუ-აქუ, ხოლო ნაშრომის ქვესათაურია „აღდგომის კენძულის საიდუმლოება“. ეს ავტორმა გააკეთა ორი მოსაზრებით. ჯერ ერთი შეხედვით უცნობია სიტყვა აქუ-აქუ და მასასაღამე, მიმსდეველი და საინტერესოა, მეორეც — პეიერდალის ნაშრომი იწყება და მთავრდება აქუ-აქუთი. მაშასადამე, მკითხველი თავიდაც გააკვივრული რომ ყოფილიყო თუ რაზეა წიგნში ლაპარაკი, ავტორმა იქვე ქვესათაური დაურთა და ამით ერთბაშად ახსნა, რომ ნაშრომში მოთხრობილია აღდგომის კენძულის საიდუმლოებანი. მთარგმნელმა შალვა ბუაჩიძემ ნაშრომს „აღდგომის კენძულის საიდუმლოება“ უწოდა, ხოლო რატომღაც „აქუ-აქუ“ არ ჩანს არც უდაბე და არც ტიტულის ფურცელზე, თუმცა, წინასიტყვაობაში (გვ. 6) და წიგნის ბოლოში რუსულ ენაზე მიწერილია, „тайна острова Пасхи (Аку-Аку“.

კარგი იქნებოდა წიგნს დათვლილი ჰქონოდა აღდგომის კენძულის რუკა, რომელზედაც დატანილი იქნებოდა კენძულის კონფიგურაცია, ქვის ქანდაკებებისა და გამოქვაბულებების განლაგება, გზები, ექსპედიციის მარშრუტები და სხვ.

ასეთია მოკლე ზოგიერთი შენიშვნები და მოსაზრებები ტ. პეიერდალის წიგნზე.

ბრ. ზარდალიძე

მონოგრაფია თერგდალეული კავოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან*

საბულოვან თერგდალეულთა მოღვაწეობისა და შექვიდრებობის შეფასება, მათი მსოფლმხედველობის არსის დადგენა ვაცხოველებული შესწავლასა და მსჯელობის საგანია მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დღემდე. ამ შემთხვევაში დიდმწიფუნელოვან პრობლემას მიეძღვნა მრავალი ნაშრომი. ამას მიუხედავად თერგდალეულია მოღვაწეობა და შემკვიდრეობა, მათი როლი და ადგილი მართებულად განსაზღვრა ვროკოლი-ვინმთავისეფლებელი მოძრაობის ისტორიაში კვლავ

საქიროებს სათანადო შეცინერული სიღრმითა და სისრულით შესწავლასა და შეფასებას. პ. რატინის მონოგრაფიის „თერგდალეულია რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“ წამოღებულელი აქვს ვრცელი თეორიული და ისტორიოგრაფიული შესავალი. აქ კრიტიკულად და, ჩვენი აზრით, მართებულად და შეფასებული ყველა ცოტად თუ ბევრად საყრადღებო ნაშრომი, მიძღვნილი თერგდალეულია მოღვაწეობისა და შექვიდრებობის შესწავლასადმი.

* პროკოფი რატინი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან. ახალი საარქივო მასალების მიხედვით, საბუკთა მწერალი, თბილისი, 1962.

დღემდე უცნობი საარქივო წყაროებისა და სათანადო ლიტერატურის შესწავლასა და ანალიზის საფუძველზე, პრობლემისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომით, ავტორი თეორიულად და მეცნიერულად დამაყრებულად ააშ-

კარგებს თერგდალეულთა მოღვაწეობისა და მუშაობის შედეგებზე ადრე დაშვებულ შეცდომათა წყაროება და არსს. მისი აზრით, თერგდალეულთა შედეგებში დაშვებული შეცდომების მთავარი მიზეზი იყო ავტორების მიერ ადგილობრივი ბურჟუაზიისა და მისი ისტორიული როლის არასწორი გაგება.

ძველი თეორიის დამცველები ბურჟუაზიის, როგორც აღმავალ კლასს, თვლიან რეფორმათა ეპოქის ყველაზე მოწინავე კლასად და ანტიბურჟუაზიული მოძრაობის მთავარ ხელმძღვანელ ძალად, ამიტომ საქართველოში ბურჟუაზიის იდეოლოგია მათ მიანათათ თავის დროის ყველაზე პროგრესულ იდეოლოგიად, რომელიც თითქმის შეესაბამებოდა და ვაძობდა გარკვეული ხალხის სურვილებსა და მოწოდებებს. მარქსისტების კლასიკოსთა ფუნქციონირების დებულებებზე დაყრდნობით, პ. რატკინი აკრიტიკებს ამ თვალსაზრისს და აღნიშნავს: „ძველი თეორიის დამცველების მთავარი შეცდომა ის არის, რომ მათ ბურჟუაზიული გეოგრაფიის განვითარების კანონზომიერებაში პირდაპირ, შექმნილად ვიდრე მხოლოდ საქართველოში და არაერთი ანგარიშს არ უწევინ არც დროთა ბრუნვით გამოწვეულ ისტორიულ ცვლილებებს, არც ადგილობრივი ვითარების თავისებურებებს“ (გვ. 50).

თერგდალეულთა შემოკლებების შედეგებში დაშვებული შეცდომების მეორე წყაროდ ავტორს მიაჩნია გლეხობის ისტორიული როლისა და გლეხურ დემოკრატიის მნიშვნელობის არასწორი გაგება. ვ. ი. ლენინს რუსეთში ნამდვილი ბურჟუაზიული-დემოკრატიული იდეების მატარებელი მიაჩნდა არა ბურჟუაზია, არამედ გლეხობა. სწორად გლეხური, ვ. ი. ლენინი ბურჟუაზიული დემოკრატია, ვ. ლენინის აზრით, ნამდვილი რევოლუციური დემოკრატია, ვ. ლენინს ამ ფუნქციონირების დებულებაზე დაყრდნობით, პ. რატკინი საყვებით ლოკატორად დასაყენის მეტრამეტე საყურის რუხისა და საქართველოში ბურჟუაზიული დემოკრატიის ორგანიზაციის ნიჭიანობა აჩვენობდა: ერთი წარმოადგენდა ბურჟუაზიის იდეოლოგიას, ანუ ლიბერალიზმს, ხოლო მეორე გლეხობის იდეოლოგიას ანუ რევოლუციურ დემოკრატიზმს. ბურჟუაზია, მიუხედავად იმისა, რომ ის აღმოვალი კლასი იყო, სრულებითაც არ წარმოადგენდა პროგრესულ შედეგებს. პირიქით, ეს გამოიჩინებოდა შემოთხზებლური, მერყევი ბუნებითა და ლაქიური სულით; გლეხობა კი ნამდვილად იყო შეუღებავალი მებრძოლი ცარიზმისა, მუშაობისა და ავრთვით მათი ლაქი ლიბერალების წინააღმდეგ“ (გვ. 72). მრავალი ხელშეწყობა, კონკრეტული ფაქტის ანალიზის საფუძველზე პ. რატკინი, დასკვნის, რომ თერგდალეულთა ეკუთვნოდნენ ბურჟუაზიული დემოკრატიის მეორე ნიჭიანობას, სახელობრ,

რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მებრძოლ რაზმს, რომელიც თავდადებით ებრძოდა ხალხის ინტერესებისათვის (გვ. 72). რატკინი შეტყუებაში ბურჟუაზიული დემოკრატიის „ქიქორი“ ნიჭიანობას — ლიბერალიზმს, მის წარმოადგენლებად საქართველოში გვევლინება ვ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ი. კერესელიძე, ა. ორბელიანი და სხვ. (გვ. 73).

შესაყლის ბოლო ნაწილში ავტორი ააშკარავებს შეკვეთათა მიერ ეროვნულ საერთაშორისო გაგებაში დაშვებული შეცდომების არსს და გამოიყენებს ერთმანეთისაგან ეროვნულ-გამათავისუფლებულ მოძრაობასა და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს.

ნაშრომში მოტანილი და განხილული მასალა ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქართველი სტუდენტები — თერგდალეულები — რუსეთის რევოლუციური მოძრაობაში და რაოდენ მკაფიოდ ურთიერთობაში იყვნენ ისინი რუსეთის გამოჩენილ რევოლუციონერ-დემოკრატებთან.

ავტორის მიერ გამოყენებული და განხილული მასალა დიდწილად ცხადყოფს, რომ რუსეთის ცენტრალური რევოლუციური ორგანიზაცია უდიდეს მნიშვნელობას ინიჭებდა სიერეთის სახალხო მოძრაობაში კავკასიის ჩამბას და აუცილებლად მიაჩნია იქ გამოჩენილი რევოლუციონერი პრომადანდისტის ვაგნაი. შესაბამისად მოვლენებისადმი კონკრეტული ისტორიული მიდგომით და ზოგადით არაპარდაპირ მასალაზე დაყრდნობით პ. რატკინი ვიწინამხვეილურად აჩვენებს თავის ახალ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 1861 წლის დამდენი ილია კეჭევიძე რუსეთის ცენტრალური რევოლუციური ორგანიზაციის დეალეებით, პეტერბურგიდან საქართველოში იყო გამოგზავნილი სახალხო აჯანყების მოსამზადებლად. ამ აჯანყების მიზანი კი ბატონყმობის წყობალების მოსპობა და რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლება უნდა ყოფილიყო (გვ. 132).

ნაშრომში გამოამჟღავნებულია შეცდომები იმ შეკვეთებზე, რომლებიც საქმებით უარყოფდნენ და უარყოფენ თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის თვით ფაქტებს კენჭს შეკვეთებში ავტორის აზრით, ყოველნაირად ცდილობდნენ ლიბერალიზმის ჩარჩოვებით შემოეფარათ თერგდალეულთა თავდადებული ბრძოლა ძველი წყობილების წინააღმდეგ. ამასთან თერგდალეულთა რევოლუციონობის უარსაყოფად ისინი ჩვეულებრივ იმ გარემოებაზე მითითებდნენ, თითქმის თერგდალეულებს არ განუცდიათ ცარიზმის მხარე ისეთი დენა-შევიწროება, როგორც ეს რუსმა რევოლუციონერებმა, ჩერნიშევსკიმ და მისმა მიმდევრებმა განიცადეს. პ. რატკინის ნაშრომში ახალი მარტივი მასალებით ნაჩვენებია იმ

ყალბი მოსაზრების უსაფუძვლოა, რომ თითქმის თერგდაღიულებს არ უგვიმათ ციხეები და გადასახლებანი და რომ თითქმის „თერგდაღიულების ბრძოლა უფრო ლიტერატურულიერი ხასიათის ბრძოლა იყო“.

1861 წლის დამდეგს რუსეთში შეიქმნა რევოლუციური ორგანიზაცია „ზემლია ი ვოლისა“ სახელწოდებით. წიგნში მოტიანილი მასალებიდან ჩანს, რომ დასახლებულ ორგანიზაციაში შედიოდნენ და აქტიურ როლს ასრულებდნენ ქართველი რევოლუციონერები ბესარიონ და დავით დოლობერიძეები, გრიგოლ ჭავჭავაძე, ავტორი საინტერესო ფაქტებს გვაწოდის აგრეთვე იმდინ-ხელიაფოვის წრებში ქართველთა (ვარაძე ჩეჩქეზიშვილი, ხარლამაძე სავანელი) მონაწილეობის შესახებ.

წიგნში გარკვეული ადგილები აქვს დამოუბილი რუსეთიდან დას. ევროპაში გადახვეწილი რევოლუციონერების საქმიანობის გაშუქებასაც. განსაკუთრებით საინტერესო მასალას გვაწოდებს მკვლევარი ნ. ნიკოლაძის შესახებ. ამ მკვლევარს რევოლუციონერის იქვე პრინციპულა პოზიცია ეკავა. იგი მოტირდებდალ ამაყარაგებდა „კოლოკოლი“ თვით გერცენის ლიბერალურ ილუზიებს და აკრიტიკებდა ახალგაზრდა ემიგრანტების დიდ ნაწილსაც. რევოლუციონერთა წრებში დიდი მოწონება ზღადა ნ. ნიკოლაძის ბროშურას — „მთავრობა და ახალი თაობა“. ნ. ნიკოლაძის რევოლუციურ განწყობილებასზე შეტყუვებს ისიც, რომ მან (ვლადიმინთან ერთად) საზღვარგარეთ გამოსცა ჩეჩნიშევსკის თხზულებათა კრებული, რომელსაც წინასიტყვაობა დამწერა.

ნ. ნიკოლაძესა და სერნო-სოლოვიევის შორის გამართულ კამათთან დაკავშირებით, პ. რატიანი მასართლიანად უსაყვლდრებს არაობიექტურობასა და ტენდენციურობას მკვლევარ პ. კოზმიშს, რომელიც მეტად დამკირებულად წარმოგვიდგენს ნ. ნიკოლაძის რევოლუციურ წარსულს. საერცენზიო წიგნში ავტორი დიდძალი მასალით ცხადყოფს, რომ ნ. ნიკოლაძე იდგა რევოლუციონერთა პირველ რიგებში (გვ. 263 — 267).

1869 წლის მარტში პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში მოხდა სტუდენტთა რევოლუციური გამოხლეები. ავტორს სააქტიუო პირველწყაროების საფუძველზე დადგენილი აქვს ამ გამოხლეებში მონაწილე ქართველთა ენობა (თედორე ბებურიშვილი, ბესარიონ ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ორბელიანი, ნიკოლოზ ყიფიანი, დიმიტრი სულხანიშვილი და სხვ.)

შემდეგ ავტორი ეხება „სმორგონის აჯადმობა“ და ნეჩაეველთა ორგანიზაცია „ნაროდნიკა რასპროვში“ ქართველთა მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით წიგნში საინტერესო მასალა ვარაძე ჩეჩქეზიშვილის შესახებ, რომელიც აქტიური რევოლუციური საქმიანობისათვის

მეფის პოლიციას დაუპატიმრებია და ციხეში გადასახლებია.

წიგნის ბოლო თავში ასახულია ქართველების განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის ლიტერატურულ-პუბლიცისტური საქმიანობა და რევოლუციური მოღვაწეობა საქართველოში ბატონყმობის გაუქმების ხანაში. ავტორის მიერ მოცემული შეფასებებიდან ჩანს, რომ აგრარულ საკითხში და სერათოდ სოციალიზაციაში თერგდაღიუელთა შეხედულებანი თითქმის მთლიანად ემთხვეოდა ჩეჩნიშევსკის შეხედულებებს.

ქართველი ხალხის წინაშე მეტად მწვავედ იდგა აგრეთვე ეროვნული საკითხი. სარცენზიო წიგნის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი, თავადაზნაურული ეტაპის მოღვაწეებმა სრულიად გარკვევით წამოაყენეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, მაგრამ ამ დროის რუსეთის რევოლუციურ წრებში ან არ ლეკობდნენ, ანდა მხარს არ უჭერდნენ რუსეთის იმპერიაში შემავალი შედარებით პატარა ერების თვითგამორკვევის უფლებას. ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ რუსეთისა და საქართველოს მოწინავე ძალების ურთავრთდასხეობებისა და ერთობლივი მოქმედებისთვის პირობები შეიქმნა მხოლოდ განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე, ბურჟუაზულ-დემოკრატიულ ანუ რანონიშნულ ეტაპზე, როცა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მჭიდროდ დაკავშირდა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას და მის ერთ-ერთ მძლავრ შენაკადად, მის განუყოფელ ნაწილად იქცა (გვ. 363).

რუსეთის რევოლუციური დემოკრატები მხარს უჭერდნენ არა მარტო პოლიციის, არამედ რუსეთის იმპერიის ყველა ჩაგრული ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მოითხოვდნენ მათთვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას. რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებანი სოციალურ და ეროვნულ საკითხში საესებით უმასხებდა და ამაყიერიუნდა ქართველი ხალხის მოწინავე აღმაინების მისწრაფებებს. სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა, — მართებულად დასკვნას ავტორი — თერგდაღიუელთა დაახლეობა რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატებთან და აგრეთვე მათი აქტიური ჩაბმა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

საგლეხო რეფორმის გატარებამდე თერგდაღიუელთა სოციალურ და ეროვნულ საკითხებს ერთნაირად მწვავე საკითხებად სთვლიდნენ. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კი, მათ ამაყარად წამოსწიეს წინა პლანზე ეროვნული საკითხი. ასეთ პირობებში თერგდაღიუელთა ბელად

წოდებითა შერეებისა და ქვეყნის ვათაისრულ-
 ლეზრათის საერთო შრომის თეორიამდე
 მივიდა. მაგრამ, — საუბრით სწორად აღნიშ-
 ნავს ავტორი, — „ეს იყო არა თერგდალეულთა
 რაიმე უარყოფითი თვისების შედეგი, არა-
 წინდ მამრული ცხოვრების ეთარებათ გამო-
 წედი ავტორული ტაქტიკური ხაზი, რომე-
 ლიც სრულიად არ ამტკიცებს არც მათ და-
 ლატს რევოლუციის საქმისაში და არც მათ
 რაიმე გადახრას მეფისა და შემამელებებს პო-
 ლიტისაყენ“ (გვ. 372).

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ საუბრ-
 ბით დამტკიცებულად და დსაბუთებულად მც-
 გვანია პ. რატანის მონოგრაფიული გამოკ-
 ვლევის ძირითდი დასკვნა, რომ თერგდალეუ-
 ლები იყვნენ მშრომელი ხალხის, ძირითადად
 გლეხობის ინტერესთა გამომხატველი რევოლუ-
 ციონერი — დემოკრატები და აქედნად სოცი-
 ალ-დემოკრატიის წინამორბედნიც საქართვე-
 ლში. თერგდალეულთა გამოადგილეს, ვათ-
 ვითცნობიერეს და მოამზადეს ქართული ხალხი
 გამათავისუფლებელი პრძოლისათვის.

სარეცხვით ნაშრომი, ჩვენი აზრით, ზოგი-
 ერთ შენიშვნასაც იმსახურებს:

ავტორის აზრით, ქართულ საბჭოურ ისტო-
 რიოგრაფიაში XIX საუკუნის მეორე ნახევრის
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და
 აზროვნების შესწავლაში სამი მთავარი პერიო-
 დი შეიიშენება: 1) „რაბბელებს“ მოღვაწეობის
 პერიოდი (1921—1934 წწ.), 2) ს. ხენდაძისა
 და მისი მიმდევრების თვალსაზრისის ბატონო-
 ბის პერიოდი (1934 — 1950 წწ.), და 3) ძველი
 (ხენდაძის) თვალსაზრისის თანდათანობით და-
 ძლევისა და ახალი კონცეფციის გამარჯვების
 პერიოდი (1950 — 1962 წწ.) (გვ. 17—20).

ჩვენ მივვანია, რომ „რაბბელებს“ ზემოაღ-
 ნიშნული პირობების შესწავლაში ვტაბი, პერი-
 დი არ შეუქმნიათ. გულწრფელად ცდილობ-
 დნენ რა პირობებზედა ეტლბრის დაკვას
 მარქსიზმის ეს ველგარიზატორები კი არ სწაუ-
 ლობდნენ თერგდალეულთა მემკვიდრეობას,
 არამედ უბრალოდ უარყოფდნენ, რეაქციულად
 აცხადებდნენ მას. „რაბბელებს“ საქმიანობის
 დრის დაწერა ს. ხენდაძემ სოციალიზმის ის-
 ტორიისაში მიძღვნილი შრომები და იქ ვატა-
 რებულ თვალსაზრისს ავითარებდა უნივერსი-
 ტეტში წაკითხული ლექციებს კერძო. აქედ-
 ნად თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწა-
 ლის ხაზით ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფი-
 აში, ჩვენი აზრით, მხოლოდ ორ პერიოდად უნ-
 და დავყოთ: ს. ხენდაძისა და მისი მემკვიდრე-
 ების თვალსაზრისის ბატონობის პერიოდი
 420-იანი წლებიდან 1950 წლამდე) და ძველი

თვალსაზრისის დაძლევისა და ახალი კონცე-
 ციის წამოყენებისა და ვავრცელების პერიოდი
 (1950 — 1962 წწ.).

მონოგრაფიაში არათანაბარი სიღრმითაა გა-
 შექმბული თერგდალეულთა რევოლუციური
 მოღვაწეობა რუსეთისა და საქართველოში. მა-
 სალს. დიდი ნაწილი ვება თერგდალეულთა
 მოღვაწეობას რუსეთში და მხოლოდ ერთი თა-
 ეც აქვს დათმობილი მათ საქმიანობას სამშობ-
 ლოში. კერძოდ, არა საქმარისი სისრულითაა
 შესწავლილი 1861 წელს სამშობლოში აყაყუ-
 ბის გასაძალებლად გამოგზავნილი ილია ქავეკა-
 ვაძის მოღვაწეობა. რას აკეთებდა იგი „მოამ-
 ბის“ გამოცემამდე, როგორ გამოეხმებოდა ის
 საგლეხო რევოლუციას? მართალია, ავტორი აღ-
 ნიშნავს, რომ კრეტიკული შენიშვნები საქარ-
 თველოს გლეხთა განთავისუფლების დებულ-
 ბის პრეკტებზე ილია ქავეკავაძეს ეკუთვნისო,
 მაგრამ ეს მოსაზრება მონოგრაფიაში სათანა-
 დოდ არაა დსაბუთებულა, ავტორის უნდა ვავრ-
 კვია ისიც, თუ რა როლი შეასრულა ილიამ ქე-
 თისის გუმბრნიის საგლეხო რევოლუციის მოამ-
 ხადებელ კომისიაში, რომლის წევრადაც იგი იყო
 არჩეული. ჩვენი აზრით, საინტერესოა იქნებო-
 და ავტორთვე ილიას სამოსამართლო პრაქტიკის
 შესწავლა, თუ რამდენად ამერბებდა იგი მეფის
 მთავრობის სასამართლოში გლეხობის ინტერ-
 სების დაკვას.

პ. რატანის ნაშრომი მაღალ იდებურ და
 მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. მარ-
 ქსიზმ-ლენინიზმის დებულებების შემკომდე-
 ბითად ვაზრებოდა და ფაქტებსადაც კონკრე-
 ტულ-ისტორიული მიდგომის შედეგად ავტორმა
 გამოამყარავე ქართულ საბჭოურ ისტორიოგრა-
 ფიაში თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწა-
 ვლა-შეფასების ხაზით დაშვებული სტორიული
 შეცდომები. თერგდალეულთა მოაშორა დამა-
 მკირებელი განსაზღვრებანი და რსინი მთერ
 სილიადით, მგზნებარე რევოლუციონერ დემო-
 კრატებად წარმოაჩინა ფართო მკითხველი სა-
 ზოგადობის წინაშე. ავტორმა ჩინებულად
 დაასურათა რუსი და ქართველი რევოლუ-
 ციონერების ერთობლივი, თავგანწირული შრო-
 ლა ხალხის სოციალურ და ეკონომიკური თავი-
 სუფლებითათვის.

პ. რატანის წიგნი — „თერგდალეულთა რე-
 ვოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“ —
 ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მნიშე-
 ნლოვანი შენიშვნა, სასურველია და მისაშე-
 წინილი მისი თარგმანი რუსულ ენაზე.

პროფ. შ. ჩაბიანი,
 ბ. ბინდიაშვილი,
 ბ. მარბიანი.



ახალი წიგნები

„საგვართა საპატიველო“

- ვასტანგ ბარათაშვილი — პავის ბუღბული — რედ. ე. გოგიაშვილი. გვ. 580, ფასი 1 მან.
- გიორგი ქუჩიშვილი — ორ ტომად. ტომი II. პროზა და პოეზია. რედ. მ. ბაქრაძე. გვ. 468. ფასი 1 მან.
- შოთა ვაშაყშაძე — რაფელ ერისთავი. რედ. ნ. ინასარიძე. გვ. 262. ფასი 70 კაპ.
- ფრიდრიხ შილერი — თხზულებანი 3 ტომად. II ტომი. თარგ. ვერსაქლიდან ვასტანგ ბეწუკელი ს. დ. ლაშქარაძის და მ. მახარაძის რედაქციით. გვ. 861. ფასი 2 მ. 30 კაპ.
- მაქსიმ გორკი — თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. თარგ. მ. ლორთქიფანიძე. ე. თვარაძის, თ. კობტალაძის და ე. ნახეიძის. რედ. დემნა შენგელია. გვ. 678, ფასი 1 მან. 40 კაპ.
- ლევ ტოლსტოი — თხზულებანი ათ ტომად, ტომი IV. თარგმ. ილია აგლაძისა. რედ. თ. ბუაჩიძე. გვ. 418. ფასი 1 მ. 60 კაპ.
- ალექსანდრე დიუმა — გრაფი მონტე-კრისტო. ტომი I. თარგმ. თ. საჭაიასი. რედ. ელ. გოგიაშვილი. გვ. 490, ფასი 1 მან. 85 კაპ.
- ალექსანდრე დიუმა — გრაფი მონტე-კრისტო. ტომი II. თარგმ. თ. საჭაიასი. რედ. ელ. გოგიაშვილი. გვ. 493. ფასი 1 მან. 85 კაპ.
- ალექსანდრე დიუმა — გრაფი მონტე-კრისტო. ტომი III. თარგმანი თ. საჭაიასი. რედ. ე. გოგიაშვილი. გვ. 438. ფასი 1 მან. 65 კაპ.
- ფიონოვი ლ. — რუსული ტყე. თარგ. ვ. კარბეღალიშვილისა. რედ. ნიკ. ავაშვილი. გვ. 7. ფასი 1 მან. 70 კაპ.
- ფერემოვი ილია — ანდრომედას ნისლეული. შთარგმ. დ. კაკაბაძე, ე. გოგიაშვილი. რედ. ელ. გოგიაშვილი. გვ. 346. ფასი 73 კაპ.
- დემირჩიანი დ. — ვარდანანტი. წიგნი I. რედ. არ. დავითიანი. შთარგმ. ს. შანველიანი. მ. ბინიაშვილი. გვ. 405. ფასი 1 მან. 56 კაპ.
- იონ კრაიწკა — რჩეული ზღაპრები და მოთხრობები. თარგმანი დ. გიორგაძისა. რედ. ვ. ციციშვილი. გვ. 214. ფასი 38 კაპ.
- ილიას იფრადივი — ტირიფები წყლის პირად. თარგმ. ლ. ვრძიასი. რედ. ელ. გოგიაშვილი. გვ. 219. ფასი 45 კაპ.
- ქიემონდ შორიე — მოწილე ფარია. თარგმ. ვ. ხოშტარიასი და თინასელიანი. რედ. ლ. ს. ა. რედაქტორი ელ. გოგიაშვილი. გვ. 237. ფასი 56 კაპ.
- გოეთე — ფაუსტი. თარგმანი და ეფთონიაშვილისა. რედაქტორი და კომენტარები დ. ლაშქარაძისა და თ. წინორიასი. გვ. 629. ფასი 2 მან. 25 კაპ.
- ვიქტორ მიუგო — ომბოკდაცემები წელი. თარგმ. იე. მაკვაჭარიანისა. რედაქტორი ლ. ელიოზიშვილი. გვ. 385. ფასი 1 მან. 45 კაპ.
- გი-დე-მოასანი — სიყვარული. თარგ. თედო სახოკიასი. რედ. ნათელა ინასარიძე. გვ. 677. ფასი 1 მან. 36 კაპ.
- ვ. შიშკოვი — უგრძელ მდინარე. წიგნი II. თარგმანი თ. ქავთაშვილისა. რედ. კ. ლორთქიფანიძე. გვ. 545. ფასი 2 მან. 05 კაპ.
- პეტრე ჭავჭავაძე — თარგმანები, ბერძენი და რომაელი ავტორები. რედ. პ. ბერიძე. გვ. 250. ფასი 1 მან.

„ნაკადული“

- გრიგოლ ჩიქოვანი — სინთე. რედ. რ. თეარაძე. გვ. 35, ფასი 5 კაპ.
- ხოხო იორამაშვილი — ჯაბა ელიაური. რედ. ე. უბილაძე. ფასი 20 კაპ.
- ვიტალი ბიანკი — უიარაღო ხელოსნები, რედ. ლ. გეგელია. გვ. 8. ფასი 15 კაპ.